

# **ადვინისტრაციული ხელშეკრულება**

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: <http://www.supremecourt.ge/court-decisions/>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი  
**ადმინისტრაციულ საქმეებზე**

2020, №2

Decisions of the Supreme Court of Georgia  
**on Administrative Cases**  
(in Georgian)

2020, №2

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien  
**in Verwaltungssachen**  
(in der georgischen Sprache)

2020, №2

Решения Верховного Суда Грузии  
**по административным делам**  
(на грузинском языке)

2020, №2

გადაწყვეტილებების შერჩევასა და დამუშავებაზე პასუხისმგებელი

**ლიანა ლომიძე**

ტექნიკური რედაქტორი

**მარიკა მაღალაშვილი**

რედაქციის მისამართი:

0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6, ტელ: 299 04 18;  
[www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)

ყურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მხარდაჭერით

## საკიეპელი

1. სახელმწიფო ქონების პრივატიზება  
სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ  
მოთხოვნის ხანდაზმულობა ..... 4
2. საცხოვრებელი ბინის პრივატიზება  
ბინის პრივატიზების ხელშეკრულების კანონიერება  
პირის კანონიერ მოსარგებლედ მიჩნევისათვის  
საჭირო წინაპირობები ..... 57  
საცხოვრებელი ბინის პრივატიზების  
ხელშეკრულების კანონიერება ..... 77; 98  
სამინისტროს ბალანსზე რიცხული ბინების  
უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წინაპირობები ..... 121; 147
3. სამედიცინო მომსახურების ხელშეკრულება  
სახელშეკრულებო მოთხოვნისათვის  
გათვალისწინებული ხანდაზმულობა ..... 167

# 1. სასაქონლო ქონების პრივატიზაცია

## სასაქონლო ქონების პრივატიზაციის უწყისებების მოთხოვნის ხანდაზმულობა

### გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

№ბს-590-590(კ-18)

16 მაისი, 2019 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. სხირტლაძე,  
ვ. როინიშვილი

**დავის საგანი:** ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება

#### აღწერილობითი ნაწილი:

2015 წლის 12 ნოემბერს რ. ა-მა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – საქართველოს პრეზიდენტის მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, რ. ა-სა და საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს შორის 1999 წლის 13 აპრილს გაფორმდა საიჯარო ხელშეკრულება, რომლის არსებით პირობას წარმოადგენდა საქართველოს ტერიტორიის დეკლარაციის „...-ის“ გამაჯანსაღებელი კომპლექსის ბალანსზე რიცხვითი ქონების გამოსყიდვა, ღირებულებით 30500 აშშ დოლარი. 2004 წლის 4 ოქტომბრის შედარების აქტით საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ დაადასტურა, რომ რ. ა-ის მიერ სრულად იქნა გადახდილი ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქონების ღირებულება.

მოსარჩელის მითითებით, სწორედ მის საკუთრებაში სახელმწიფო ქონების გადასვლა, მისი დაინტერესება, ცოდნა და გამოცდილება გახდა საფუძველი საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 14 ივლისის №... განკარგულებით რ. ა-ისათვის ...-ის მიმდებარედ არსებული 63,5 ჰა მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის გზით გადაცემისა. მისივე განცხადებით, აღნიშნულის მიუხედავად, ძალადობის შედეგად მან უარი თქვა საკუთრებაში გადაცემულ ქონებაზე, რაც გახდა საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 10 ნო-

ემბრის №... განკარგულების გამოცემის საფუძველი.

ამდენად, მოსარჩელემ რ. ა-ისათვის 63,5 ჰა მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემის გაუქმების ნაწილში საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 10 ნოემბრის №... განკარგულების ბათილად ცნობა და საქართველოს პრეზიდენტისათვის საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევის შედეგად სადავო ურთიერთობასთან დაკავშირებით ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალეზა მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 18 იანვრის საოქმო განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, საქმეში მესამე პირად ჩაბმულ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 13 აპრილის საოქმო განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, საქმეში მესამე პირად ჩაბმულ იქნა სს „...ი“.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 27 ოქტომბრის გადაწყვეტილებით რ. ა-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრის 1998 წლის 14 ივლისის №1-1/482 ბრძანებით მიღებულ იქნა სექტორული ეკონომიკის სამმართველოს წინადადება საქართველოს ტურიზმის დეპარტამენტის ...-ის გამაჯანსაღებელი კომპლექსის ბალანსზე რიცხული ქონების იჯარით გამოსყიდვის ფორმით გადაცემაზე და ქონების სანჯისი ფასი დაწესდა 30 000 აშშ დოლარის ექვივალენტური თანხა ლარებში.

სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს 1998 წლის 24 ნოემბრის №1-3/730 ბრძანებით ტურიზმის დეპარტამენტის „...-ის“ გამაჯანსაღებელი კომპლექსის ბალანსზე რიცხული ქონების პრივატიზების მიზნით ჩატარებულ კომერციულ კონკურსში გამარჯვებულად გამოცხადდა ფიზიკური პირი რ. ა-ი, რომელმაც ვალდებულებად მიიღო შეესრულებინა ყველა საკონკურსო პირობა და ნაცვლად საპრივატიზებო ობიექტის სანჯისი გასაყიდი ფასისა (30 000 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში) გადაეხადა 30 500 აშშ დოლარის ექვივალენტი ეროვნულ ვალუტაში.

საქალაქო სასამართლოს მიერ საქმის მასალებით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად იქნა მიჩნეული, რომ სახელმწიფო ქონე-

ბის მართვის სამინისტროს 1998 წლის 24 ნოემბრის №1-3/730 ბრძანების საფუძველზე, 1999 წლის 13 აპრილს საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროსა („მეიჯარე“) და რ. ა-ს („მოიჯარე“) შორის დაიდო საიჯარო ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, „მეიჯარემ“ გასცა, ხოლო „მოიჯარემ“ იჯარით – გამოსყიდვის უფლებით მიიღო საქართველოს ტურიზმის დეპარტამენტის „...-ის“ გამაჯანსაღებელი კომპლექსის ბალანსზე რიცხული ქონება, რომლის საბოლოო ღირებულება ხსენებული ბრძანების შესაბამისად შეადგენდა 30500 აშშ დოლარის ექვივალენტს ლარებში. ამავე ხელშეკრულების მიხედვით, ხელშეკრულების დადებისთანავე მხარეებს შორის გაფორმდა საიჯარო ქონების მიღება-ჩაბარების აქტი, რომელიც ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა, ხოლო ხელშეკრულების მოქმედების ვადად განისაზღვრა 5 წელი, კერძოდ, 1999 წლის 13 აპრილიდან 2004 წლის 13 აპრილამდე.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 2004 წლის 4 ოქტომბრის №29 შედარების აქტის თანახმად, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მთავარმა ბუღალტერმა ნ. მ-მა და რ. ა-მა მოახდინეს ურთიერთშედარება, რაც გამოიხატა შემდეგში, რომ 1999 წლის 13 აპრილის საიჯარო ხელშეკრულების საფუძველზე „მოიჯარის“ მიერ გადახდილია საქართველოს ტურიზმის დეპარტამენტის „...-ის“ გამაჯანსაღებელი კომპლექსის ბალანსზე რიცხული ქონების სრული ღირებულება – ჯამში 30510,10 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში 60416,43 ლარი.

ქ. თბილისის მერიის ქალაქგეგმარებისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის 2005 წლის 10 მარტის №21/127 წერილით საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილეს კ. დ-ას ეცნობა, რომ ქალაქ თბილისის მერიის არქიტექტურული და პერსპექტიული განვითარების საქალაქო სამსახურის მიერ მოქ. რ. ა-ის განცხადების საფუძველზე, საქართველოში მოქმედი მინის კანონმდებლობის თანახმად, გაიცა ...-ის ტურისტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის ბალანსზე რიცხულ ქონებაზე 1998 წლამდე ფაქტობრივად დამაგრებული ტერიტორიის წითელი ხაზები (საერთო ფართი 63,5 ჰა).

სასამართლოს მიერ დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 14 ივლისის №... განკარგულებით მიღებულ იქნა ქ. თბილისის მერიის წინადადება და ქ. თბილისში, ...-ის მიმდებარედ არსებული 63,5 ჰა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი პირდაპირი განკარგვის წესით საკუთრებაში გადაეცა რ. ა-ს. ამავე განკარგულებით უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით საკუთრებაში გადაცემის პრო-

ბად განისაზღვრა: ა) მიწის ნაკვეთების განკარგვის თაობაზე ხელშეკრულებების გაფორმებისთანავე ...-ის რეაბილიტაციის პროცესის დაწყება და 2006 წლის 31 დეკემბრამდე ...-ისა და მიმდებარე ტერიტორიის (ამ განკარგულების შესაბამისად გადაცემული მიწის ნაკვეთების) დასუფთავება და ამ მიზნით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება; ბ) მიწის ნაკვეთების განკარგვის თაობაზე ხელშეკრულებების გაფორმებისა და შესაბამისი სამსახურებისაგან ქალაქთმშენებლობითი პირობების დადგენიდან (არქიტექტურულ-გეგმარებითი დავალების გაცემიდან) 12 თვის ვადაში ...-ის კომპლექსის განვითარების პროექტის მომზადება; გ) პროექტის შესაბამის სამსახურებთან შეთანხმება-დამტკიცებისა და თავად ობიექტებზე მშენებლობის ნებართვების მიღებისთანავე მშენებლობის დაწყება და მისი დასრულება არა უგვიანეს 2014 წლის დეკემბრისა (მათ შორის დამსვენებელთა ზონის (პლაჟი, გამაჯანსაღებელი კომპლექსი, სპორტული მოედნები) მოწყობა, კვების ობიექტების, სანაოსნო კომპლექსის, დასასვენებელი კოტეჯების, SPA კომპლექსისა და სასტუმროს აშენება).

ქალაქ თბილისის მერიას 2006 წლის 8 ნოემბერს №17621 განცხადებით მიმართა რ. ა-მა და განმარტა, რომ როგორც საიჯარო ხელშეკრულებით, ასევე საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 14 ივლისის №... განკარგულებით მის მიმართ გათვალისწინებული იყო რიგი ვალდებულებები გადაცემული უძრავი ქონების შემდგომში აღორძინებისა და განვითარების მიზნით, რაც ვერ შეასრულა რიგი სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო. ქ. თბილისის მერის 2006 წლის 9 ნოემბრის №17621 წერილით საქართველოს პრეზიდენტს გაეგზავნა რ. ა-ის განცხადება და „...-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთების პირდაპირი წესით განკარგვის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 14 ივლისის №... განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების პროექტი. საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 10 ნოემბრის №... განკარგულებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ძალადაკარგულად გამოცხადდა „...-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთების პირდაპირი წესით განკარგვის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 14 ივლისის №... განკარგულება.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 11 ივლისის №166507 წერილით დგინდება, რომ ქ. თბილისში, ...-ის მიმდებარედ არსებული, №... (წინა №...), №..., №... (წინა №...), №... (წინა №...), №... (წინა №...), №... (წინა №...), №... (წინა №...), №... (წინა №...), №... (წინა №...), №... (წინა №...) საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული უძრავი ქონება წარმოადგენს სს

„...ის“ საკუთრებას.

საქალაქო სასამართლომ საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებებითა და მხარეთა ახსნა-განმარტებების საფუძველზე დადასტურებულ ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნია ის სადავო გარემოება, რომ მოპასუხემ საქართველოს პრეზიდენტმა სადავო აქტი გამოსცა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოების გამოკვლევისა და შეფასების საფუძველზე, კერძოდ: საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 14 ივლისის №... განკარგულებით რ. ა-ს ქ. თბილისის მერიის წინადადების საფუძველზე ქ. თბილისში, ...-ის მიმდებარედ არსებული 63,5 ჰა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი პირდაპირი განკარგვის წესით გადაეცა საკუთრებაში. ამავე განკარგულების თანახმად, უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემის მიზნით რ. ა-ს დაევალა კონკრეტული პირობების (ვალდებულებების) შესრულება. ამასთან, დადგენილ გარემოებად იქნა მიჩნეული, რომ რ. ა-მა 2006 წლის 4 ნოემბერს საანოტარო წესით დამონმეებული განცხადებით უარი თქვა სადავო უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემაზე, ვინაიდან არ შეეძლო ვალდებულების შესრულება. შესაბამისად, საქართველოს პრეზიდენტმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ძალადაკარგულად გამოაცხადა „...-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთების პირდაპირი წესით განკარგვის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 14 ივლისის №... განკარგულება.

სასამართლომ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული აქტი – საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 10 ნოემბრის №... განკარგულება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის საფუძველზე წარმოადგენდა ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და დავის განხილვისას უნდა შემოწმებულიყო გასაჩივრებული აქტის შესაბამისობა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ აქტის გამოცემის მომწესრიგებელ შესაბამის ნორმებთან. სასამართლომ აქვე აღნიშნა, რომ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს წარმოადგენდა, ასევე, ის დოკუმენტი, რომლის გამოცემის დავალდებულებასაც ითხოვდა მოსარჩელე.

სასამართლომ განმარტა, რომ სადავო ხელშეკრულების დადების დროს სახელმწიფო ქონების პირდაპირი ფორმით პრივატიზების საკითხები რეგულირდებოდა „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ საქართველოს კანონით, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის შესახებ“ საქართველოს კანონითა და საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2004 წლის 20



სექტემბრის №1-1/102 ბრძანებით დამტკიცებული სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ დებულებით განსაზღვრული ნორმებით.

სასამართლომ აღნიშნა, რომ სადავო პერიოდში მოქმედი „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ საქართველოს კანონის მითითებული რედაქციის შესაბამისად, ეს კანონი განსაზღვრავს საქართველოს სახელმწიფო ქონების პრივატიზების სამართლებრივ, ეკონომიკურ, ორგანიზაციულ და სოციალურ საფუძვლებს, პრივატიზების განხორციელების ძირითად პირობებს და უზრუნველყოფს ფიზიკური და იურიდიული პირების ან მათი გაერთიანებების მიერ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების შეძენის პროცესს. კანონის მიზანია უზრუნველყოს ისეთი საკუთრებითი ურთიერთობების ჩამოყალიბება, რომელიც ხელს შეუწყობს ეფექტური, სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის განვითარებას.

სასამართლომ აღნიშნა, რომ ხსენებული კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სახელმწიფო ქონება ეს არის საწარმოები, ამ საწარმოთა ქვედანაყოფები, რომელთა გამოყოფა შეიძლება დამოუკიდებელ საწარმოებად, ლიკვიდირებას დაქვემდებარებული ან უკვე ლიკვიდირებული საწარმოების ან მათი ქვედანაყოფების შენობები, ნაგებობები, მოწყობილობები, სხვა მატერიალური და არამატერიალური აქტივები, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული აქციები, ნილი, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები, რომლებზედაც განთავსებულია სახელმწიფო ქონება, სახელმწიფო საკუთრებაში ნებაყოფლობით გადაცემული საცხოვრებელი სახლები და ბინები, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად სახელმწიფო საკუთრებაში გადასული უმკვიდრო ქონება (მათ შორის, საცხოვრებელი სახლები და ბინები), აგრეთვე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ყველა ნივთი და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომელთა ფლობა და განკარგვა და რომლებით სარგებლობა შეუძლია სახელმწიფოს, ხოლო პრივატიზება განმარტებულია, როგორც, ფიზიკური და იურიდიული პირების ან მათი გაერთიანებების მიერ სახელმწიფო ქონებაზე საკუთრების უფლების შეძენა, რის შედეგად სახელმწიფო კარგავს პრივატიზებული ქონების ფლობის, სარგებლობისა და განკარგვის, ხოლო სახელმწიფო ორგანოები – მისი მართვის უფლებებს.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, ამავე კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, პრივატიზება ხდება კონკურსის, აუქციონის, იჯარა-გამოსყიდვისა და პირდაპირი მიყიდვის ფორმით ქონების შესყიდვით, ხოლო მე-5 პუნქტის თანახმად, პირდაპირი მიყიდვის მიზანია საკუთრების უფლება გადაეცეს იმ მყიდ-

ველს, რომელიც სრულად და კეთილსინდისიერად შეასრულებს სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზებისას დადგენილ პირობებს. გადანყვეტილებას სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის თაობაზე იღებს და შესაბამის პირობებს ადგენს საქართველოს პრეზიდენტი.

სასამართლომ განმარტა, რომ „საქართველოს სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2004 წლის 20 სექტემბრის №1-1/102 ბრძანებით დამტკიცდა სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ დებულება, რომელიც განსაზღვრავს სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების წესს. აღნიშნული დებულების პირველი მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის თაობაზე გადანყვეტილებას იღებს და შესაბამის პირობებს ადგენს საქართველოს პრეზიდენტი.

საქალაქო სასამართლოს აღნიშვნით, მითითებული დებულების მე-2 მუხლის თანახმად, პირდაპირი მიყიდვის ფორმით სახელმწიფო ქონების შესყიდვის მსურველს განცხადებით უნდა მიემართა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსათვის, რომელიც 1 თვის ვადაში განიხილავდა საკითხს და შესაბამის წინადადებას წარუდგენდა საქართველოს პრეზიდენტს. საქართველოს პრეზიდენტი საკითხის დადებითად გადანყვეტის შემთხვევაში იღებდა შესაბამის გადანყვეტილებას და ადგენდა პირდაპირი მიყიდვის წესით გასაყიდი ქონების პირობებს, მათ შორის სახელმწიფო ქონების გასაყიდ ფასსა და თანხის გადახდის გრაფიკს. ამავე დებულების მე-3 მუხლის თანახმად, სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების საკითხის საქართველოს პრეზიდენტის მიერ დადებითად გადანყვეტის შემდეგ, საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრი გამოსცემს შესაბამის ბრძანებას შემდგომში განსახორციელებელი ქმედებების შესახებ, კერძოდ, სამინისტრო მყიდველთან აფორმებს ნასყიდობის ხელშეკრულებას. დებულების მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის მიხედვით, სახელმწიფო ქონებაზე საკუთრების უფლება მყიდველს გადაეცემა სახელმწიფო ქონების ღირებულების სრულად დაფარვის შემდეგ, შესაბამისი საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემის მომენტიდან. აღნიშნული განმტკიცებულია „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის შესახებ“ საქართველოს კანონით, რომლის მე-3 მუხლის მე-8 პუნქტი ადგენს, რომ სახელმწიფო საკუთ-

რებაში არსებული მიწის პირდაპირი წესით განკარგვის საკითხს წყვეტს საქართველოს პრეზიდენტი.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა, რომ განსახილველ შემთხვევაში, საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 14 ივლისის №... განკარგულებით მიღებულ იქნა ქ. თბილისის მერიის წინადადება და ქ. თბილისში, ...-ის მიმდებარედ არსებული 63,5 ჰა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი პირდაპირი განკარგვის წესით საკუთრებაში გადაეცა რ. ა-ს. ამავე განკარგულებით უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით საკუთრებაში გადაცემის პირობად განისაზღვრა: ა) მიწის ნაკვეთების განკარგვის თაობაზე ხელშეკრულებების გაფორმებისთანავე ...-ის რეაბილიტაციის პროცესის დაწყება და 2006 წლის 31 დეკემბრამდე ...-ისა და მიმდებარე ტერიტორიის (ამ განკარგულების შესაბამისად გადაცემული მიწის ნაკვეთების) დასუფთავება და ამ მიზნით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება; ბ) მიწის ნაკვეთების განკარგვის თაობაზე ხელშეკრულებების გაფორმებისა და შესაბამისი სამსახურებისაგან ქალაქთმშენებლობითი პირობების დადგენიდან (არქიტექტურულ-გეგმარებითი დავალების გაცემიდან) 12 თვის ვადაში ...-ის კომპლექსის განვითარების პროექტის მომზადება; გ) პროექტის შესაბამის სამსახურებთან შეთანხმება-დამტკიცებისა და თავად ობიექტებზე მშენებლობის ნებართვების მიღებისთანავე მშენებლობის დაწყება და მისი დასრულება არა უგვიანეს 2014 წლის დეკემბრისა (მათ შორის დამსვენებელთა ზონის (პლაჟი, გამაჯანსაღებელი კომპლექსი, სპორტული მოედნები) მოწყობა, კვების ობიექტების, სანაოსნო კომპლექსის, დასასვენებელი კოტეჯების, SPA კომპლექსისა და სასტუმროს აშენება).

სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმეში არსებული მასალების თანახმად, რ. ა-ს სადავო ქონების საბოლოოდ საკუთრებაში გადაცემამდე, უნდა შეესრულებინა საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით ნაკისრი ვალდებულებები, თუმცა ამ უკანასკნელთა შესრულებამდე მან თავად განაცხადა უარი უძრავი ქონების მიღებაზე, ვინაიდან ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო არ შეეძლო შეესრულებინა კონკრეტული პირობები/ვალდებულებები.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის შესაბამისად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალდაკარგულად გამოცხადების უფლება აქვს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემამ ადმინისტრაციულ ორგანოს, ხოლო ამავე მუხლის მეორე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის ძალადაკარგულად გამოაცხადოს კანონის შესაბამისად გამოცემული აღმჭურ-

ველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, გარდა იმ შემთხვევისა, თუ დაინტერესებულმა მხარემ არ შეასრულა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი ვალდებულება, რომლის შეუსრულებლობაც კანონმდებლობის შესაბამისად შეიძლება გახდეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძველი.

სასამართლომ ზემოაღნიშნული ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების გათვალისწინებით მხარეთა ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებებზე, რომ უფლებამოსილმა პირმა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით გასხვისება – საკუთრებაში გადაცემა მიზანშეწონილად მიიჩნია მხოლოდ მის მიერ განსაზღვრულ ვადაში კონკრეტული ვალდებულებების შესრულების მიზნით, ხოლო დაინტერესებულმა პირმა ამ ვადის დადგომამდე ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო თავად განაცხადა უარი საკუთრებაში მიღებაზე. შესაბამისად, სასამართლომ ჩათვალა, რომ საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილი იყო მის მიერ განსაზღვრული ვადის დადგომამდე გამოეცხადებინა თავისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ძალადაკარგულად.

სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის ზეპირსიტყვიერი განმარტება სადავო ქონებაზე უარის თქმის განცხადების იძულების წესით დაწერასთან დაკავშირებით. ასევე, დაუსაბუთებელი იყო გასაჩივრებული აქტის ბათილად ცნობის საფუძველად იმ გარემოებაზე მითითება, რომ რ. ა-მა სადავო ქონებაზე უარი თქვა ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე, ვინაიდან აღნიშნული სცდებოდა დავის საგანს. მითუმეტეს, რომ საქმეში არ იყო წარმოდგენილი კონკრეტული მტკიცებულება, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა დადასტურება რ. ა-ზე უშუალოდ ამ განცხადების დაწერის მიზნით რაიმე სახის იძულების განხორციელების ფაქტისა. სასამართლომ დამატებით მიუთითა, რომ განსახილველი დავის დროისათვის რ. ა-ის დაინტერესებაში არსებული უძრავი ქონება გასხვისებული იყო და საჯარო რეესტრის მონაცემებით, მის მესაკუთრეს წარმოადგენდა სს „...ი“.

სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლზე და აღნიშნა, რომ მითითებული მუხლის პირველი და მესამე ნაწილების თანახმად, სხვა პირისაგან რაიმე მოქმედების შესრულების ან მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნის უფლებაზე ვრცელდება ხანდაზმულობა. ხანდაზმულობის საერთო ვადა შეადგენს ათ წელს. ამავე კოდექსის 129-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით კი, სახელშეკრულებო მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა შეადგენს სამ წელს, ხოლო მესამე ნაწილის შესაბამის

სად, ცალკეულ შემთხვევებში კანონით შეიძლება გათვალისწინებული იქნეს ხანდაზმულობის სხვა ვადებიც.

სადავო სამართალურთიერთობის წარმოშობის დროს მოქმედი „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი და მესამე პუნქტების თანახმად, პრივატიზებასთან დაკავშირებულ სადავო და ბათილად ცნობის საკითხებს განიხილავს სასამართლო. პრივატიზებულ სახელმწიფო ქონებასთან დაკავშირებული სადავო საკითხების სასარჩელო ხანდაზმულობის ვადაა სამი წელი.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლზე, რომლის თანახმად, ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან, ხოლო მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩათვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ.

სასამართლომ განმარტა, რომ სასარჩელო ხანდაზმულობაში იგულისხმება დრო, რომლის განმავლობაშიც პირს, ვისი უფლებაც დარღვეულია, შეუძლია მოითხოვოს თავისი უფლების იძულებით დაცვის ვადა და იგი უშუალოდ უკავშირდება სარჩელის უფლებას. სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის გასვლა გავლენას ახდენს მატერიალური სარჩელის ანუ სარჩელის დაკმაყოფილების უფლებაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, არსებითი მნიშვნელობის იყო იმის გარკვევა, თუ როდის დაიწყო სასარჩელო მოთხოვნის ვადის დენა, რასაც სამოქალაქო კანონმდებლობა უკავშირებს სუბიექტურ ფაქტორს, ანუ იმ მომენტს, როცა დაზარალებულმა შეიტყო ან უნდა შეეტყო თავისი უფლების დარღვევის შესახებ.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში, იმ პირობებში, როდესაც დავის საგანს წარმოადგენდა საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 10 ნოემბრის №... განკარგულება, რომლითაც ძალადაკარგულად გამოცხადდა „...-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთების პირდაპირი წესით განკარგვის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 14 ივლისის №... განკარგულება, სასამართლომ მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენისა და საქმეში არსებული მტკიცებულებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ წარმოდგენილი მოთხოვნა – საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 10 ნოემბრის №... განკარგულების ნაწილობრივ ბათილად ცნობის შესახებ, ასევე, ხანდაზმული იყო, რაც სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს წარმოადგენდა.

სასამართლომ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალების მოთხოვნასთან დაკავშირებით განმარტა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპ-

როცესო კოდექსის 33-ე მუხლი ადგენს, რომ თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე უარი კანონს ეწინააღმდეგება ან დარღვეულია მისი გამოცემის ვადა და ეს პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს, სასამართლო ამ კოდექსის 23-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით გამოიტანს გადაწყვეტილებას, რომლითაც ადმინისტრაციულ ორგანოს ავალებს, გამოსცეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

სასამართლომ მითითებული ნორმის ანალიზისა და ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით მიიჩნია, რომ დაუსაბუთებელი იყო ხსენებული სასარჩელო მოთხოვნა. საგულისხმო იყო, რომ განსახილველ შემთხვევაში, სასამართლომ კანონიერად მიიჩნია სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომლითაც ძალადაკარგულად გამოცხადდა „...-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთების პირდაპირი წესით განკარგვის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 14 ივლისის №... განკარგულება, რომელთან დაკავშირებითაც მოსარჩელე მოპასუხისათვის ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალებას ითხოვდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 27 ოქტომბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა რ. ა-მა, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება, ამასთან, მოწმეების დაკითხვაზე მოსარჩელისათვის უარის თქმის შესახებ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის საოქმო განჩინების გაუქმება და სააპელაციო პალატაში მოწმეების – ზ. შ-ისა და დ. ხ-ის დაკითხვა, ასევე, მოსარჩელისათვის მტკიცებულებების სახით არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ განხორციელებული სამართლებრივი დასკვნის წარდგენაზე უარის თქმის შესახებ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის საოქმო განჩინების გაუქმება და ააიპ „...ის“ მიერ მომზადებული კვლევის მასალებისა და შეფასების საქმის მასალებისათვის დართვა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 13 მარტის განჩინებით რ. ა-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 27 ოქტომბრის გადაწყვეტილება და გასაჩივრებული საოქმო განჩინებები.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სა-

სამართლოს დასკვნები სარჩელის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით და მიუთითა შემდეგზე: საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად ადმინისტრაციული ხელშეკრულება არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით ფიზიკურ ან იურიდიულ პირთან, აგრეთვე სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან დადებული სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულება. ამავე კოდექსის 65-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას გამოიყენება ამ კოდექსის ნორმები და საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნები ხელშეკრულებათა შესახებ.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სხვა პირისაგან რაიმე მოქმედების შესრულების ან მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნის უფლებაზე ვრცელდება ხანდაზმულობა. ამავე კოდექსის 129-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სახელშეკრულებო მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა შეადგენს სამ წელს, ხოლო უძრავ ნივთებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო მოთხოვნებისა – ექვს წელს.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ მოცემულ შემთხვევაში, დავა უკავშირდებოდა უძრავ ნივთს, თუმცა სპეციალური კანონმდებლობით ასეთი ნივთისთვის განსაზღვრული იყო სამოქალაქო კოდექსისგან განსხვავებული უფლების დაცვის ვადა.

სააპელაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლის მე-3 ნაწილზე, რომლის თანახმად, ცალკეულ შემთხვევებში კანონით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს ხანდაზმულობის სხვა ვადებიც. სადავო სამართალურთიერთობის წარმოშობის დროს მოქმედი „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი და მესამე პუნქტების თანახმად, პრივატიზებასთან დაკავშირებულ სადავო და ბათილად ცნობის საკითხებს განიხილავს სასამართლო. პრივატიზებულ სახელმწიფო ქონებასთან დაკავშირებული სადავო საკითხების სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა სამი წელი. აღნიშნული ნორმებიდან გამომდინარე სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ამ საქმეზე სარჩელის ხანდაზმულობის ვადა სამ წელს შეადგენდა.

„სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ საქართველოს კანონი არ ითვალისწინებდა მითითებას სარჩელის ხანდაზმულობის ვადის ათვლის დაწყების მომენტთან დაკავშირებით. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლით, რომლის თა-

ნახმად, ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან, ხოლო მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ.

სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, საქალაქო სასამართლომ სწორად განმარტა, რომ სასარჩელო ხანდაზმულობაში იგულისხმება დრო, რომლის განმავლობაშიც პირს, ვისი უფლებაც დარღვეულია, შეუძლია მოითხოვოს თავისი უფლების დაცვა და ეს უფლება უშუალოდ უკავშირდება სარჩელის უფლებას. სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის გავლა გავლენას ახდენს მატერიალური სარჩელის ანუ სარჩელის დაკმაყოფილების უფლებაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, არსებითი მნიშვნელობის იყო იმის გარკვევა, თუ როდის დაიწყო რ. ა-ის სასარჩელო მოთხოვნის ვადის დენა, რასაც სამოქალაქო კანონმდებლობა უკავშირებს სუბიექტურ ფაქტორს, ანუ იმ მომენტს, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო თავისი უფლების დარღვევის შესახებ.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საქმის მასალებით დადგენილი იყო, რომ საქართველოს პრეზიდენტის გასაჩივრებული 2006 წლის 10 ნოემბრის №... განკარგულებით ძალადაკარგულად გამოცხადდა „...-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის პირდაპირი წესით განკარგვის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 14 ივლისის №... განკარგულება. აღნიშნული №... განკარგულების პირველი პუნქტით მიღებულ იქნა ქ. თბილისის მერიის წინადადება და ქ. თბილისში, ...-ის მიმდებარედ არსებული 63,5 ჰა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი პირდაპირი განკარგვის წესით საკუთრებაში გადაეცა რ. ა-ს. ამავე განკარგულების მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით საკუთრებაში გადაცემის პირობად განისაზღვრა მიწის ნაკვეთების განკარგვის თაობაზე ხელშეკრულებების გაფორმებისთანავე ...-ის რეაბილიტაციის პროცესის დაწყება და 2006 წლის 31 დეკემბრამდე ...-ისა და მიმდებარე ტერიტორიის (ამ განკარგულების შესაბამისად გადაცემული მიწის ნაკვეთების) დასუფთავება და ამ მიზნით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება. სააპელაციო პალატამ მხარეებს მიუთითა, რომ №... განკარგულების მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ...-ის მიმდებარედ არსებული 63,5 ჰა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის განკარგვის თაობაზე ხელშეკრულების გაფორმებისათვის და ტერიტორიის დასუფთავებისათვის განსაზღვრული იყო ვადა 2006 წლის 31 დეკემბრამდე.

სააპელაციო სასამართლოს აღნიშვნით, საქმის მასალებით დადგენილი იყო, რომ ...-ის მიმდებარედ არსებული 63,5 ჰა არასასოფ-



ლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის განკარგვის, ე. ი. მოსარჩელის საკუთრებაში სადავო უძრავი ქონების გადაცემის თაობაზე ხელშეკრულება არ დადებულა. შესაბამისად, აღნიშნული უძრავი ნივთის მესაკუთრედ რ. ა-ი საჯარო რეესტრში არ დარეგისტრირებულა. ამიტომ ...-ის მიმდებარედ არსებული 63,5 ჰა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის პრივატიზებასთან დაკავშირებულ სადავო და ბათილად ცნობის საკითხების თაობაზე მოსარჩელეს სასამართლოსთვის უნდა მიემართა იმ დღიდან 3 წლის განმავლობაში, რაც შეიტყო, რომ №... განკარგულებით განსაზღვრულ ვადაში მასთან შესაბამისი ხელშეკრულება არ დადებულა. ვინაიდან ხელშეკრულება უნდა დადებულიყო 2006 წლის 31 დეკემბრამდე, მოსარჩელემ სწორედ ამ დღეს შეიტყო, რომ არ შესრულდა №... განკარგულების მოთხოვნები, შესაბამისად მას უნდა ედავა აღნიშნულ საკითხზე 2007 წლის 1 იანვრიდან 3 წლის განმავლობაში. წინამდებარე სარჩელი კი წარმოდგენილი იყო 2015 წლის 12 ნოემბერს.

ამასთან, სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, აპელანტი მიუთითებდა, რომ 2012 წლის დეკემბერში მიმართა პროკურატურას, რითაც შეწყდა სარჩელის ხანდაზმულობის ვადა. აღნიშნულთან დაკავშირებით სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ სარჩელის ხანდაზმულობის შეწყვეტის ინსტიტუტი გამოიყენებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხანდაზმულობის ვადა არ იყო გასული. მოცემულ შემთხვევაში კი, რ. ა-ის მიერ პროკურატურისთვის მიმართვის მომენტისთვის ხანდაზმულობის ვადა უკვე გასული იყო, შესაბამისად, აღნიშნული მოსაზრება სააპელაციო პალატის მიერ ვერ იქნებოდა გაზიარებული.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ მოსარჩელე ადასტურებდა, რომ ქალაქ თბილისის მერიის მიმართ შედგენილი 2006 წლის 4 ნოემბრის განცხადება (რეგისტრაციის თარიღი: 2006 წლის 8 ნოემბერი) მისი დაწერილი იყო, თუმცა უთითებდა, რომ იგი ზენოლის შედეგად დაწერა. აღნიშნული წერილით რ. ა-მა განმარტა, რომ როგორც საიჯარო ხელშეკრულებით, ასევე საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 14 ივლისის №... განკარგულებით მის მიმართ გათვალისწინებული იყო რიგი ვალდებულებები გადაცემული უძრავი ქონების შემდგომში აღორძინებისა და განვითარების მიზნით, რაც ვერ შეასრულა რიგი სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო. ამავ ე წერილში მიუთითა, რომ იგი უარს ამბობდა პრეზიდენტის განკარგულებით ქ. თბილისში ...-ის მიმდებარედ არსებული 63,5 ჰა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საკუთრებაში მიღების უფლებაზე. ამდენად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოსარჩელემ იცოდა, რომ 2006 წლის 8

ნოემბერს მის მიერ დაწერილი იყო განცხადება ქ. თბილისში ...-ის მიმდებარედ არსებული 63,5 ჰა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საკუთრების უფლებით მიღებაზე უარის თქმის შესახებ. ამასთან, იცოდა, რომ აღნიშნული მიწის ნაკვეთის განკარგვის თაობაზე ხელშეკრულება არ დადებულია 2006 წლის 31 დეკემბრამდე. შესაბამისად, კანონმდებლობით განსაზღვრული სამი წლის ვადაში მოსარჩელეს არ უდავია არც 2006 წლის 8 ნოემბრის განცხადების (როგორც თვითონ უთითებდა) ზენოლით შედგენის თაობაზე, არც ამ განცხადების საფუძველზე გამოცემული საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 10 ნოემბრის №... განკარგულების ბათილად ცნობისა და მიწის ნაკვეთის საკუთრებაში გადაცემის თაობაზე.

სააპელაციო პალატამ მხარეებს ასევე მიუთითა, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 14 ივლისის №... განკარგულების სამართლებრივ საფუძველად მითითებული იყო „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-8 პუნქტი, „...-ის განვითარების პროექტის განსახორციელებლად მიწის განკარგვის თანხმობის მიცემის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 თებერვლის №48 დადგენილება.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის შესახებ“ საქართველოს კანონი (გამოქვეყნებული – საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში, №4, 1998 წელი, მუხ. 32) ძალადაკარგულია 2007 წლის 22 ივნისის №5049 – II საქართველოს კანონით (გამოქვეყნების თარიღი: – სსმ, 26, 11/07/2007). ასევე საქართველოს მთავრობის 2008 წლის 8 მარტის №43 დადგენილებით (გამოქვეყნების თარიღი: სსმ, 37, 10/03/2008) ძალადაკარგულად გამოცხადდა საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 თებერვლის №48 დადგენილება „...-ის განვითარების პროექტის“ განსახორციელებლად მიწის განკარგვის თანხმობის მიცემის შესახებ“. აღნიშნული საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების ძალადაკარგულად გამოცხადების შემდეგ, სამართლებრივი საფუძველი გამოეცალა საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 14 ივლისის №... განკარგულებას. ვინაიდან ნორმატიული აქტები გამოქვეყნდა საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში, მოსარჩელეს უნდა სცოდნოდა აღნიშნული გარემოების შესახებ, თუმცა მას არც ამ გარემოებების დადგომიდან (კანონი ძალადაკარგულია 2007 წლის 11 ივლისიდან, ხოლო მთავრობის დადგენილება 2008 წლის 10 მარტიდან) 3 წლის ვადაში არ მიუძღარ-

თავს სასამართლოსთვის თავისი უფლებების დასაცავად. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, ყოველივე ზემოაღნიშნული პირ-დაპირ მიუთითებდა, რომ სარჩელი ხანდაზმული იყო.

ამასთან, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ აპელანტი ასევე ასაჩივრებდა მოწმეთა დაკითხვაზე უარის თქმისა და მტკიცებულებათა დართვაზე უარის თქმის თაობაზე საოქმო განჩინებებს. სააპელაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ სარჩელი ხანდაზმული იყო, ამიტომ, სარჩელის საფუძვლიანობის დასადასტურებლად მოწმეთა დაკითხვის და სხვა დამატებითი მტკიცებულებების დართვის საჭიროება არ არსებობდა. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანი იყო ის მტკიცებულებები, რომელიც უარყოფდა ან ადასტურებდა სარჩელის ხანდაზმულობას. შესაბამისად, არ არსებობდა გასაჩივრებული საოქმო განჩინებების გაუქმების საფუძველი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 13 მარტის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა რ. ა-მა, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება, ასევე მოწმის სახით ზ. ყ-ის დაკითხვაზე უარის თქმის ნაწილში ამავე სასამართლოს საოქმო განჩინების გაუქმება მოითხოვა.

კასატორის მითითებით, თბილისის სააპელაციო სასამართლოს დასაკვნები რ. ა-ის მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ განპირობებულია მხოლოდ სარჩელის ხანდაზმულობაზე მითითებით. გასაჩივრებულ განჩინებაში პალატა არსად მსჯელობს თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების იმ ნაწილზე, რომლის მიხედვითაც, არ დაკმაყოფილდა რ. ა-ის მოთხოვნები. კერძოდ, სასარჩელო მოთხოვნის უსაფუძვლობაზე, რომელიც გამომდინარეობს საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან. რ. ა-ის სასარჩელო მოთხოვნებს გააჩნიათ იურიდიული და კანონიერი ინტერესი, რაც ეფუძნება მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომელიც, უნდა აღინიშნოს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლომ საქმეს სრულად დაურთო. შესაბამისად, კასატორი მიუთითებს, რომ სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ რ. ა-ის მოთხოვნები უნდა ყოფილიყო საფუძვლიანი, თუმცა უსაფუძვლოდ ჩათვალა მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადების გასვლა. შესაბამისად, რ. ა-ის სასარჩელო მოთხოვნებთან მიმართებით, მისი დასაბუთების (საფუძვლიანობის) კომპონენტი ქვედგომი ინსტანციის სასამართლოში დამდგარი მნიშვნელოვანი შედეგია, რაც საკასაციო პალატისათვის უნდა აღმოჩნდეს წინამდებარე დავის უფლებების სასარგებლოდ გადაჭრის და ხანდაზმულობის ვადის მიმართ ობიექტური დასკვნებისა და სასამართლო განმარტების წინაპირობა და საფუძველი.

კასატორი განმარტავს, რომ თუკი პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი გახდა სარჩელის უსაფუძვლობა და ხანდაზმულობა, სააპელაციო პალატამ იმსჯელა მხოლოდ მოთხოვნის ხანდაზმულობაზე და სამართლებრივი შეფასების გარეშე დატოვა საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები, რომლებიც ერთობლიობაში ქმნის მოთხოვნის საფუძვლიანობას და სწორი სამართლებრივი შეფასების შედეგად, აქარწყლებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნებს მოთხოვნის ხანდაზმულობაზე.

კასატორის მითითებით, საკასაციო სასამართლომ არაერთ საქმეში განმარტა, რომ სასამართლოს უპირველესი ამოცანაა, დაადგინოს, რას ითხოვს მოსარჩელე მოპასუხისაგან და რის საფუძველზე, ანუ რომელ ფაქტობრივ გარემოებებზე ამყარებს თავის მოთხოვნას. სასამართლომ მხარის მიერ მითითებული მოთხოვნის ფარგლებში უნდა მოძებნოს ის სამართლებრივი ნორმა (ნორმები), რომელიც იმ შედეგს ითვალისწინებს, რისი მიღწევაც მხარეს სურს. ამასთან, მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველად განხილული ნორმა (ან ნორმები) შეიცავს იმ აღწერილობას (ფაქტობრივ შემადგენლობას), რომლის შემონახვაც სასამართლოს პრეროგატივაა და რომელიც უნდა განხორციელდეს ლოგიკური მეთოდების გამოყენების გზით, ანუ სასამართლომ უნდა დაადგინოს, ნორმამი მოყვანილი აბსტრაქტული აღწერილობა რამდენად შეესაბამება კონკრეტულ ცხოვრებისეულ სიტუაციას და გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები. ის მხარე, რომელსაც აქვს მოთხოვნა მეორე მხარისადმი, სულ მცირე, უნდა უთითებდეს იმ ფაქტობრივ შემადგენლობაზე, რომელსაც სამართლის ნორმა გვთავაზობს. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის რომელიმე ფაქტობრივი წანამძღვრის (სამართლებრივი წინაპირობის) არარსებობა გამორიცხავს მხარისათვის სასურველი სამართლებრივი შედეგის დადგომას (იხ. სუსგ №ას-664-635-2016, სუსგ №ას15-29-1443-2012, 09.12.2013წ.; შდრ. სუსგ საქმე №ას-973-1208-04).

კასატორი აღნიშნავს, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 11 ივლისის №166507 წერილით, ქ. თბილისში, ...-ის მიმდებარედ არსებული რ. ა-ის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებები ამჟამად სს „...ის“ საკუთრებას წარმოადგენს. ამდენად, მართებულად დაისმის კითხვა, რ. ა-ის მოთხოვნის დაკმაყოფილების (საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 10 ნოემბრის №... განკარგულების გაუქმების) შემთხვევაში, რა იურიდიული შედეგი შეიძლება დადგეს რ. ა-ისათვის? კასატორი განმარტავს, რომ მის იურიდიულ ინ-

ტერესს სადავო აქტის გაუქმება და შედეგად 2006 წლის 14 ივლისის საქართველოს პრეზიდენტის №... განკარგულების მე-2 ნაწილით განსაზღვრულ ბიზნეს-პარტნიორთან თანაბარ დარღვეულ ქონებრივ და არაქონებრივ უფლებებში აღდგენა წარმოადგენს. სამართლებრივი თვალსაზრისით კი, აღნიშნული ვერ მიიღწევა სადავო აქტის გაუქმების გარეშე, ხოლო სადავო აქტის გაუქმება შესაძლებელია, თუკი ჯეროვანი და მიუკერძოებელი შეფასება მიეცემა საქმეში არსებულ მტკიცებულებებს, 2006 წლის 14 ივლისის საქართველოს პრეზიდენტის №... განკარგულების შესრულების მიმართ რ. ა-ის კეთილსინდისიერების დადგენას.

კასატორი ყურადღებას ამახვილებს ქვემდგომი ინსტანციის სამართლოების დასკვნებზე და განმარტავს, რომ უარსაყოფია სააპელაციო სასამართლოს დასკვნები, რომელიც ეხება სარჩელის ხანდაზმულობის ვადებისა და მოთხოვნის სამწლიანი ვადის გასვლის საკითხს. პალატის განმარტებით, ვინაიდან საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 10 ნოემბრის №... განკარგულების თანახმად, ...-ის მიმდებარედ არსებული 63,5 ჰა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის განკარგვის თაობაზე ხელშეკრულების გაფორმებისათვის და ტერიტორიის დასუფთავებისათვის განსაზღვრული იყო ვადა 2006 წლის 31 დეკემბრამდე, ვინაიდან მოსარჩელის საკუთრებაში სადავო უძრავი ქონების გადაცემის თაობაზე ხელშეკრულება არ დადებულა, ვინაიდან უძრავი ქონების მესაკუთრედ რ. ა-ი არ დარეგისტრირებულა, რ. ა-ს 2007 წლის 1 იანვრიდან 3 წლის განმავლობაში უნდა მიემართა სასამართლოსათვის ...-ის მიმდებარედ არსებული 63,5 ჰა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის პრივატიზებასთან დაკავშირებულ სადავო და ბათილად ცნობის საკითხების თაობაზე. ამასთან, რ. ა-ის მიერ საქართველოს პროკურატურის მიმართ 2012 წელს მიმართვის ფაქტიც ვერ ჩაითვლება ხანდაზმულობის ვადების შეწყვეტად, ვინაიდან სარჩელის ხანდაზმულობის შეწყვეტის ინსტიტუტი გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხანდაზმულობის ვადა არ არის გასული. პალატამ ჩათვალა, რომ რ. ა-ის მიერ პროკურატურის მიმართ განცხადების წარდგენის მომენტისათვის, ანუ 2012 წელს, ხანდაზმულობის ვადები ისედაც შეწყვეტილი იყო. ამასთან, პალატა აღნიშნავს, რომ ვინაიდან რ. ა-მა იცოდა, რომ 2006 წლის 4 ნოემბერს დაწერილი განცხადებით თმობდა საკუთრების უფლებას გადაცემულ ქონებაზე, არც ამ თარიღიდან 3 წლის განმავლობაში არ მიუმართავს 2006 წლის 10 ნოემბრის №... განკარგულების ბათილად ცნობისა და მიწის ნაკვეთის საკუთრებაში გადაცემის თაობაზე. ამასთან, პალატამ იმსჯელა და აღნიშნა იმის შესახებაც, რომ რ. ა-ს 2007 წლის 11 ივლისიდან ან/და 2008

წლის 10 მარტიდან შეეძლო სასამართლო წესით ედავა უფლების დასაცავად, ვინაიდან სწორედ ამ პერიოდიდან სამართლებრივი საფუძვლები გამოეცალა პრეზიდენტის 2006 წლის 14 ივლისის №... განკარგულებას.

კასატორის მითითებით, განსახილველ შემთხვევაში, ყურადსაღებია ის, თუ რა იურიდიული შედეგის დადგომას და მიზანს ემსახურება რ. ა-ის 2006 წლის 4 ნოემბრის განცხადება. პირველი – განცხადებაში ნათქვამია, რომ ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო ვერ სრულდებოდა სახელმწიფოსთან ნაკისრი ვალდებულებები, მეორე – მოქალაქე უარს ამბობდა ...-ის მიმდებარედ არსებული 63,5 ჰა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის განკარგვის უფლებაზე და საკუთრებაზე და მესამე – რ. ა-ის უარი განპირობებული გახლდათ სახელმწიფოსაგან სანაცვლოდ გადახდილი 60 416.43 ლარის კომპენსაციის სახით დაბრუნებასთან. რ. ა-ის განცხადება (ნება) საფუძვლად დაედო სახელმწიფოს მიერ მიღებულ სადავო პრეზიდენტის განკარგულებას. საკასაციო სასამართლომ სწორედ ამ კონტექსტით უნდა შეაფასოს, რა სამართლებრივი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებაა – რ. ა-ის 2006 წლის 4 ნოემბრის განცხადება საქართველოს მთავრობისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიმართ. კასატორი მიუთითებს, რომ აღნიშნული სახელმწიფოსთან მიმართებით წარმოადგენს მხარის გარიგებას – ...-ის მიმდებარედ არსებული 63,5 ჰა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის განკარგვის უფლებასა და საკუთრებაზე უარის თქმით სანაცვლოდ მისაღები გადახდილი საკომპენსაციო თანხის გამო, გარკვეული სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო. ამდენად, სასამართლოს მსჯელობის საგანი უნდა გახდეს სახელმწიფოსთან მოქალაქის ამ გარიგების და ნების ნამდვილობის დადგენა, ამასთან, სახელმწიფოს შემდგომი მოქმედებების ფარგლები, რომელსაც დღემდე რ. ა-ისათვის არ დაუბრუნებია 2006 წლის ნოემბერში მოთხოვნილი საკომპენსაციო თანხა, დღემდე სახელმწიფო იმყოფება უსაფუძვლო გარიგების მხარედ და ზიანს აყენებს კასატორს. შესაბამისად, რ. ა-ის 2006 წლის 4 ნოემბრის განცხადების, როგორც გარიგების იურიდიული შედეგებიდან გამომდინარე, მხარეს დამდგარი შედეგებიდან გამომდინარე, არათუ სამწლიანი მოთხოვნის უფლება, არამედ ათწლიანი ხანდაზმულობის ვადები გააჩნდა.

კასატორი მიუთითებს, რომ მოცემულ შემთხვევაში, შესაფასებელია ის გარემოებები, რომლებზეც სააპელაციო პალატას კვლევა არ განუხორციელებია, კერძოდ, რ. ა-ის მიერ 2006 წლის 4 ნოემბრის პირადი განცხადების საფუძველზე ვალდებულებების შეუს-

რულებლობაზე მითითება და ქონების სახელმწიფოს სასარგებლოდ დათმობა, შეესაბამებოდა თუ არა საქმის მასალებიდან გამომდინარე პირის ნამდვილ იურიდიულ ნებას და ასეთი მოქმედების საფუძველი ხომ არ გახდა ადმინისტრაციული ორგანოების – საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს მთავრობის ან/და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის არამართლზომიერი ჩარევა ამ შედეგის დადგომისათვის, რომელიც თავისუფალი ნების პირობებში, კანონის საფუძველზე არ შეიძლებოდა დამდგარიყო?! ამასთან, რ. ა-ის 2006 წლის 4 ნოემბრის განცხადების მომზადება განპირობებული გახდა თუ არა სამართალში აღიარებული ისეთი ობიექტური გარემოებით, რომელიც კანონმორჩილი და კეთილსინდისიერი პირის ქონებრივი და არაქონებრივი უფლებების შელახვას განზრახ გამოიწვევდა?! ასევე, იყო თუ არა საკმარისი მხოლოდ რ. ა-ის განცხადება იმისთვის, რომ პრეზიდენტს მიეღო გასაჩივრებული ადმინისტრაციული აქტი და ასეთი გადაწყვეტილების უზრუნველსაყოფად, სავალდებულო იყო სს „...ის“ წერილობითი თანხმობა, რაც ბუნებაში არ არსებობს.

კასატორი აღნიშნავს, რომ ასეთ ობიექტურ გარემოებას ადგილი ნამდვილად ჰქონდა, რამაც შეძლო რ. ა-ის ნამდვილი იურიდიული ნების სანინალმდეგო პოზიციების ფორმირება. კერძოდ, საქმის მასალებით დადასტურებულია, რომ 2006 წლის 1 ნოემბრის წერილით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიცია რ. ა-ს წერილობითი ფორმით ატყობინებს, რომ წარმოებაში არსებობდა სისხლის სამართლის საქმე და გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, შემხვედრი საჭიროებისა გამო, დაუყოვნებლივ უნდა შეექმნა უწყებრივი საინვენტარიზაციო კომისია და აღწერილიყო ის სასაქონლო-მატერიალური ფასეულობა (პასიური და აქტიური ნაწილი), რომელსაც რ. ა-ი ფლობდა 1999 წლის 13 აპრილის მიღება-ჩაბარების აქტით. სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოს მიმართვიდან მე-4 დღეს, რ. ა-ი პირადი განცხადების საფუძველზე თმობს შეძენილ ქონებას. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის 2016 წლის მაისის წერილის თანახმად, აღნიშნულ საქმეზე რ. ა-ის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა არ განხორციელებულა, ხოლო საქმეზე, პროკურორის 2007 წლის 18 დეკემბრის დადგენილებით, შეწყდა გამოძიება.

კასატორის განმარტებით, რ. ა-ის მიერ ქონების დათმობასა და ადმინისტრაციული ორგანოს შემდგომ მოქმედებებს შორის არსებობს მიზეზ-შედეგობრივი კავშირი, რომელიც წარმოიშვა და დაეფუძნა ობიექტურ გარემოებას – რ. ა-ის საქმიანობის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნისა და საგამოძიებო მოქმედებების დაწყების ფაქტს. სწორედ აღნიშნული ობიექტური გარემოება გახ-

და რ. ა-ის მიერ განცხადების მომზადების საფუძველი, რაც არც სადავო აქტის გამოცემის დროს კომპეტენტური ორგანოს მხრიდან და არც თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებულ გასაჩივრებულ განჩინებაში მსჯელობისას არ გამხდარა სწორი სამართლებრივი დასკვნებისა და შეფასების საგანი.

კასატორის მითითებით, საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტში, მოქალაქე რ. ა-ის განცხადების საფუძველზე, მიმდინარეობს გამოძიება სისხლის სამართლის №... საქმეზე, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ცალკეულ საჯარო მოხელეთა მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით. პროკურატურა მსჯელობს 1. გ. ხ-ზე, რომელიც საქმიანობდა განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა სამმართველოს II განყოფილების უფროსის პოზიციაზე. სწორედ აღნიშნული პიროვნების მხრიდან რ. ა-ის მიმართ, სისტემატურად ხორციელდებოდა სატელეფონო ზარები და ისმოდა მოთხოვნა უძრავი ქონების გადაფორმებასთან დაკავშირებით. სწორედ გ. ხ-ის მორიგი ასეთი ზარის საფუძველზე, რ. ა-ი დაბარებულ იქნა მამინდელ ფინანსურ პოლიციაში, სადაც მას იძულებით დაანერინეს განცხადება ქ. თბილისის მერიისა და საქართველოს მთავრობის მიმართ ...-ის უძრავი ქონების დათმობასთან დაკავშირებით. 2. მ. გ-ზე, რომელიც საქმიანობდა ფინანსური პოლიციის უფროსის მოადგილის თანამდებობაზე. სწორედ აღნიშნული პიროვნება დახვდა რ. ა-ს ფინანსურ პოლიციაში, მიაყენა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა, მიაყენა კედელთან, დაემუქრა ოჯახის წევრებისა და ახლობელი ნათესავების დაპატიმრებით და იქვე აღნიშნავდა, რომ ასრულებდა დ. კ-ის დავალებას, რომ იმავე დღეს – 4 ნოემბრის ღამის 23:00 საათამდე, თუკი რ. ა-ი არ დაწერდა ქონების დათმობის შესახებ განცხადებას, დაიჭერდნენ არა მხოლოდ რ. ა-ს, არამედ მ. გ-საც, რადგანაც ქონების დათმობის მოთხოვნა მომდინარეობდა საქართველოს პრეზიდენტისაგან. ამასთან, კასატორის მითითებით, მ. გ-მა მას ადგილზე უჩვენა ქალაქის ყოფილი არქიტექტორი, დ. ა-ი და შენობაში იმყოფებოდა ნოტარიუსი ზ-ე, რომელსაც წარსულში რ. ა-ის მიმართ დამონმებული ჰქონდა კომპანიის სადამფუძნებლო დოკუმენტაცია და მ. გ-ი აცხადებდა, რომ თუკი რ. ა-ი ხელს არ მოაწერდა ქონების დათმობის განცხადებას, დაიჭერდა დ. ა-საც და ნოტარიუს ზ-ესაც, თაღლითობის ბრალდებით და სხვა იმ პირებსაც, რომელიც მას დაბარებული ან დასაბარებელი ჰყავდა. 3. ჩ-ე (კასატორი მის სახელს ვერ იხსენებს), რო-



მელიც საქმიანობდა ფინანსურ პოლიციაში გამომძიებლის პოზიციაზე. სწორედ აღნიშნული პიროვნების სამუშაო კაბინეტში შეიყვანეს რ. ა-ი, სადაც ხდებოდა ზენოლა და ზემოქმედება ქონების დათმობის განცხადების დაწერაზე. რ. ა-მა სწორედ ჩ-ის კარნახით შეადგინა ის განცხადების ტექსტი, რომელიც საქმეში წარმოდგენილია 2006 წლის 4 ნოემბრის თარიღით. ჩ-ი ამბობდა, რომ თუკი განცხადება არ მომზადდებოდა, ყველა იმ ადამიანს დაიჭერდნენ, რომლებიც უძრავი ნივთის შექენის პროცესში, რაიმე ფორმით მონაწილეობდა და 4. ც. ბ-ეზე, რომელმაც შეასრულა სანოტარო მოქმედება. სწორედ აღნიშნული პიროვნებაა ის ნოტარიუსი, რომელთანაც რ. ა-ი ფინანსური პოლიციიდან ღამის საათებში, საკუთარი სამსახურებრივი ავტომობილით მიიყვანა გ. ხ-მა, კერძოდ, ქ. თბილისში, ... გამზირზე მდებარე სანოტარო ბიუროში და დაამონმა 2006 წლის 4 ნოემბრის განცხადება.

კასატორის განმარტებით, შედეგად, რ. ა-მა დაწერა 2006 წლის 4 ნოემბრის განცხადება საქართველოს მთავრობისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიმართ და არა საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიმართ, რაც ასევე საყურადღებო დეტალია.

კასატორი მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 86-ე მუხლზე, რომლის თანახმად, გარიგების ბათილობას იწვევს ისეთი იძულება, რომელსაც თავისი ხასიათით შეუძლია გავლენა მოახდინოს პირზე და აფიქრებინოს, რომ მის პიროვნებას ან ქონებას რეალური საფრთხე ემუქრება. ზემოთ მითითებული ფაქტობრივი მოცემულობების ფონზე, კასატორი განმარტავს, რომ მოსარჩელე გახდა მუქარით დაყოლიებული, რადგან მუქარა ნების გამოვლენის გამომწვევი იყო, ხოლო ამის სუბიექტური წინაპირობაა, შესაბამისი დამმუქრებლის ნება, აიძულოს პირი, ვისაც ემუქრებიან, ფაქტობრივად გამოავლინოს ნება. ამგვარ დასკვნებს აკეთებს საქართველოს უზენაესი სასამართლო 2015 წლის 21 ივლისის №ას-688-654-2015 გადაწყვეტილებაშიც.

კასატორი ყურადღებას ამახვილებს თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ №2ბ/671-15 საქმეზე მიღებულ 2015 წლის 21 სექტემბრის კანონიერ ძალაში შესულ განჩინებაში ხანდაზმულობის ვადების ათვლის თაობაზე გაკეთებულ განმარტებებზე, კერძოდ, სასამართლომ აღნიშნა, რომ „საკითხი იმის მიხედვით უნდა გადაწყდეს, თუ როდის დამთავრდა მოპასუხის მიმართ იძულება – გარიგების დადებისთანავე თუ დროის სხვა მონაკვეთში. იძულება უფლების განგრძობადი დარღვევაა. კანონი უშვებს, რომ ხელშეკრულების მხარის იძულება შეიძლება ხელშეკრულების გაფორმების შემდეგაც გაგრძელდეს, რადგან შეცილების ვადის ათვლა დამო-

კიდებული არ არის ხელშეკრულების დადების მომენტზე. ცხადია, აქ არსებობს განსხვავება გარიგების დადებისათვის განხორციელებულ იძულებასა და მას შემდეგ არსებულ მდგომარეობას შორის, რადგან შედეგის მიღწევის შემდეგ ის პირი, რომელმაც განახორციელა ხელშეკრულების დადებაზე იძულებითი სახის ზემოქმედება, შეიძლება აღარ ახორციელებდეს აქტიურ მოქმედებებს, მაგრამ ამასთან ერთად კვლავ არსებობდეს ზემოქმედების საფრთხე. ამიტომ, შეცილების ვადის ათვლა უნდა განხორციელდეს მხარის პიროვნული გათავისუფლების მომენტიდან, როდესაც იგი ფიქრობს, რომ მის მიმართ აღარ არსებობს რეალური საფრთხე, რომელსაც მის მოქმედებებზე ზემოქმედება შეუძლია.“ კასატორის მითითებით, ამ თვალსაზრისით, ასევე, მაღალ ინტერესს იმსახურებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 1 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1515-2016 და ამავე სასამართლოს 2017 წლის 17 თებერვლის განჩინება, საქმეზე №ას-1184-1145-2016. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ დავის გადაწყვეტის ორიენტირი არის საქმის კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებები და არა ზოგადად კანონის მხოლოდ აბსტრაქტული შემადგენლობა. მხოლოდ მას შემდეგ, რაც საქმეზე დადგენილია დავის ფაქტობრივი გარემოებები, ადგილი აქვს ნორმის შემადგენლობის ნიშნების მისადაგებას (სუბსუმცია) დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებთან. კასატორის მითითებით, იგი სარჩელის (მოთხოვნის დასაბუთების) ფაქტობრივ გარემოებად მასზე განხორციელებულ ზემოქმედებაზე მიუთითებს, რასაც სახელმწიფოს სასარგებლოდ საკუთრების უფლების დათმობა მოჰყვა. შესაბამისად, საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სწორედ სახელმწიფოს ეკისრება იმის მტკიცების ვალდებულება, რომ მასსა და ფიზიკურ პირს შორის დადებული გარიგება არ ეწინააღმდეგება მორალურ იმპერატივებს და სუსტი მხარის ინტერესებს. კასატორი აღნიშნავს, რომ ყოველგვარ სამართლებრივ დასაბუთებასაა მოკლებული სახელმწიფოს იმგვარი მსჯელობა და დასაბუთება, რომ სახელმწიფოს ვალდებულებას არ წარმოადგენს იმის გამორკვევა, თუ რა მოტივი გააჩნდა მოსარჩელეს საკუთრების უფლების დათმობის გამო.

კასატორი მიუთითებს საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე, კერძოდ, 2004 წლის დეკემბერში რ. ა-სა და ...-ის პოტენციურ ბიზნეს-პარტნიორებს შორის ხანგრძლივი მოპალარაკების პროცესი დასრულდა და მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, ...-ის საერთო მართვასთან დაკავშირებით. დადგენილია, რომ 2004 წლის 6 დეკემბერს ფიზიკური პირის სტატუსით, რ. ა-სა და შპს „თ...ის“ დირექტორი კ. ე-ეს შორის გაფორმდა განზრახულობათა ოქმი. განზრახულობათა ოქმის თანახმად, მხარეები შეთანხმდნენ,

რომ დააფუძნებდნენ სააქციო საზოგადოება „...ას“. მისი სანესდებო კაპიტალი განისაზღვრა 6 000 000 ლარის ოდენობით და დაიყო 6 000 000 ჩვეულებრივ აქციად. შესაბამისად, თითოეული აქციის ნომინალური ღირებულება ერთ ლარს შეადგენდა. სანესდებო კაპიტალის შესავსებად, შპს „თ...ას“ უნდა შეეტანა 4 მილიონი, რისთვისაც ის მიიღებდა 4 მილიონ აქციას, ხოლო რ. ა-ს სანესდებო კაპიტალის შევსება უნდა მოეხდინა ქონებრივი შენატანის სახით. კერძოდ, რ. ა-ი იღებდა ვალდებულებას შეეტანა ...-ის გარშემო არსებული მიწის ნაკვეთის №3,5 ჰა და მასზე არსებული შენობა-ნაგებობები, რისთვისაც მიიღებდა სს „...ის“ 2 მილიონ აქციას.

კასატორი ყურადღებას ამახვილებს საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე, ამასთან, სადავოდ გამხდარი განკარგულებით გათვალისწინებული მიწის ნაკვეთების პირდაპირი განკარგვის წესით საკუთრებაში გადაცემის პირობებზე და აღნიშნულთან დაკავშირებით განმარტავს, რომ:

ა) საქმეში წარმოდგენილია საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს, გარემოსდაცვითი ნებართვებისა და სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტის სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის 2003 წლის 15 ოქტომბრის №83 დასკვნა, ქ. თბილისის მერიის საქალაქო სამსახურის – სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის ინსპექციის 2004 წლის 15 ივნისის №20-1/06-196 დასკვნა, საქართველოს კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის, რეაბილიტაციისა და სამკურნალო ტურიზმის ს/პ ცენტრის, აგრეთვე თბილისის ბალნეოლოგიური კურორტის დასკვნა №5/32. აღნიშნული მტკიცებულებები მიუთითებენ, რომ რ. ა-ს (გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ 2000 წლის 27 სექტემბრის საკურორტო (წყლის ამოღების გარეშე) და სპორტული მიზნით წყლის ობიექტით ან მისი ნაწილით სპეციალური წყალსარგებლობის სერია სს №... ლიცენზიის პირობებიდან გამომდინარე) ...-ის რეაბილიტაციის ვალდებულება შესრულებული ჰქონდა.

ბ) საქმეში წარმოდგენილია (ჯერ კიდევ იმ პერიოდში, ქ. თბილისის მერიისადმი რ. ა-ის ინიციატივით წარდგენილი ...-ის განვითარების პროექტზე) ქ. თბილისის მთავრობის 2002 წლის 24 იანვრის №... . დადგენილება და აღნიშნულიდან გამომდინარე, ქ. თბილისის მთავარი არქიტექტორის მიერ გაცემული 2004 წლის 31 მაისის №... დავალება დაპროექტებაზე. აღნიშნული მტკიცებულება მიუთითებს, რომ მიწის ნაკვეთების განსაზღვრის თაობაზე ხელშეკრულების გაფორმებისა და შესაბამისი სამსახურებისგან ქალაქ-თმშენებლობითი პირობების დადგენიდან (არქიტექტურულ-გეგმარებითი დავალების მიღებიდან) 12 თვის ვადაში ...-ის კომპლექ-

სის განვითარების პროექტი რ. ა-ს უკვე მომზადებული გააჩნდა.

გ) საქმეში წარმოდგენილია სს „...ის“ დირექტორ რ. ფ-ას წერილი სახელმწიფო უწყების მიმართ, სადაც იგი აღნიშნავს, რომ სს „...ა“ არის „საქართველოს რეკონსტრუქციისა და განვითარების კომპანიის“ შვილობილი კომპანია და რომ მისი ფინანსური პარტნიორები არიან IFC (საერთაშორისო ფინანსური კორპორაცია – მსოფლიო ბანკის ჯგუფი), EBRD (ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი), სს „... ბანკი“ და სხვები. ამასთან, სს „... ბანკის“ მიერ გაცემულია 2005 წლის 13 იანვრის №30/102-01 ცნობა, რომლის მიხედვითაც, სს „...ას“ საწესდებო კაპიტალის შესავსებად, ანგარიშზე ერიცხებოდა 2 715 000 ლარი. ამასთან, სს „...ის“ სადამფუძნებლო დოკუმენტებით დგინდება, რომ დამფუძნებელ „თ...ას“ გააჩნდა ვალდებულება, სს „...ის“ ანგარიშზე დამატებით შეეტანა 500 000 აშშ დოლარი. საქმეში აგრეთვე წარმოდგენილია მაკეტიგემა, რომელიც პრეზიდენტის განკარგულების შესაბამისად, ...ის ტერიტორიაზე უნდა განვითარებულიყო.

დ) საქმეში უდავო ფაქტობრივ გარემოებას წარმოადგენს ის საკითხი, რომ რ. ა-ს, 2006 წლის 4 ნოემბრის მდგომარეობით არ გააჩნდა არავითარი დარღვევა და ნაკისრ ვალდებულებებს იგი ჯეროვნად და კეთილსინდისიერად ასრულებდა. ვალდებულებების შეუსრულებლობას არაჯეროვნებისა და არაკეთილსინდისიერების საფუძველზე, არ მიუთითებს პროცესის მონაწილე არც ერთი მხარე და აღნიშნულის თაობაზე, არ არსებობს სახელმწიფო კომპეტენტური ორგანოს მიერ რაიმე სახის დოკუმენტური მასალა. შედავება იმის შესახებ, რომ რ. ა-ი ვალდებულებებს ვერ ან/და არ ასრულებდა, არ არსებობს. არსებობს მხოლოდ 2006 წლის 4 ნოემბრის განცხადება, სადაც მის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობაზე მიზეზების გარეშეა საუბარი. პრეზიდენტის სადავო განკარგულებით დადგენილია, რომ ვალდებულებების შესრულებაზე ან/და ნებისმიერი სახით, კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება ევალებოდა თბილისის მერიას და მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას. შესაბამისად, სახელმწიფოს ამ კომპეტენტური ორგანოების მხრიდან რ. ა-ის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობის შესახებ არც ერთი დოკუმენტური ჩანაწერი არ გვხვდება, რომელიც საფუძველი შეიძლება გამხდარიყო თავად პრეზიდენტის სადავო გადაწყვეტილების გამოცემის ან/და სხვა სახის სანქციებისათვის.

ამასთან, კასატორი მიუთითებს, რომ პრეზიდენტის განკარგულებით დასახული ძირითადი ვალდებულებების შესრულებამდე, რ. ა-ს გააჩნდა გონივრული ვადა – 2006 წლიდან მომდევნო 8 ნელინადი, ხოლო 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რ. ა-ს უნდა

შესრულებინა მხოლოდ მინის დასუფთავება. 2006 წლის 4 ნოემბრის მდგომარეობით, აღნიშნული ვალდებულების შესასრულებლად, რ. ა-ს დარჩენილი ჰქონდა თითქმის 2 თვე, თუმცა მიუხედავად ამისა, რ. ა-ს ეს ვალდებულება შესრულებული ჰქონდა. ამის მტკიცებულებაა მხარის მიერ სასამართლოსთვის წარდგენილი ფოტო-მასალა, სადაც რ. ა-ი ...-ის მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავების ღონისძიებას დამხმარე პირების მეშვეობით ახორციელებს. ამდენად, კასატორი განმარტავს, რომ საქართველოს განკარგულების თანახმად, რ. ა-ს ყველა ვალდებულება შესრულებული ჰქონდა.

ამასთან, კასატორი აღნიშნავს, რომ 1997 წლის 8 სექტემბრის სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრის №1-3/548 ბრძანებით რეგულირებული იყო სახელმწიფო ქონების კონკურსის, აუქციონის, იჯარა-გამოსყიდვის, პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების წესი. იჯარა-გამოსყიდვის დებულების მე-7 მუხლის თანახმად, გათვალისწინებული იყო გარიგებათა ბათილობის წესი, რომლის თანახმად, კონკურსის ფორმით სახელმწიფო ქონების იჯარა-გამოსყიდვით გაცემის შედეგების ბათილად ცნობის შესახებ წარმოშობილ სადავო საკითხებს (მათ შორის საიჯარო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობისათვის) განიხილავდა მხოლოდ სასამართლო, ხოლო ამავე დებულების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, საიჯარო ხელშეკრულების გაუქმება შესაძლებელი იყო საიჯარო ხელშეკრულების პირობათა დაუცველობის განმეორებით გამოვლენის შემთხვევაში. ამასვე იზიარებდა 2006 წლის 10 ნოემბრისათვის მოქმედი „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტი, რომლის თანახმად, პრივატიზებასთან დაკავშირებული სადავო და ბათილად ცნობის საკითხები, განიხილებოდა მხოლოდ სასამართლო წესით. ამგვარად, საქართველოს პრეზიდენტს მისი სურვილის მიუხედავად, კანონით არ ჰქონდა მინიჭებული არანაირი უფლება გაეუქმებინა ან ბათილად ეცნო რ. ა-ის მიერ იჯარა-გამოსყიდვის უფლებით შეძენილი ქონება.

კასატორის განმარტებით, თბილისის სააპელაციო სასამართლომ 2017 წლის 14 ნოემბრის საოქმო განჩინებით, საქმეზე ახალი მტკიცებულებები დასაშვებად მიიჩნია. სასამართლომ საქმეს მტკიცებულების სახით დაურთო ორი ახალი დოკუმენტი. კერძოდ, ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის უფროსის 2006 წლის 21 სექტემბრის წერილი, რომლითაც რ. ა-ს ეცნობა, რომ მის მიერ მითითებულ მისამართზე – ქ. თბილისში, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ერთი კვ.მ. მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასი შეადგენდა 12 ლარს. სწორედ ამ წერილის საფუძველზე, რ. ა-

მა 2006 წლის 25 სექტემბერს, განცხადებით მიმართა საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილეს და მოითხოვა ... -ის ტურისტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის 63,5 ჰა შესყიდვა, ხოლო მეორე დოკუმენტი ეხება ფაქტს, რომლის მიხედვითაც, 2005 წლის 14 იანვრის მდგომარეობით სს „...ას“ სანესდებო კაპიტალის შესავსებად ანგარიშზე ერიცხებოდა 2 715 000 ლარი. შესაბამისად, რ. ა-სა და სს „...ას“ სრული მზაობა გააჩნდათ ერთობლივი საქმიანობის განხორციელებისათვის, თავის მხრივ, რ. ა-ი მზადყოფნას გამოთქვამდა ... -ის კომპლექსის 63,5 ჰა შესყიდვაზე და არ არსებობდა არც ერთი დამაბრკოლებელი გარემოება რ. ა-ს თავისუფალი ნების პირობებში უარი ეთქვა პარტნიორთან საერთო ბიზნესსა და პარტნიორობაზე.

კასატორი მიიჩნევს, რომ საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციამ კანონით დადგენილი წესით არ მოახდინა საქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების შესწავლა. ამასთან, პრეზიდენტი არსებული მტკიცებულებებისა და კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, არ იყო უფლებამოსილი მხოლოდ რ. ა-ის წერილობითი განცხადების საფუძველზე ჩაეტარებინა ადმინისტრაციული წარმოება და მიეღო სადავო აქტი, როდესაც ქონების სახელმწიფოს სასარგებლოდ დათმობის თაობაზე, საჭირო იყო კიდევ ერთი თანასწორუფლებიანი მხარის – სს „...ის“ იდენტიური განცხადება. დადგენილია, რომ სს „...ას“ საერთო სასამართლოების წესით ან/და რომელიმე კომპეტენტური ორგანოს მიმართ განცხადების წარდგენის გზით, სადავო არ გაუხდია პრეზიდენტის განკარგულება. დადგენილია, რომ პრეზიდენტის შემდგომი გადაწყვეტილების საფუძველზე, რ. ა-ის მიერ „დათმობილი“ ქონება ისევ რ. ა-ის ბიზნეს-პარტნიორის მფლობელობაში არსებულ კომპანიებს, ამ შემთხვევაში, სს „...ს“ გადაეცა.

ამასთან, კასატორი ყურადღებას ამახვილებს სასამართლო მტკიცებულების მნიშვნელობაზე და განმარტავს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა და მითითება იმის თაობაზე, რომ რ. ა-ი თავისი მტკიცებით შემოიფარგლება მხოლოდ ზეპირსიტყვიერებით და ასე ცდილობს სადავო გარემოებების დასაბუთებას, ცალსახად არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლომ. „ზეპირსიტყვიერების“ სანაცვლოდ, კასატორმა სასამართლოს წარუდგინა მის ხელთ არსებული, საქმესთან შემხებლობაში მყოფი ყველა მტკიცებულება, რომელიც არ ტოვებდა გონივრულ განსჯას იმის შესახებ, რომ რ. ა-ი ვერ ასრულებდა სახელმწიფოს მიმართ აღებული ვალდებულებებს. ამდენად, სააპელაციო პალატამ არა უსაფუძვლობის, არამედ ხანდაზმულობის ვადების გამო არ დააკმაყოფილა სასარჩელო მოთხოვნები და განსხვავებით პირველი ინ-

სტანციის სასამართლოსგან, უფრო დააზუსტა, რომელი გარემო-  
ბიდან და რომელი თარიღიდან უნდა მოეხდინა კასატორის სასამარ-  
თლო გზით მოთხოვნის დაყენება. განსახილველ შემთხვევაში, სწო-  
რედ საქართველოს უზენაესი სასამართლოს იმ იდენტური გადან-  
ყვეტილებებით უნდა ვიხელმძღვანელოთ, სადაც ადგილი აქვს  
მსგავსი ტიპის ფაქტობრივ და სამართლებრივ წანამძღვრებს. კერ-  
ძოდ, კასატორი მიიჩნევს, რომ ხანდაზმულობის ვადების ათვლა  
უნდა დაიწყოს იმ მომენტიდან, როდესაც კასატორისათვის დას-  
რულდა ძალადობის მქონე გარემო და გათავისუფლდა შინაგანი ში-  
შებისაგან, მოიხსნა საფრთხე, რომელიც აღარ იქნებოდა დაკავში-  
რებული ქონების დათმობილ უფლებაზე სამართლებრივი შედავე-  
ბისა და პრეტენზიების წარმოდგენისთვის. შესაბამისად, ასეთი  
ეტაპი კასატორის მოქმედებებისათვის დაკავშირებულია 2012  
წლის 1 ოქტომბერს ქვეყანაში აღმასრულებელი და საკანონმდებ-  
ლო ხელისუფლების შეცვლასთან, რომელთა მეშვეობითაც, აგრეთ-  
ვე, შეიცვალა სახელმწიფო ბრალდების ინსტიტუტის – საქართვე-  
ლოს მთავარი პროკურატურის სამართალწარმოების პოლიტიკა. შე-  
საბამისად, რ. ა-მა საქართველოს პროკურატურას მის მიმართ გან-  
ხორციელებული ძალადობისა და ქონების იძულების წესით, მისი  
ნების სანინააღმდეგოდ დათმობის ფაქტზე მიმართა 2012 წლის  
დეკემბერში. გარდა ამისა, სწორედ საკითხის კვლევის შედეგად,  
რ. ა-მა კომპეტენტური ორგანოსგან – საქართველოს პრეზიდენ-  
ტის ადმინისტრაციისგან მიიღო ... -ის დათმობის, ანუ მის მიერ 2006  
წლის 4 ნოემბერს დაწერილი განცხადების შემდეგ და შედეგად ჩა-  
ტარებული ადმინისტრაციული სამართალწარმოების მასალები, რა  
დროსაც მხარეს ჩაჰპარდა საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის  
10 ნოემბრის №... განკარგულება, ხოლო აღნიშნული განკარგულე-  
ბა გასაჩივრებულ იქნა საქართველოს ადმინისტრაციული კანონ-  
მდებლობის თანახმად, ერთი თვის ვადაში.

ამასთან, კასატორი აღნიშნავს, რომ უარსაყოფია სააპელაციო  
პალატის მსჯელობა იმის შესახებაც, რომ რ. ა-ს 2007 წლის 1 ივლი-  
სიდან ან/და 2008 წლის 10 მარტიდან შეეძლო სასამართლო წესით  
ედავა უფლების დასაცავად, ვინაიდან სწორედ ამ პერიოდიდან სა-  
მართლებრივი საფუძვლები გამოეცალა პრეზიდენტის 2006 წლის  
14 ივლისის №... განკარგულებას. სასამართლოს მიერ რ. ა-ის და-  
ვალდებულება საკანონმდებლო მაცნეზე გამოქვეყნებული ზემო-  
აღნიშნული აქტების გაცნობის ან/და რომელიმე სხვა აქტის გაუქ-  
მების პროცესთან დაკავშირებით, კასატორის მოსაზრებით, უკი-  
დურესად არასწორია.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-  
მეთა პალატის 2018 წლის 2 ივლისის განჩინებით საქართველოს

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამონმებლად წარმოებაში იქნა მიღებული რ. ა-ის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 27 დეკემბრის განჩინებით რ. ა-ის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ რ. ა-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 13 მარტის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც რ. ა-ის სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს ხანდაზმულობის გამო. ამასთან, უცვლელად უნდა დარჩეს მონმის სახით ზ. ყ-ის დაკითხვაზე უარის თქმის ნაწილში ამავე სასამართლოს საოქმო განჩინება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრის 1998 წლის 14 ივლისის №1-1/482 ბრძანებით მიღებულ იქნა სექტორული ეკონომიკის სამმართველოს წინადადება საქართველოს ტურიზმის დეპარტამენტის ...-ის გამაჯანსაღებელი კომპლექსის ბალანსზე რიცხული ქონების იჯარით გამოსყიდვის ფორმით გადაცემაზე და ქონების საწყისი ფასი დაწესდა 30 000 აშშ დოლარის ექვივალენტური თანხა ლარებში.

სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს 1998 წლის 24 ნოემბრის №1-3/730 ბრძანებით ტურიზმის დეპარტამენტის „...-ის“ გამაჯანსაღებელი კომპლექსის ბალანსზე რიცხული ქონების პრივატიზების მიზნით ჩატარებულ კომერციულ კონკურსში გამარჯვებულად გამოცხადდა ფიზიკური პირი რ. ა-ი, რომელმაც ვალდებულებად მიიღო შეესრულებინა ყველა საკონკურსო პირობა და ნაცვლად საპრივატიზებო ობიექტის საწყისი გასაყიდი ფასისა (30 000 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში) გადაეხადა 30 500 აშშ დოლარის ექვივალენტი ეროვნულ ვალუტაში.

სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს 1998 წლის 24 ნოემბრის №1-3/730 ბრძანების საფუძველზე, 1999 წლის 13 აპრილს საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროსა („მეიჯარე“) და რ. ა-ს („მოიჯარე“) შორის დაიდო საიჯარო ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, „მეიჯარემ“ გასცა, ხოლო „მოიჯარემ“



იჯარით – გამოსყიდვის უფლებით მიიღო საქართველოს ტურიზმის დეპარტამენტის „...ის“ გამაჯანსაღებელი კომპლექსის ბალანსზე რიცხული ქონება, რომლის საბოლოო ღირებულება ხსენებული ბრძანების შესაბამისად შეადგენდა 30500 აშშ დოლარის ექვივალენტს ლარებში. ამავე ხელშეკრულების მიხედვით, ხელშეკრულების დადებისთანავე მხარეებს შორის გაფორმდა საიჯარო ქონების მიღება-ჩაბარების აქტი, რომელიც ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა, ხოლო ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრა 5 წელი, კერძოდ, 1999 წლის 13 აპრილიდან 2004 წლის 13 აპრილამდე.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 2004 წლის 4 ოქტომბრის №29 შედარების აქტის თანახმად, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მთავარმა ბუღალტერმა ნ. მ-მა და რ. ა-მა მოახდინეს ურთიერთშედარება, რაც გამოიხატა შემდეგში, რომ 1999 წლის 13 აპრილის საიჯარო ხელშეკრულების საფუძველზე „მოიჯარის“ მიერ გადახდილია საქართველოს ტურიზმის დეპარტამენტის „...ის“ გამაჯანსაღებელი კომპლექსის ბალანსზე რიცხული ქონების სრული ღირებულება – ჯამში 30510,10 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში 60416,43 ლარი.

ქ. თბილისის მერიის ქალაქგეგმარებისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის 2005 წლის 10 მარტის №21/127 წერილით საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილეს კ. დ-ას ეცნობა, რომ ქალაქ თბილისის მერიის არქიტექტურული და პერსპექტიული განვითარების საქალაქო სამსახურის მიერ მოქ. რ. ა-ის განცხადების საფუძველზე, საქართველოში მოქმედი მიწის კანონმდებლობის თანახმად, გაიცა ...-ის ტურისტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის ბალანსზე რიცხულ ქონებაზე 1998 წლამდე ფაქტობრივად დამაგრებული ტერიტორიის წითელი ხაზები (საერთო ფართი 63,5 ჰა).

საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 14 ივლისის №... განკარგულებით მიღებულ იქნა ქ. თბილისის მერიის წინადადება და ქ. თბილისში, ...-ის მიმდებარედ არსებული 63,5 ჰა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი პირდაპირი განკარგვის წესით საკუთრებაში გადაეცა რ. ა-ს. ამავე განკარგულებით უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით საკუთრებაში გადაცემის პირობად განისაზღვრა: ა) მიწის ნაკვეთების განკარგვის თაობაზე ხელშეკრულებების გაფორმებისთანავე ...-ის რეაბილიტაციის პროცესის დაწყება და 2006 წლის 31 დეკემბრამდე ...-ისა და მიმდებარე ტერიტორიის (ამ განკარგულების შესაბამისად გადაცემული მიწის ნაკვეთების) დასუფთავება და ამ მიზნით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება; ბ) მიწის ნაკვეთების განკარგვის თაო-

ბაზე ხელშეკრულებების გაფორმებისა და შესაბამისი სამსახურებისაგან ქალაქთმშენებლობითი პირობების დადგენიდან (არქიტექტურულ-გეგმარებითი დავალების გაცემიდან) 12 თვის ვადაში ...-ის კომპლექსის განვითარების პროექტის მომზადება; გ) პროექტის შესაბამის სამსახურებთან შეთანხმება-დამტკიცებისა და თავად ობიექტებზე მშენებლობის ნებართვების მიღებისთანავე მშენებლობის დაწყება და მისი დასრულება არა უგვიანეს 2014 წლის დეკემბრისა (მათ შორის დამსვენებელთა ზონის (პლაჟი, გამაჯანსაღებელი კომპლექსი, სპორტული მოედნები) მოწყობა, კვების ობიექტების, სანაოსნო კომპლექსის, დასასვენებელი კოტეჯების, SPA კომპლექსისა და სასტუმროს აშენება).

ქალაქ თბილისის მერიას 2006 წლის 8 ნოემბერს №17621 განცხადებით მიმართა რ. ა-მა და განმარტა, რომ როგორც საიჯარო ხელშეკრულებით, ასევე საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 14 ივლისის №... განკარგულებით მის მიმართ გათვალისწინებული იყო რიგი ვალდებულებები გადაცემული უძრავი ქონების შემდგომში აღორძინებისა და განვითარების მიზნით, რაც ვერ შეასრულა რიგი სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო. ქ. თბილისის მერის 2006 წლის 9 ნოემბრის №17621 წერილით საქართველოს პრეზიდენტს გაეგზავნა რ. ა-ის განცხადება და „...-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთების პირდაპირი წესით განკარგვის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 14 ივლისის №... განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების პროექტი. საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 10 ნოემბრის №... განკარგულებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ძალადაკარგულად გამოცხადდა „...-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთების პირდაპირი წესით განკარგვის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 14 ივლისის №... განკარგულება.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 11 ივლისის №166507 წერილით დგინდება, რომ ქ. თბილისში, ...-ის მიმდებარედ არსებული, №... (წინა №...), №..., №... (წინა №...), №... (წინა №...), №... (წინა №...), №... (წინა №...), №... (წინა №...), №... (წინა №...), №... (წინა №...) საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული უძრავი ქონება წარმოადგენს სს „...ის“ საკუთრებას.

საკასაციო სასამართლო, უპირველესად, მიზანშეწონილად მიიჩნევს, მიმოიხილოს და განმარტოს საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო აქტებით აღიარებული საკუთრების უფლების ნორმატიული შინაარსი, რამდენადაც, მოსარჩელის მითითებით, მას საკუთრება იძულების წესით დაათმობინეს.

საკასაციო პალატა უპირველესად მიუთითებს საქართველოს კონსტიტუციის სადავო პერიოდში მოქმედი რედაქციის 21-ე მუხლის პირველ პუნქტზე (ამჟამად მოქმედი რედაქციის მე-19 მუხლი), რომლის თანახმად, საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და ხელშეუვალია. დაუშვებელია საკუთრების, მისი შეძენის, გასხვისების ან მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლების გაუქმება. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „აღნიშნული კონსტიტუციური დებულებით აღიარებულია საკუთრების ინსტიტუტის, როგორც დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ საფუძვლად არსებული ღირებულების კონსტიტუციური მნიშვნელობა, რომელიც ინდივიდის პიროვნული თავისუფლებისა და ინდივიდუალური თვითრეალიზების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კომპონენტს წარმოადგენს. „საკუთრების უფლება ადამიანის არა მარტო არსებობის ელემენტარული საფუძველია, არამედ უზრუნველყოფს მის თავისუფლებას, მისი უნარისა და შესაძლებლობების ადეკვატურ რეალიზაციას, ცხოვრების საკუთარი პასუხისმგებლობით წარმართვას. ყოველივე ეს კანონზომიერად განაპირობებს ინდივიდის კერძო ინიციატივებს ეკონომიკურ სფეროში, რაც ხელს უწყობს ეკონომიკური ურთიერთობების, თავისუფალი მენარმეობის, საბაზრო ეკონომიკის განვითარებას, ნორმალურ, სტაბილურ სამოქალაქო ბრუნვას“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის №1/2/384 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – დავით ჯიმშელიშვილი, ტარიელ გვეტაძე და ნელი დალალიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-5).

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დადგენილი პრაქტიკის თანახმად, „იმისათვის, რომ პირმა შეძლოს საკუთრების უფლებით პრაქტიკული სარგებლობა, არ არის საკმარისი მისთვის აბსტრაქტული საკუთრებითი გარანტიის მინიჭება. მან ასევე უნდა ისარგებლოს იმგვარი სამოქალაქო, კერძოსამართლებრივი წესრიგით, რომელიც შესაძლებელს გახდის საკუთრების უფლებით შეუფერხებელ სარგებლობას და, შესაბამისად, სამოქალაქო ბრუნვის განვითარებას. საკუთრების კონსტიტუციურ-სამართლებრივი გარანტია მოიცავს ისეთი საკანონმდებლო ბაზის შექმნის ვალდებულებას, რომელიც უზრუნველყოფს საკუთრებითი უფლების პრაქტიკულ რეალიზებას და შესაძლებელს გახდის საკუთრების შეძენის გზით ქონების დაგროვებას“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის №3/1/512 გადაწყვეტილება საქმეზე „დანის მოქალაქე ჰეიკე ქრონციუსტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-33).

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საქართველოს კონსტიტუ-

ციის 21-ე მუხლით განმტკიცებული საკუთრების უფლება არ არის მხოლოდ დეკლარაციული ხასიათის. იგი წარმოადგენს მთელი რიგი ქონებრივი ურთიერთობებისა და სხვაგვარი სამართლებრივი შედეგების წარმოშობის უმთავრეს წინაპირობას. ამასთან, საკუთრების უფლების დაცულობის უზრუნველყოფის საჭიროება არ არის ფორმალური და სწორედ აღნიშნული წარმოადგენს დემოკრატიული სახელმწიფოს ქვაკუთხედს, რამდენადაც საკუთრების უფლების დაცვით მიღწეულ უფლების ქმედით რეალიზებაზე დამოკიდებული საქართველოს კონსტიტუციით რეგლამენტირებულ ადამიანის მთელ რიგ უფლებათა შემდგომი განხორციელება. საკუთრების უფლების გარანტირებულობა და მისი კონსტიტუციური მოწესრიგება განაპირობებს, მათ შორის, პირის შესაძლებლობას, საკუთარი სურვილის შესაბამისად, თავისუფალი ნების საფუძველზე განკარგოს და შეიძინოს ქონებრივი უფლებები. ქონებრივ უფლებათა განკარგვისა და შექმნის ყველაზე ფართოდ გავრცელებულ საშუალებას კი, თავის მხრივ, ხელშეკრულება წარმოადგენს. საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის სამართლებრივი შინაარსიდან გამომდინარე, სახელმწიფო კისრულობს, ერთი მხრივ, პოზიტიურ ვალდებულებას, თავისუფალი შეთანხმებების აღსრულებისათვის სათანადო ფაქტობრივი თუ სამართლებრივი გარანტიების შექმნის გზით უზრუნველყოს თავისუფალი ნების გამოხატვის საფუძველზე ქონებრივ უფლებათა განკარგვის შესაძლებლობა, ხოლო, მეორე მხრივ, სახელმწიფო ნეგატიური ვალდებულების ფარგლებში, ვალდებულია თავად არ ხელყოს ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობით გათვალისწინებული საკუთრების უფლება.

ამასთან, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საკუთრების უფლება აღიარებულია არა მხოლოდ ეროვნული, არამედ საერთაშორისო აქტებითაც, კერძოდ, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლით, რომელიც ადგენს, რომ ყოველ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს აქვს თავისი საკუთრებით შეუფერხებელი სარგებლობის უფლება. მხოლოდ საზოგადოებრივი საჭიროებისათვის შეიძლება ჩამოერთვას ვინმეს საკუთრება კანონითა და საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპებით გათვალისწინებულ პირობებში. ამასთან, წინარე დებულებები არანაირად არ აკნინებს სახელმწიფოს უფლებას, გამოიყენოს ისეთი კანონები, რომელთაც ის აუცილებლად მიიჩნევს საერთო ინტერესების შესაბამისად საკუთრებით სარგებლობის კონტროლისათვის, ან გადასახდებისა თუ მოსაკრებლების ან ჯარიმების გადახდის უზრუნველსაყოფად. ხსენებული დანაწესი უზრუნველყოფს საკუთრების უფლების კვალიფიციურ დაცვას, ამასთან, მუხლი სახელმწიფო ორგანოებს ანიჭებს ფართო დისკრე-

ციას, ჩაეროონ ამ უფლებაში: უშვებს პირის საკუთრების ჩამორთმევას „საზოგადოებრივი საჭიროებისთვის“ და მეორე პუნქტი უფლებამოსილს ხდის სახელმწიფოს, დაადგინოს „თავისი შეხედულებისამებრ აუცილებელი კანონმდებლობა“ გადასახადებთან და სხვა შემოწირულობასა თუ სახდელებთან დაკავშირებით (იხ. სპამპინატო იტალიის წინააღმდეგ (Spampinato v. Italy), No. 23123/04, განჩინება 29.3.07.).

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველ მუხლში ასახული პოზიტიური ვალდებულება მოითხოვს საკუთრების უფლების დასაცავად კონკრეტული ღონისძიებების გატარებას, „ფიზიკურ პირებსა თუ კომპანიებს შორის სამართალწარმოების შემცველ საქმეებთან მიმართებითაც კი“ (სოვტრანსავტო ჰოლდინგი უკრაინის წინააღმდეგ (Sovtransavto Holding v. Ukraine), No. 48553/99, 25.9.02. 54-ე პარაგრაფი). ეს კი კონკრეტულად იმას გულისხმობს, რომ „სახელმწიფოები ვალდებული არიან უზრუნველყონ სასამართლო პროცედურები, რომლებიც სთავაზობს აუცილებელ პროცედურულ გარანტიებს და, შესაბამისად, შესაძლებელს ხდის ეროვნული სასამართლოებისთვისა და ტრიბუნალებისთვის, კერძო პირებს შორის ნებისმიერ დავაზე აწარმოონ სამართალწარმოება ეფექტიანად და სამართლიანად“ (სოვტრანსავტო ჰოლდინგი უკრაინის წინააღმდეგ (Sovtransavto Holding v. Ukraine), No. 48553/99, 25.9.02. 96-ე პარაგრაფი).

ამასთან, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ უფლების სასამართლო წესით დაცვის კონსტიტუციურ გარანტს საქართველოს კონსტიტუციის სადავო პერიოდში მოქმედი რედაქციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტი ქმნის, რომლის მიხედვითაც, ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს. კონსტიტუციის აღნიშნული დანაწესი ასევე ასახულია „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-3 მუხლის პირველ პუნქტსა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლში. „სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლება ინდივიდის უფლებების და თავისუფლებების დაცვის, სამართლებრივი სახელმწიფოსა და ხელისუფლების დანაწილების პრინციპების უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანესი კონსტიტუციური გარანტიაა. ის ინსტრუმენტული უფლებაა, რომელიც ... წარმოადგენს სხვა უფლებებისა და ინტერესების დაცვის საშუალებას...“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილება №1/3/421,422 საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ყიფიანი და ავთანდილ უნგიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, 1).

ამასთან, აღსანიშნავია, რომ ადმინისტრაციული დავების მი-

მართ უფლება სამართლიან სასამართლოზე უპირველესად გულისხმობს პირის მიერ ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილებების სასამართლო წესით გასაჩივრებისა და უფლების სასამართლო წესით დაცვის შესაძლებლობას. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „მიუხედავად სამართლიანი სასამართლოს უფლების უდავოდ დიდი მნიშვნელობისა, ის არ არის აბსოლუტური უფლება“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 5 ნოემბრის გადაწყვეტილება №3/1/531 საქმეზე „ისრაელის მოქალაქეები – თამაზ ჯანაშვილი, ნანა ჯანაშვილი და ირმა ჯანაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, 3). სასამართლო წესით უფლების დაცვა და განხორციელება განუყოფლადაა დაკავშირებული ვადების ფაქტორთან, კერძოდ, კანონმდებლობა ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობას ვადებით ზღუდავს და ყოველ კონკრეტულ სამართალურთიერთობასთან დაკავშირებით უფლების დაცვის ხანდაზმულობის შესაბამის ვადებს განსაზღვრავს. შესაბამისად, უფლება სამართლიან სასამართლოზე დროში შეზღუდული უფლებაა და მისი განხორციელება დამოკიდებულია კანონმდებლობით დადგენილ ხანდაზმულობის ვადებზე. თავის მხრივ, უფლების დაცვის – სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა გულისხმობს დროის გარკვეულ მონაკვეთს, რომლის განმავლობაშიც პირს, რომლის უფლებაც დაირღვა, შესაძლებლობა აქვს, მოითხოვოს საკუთარი უფლებების დაცვა სასამართლოში სარჩელის შეტანის გზით. ხანდაზმულობის ვადის გასვლა აზრს უკარგავს მოთხოვნის საფუძვლიანობას და პირს ართმევს სარჩელის დაკმაყოფილების შესაძლებლობას, რის შედეგადაც განსახილველი უფლების ქრილში სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობა მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ინარჩუნებს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 30 ოქტომბრის განჩინებაზე (საქმე №ბს-312-308(კ-14)), სადაც განიმარტა, რომ „საკასაციო სასამართლო საჭიროდ მიიჩნევს ყურადღება გაამახვილოს ხანდაზმულობის ინსტიტუტის არსებობის მიზნებზე, რაც უმთავრესად სამართლებრივი სტაბილურობის ხელშეწყობასა და პირის უფლებების დროულად განხორციელებაში გამოიხატება. ხანდაზმულობის ვადების არარსებობის პირობებში უფლება უსასრულოდ იქნებოდა გაურკვეველ მდგომარეობაში და მისი არა მარტო დაცვა, არამედ არსებობაც ეჭვის ქვეშ დადგებოდა. ხანდაზმულობის ვადების არსებობა კი სამართალურთიერთობის მონაწილეებს აიძულებს დროულად იზრუნონ საკუთარი უფლებების განხორციელებასა და დაცვაზე, ხოლო სასამართლოს – შესაძლებლობას აძლევს შედარებით გონივრულ დროში გადაწყვიტოს

დავა. ამასთან, საყურადღებოა, რომ ხანდაზმულობის ვადების არსებობა გამოორიციხავს პირის შესაძლებლობას მისთვის ხელსაყრელ დროს მიმართოს სასამართლოს. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ხანდაზმულობის ვადა არ გულისხმობს დროის გაურკვეველ პერიოდს. მას აქვს დასაწყისი და დასასრული. ხანდაზმულობის ვადის სწორად გამოთვლისას კი მნიშვნელოვანია მისი დენის დაწყების მომენტის განსაზღვრა.“

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ არსებითაა განისაზღვროს ის გარემოება, თუ რამდენად იქნა დაცული მოსარჩელის მიერ სარჩელის წარდგენისათვის კანონმდებლობით განსაზღვრული ვადები. კასატორი წარმოდგენილ საკასაციო პრეტენზიაში ყურადღებას ამახვილებს როგორც ხანდაზმულობის ვადის ათვლის, აგრეთვე, აღნიშნული ვადის დენის შეწყვეტილად მიჩნევის მომენტზე, რომელიც მოსარჩელის მოსაზრებით, მის მიერ გარკვეულ ქმედებათა განხორციელებამ გამოიწვია. ამასთან, იგი მიიჩნევს, რომ განსახილველ დავასთან მიმართებით, გავრცელებულ უნდა იქნეს ხანდაზმულობის ზოგადი – ათწლიანი ვადა.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ხანდაზმულობის საკითხის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება იმის განსაზღვრას, თუ რა მომენტიდან უნდა იქნეს ათვლილი სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის დენა. აქვე საყურადღებოა, რომ რ. ა-ი სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლიანობის უმთავრეს ნიშანპირობად მის მიმართ განხორციელებულ იძულებას მიიჩნევს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 85-ე მუხლზე, რომლის თანახმად, გარიგების დადების მიზნით იმ პირის იძულება (ძალადობა ან მუქარა), რომელმაც დადო გარიგება, ანიჭებს ამ პირს გარიგების ბათილობის მოთხოვნის უფლებას მაშინაც, როცა იძულება მომდინარეობს მესამე პირისაგან. ამავე კოდექსის 86-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, გარიგების ბათილობას იწვევს ისეთი იძულება, რომელსაც თავისი ხასიათით შეუძლია გავლენა მოახდინოს პირზე და აფიქრებინოს, რომ მის პიროვნებას ან ქონებას რეალური საფრთხე ემუქრება. ამავე კოდექსის 89-ე მუხლის თანახმად კი, იძულებით დადებული გარიგება შეიძლება სადავო გახდეს ერთი წლის განმავლობაში იძულების დამთავრების მომენტიდან.

ამდენად, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საცილო გარიგება ბათილია მისი დადების მომენტიდან, თუ გარიგება დადებულია მხოლოდ იძულების წყალობით. იძულებით დადებული გარიგების შემთხვევაში, საქმე გვაქვს ნების ნაკლის საფუძველზე დადებულ გარიგებასთან, სადაც ნების თავისუფლება აშკარად არის ხელყოფილი. ამ დროს ადგილი აქვს დაზარალებულის თავისუფალი ნების

ამკარა მოდრეკას (ლ. ჭანტურია., „სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი“, 2011წ., გვ. 380; ბ. ზ-ე., „სამოქალაქო კოდექსის კომენტარი“, წიგნი პირველი, მუხლი 85, გვ. 246.). ამასთან, სამოქალაქო კანონმდებლობა იძულებით დადებული გარიგების შეცილების ვადას სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობიდან გამომდინარე შეუზღუდავად არ განსაზღვრავს. საკასაციო პალატა მიუთითებს იურიდიულ დოქტრინაში გამოთქმულ მოსაზრებებზე, რომლის თანახმად, „შეცილების უფლება არა მხოლოდ გარიგების გაუქმების უფლებაა, არამედ მისთვის ნამდვილობის მინიჭების უფლებაც. ამდენად, შეცილების უფლება მეტად ძლიერი საშუალებაა სამართლებრივ ურთიერთობაზე ზემოქმედებისათვის. ამიტომ, ის არ შეიძლება იყოს შეუზღუდავი. წინააღმდეგ შემთხვევაში სამართლებრივი ურთიერთობების არასტაბილურობის საფრთხე ძალიან დიდი იქნებოდა. ამ საფრთხეს ითვალისწინებს კანონი და შეცილების უფლებას განსაზღვრულ ჩარჩოებში აქცევს“ (ლ. ჭანტურია., „სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი“, თბილისი, 2011 წ., გვ. 397). უცილოდ ბათილი გარიგებების ბათილობისაგან განსხვავებით, რაც კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ავტომატურად დგება და არ საჭიროებს შესაბამის შედეგზე მიმართულ არანაირ დამატებით მოქმედებას (მაგალითად, რაიმე ფორმით ბათილად გამოცხადებას), საცილო გარიგება „დადების მომენტიდან“ ბათილი იქნება მხოლოდ ნამდვილი შეცილების შემთხვევაში. შესაბამისად, დადების მომენტში საცილო გარიგება ნამდვილია, თუმცა არსებობს გარემოებანი, რომელთა გამოც ის შეიძლება შემდგომში გახდეს ბათილი. შეცილება ცვლის არსებულ სამართლებრივ მდგომარეობას, ვინაიდან იგი მიმართულია არსებული სამართლებრივი ურთიერთობის გაქარწყლებაზე. ამდენად, შეცილება სამართლებრივი ურთიერთობის ცალმხრივად „განმსაზღვრელი“ ნების გამოვლენა თუ გარიგებაა“ (დ. კერესელიძე., „კერძო სამართლის უზოგადესი სისტემები“, თბილისი, 2009 წ., გვ. 269-270). რაც შეეხება იძულებით დადებული გარიგების შეცილების ვადას, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ამგვარი გარიგების შეცილებისათვის კანონმდებლობით განსაზღვრული ხანდაზმულობის სპეციალური ვადის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ერთნაირი ვადის ათვლა დაკავშირებულია არა შეცილების უფლების მქონე პირის მიერ შეცილების საფუძვლების არსებობის შეტყობასთან, არამედ იძულების დამთავრების მომენტთან, კერძოდ, მაიძულებელი პირის მხრიდან იძულებული პირის მიმართ ნების გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის აღმოფხვრასთან. ამასთან, გასათვალისწინებელია ის, თუ როდის მიიჩნევა იძულება დასრულებულად საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიზნებისათვის. აღნიშნულთან მიმართებით, საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ „იძუ-



ლების მომენტის დასრულება უკავშირდება პირის სუბიექტურ აღქმას, რომ მის პიროვნებას ან ქონებას, მისი ოჯახის წევრებს ან ახლო ნათესავებს აღარ ემუქრებათ რეალური საფრთხე. იძულებით დადებული გარიგების შემთხვევაში ვადის დენა იწყება იმ მომენტიდან, როდესაც იძულების სიტუაცია მთავრდება. გადამწყვეტია მომენტი, რომელშიც შეცილებაზე უფლებამოსილი პირი აღარ იმყოფება იძულებით განპირობებული შედეგის გავლენის ქვეშ. აღნიშნული იძულებული პირის სუბიექტური თვალთახედვიდან უნდა იქნეს შეფასებული და არა იძულების განხორციელების მომენტიდან ერთი წლის განმავლობაში“ (სუსგ საქმე №ას-212-201-2017, 15.05.2017 წ.).

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოსარჩელე სადავო აქტის გამოცემის წინაპირობად მის მიერ 2006 წლის 4 ნოემბერს შედგენილ განცხადებას მიიჩნევს. ამდენად, მისი მტკიცებით, აღნიშნული განცხადების არარსებობის პირობებში, არ გამოიცემოდა სადავო აქტი და შესაბამისად, რ. ა-ს არ ჩამოერთმეოდა სადავო მიწის ნაკვეთი. თავის მხრივ, მოსარჩელე მიუთითებს, რომ ზემოხსენებული განცხადების დაწერა მის მიმართ ყოფილი მაღალჩინოსნების მხრიდან განხორციელებულმა იძულებამ გამოიწვია, ხოლო აღნიშნული განცხადება კი, კასატორის მოსაზრებით, წარმოადგენს ცალმხრივ, იძულებით შედგენილ გარიგებას.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2017 წლის 2 მარტის №ას-664-635-2016 გადაწყვეტილების 207-ე პუნქტზე, რომლის თანახმად, „დიდი პალატა განმარტავს, რომ იძულება არა ფაქტის, არამედ სამართლებრივი შეფასების საკითხია. ერთ-ერთ საქმეზე საკასაციო სასამართლომ დაასკვნა: „სამოქალაქო კოდექსის 85-ე-89-ე მუხლებით განსაზღვრული გარიგების იძულებით დადება სამართლებრივი კატეგორიაა და სასამართლო ნორმით გათვალისწინებული შედეგის განსაზღვრისას ხელმძღვანელობს მხარის მიერ მითითებული ფაქტებითა და ამ ფაქტების დადასტურების მიზნით წარდგენილი მტკიცებულებებით, რომლებიც ნორმით გათვალისწინებულ შემადგენლობას უნდა ქმნიდეს“ (იხ.სუსგ №ას-89-83-2015, 23.10.2015 წელი).

ამდენად, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სასამართლოს იძულების სამართლებრივი შეფასების განხორციელებისათვის ესაჭიროება მოსარჩელის მიერ მტკიცებულებით გამყარებული ობიექტური ფაქტობრივი მოცემულობის წარდგენა, რომელიც თავის მხრივ, იძულებით დადებული გარიგების შეცილების ვადის დენის ათვისისა და დასრულების მომენტის განსაზღვრის საშუალებასაც უნდა იძლეოდეს. განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელე მხოლოდ

საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 14 ივლისის №... განკარგულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე, აგრეთვე, მის მიმართ შესაბამისი უწყებების მხრიდან სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებასა და პროკურატურაში მის ერთჯერად დაბარებაზე მითითებით ცდილობს დაადასტუროს მისთვის ქონების ჩამორთმევის ფაქტი, თუმცა ამგვარი იძულების დადასტურების შემთხვევაშიც კი, საქმის მასალებით არ დასტურდება იძულების განგრძობადობა, კერძოდ ის, თუ რა მომენტამდე და რა ღონისძიებებით ხორციელდებოდა რ. ა-ის ნებაზე ზემოქმედება. ყურადსაღებ გარემოებას წარმოადგენს ასევე ის, რომ მოსარჩელისათვის ქონების პირდაპირი განკარგვის წესით გარკვეული პირობებით გადაცემა განხორციელდა სწორედ იმავე პრეზიდენტის მიერ იმავე ხელისუფლების მმართველობის პირობებში, 2006 წლის 4 ნოემბრის განცხადების შედგენამდე დაახლოებით 4 თვით ადრე.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ რ. ა-ის 2006 წლის 4 ნოემბრის განცხადების გარიგებად მიჩნევის, მისი ნამდვილობის ადმინისტრაციული სამართალწარმოების ფარგლებში შემონმების შესაძლებლობის დაშვების, იძულების 2012 წლის 1 ოქტომბრის მოცემულობით დასრულებულად ჩათვლის და, შესაბამისად, ხანდაზმულობის ვადის დენის სანყის მომენტად 2012 წლის 1 ოქტომბრის მიჩნევის პირობებშიც კი, 2015 წლის 12 ნოემბერს სასამართლოში წარდგენილი რ. ა-ის სასარჩელო მოთხოვნა ხანდაზმულია, რამდენადაც იძულების განხორციელების დადასტურების შემთხვევაშიც კი, გასულია იძულებით დადებული გარიგების შეცილების სპეციალური, ერთწლიანი ვადა.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს კასატორის მიერ წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის ერთ-ერთ მოტივზე, რომლის თანახმად, რ. ა-ი მიიჩნევს, რომ ხანდაზმულობის ვადის დინება შეწყვეტილად უნდა ჩაითვალოს მის მიერ 2012 წლის დეკემბერში პროკურატურისათვის მიმართვის მომენტიდან. საკასაციო პალატა ხაზგასმით მიუთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2017 წლის 2 მარტის №ას-664-635-2016 გადაწყვეტილების 214-ე პუნქტში განვითარებულ მსჯელობაზე, კერძოდ, „დიდი პალატა არ იზიარებს კასატორების პრეტენზიას მოთხოვნის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით. განსახილველ შემთხვევაში, ხანდაზმულობის ვადის დენა 2008 წლის 1 დეკემბრიდან სსკ-ის 1008-ე მუხლის („დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის ვადა არის სამი წელი იმ მომენტიდან, როცა დაზარალებულმა პირმა შეიტყო ზიანის ან ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ“) საფუძველზე შეწყდა, ვინაიდან მოსარჩელემ თავისი დარღვეული უფლების

დასაცავად მიმართა იმ სახელმწიფო ორგანოს (პროკურატურას), რომელსაც ხელეწიფებოდა ამ უფლების აღდგენა (სსკ-ის 138-ე მუხლის მესამე წინადადება – „ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება, თუ უფლებამოსილი პირი შეიტანს სარჩელს მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად ან მის დასადგენად, ანდა შეეცდება დაიკმაყოფილოს მოთხოვნა სხვა საშუალებით, როგორცაა სახელმწიფო ორგანოსათვის ან სასამართლოში განცხადებით მიმართვა მოთხოვნის არსებობის შესახებ, ანდა აღმასრულებელი მოქმედების განხორციელება. შესაბამისად გამოიყენება 139-ე და 140-ე მუხლები“). მოსარჩელემ, როგორც უფლებამოსილმა პირმა, 2008 წლის 1 დეკემბერს (შემდეგ განმეორებითაც – 2009 წლის 29 იანვარს და 12 მარტს) საქართველოს პროკურატურას საჩივრით მიმართა იძულებით ჩამორთმეული ქონების გამო, საკუთრების ხელყოფილი უფლების დასაცავად, რაც სამართლებრივად ვარგისი საშუალებაა. შესაბამისად, ამ განცხადებით, სარჩელის სასამართლოში შეტანამდე, უკვე შეწყვეტილი იყო ხანდაზმულობის სამწლიანი ვადის დენა. საქართველოს პროკურატურისადმი მიმართული საჩივრით ქ.ს. კუთვნილი ქონების დასაბრუნებლად, როგორც დაზარალებულად, ასევე მოსარჩელედ ცნობასაც ითხოვდა. იმ დროს მოქმედი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 30-ე მუხლის რედაქცია ამის შესაძლებლობას იძლეოდა. ამ ნორმის თანახმად: „პირს, რომელსაც უშუალოდ დანაშაულის შედეგად მიაღდა ქონებრივი, ფიზიკური ან მორალური ზიანი, უფლება აქვს სისხლის სამართლის საქმის წარმოებისას მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება და ამ მიზნით წარადგინოს სამოქალაქო სარჩელი“. იმავე კოდექსის 31-ე მუხლის თანახმად კი, სამოქალაქო სარჩელი წარედგინებოდა იმ მომკვლევს, გამომძიებელს ან პროკურორს, რომლის წარმოებაშიც იყო სისხლის სამართლის საქმე. ის ფაქტი, რომ პროკურატურას აღნიშნულ საქმეზე დღემდე არა აქვს მიღებული შემაჯამებელი გადაწყვეტილება, დიდ პალატას დავის გადაწყვეტაში ხელს ვერ შეუშლის, რადგანაც სამართლებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფა სახელმწიფოს ვალდებულებაა“.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ განსხვავებით განსახილველი შემთხვევისაგან, ზემოთ მითითებულ შემთხვევაში მოსარჩელის მიერ საქართველოს პროკურატურისათვის მიმართვის დროს (2008-2009 წლებში) მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებდა დაზარალებული პირის შესაძლებლობას, მისთვის ზიანის მიყენების შემთხვევაში არა მხოლოდ სამოქალაქო-სამართლებრივი შედავების, არამედ, აგრეთვე, უშუალოდ სისხლის სამართლის საქმის წარმოების ფარგლებში (განცალკევებული სამართალწარმოების გარეშე) განცხადების წარდგენის გზით

მოეთხოვა მოსარჩელედ ცნობა და ზიანის ანაზღაურების მიზნით წარედგინა სამოქალაქო სარჩელი. სწორედ აღნიშნულმა სამართლებრივმა მოწესრიგებამ განაპირობა დიდი პალატის მიერ განხილულ საქმეში საქართველოს პროკურატურისათვის განცხადებით მიმართვის, როგორც საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სარჩელის წარდგენის ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტის საფუძვლად მიჩნევა. რაც შეეხება რ. ა-ის მიერ 2012 წლის დეკემბერში პროკურატურისათვის მიმართვას, ამ დროს მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა მსგავს შესაძლებლობას არ ითვალისწინებდა, შესაბამისად, საქართველოს პროკურატურა არ წარმოადგენდა იმ უფლებამოსილ უწყებას, რომელსაც რ. ა-ის მოსარჩელედ ცნობის და სისხლის სამართლის საქმის წარმოების ამგვარი მიმართულებით წარმართვის უზრუნველყოფის შესაძლებლობა გააჩნდა. ამასთან, 2012 წლის დეკემბერში მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა დაზარალებულად მიჩნეული პირის სამოქალაქო-სამართლებრივი მოთხოვნის არც სისხლის სამართლის საქმის წარმოების ფარგლებში დაკმაყოფილების შესაძლებლობას იძლეოდა. ამდენად, საქართველოს პროკურატურისათვის 2012 წლის დეკემბერში მიმართვა არ შეიძლება ჩაითვალოს რ. ა-ის დარღვეულ უფლებებში აღდგენისა და სამოქალაქო-სამართლებრივი ინტერესების დაკმაყოფილების ვარგის საშუალებად, ხოლო, თავის მხრივ, არაუფლებამოსილ უწყებაში წარდგენილი განცხადება, რომელიც სწორედ აღნიშნული საფუძვლით ვერ უზრუნველყოფს პირის უფლებებში აღდგენასა და მისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებული სამართლებრივი ინტერესების დაკმაყოფილების შესაძლებლობას, არ შეიძლება იქნეს მიჩნეული სამოქალაქო სამართალწარმოების მიზნებისათვის სარჩელის წარდგენის ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტის საფუძვლად. ამასთან, ხაზგასასმელია ისიც, რომ იმ პერიოდში, როდესაც საქართველოს პროკურატურას დაზარალებული პირის პარალელურად მოსარჩელედ ცნობის უფლებამოსილებაც გააჩნდა, რ. ა-ს შესაბამისი მოთხოვნებით არც აღნიშნული უწყებისათვის და არც სხვა რომელიმე უფლებამოსილი ორგანოსათვის არ მიუმართავს. საგულისხმოა ისიც, რომ მოსარჩელეს არც 2012 წლის 1 ოქტომბრიდან 2015 წლის 12 ნოემბრამდე მონაკვეთში არ გაუხდია სადავოდ 2006 წლის 4 ნოემბრის განცხადება, რომლის არსებობის შესახებაც მას საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან საქმის მასალათა გამოთხოვამდეც კი სრული ინფორმაცია გააჩნდა და რომელიც მოსარჩელისავე მტკიცებით, ცალმხრივი ნების იძულებით გამომხატველ გარიგებად უნდა ყოფილიყო მიჩნეული. რ. ა-ის მიმართ იძულების დადასტურების შემთხვევაშიც კი,

მას 2012 წლის მდგომარეობითაც სრულად ჰქონდა გათავისებული აღნიშნული, რასაც ადასტურებს 2012 წლის დეკემბერში მის მიმართ იძულების შესაძლო განხორციელების მიზნით მოსარჩელის მიერ საქართველოს პროკურატურისათვის მიმართვის ფაქტიც. ამასთან, მოსარჩელე სრულად აცნობიერებდა, რომ 2006 წლის 4 ნოემბრის განცხადება საქართველოს მთავრობისა და ქალაქ თბილისის მერიის სახელზე იქნა შედგენილი, თუმცა მიუხედავად აღნიშნულისა, 2012 წლის 1 ოქტომბრიდან 2015 წლის 12 ნოემბრამდე მონაკვეთში (სარჩელის წარდგენამდე) რ. ა-ის მიერ არც საქართველოს მთავრობისა და ქალაქ თბილისის მერიის, როგორც ადმინისტრაციულ ორგანოთა მეშვეობით არ იქნა მოძიებული 2006 წლის 4 ნოემბრის განცხადების შედეგები, ამასთან, საქმის მასალებით არ დასტურდება აღნიშნული განცხადების გამოთხოვის მიზნით არც ზემოხსენებული რომელიმე ადმინისტრაციული ორგანოსათვის მიმართვა მაშინ, როდესაც განცხადება რ. ა-ის მიერ სწორედ საქართველოს მთავრობისა და ქალაქ თბილისის მერიის მიმართ იქნა დაწერილი. ამდენად, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ 2012 წლის 1 ოქტომბრიდანაც კი რ. ა-ს 2015 წლის 12 ნოემბრამდე სასამართლოსათვის მიმართვის გზით არ მოუთხოვია დარღვეული უფლებების აღდგენა და საკუთარი ქონებრივი ინტერესების დაკმაყოფილება მაშინ, როდესაც მას აღნიშნულის სრული უფლებამოსილება და შესაძლებლობა გააჩნდა, ხოლო იმ პირობებში, როდესაც მოსარჩელეს სრული ცნობიერება გააჩნდა, სადავოდ გაეხადა მის მიერ შესაძლო იძულების წესით ქონების დათმობა, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის პოზიციას საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან გასაჩივრებული განკარგულების მოპოვების მომენტიდან სასამართლოსთვის ხანდაზმულობის ვადის დაცვით მიმართვასთან დაკავშირებით.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობით განსაზღვრულია სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადები. კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სხვა პირისაგან რაიმე მოქმედების შესრულების ან მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნის უფლებაზე ვრცელდება ხანდაზმულობა. ამავე კოდექსის 129-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სახელშეკრულებო მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა შეადგენს სამ წელს, ხოლო უძრავ ნივთებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო მოთხოვნებისა – ექვს წელს.

მოცემულ შემთხვევაში, დავა უკავშირდება უძრავ ნივთს, თუმცა სპეციალური კანონმდებლობით ასეთი ნივთისთვის განსაზღვრულია სამოქალაქო კოდექსისგან განსხვავებული უფლების

დაცვის ვადა. კერძოდ, საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლის მე-3 ნაწილზე, რომლის თანახმად, ცალკეულ შემთხვევებში კანონით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს ხანდაზმულობის სხვა ვადებიც. სადავო სამართალური თეორიის დროს მოქმედი „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი და მესამე პუნქტების თანახმად, პრივატიზებასთან დაკავშირებულ სადავო და ბათილად ცნობის საკითხებს განიხილავს სასამართლო. პრივატიზებულ სახელმწიფო ქონებასთან დაკავშირებული სადავო საკითხების სასარჩელო ხანდაზმულობის ვადაა სამი წელი.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 14 ივლისის №... განკარგულება, ისევე, როგორც გასაჩივრებული საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 10 ნოემბრის №... განკარგულება წარმოადგენს პრივატიზაციის შემადგენელ ნაწილს. შესაბამისად, განსახილველ დავაში სარჩელის ხანდაზმულობის ვადა სახელმწიფო ქონების პრივატიზების სპეციალური კანონმდებლობით განსაზღვრულ 3 წელს შეადგენს. ამასთან, საგულისხმოა, რომ საქართველოს პრეზიდენტის გასაჩივრებული 2006 წლის 10 ნოემბრის №... განკარგულებით ძალადაკარგულად გამოცხადდა „...-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთების პირდაპირი წესით განკარგვის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 14 ივლისის №... განკარგულება. აღნიშნული №... განკარგულების პირველი პუნქტით მიღებულ იქნა ქ. თბილისის მერიის წინადადება და ქ. თბილისში, ...-ის მიმდებარედ არსებული 63,5 ჰა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი პირდაპირი განკარგვის წესით საკუთრებაში გადაეცა რ. ა-ს. ამავე განკარგულების მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით საკუთრებაში გადაცემის პირობად განისაზღვრა მიწის ნაკვეთების განკარგვის თაობაზე ხელშეკრულებების გაფორმებისთანავე ...-ის რეაბილიტაციის პროცესის დაწყება და 2006 წლის 31 დეკემბრამდე ...-ისა და მიმდებარე ტერიტორიის (ამ განკარგულების შესაბამისად გადაცემული მიწის ნაკვეთების) დასუფთავება და ამ მიზნით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება. სააპელაციო პალატა მიუთითებს მხარეებს, რომ №... განკარგულების მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ...-ის მიმდებარედ არსებული 63,5 ჰა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის განკარგვის თაობაზე ხელშეკრულების გაფორმებისათვის და ტერიტორიის დასუფთავებისათვის განსაზღვრული იყო ვადა 2006 წლის 31 დეკემბრამდე.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ „სახელმწიფო ქონე-

ბის პრივატიზების შესახებ“ საქართველოს კანონი არ ითვალისწინებს მითითებას სარჩელის ხანდაზმულობის ვადის ათვლის დაწყების მომენტიდან დაკავშირებით. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში, გამოყენებულ უნდა იქნეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლი, რომლის თანახმად, ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან, ხოლო მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ.

საკასაციო პალატა ხაზგასმით მიუთითებს, რომ ...-ის მიმდებარედ არსებული ნ3,ნ 3ა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის მოსარჩელის საკუთრებაში გადაცემის თაობაზე ხელშეკრულება არ დადებულია, ამდენად, მოსარჩელე რ. ა-ი საჯარო რეესტრში სადავო უძრავი ქონების მესაკუთრედ არ დარეგისტრირებულია. ხანდაზმულობის სპეციალური ვადების გათვალისწინებით, პრივატიზებასთან დაკავშირებულ სადავო საკითხებთან მიმართებით მოსარჩელეს სასამართლოსათვის იმ დღიდან 3 წლის განმავლობაში უნდა მიემართა, როდესაც შეიტყო, რომ მასთან შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმება და მისთვის სადავო უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემა არ განხორციელდებოდა.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, მოსარჩელეს სარჩელი სასამართლოსათვის ხელშეკრულების გაფორმების ვადის ამოწურვის შემდგომ, 2007 წლის 1 იანვრიდან 3 წლის განმავლობაში არ წარუდგენია. მეტიც, სს „...ის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარესთან ბიზნეს-თანამშრომლობისა და საერთო საქმიანობის გათვალისწინებით, მას ჰქონდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ სადავო უძრავი ქონება სს „...მა“ შეიძინა, თუმცა მოსარჩელეს არც აღნიშნული კომპანიის მიერ ქონების შეძენის შემდგომ პერიოდში არ მიუმართავს სასამართლოსათვის დარღვეულ უფლებათა აღდგენის მოთხოვნით. საგულისხმოა ისიც, რომ სახელმწიფო ქონების პრივატიზების სპეციალური კანონმდებლობის დანაწესთა შესაბამისად, სარჩელი ხანდაზმულია იმ შემთხვევაშიც, თუკი მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის ათვლის საწყის წერტილად 2012 წლის 1 ოქტომბერს, ანუ სადავო აქტის გამოცემისას არსებული ხელისუფლების მმართველობის დასასრულს მივიჩნევთ, რამდენადაც სარჩელი სასამართლოსათვის წარდგენილია 2015 წლის 12 ნოემბერს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ, ერთი მხრივ, რ. ა-ის 2006 წლის 4 ნოემბრის გარიგებად მიჩნევის, მის მიმართ იძულების განხორციელების დადასტურების პირობებშიც კი, ხოლო, მეორე მხრივ, სადავო აქტის პრივატიზების შემადგენელ ნაწილად მიჩნევისა და ხანდაზმულობის სპეციალური ვადების გავრცელების შემთხვევაშიც კი, რ. ა-ის სარჩე-

ლი ყოველმხრივ ხანდაზმულია.

ამასთან, საკასაციო პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს მიუთითოს საქმის მასალებით დადგენილ იმ ფაქტობრივ გარემოებებზე, რომლებიც არსებითად წარმოაჩინენ განსახილველ დავაზე არსებულ სურათსა და მოცემულობას. კერძოდ, საკასაციო სასამართლო მიუთითებს რ. ა-ის მიერ 2006 წლის 4 ნოემბერს შედგენილ ...-ის მიმდებარედ არსებული 63,5 ჰა მიწის ნაკვეთის საკუთრებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ განცხადებაზე, რომლითაც რ. ა-მა უარი განაცხადა ზემოხსენებული ქონების მიღებაზე და მოითხოვა მის მიერ იჯარის წესით აღებული ქონების გამოსყიდვის მიზნით გადახდილი თანხის – 60 416.43 ლარის უკან დაბრუნება.

საკასაციო პალატა განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ 2006 წლის 4 ნოემბრის მდგომარეობით რ. ა-ი ...-ის მიმდებარედ არსებული 63,5 ჰა მიწის ნაკვეთის მესაკუთრე არასდროს გამხდარა, რამდენადაც აღნიშნულ ქონებაზე არ მომხდარა ხელშეკრულების საფასურსა თუ სხვა არსებით პირობებზე შეთანხმება, ამასთან, მხარეთა შორის არ გაფორმებულა ნასყიდობის ხელშეკრულება და არ განხორციელებულა რ. ა-ის საკუთრების უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. ამასთან, საკასაციო პალატა ხაზგასმით მიუთითებს რ. ა-სა და შპს „თ...ას“ შორის 2004 წელს შედგენილ და საქმეში წარმოდგენილ განზრახულობათა ოქმზე, რომლის მე-6 პუნქტის თანახმად, „მხარეები თანხმდებიან, რომ რ. ა-ის მიერ ...-ის გარშემო არსებული მიწის ნაკვეთის (საერთო ფართობი 63,5 ჰა) გამოსასყიდად და ამ ქონების სანესდებო კაპიტალში შემოსატანად საჭირო თანხა – 1 066 800 (ერთი მილიონ სამოცდაექვსი ათას რვაასი) ლარი – რ. ა-ს სესხის სახით მიეცემა შპს „თ...ის“ საკუთრებაში არსებული სს „...ის“ აქტივებიდან და მიზნობრივად მიიმართება აღნიშნული მიწის ნაკვეთის გამოსასყიდად და ამ ქონების სანესდებო კაპიტალში შემოსატანად. შესაბამისად, მხარეები თანხმდებიან, რომ რ. ა-ის მიერ სს „...ის“ სანესდებო კაპიტალში შემოსატანი უძრავი ქონების ღირებულება შეადგენს 3 066 800 (სამი მილიონ სამოცდაექვსი ათას რვაასი) ლარს, რომლის სანესდებო კაპიტალში შემოტანითაც 1 066 800 (ერთი მილიონ სამოცდაექვსი ათას რვაასი) ლარით დაიფარება შპს „თ...ის“ მიმართ არსებული დავალიანება, ხოლო 2 000 000 (ორი მილიონი) ლარის სანაცვლოდ რ. ა-ი მიიღებს სს „...ის“ 2 000 000 (ორ მილიონ) აქციას. იმ შემთხვევაში, თუ მიწის გამოსყიდვა მოხდება 2005 წელს, ამ პუნქტში აღნიშნული სესხის თანხა დაკორექტირდება 1 219 200 (ერთი მილიონ ორას ცხრამეტი ათას ორასი) ლარის, ხოლო შემოსატანი წილის ოდენობა დაკორექტირდება 3 219 200 (სამი მილიონ ორას ცხრამეტი ათას ორასი) ლარის შესაბამისად.“



ამდენად, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ რ. ა-ის მიწის ნაკვეთის მიმართ არსებული დაინტერესება საბოლოოდ სს „...ის“ აქციათა მოპოვებასთან იყო კავშირში. აღნიშნულს ადასტურებს განზრახულობათა ოქმის სწორედ ზემოხსენებული დათქმა, რომლის თანახმად, ...-ის მიმდებარედ არსებული 63,5 ჰა მიწის ნაკვეთის საბოლოო მესაკუთრე სწორედ სს „...ა“ უნდა გამხდარიყო, ხოლო რ. ა-ს ზემოაღნიშნულ მენარმე სუბიექტში განხორციელებული შენატანის სანაცვლოდ 2 000 000 აქცია უნდა გადასცემოდა.

საგულისხმოა ისიც, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 14 ივლისის №... განკარგულებით ...-ის მიმდებარე უძრავი ქონება – მიწის ნაკვეთები განიკარგა არა მხოლოდ რ. ა-ზე, არამედ აგრეთვე, სს „...ზეც“. კერძოდ, აღნიშნული განკარგულების პირველი პუნქტით, მიღებულ იქნა ქ. თბილისის მერიის წინადადება და ქ. თბილისში ...-ის მიმდებარედ არსებული 63,5 ჰა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი პირდაპირი განკარგვის წესით საკუთრებაში გადაეცა რ. ა-ს, ხოლო ამავე განკარგულების მე-2 პუნქტის თანახმად, მიღებულ იქნა მცხეთის რაიონის გამგეობის წინადადება და ... რაიონში ...-ის მიმდებარედ არსებული 267 ჰა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი პირდაპირი განკარგვის წესით საკუთრებაში გადაეცა სს „...ს“.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს ზემოაღნიშნულ და აგრეთვე იმ ფაქტორზე, რომ რ. ა-ის მიერ ქონების დათმობის შემდგომ ...-ის მიმდებარედ არსებული 63,5 ჰა მიწის ნაკვეთი სახელმწიფო საკუთრებაში ირიცხებოდა, ხოლო მოგვიანებით კი მისი მესაკუთრე სს „...ი“ გახდა, რომლის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე რ. ა-ის ბიზნეს-პარტნიორია. ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს სასამართლოს 2005 წლის 17 იანვრის №5/5-121 დადგენილებით, სს „...ის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი აგრეთვე აღნიშნული ბიზნეს-პარტნიორი იყო. ამასთან, საყურადღებოა თავად რ. ა-ის მიერ ქვედა ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას გაკეთებული განმარტებები, რომლებიც ცხადყოფს, რომ სს „...ის“ დაფუძნებით რ. ა-ი და დღევანდელი მდგომარეობით სს „...ის“ სამეთვალყურეო საბჭოს ერთ-ერთი წევრი გახდნენ ბიზნეს-პარტნიორები ...-ის მიმდებარე ტერიტორიის განვითარების მიზნით, ხოლო ქონების დათმობის შემდეგ და მეტიც, ...-ის მიმდებარედ არსებული 63,5 ჰა მიწის ნაკვეთის სს „...ის“ საკუთრებაში გადაცემის შემდგომაც კი, რ. ა-ი ზემოხსენებულ ბიზნეს-პარტნიორთან ერთად განაგრძობდა ...-ის მიმდებარე ტერიტორიის განვითარებას.

საკასაციო პალატა ასევე საგულისხმოდ მიიჩნევს ყურადღება გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ 2006 წლის 4 ნოემბრის წერილით რ. ა-ი ითხოვდა მის მიერ უძრავი ქონების გამოსყიდვის მიზ-

ნით გადახდილი თანხის – 60 416,43 ლარის უკან დაბრუნებას, რომლის ანაზღაურებაც, მისივე მითითებით, არ განხორციელებულა. შესაბამისად, საყურადღებოა ის გარემოება, რომ რ. ა-ს სასამართლოსათვის ან აღნიშნული თანხის ანაზღაურებაზე უფლებამოსილი სხვა უწყებისათვის თანხის გადახდის მოთხოვნით არც 2012 წლის 1 ოქტომბრამდე (მოსარჩელის აღქმით, მის მიმართ იძულების დასრულების მომენტამდე) და არც 2012 წლის 1 ოქტომბრის შემდგომ არ მიუმართავს.

საკასაციო სასამართლო აგრეთვე მიუთითებს საკასაციო საჩივარში კასატორის მიერ დაფიქსირებულ იმ პოზიციაზე, რომლის თანახმად, მოსარჩელე მიიჩნევს, რომ განსახილველ დავაში, რ. ა-ის განცხადების შეფასებისას საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლი და, შესაბამისად, აღნიშნული გარიგების ამორალურობიდან გამომდინარე, სასარჩელო მოთხოვნაზე ხანდაზმულობის ზოგადი ათწლიანი ვადა უნდა იქნეს გამოყენებული.

ზემოხსენებულის საპირისპიროდ, საკასაციო პალატა კვლავ მიუთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2017 წლის 2 მარტის №ას-664-635-2016 გადაწყვეტილების 208-ე პუნქტზე, რომლის თანახმად, „დიდი პალატა იზიარებს კასატორთა პრეტენზიებს სსკ-ის 54-ე მუხლის, როგორც მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმის გამოყენების დაუშვებლობაზე. ამ ნორმას ავტონომიური ფუნქცია არ გააჩნია, ის დეფინიციურია და კონკრეტულ სამართლებრივ შედეგს არ ითვალისწინებს. გასაჩივრებული განჩინებით, სასამართლომ ზნეობის საწინააღმდეგოდ, გასაკიცხ ქმედებად მიიჩნია მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებები ნასყიდობის ფასის არაადეკვატურობის გამო. მართოდენ გარიგების ამორალურობის ზოგადი ნორმის გამოყენებას, დიდი პალატა არასაკმარისად მიიჩნევს და, აქედან გამომდინარე, ამ ნორმის სააპელაციო სასამართლოსეული ინტერპრეტაცია არააღმაჯერებელია, რადგანაც ეწინააღმდეგება სამოქალაქო ბრუნვის პრინციპებს. სააპელაციო სასამართლოს შეფასება, რომ სსკ-ის 54-ე მუხლი, ამორალურ გარიგებებთან მიმართებით, შეიცავს მხოლოდ იმ დათქმას, რომ იგი არის გარიგება, რომელიც არღვევს ზნეობის ნორმებს და გავლენის ბოროტად გამოყენების შედეგად ან იძულებით დადებული გარიგებებისაგან (სსკ-ის 55-ე და 85-ე მუხლებისაგან) განსხვავებით, მისი ამორალურად მიჩნევისათვის აუცილებელი არ არის იმ გარემოებათა დადგენა-დადასტურება, რამაც განაპირობა მისი დადება (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების 99.13-99.14 ქვეპუნქტები), ეს კი იმთავითვე მცდარია. ასეთი განმარტება ეწინააღმდეგება ხელშეკრულების დადებისა და მისი შინაარსის განსაზღვრის თავისუფლების პრინციპს (სსკ-ის 319.1-ე

მუხლი „კერძო სამართლის სუბიექტებს შეუძლიათ კანონის ფარგლებში თავისუფლად დადონ ხელშეკრულებები და განსაზღვრონ ამ ხელშეკრულებათა შინაარსი. მათ შეუძლიათ დადონ ისეთი ხელშეკრულებებიც, რომლებიც კანონით გათვალისწინებული არ არის, მაგრამ არ ეწინააღმდეგება მას. თუ საზოგადოების ან პიროვნების არსებითი ინტერესების დაცვისათვის ხელშეკრულების ნამდვილობა დამოკიდებულია სახელმწიფოს ნებართვაზე, მაშინ ეს უნდა მონესრიგდეს ცალკე კანონით“). სამოქალაქო კანონები საქართველოს ტერიტორიაზე უზრუნველყოფენ სამოქალაქო ბრუნვის თავისუფლებას, თუ ამ თავისუფლების განხორციელება არ ხელყოფს მესამე პირთა უფლებებს (სსკ-ის მე-9 მუხლი). ამ ნესიდან არსებული გამონაკლისი, ამ თავისუფლების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის იმპერატიული დანაწესიდან გამომდინარე. სააპელაციო სასამართლოს იმ დასკვნის გაზიარება, რომ „საკმარისია, არსებობდეს დისპროპორცია ხელშეკრულების მხარეების მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შორის“, რათა გარიგება ამორალურად იქნეს მიჩნეული, ხელს შეუშლის სამოქალაქო ბრუნვის ნორმალურ განვითარებასა და სტაბილურობას, რადგანაც ხელშეკრულების არაკეთილსინდისიერ მხარეს, სათანადო წინაპირობების არარსებობის პირობებშიც კი, შეეძლება უარი თქვას ხელშეკრულებაზე“.

საკასაციო სასამართლო უპირველესად მიუთითებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 29 დეკემბრის №3/7/679 გადაწყვეტილებაზე, რომლის 55-ე პუნქტის თანახმად, „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლი წარმოადგენს გარიგების ბათილობის ზოგად საფუძველს. მისი მიზანია, მოუწესრიგებელი არ დატოვოს შემთხვევები, როდესაც გარიგების აღსრულება, თავისი არსით, ეწინააღმდეგება სახელმწიფოებო სამართლის ფუნდამენტურ მიზნებს, თუმცა არ ექცევა სხვა ნორმებით განსაზღვრულ ბათილობის შემთხვევებში. სადავო ნორმის მიზანი, ზოგადად, საჯარო წესრიგსა და ზნეობასთან შეუსაბამო გარიგებების ბათილობის განსაზღვრაა და არა მოსამართლის ინდივიდუალური მოსაზრების მხარეთათვის თავს მოხვევა.“

ამასთან, საკასაციო პალატა მიუთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 21 ივლისის №ას-688-654-2015 განჩინებაში განვითარებულ მსჯელობასა და განმარტებაზე, კერძოდ, აღნიშნული განჩინების 24-ე პუნქტზე, რომლის თანახმად, „რასაკვირველია, გარიგების დადების მიზნით პირის იძულება იმავდროულად მართლსაწინააღმდეგო მოქმედებაა, რადგანაც ამ დროს ირღვევა საჯარო წესრიგი [სამოქალაქო ბრუნვის ფუნდამენტური პრინციპები, სსკ-ის 54-ე მუხლი]. მოცემულ შემთხვევაში, შეილახა ა-ე ბ-ს საკუთრების უფლე-

ბა – მისი კუთვნილი, ქ. თბილისში, ფ-ს №...-ში/გ-ის [ყოფილი კე-ს ქუჩა №...] მდებარე უძრავი ქონება, 16.24 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართი, გადავიდა სახელმწიფო საკუთრებაში. ამდენად, მართალია, სსკ-ის 54-ე და 85-86 (1)-ე მუხლებით გათვალისწინებული ორივე შემადგენლობა განხორციელებულია, მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში, გამოყენებული უნდა იქნას მხოლოდ სპეციალური შემადგენლობით, სსკ-ის 85-86(1) მუხლებით, გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგი.“

ამდენად, საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ განსახილველ საქმეში, შემთხვევის სპეციალურობიდან გამომდინარე, გამოყენებულ უნდა იქნეს იძულებით დადებული გარიგების ნორმები. თავის მხრივ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის სადავო გარიგებაზე გავრცელება არ დაიშვება მხოლოდ ფასის დისპროპორციის საფუძველით. კერძოდ, საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „საკონსტიტუციო სასამართლო ვერ გაიზიარებს მოსარჩელე მხარის არგუმენტაციას, რომლის თანახმადაც, სადავო ნორმა მოსამართლეს განუზომელ, უკონტროლო დისკრეციას ანიჭებს და მან სადავო ნორმას ნებისმიერი, მისთვის სასურველი შინაარსი შეიძლება შესძინოს. აღნიშნულს მოწმობს ისიც, რომ მოსარჩელეების მიმართ, მიმდინარე სამოქალაქო საქმეზე, პირველი და მე-2 ინსტანციის სასამართლოების მიერ გაკეთებული განმარტება არ გაიზიარა საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ. უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ სადავო ნორმა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 391-ე მუხლის პირველი ნაწილის კონტექსტში განმარტა და მიუთითა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის იმგვარი განმარტება, რომლის ფარგლებშიც იგი შექმნის ხელშეკრულების ბათილობის საფუძველს მარტოოდენ ფასის დისპროპორციის გამო, ეწინააღმდეგება ხელშეკრულების დადებისა და მისი შინაარსის განსაზღვრის თავისუფლების პრინციპს“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 29 დეკემბრის №3/7/679 გადაწყვეტილება).

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ რ. ა-ის 2006 წლის 4 ნოემბრის განცხადება საქმეზე არსებულ ფაქტობრივ მოცემულობასთან ერთობლიობაში არ იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ განსახილველ შემთხვევაში, სახეზეა ამორალური ცალმხრივი ნების გამოვლენა. კერძოდ, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები ცხადყოფს, რომ მოსარჩელე არასდროს არ ყოფილა ...-ის მიმდებარედ არსებული სადავო მიწის ნაკვეთის (63,5 ჰა) მესაკუთრე. აღნიშნულ ქონებასთან დაკავშირებით მხარეთა შორის არ გაფორმებულა ნასყიდობის ხელშეკრულება და არ მომხდარა უძრავი ქონების საფასურის განსაზღვრა და შესაბამისად, ხსენებული

ქონების სანაცვლოდ რ. ა-ის მხრიდან გარკვეული თანხის გადახდა. იმ პირობებში, როდესაც სადავო ქონებაზე არ არსებობდა რ. ა-ის საკუთრების უფლება, შეუძლებელია მსჯელობა 2006 წლის 4 ნოემბრის განცხადებით გამოწვეულ რაიმე სახის შეუსაბამო და ამორალურ თანხობრივ დისპროპორციასზე, რამდენადაც დათმობილ იქნა არა მოსარჩელის საკუთრება, არამედ უარი იქნა გაცხადებული უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემის მოთხოვნაზე.

ამასთან, საკასაციო სასამართლო მიუთითებს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის სამართლებრივ შინაარსზე, რომელიც „უზრუნველყოფს უფლებას არსებულ ქონებაზე, რაც ასევე მოიცავს მოთხოვნებს, რომლის საფუძველზეც განმცხადებელს აქვს საკუთრების უფლებით ეფექტიანი სარგებლობის მოპოვების მიზნით „ლეგიტიმური მოლოდინი“. (მორისი საფრანგეთის წინააღმდეგ (Maurice v. France), No. 11810/03, 6.10.03; პლექხანოვი პოლონეთის წინააღმდეგ (Plechanow v. Poland), No. 22279/04, 7.7.09;).

საკასაციო პალატა ხაზგასმით მიუთითებს, რომ მომავალი შემოსავალი განიხილება „საკუთრებად“ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის უკვე გამოუმუშავებულია ან მასზე აღსრულებადი მოთხოვნა უკვე არსებობს (ამბრუსი იტალიის წინააღმდეგ (Ambruosi v. Italy), No. 31227/96, 19.10.00, მე-20 პარაგრაფი). უფრო მეტიც, „დიდი ხნის განმავლობაში ეფექტიანად აღსრულებადი ძველი საკუთრების უფლების გადარჩენის აღიარების იმედი“ არ უტოლდება „საკუთრებას“ (სლივენკო ლატვიის წინააღმდეგ (Slivenko v. Latvia), No. 48321/99, 23.1.02, მე-12 პარაგრაფი).

„ლეგიტიმური მოლოდინის“ ცნებასთან მიმართებით, საინტერესოა საქმე კოპეცკი სლოვაკეთის წინააღმდეგ (კოპეცკი სლოვაკეთის წინააღმდეგ (Kopecký v. Slovakia), No. 44912/98, 7.1.03 (პალატა) და 28.9.04 (დიდი პალატა). მოცემულ საქმეში, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ დაადგინა, რომ განმცხადებელს არ ჰქონდა „ლეგიტიმური მოლოდინი“ 1950-იან წლებში ჩამორთმეულ მონეტებზე მის მოთხოვნასთან მიმართებით, ვინაიდან ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნები რეალურად არ შესრულებულა.

ლეგიტიმური მოლოდინის საკითხზე მნიშვნელოვანია, ზემოხსენებულ საქმეში მოცემული განმარტება, რაც ხშირად მეორდება შემდგომ პრეცედენტულ სამართალშიც (Centro Europa 7 S.r.l და დისტეფანო იტალიის წინააღმდეგ (Centro Europa 7 S.r.l and Di Stefano v. Italy), No. 38433/09, 07.06.2012, 73-ე პარაგრაფი): „როდესაც საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული ინტერესი მოთხოვნის ბუნებისაა, პირი, რომელსაც ის გააჩნია, შესაძლოა მიჩნეულ იქნეს „ლე-

გიტიმური მოლოდინის“ მქონედ, თუ აღნიშნული ინტერესის არსებობისთვის საკმარისი და სათანადო საფუძველი არსებობს ეროვნულ სამართალში, მაგალითად, სადაც არსებობს ეროვნულ სასამართლოებში დამკვიდრებული პრაქტიკა/პრეცედენტული სამართალი, რომელიც აღნიშნულის არსებობას ადასტურებს...”

ლეგიტიმური მოლოდინის შესაფასებლად ხაზგასასმელი დეფინიციაა მოცემული საქმეში რამაერი და ვან ვილიგენი ნიდერლანდების წინააღმდეგ (რამაერი და ვან ვილიგენი ნიდერლანდების წინააღმდეგ (Ramaer and Van Willigen v. the Netherlands), No. 34880/12, 23.10.2012. 81-ე პარაგრაფი), სადაც სასამართლომ აღნიშნა, რომ „მომჩინების მოლოდინები არ ეფუძნებოდა რაიმე სამართლებრივ დანაწესს ან სამართლებრივ აქტს, როგორცაა, მაგალითად, სასამართლოს გადაწყვეტილება. ისინი უფრო ეყრდნობოდა იმედს, რომ მათ გაუხანგრძლივებდნენ ან განუახლებდნენ სადაზღვევო ხელშეკრულებებს იმ პირობებით, რომლებიც ძველ პირობებთან შედარებით ნაკლებად ხელსაყრელი მათთვის არ იქნებოდა. სასამართლომ საკუთარ პრეცედენტულ სამართალში უკვე არაერთხელ გაამახვილა ყურადღება განსხვავებაზე სარგებლის მიღების იმედსა (როგორი გასაგებიც არ უნდა იყოს ეს იმედი) და ლეგიტიმურ მოლოდინს შორის, რომელიც აუცილებელია, იყოს უფრო კონკრეტული ბუნების ვიდრე უბრალო იმედი და ეფუძნებოდეს სამართლებრივ დანაწესს ან სამართლებრივ აქტს.“

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის ანალიზისა და შეფასების საფუძველზე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სადავო უძრავი ქონების რ. ა-ის საკუთრებაში გადაცემის მოთხოვნის უფლება არ წარმოადგენდა ევროსასამართლოს პრაქტიკით ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის დაცვის ქვეშ მოქცევად „ლეგიტიმურ მოლოდინს“ საკუთრების უფლების მიღებაზე. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ უპირველესად, ამგვარი მოლოდინის წარმოშობას რ. ა-ისათვის ...-ის მიმდებარედ არსებული 63,5 ჰა მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის გზით გადაცემის შესახებ საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 14 ივლისის №... განკარგულება გამოორიცხავდა, რამდენადაც აღნიშნული განკარგულება შეიცავდა გარკვეული პირობების შესრულების ვალდებულებას რ. ა-ის მხრიდან. ამდენად, პირობებზე დამყარებულ სამართლებრივ აქტს არ შეეძლო მის ადრესატში გამოენვია „ლეგიტიმური მოლოდინი“ სადავო ქონებაზე საკუთრების უფლების მიღებისა. ამასთან, ამგვარი მოლოდინის გამოორიცხვას განაპირობებდა მოსარჩელისათვის მიწის ნაკვეთის გადაცემით გამოწვეული როგორც ფაქტობრივი, აგრეთვე, სამართლებრი-

ვი მოცემულობა. საკასაციო პალატა ხაზგასმით მიუთითებს, რომ მხარეთა შორის არ დადებულია უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულება, რომელიც რ. ა-ის საკუთრების უფლების წარმოშობის საფუძველი იქნებოდა. მეტიც, მხარეთა მიერ არ განსაზღვრულა სადავო მიწის ნაკვეთის (63,5 ჰა) სახელშეკრულებო ღირებულება, არ მომხდარა შეთანხმება ხელშეკრულების არც სხვა რომელიმე არსებით პირობაზე. საგულისხმოა, რომ სადავო პერიოდში „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ საქართველოს კანონის დანაწესები ითვალისწინებდა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების მხოლოდ გარკვეული საფასურის სანაცვლოდ გადაცემას და არა მის ჩუქებას ფიზიკურ თუ იურიდიულ პირზე. კერძოდ, აღნიშნული კანონის მე-6 მუხლით განსაზღვრულია სახელმწიფო ქონების პრივატიზების ფორმები, ხოლო მის თითოეულ პუნქტში კონკრეტულ ფორმასთან მიმართებით მოხსენებულია ნასყიდობის ხელშეკრულებისათვის დამახასიათებელი მხარეების სტატუსი – მყიდველი და გამყიდველი. ამასთან, ამავე კანონის მე-7 პუნქტით გათვალისწინებულია საპრივატიზებო ქონების სანყისი ფასის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესი, რაც ბუნებრივია, ჩუქების ხელშეკრულების მიმართ ვერ იქნება გამოყენებული. ამდენად, იმ პირობებში, როდესაც არ არსებობდა ხელშეკრულება და შეთანხმება სადავო ქონების კონკრეტულ ღირებულებაზე, ფაქტია, რომ განსახილველ დავასთან მიმართებით არ არსებობს ის ფაქტობრივი მოცემულობები (კონკრეტულად არ არსებობს ხელშეკრულება), რომლებიც შესაბამისი სამართლებრივი გამოხატულებით (ხელშეკრულების გაფორმების გზით) რ. ა-ში გამოიწვევდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლით დაცულ „ლეგიტიმურ მოლოდინს“ სადავო უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების წარმოშობასთან დაკავშირებით. ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ რ. ა-ის 2006 წლის 4 ნოემბრის გარიგებად მიჩნევის პირობებშიც კი, არ არსებობს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის, როგორც ამორალური გარიგების სამართლებრივი შემადგენლობა, რის გამოც არ არსებობს აღნიშნული საფუძვლით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაუქმების ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძველი.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოცემული საქმის გადანყვეტისათვის არსებით მნიშვნელობას არ იძენს იძულების ფაქტის დადასტურება, რამდენადაც აღნიშნულის დადასტურებისა თუ მისი დაუდასტურებლობის შემთხვევაშიც კი, როგორც იძულების შეცილების ვადის, ასევე, პრივატიზაციასთან დაკავშირებული ხანდაზმულობის სპე-

ციალური სამწლიანი ვადის გაშვების საფუძველით, რ. ა-ის მოთხოვნა ყოველმხრივ ხანდაზმულია და არ არსებობს მისი დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი. იმ პირობებში, როდესაც იძულების ფაქტის დადასტურებაც კი სარჩელის ხანდაზმულობის გამო დავის გადანყვევების ბედზე ზეგავლენას ვერ ახდენს, არსებით მნიშვნელობას არ იძენს მოწმის სახით დასაკითხი პირის მიერ შესაძლო იძულების თაობაზე მონოდებული ინფორმაცია, რამდენადაც აღნიშნული ინფორმაციის მართებულობის დადასტურებითაც კი ვერ შეიცვლება განსახილველ დავაზე სასამართლო გადანყვევებით დამდგარი შედეგი. შესაბამისად, ამგვარი შეუძლებლობის პირობებში, უსაფუძვლოა ასევე რ. ა-ის მოთხოვნა მოწმის სახით ზ. ყ-ის დაკითხვაზე უარის თქმის ნაწილში თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის საოქმოდ განჩინების გაუქმების თაობაზე.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ რ. ა-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 13 მარტის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადანყვევტილება, რომლითაც რ. ა-ის სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს ხანდაზმულობის გამო. ამასთან, უცვლელად უნდა დარჩეს მოწმის სახით ზ. ყ-ის დაკითხვაზე უარის თქმის ნაწილში ამავე სასამართლოს საოქმოდ განჩინება.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

### **გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :**

1. რ. ა-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 13 მარტის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადანყვევტილება;
3. რ. ა-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს ხანდაზმულობის გამო;
4. უცვლელად დარჩეს მოწმის სახით ზ. ყ-ის დაკითხვაზე უარის თქმის ნაწილში თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის საოქმოდ განჩინება;
5. საკასაციო სასამართლოს გადანყვევტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.



## 2. საცხოვრებელი ბინის პრივატიზაცია

### ბინის პრივატიზაციის ხელშეკრულების კანონიერება

### პირის კანონიერ მოსარგებლედ მიჩნევისათვის საჭირო წინაპირობები

#### გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

№ბს-639-632(2კ-16)

13 მარტი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ნ. სხირტლაძე

**დავის საგანი:** ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა

#### აღწერილობითი ნაწილი:

გ. ტ-ომ 2015 წლის 3 ივლისს აღძრა სარჩელი ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მოპასუხე ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიმართ, რომლითაც მოითხოვა: ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2015 წლის 18 მაისის №01-06-48 ბრძანების ბათილად ცნობა, ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობისათვის ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება და გ. ა. ასულ ტ-ოსათვის, როგორც ანდერძისმიერი მემკვიდრისა და კანონიერი მოსარგებლისათვის უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების გადაცემა – მდებარე ქ. ქობულეთი, ... ქ. №..., ბინა №..., რომლის საერთო ფართობი 58.18 კვ/მ. (მათ შორის, საცხოვრებელი ფართი – 28.35 კვ/მ და დამხმარე ფართი – 29.83 კვ/მ).

მოსარჩელის განმარტებით, ქობულეთის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის 1983 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილების საფუძველზე, მ. დ-ას ო. მ-ასთან ერთად, ქ. ქობულეთში, ... ქუჩა ... ბინა №...-ში გამოეყო საცხოვრებელი ფართი, რაზედაც ქობულეთის საქალაქო საბჭოს აღმასკომის მიერ 1984 წლის 3 თებერვალს გაცემულ იქნა ორდერი. მ. დ-ამ 1984 წლის 24 თებერვალს თავისი ქონება უანდერძა გ. ტ-ოს, რომელმაც 1984 წლის 23 თე-

ბერვალს მ. დ-ას გარდაცვალების შემდეგ, სანოტარო ორგანოში წარადგინა ანდერძი და მემკვიდრეობით მიიღო მ. დ-ას სამკვიდრო ქონება, ქობულეთში, ... ქ. №... ბინა №...-ში მდებარე მეორე ოთახზე. საქალაქო საბჭოს აღმასკომის 1995 წლის 30 ოქტომბრის N263 გადაწყვეტილების საფუძველზე, ქ. მ-ის სახელზე გაიცა ორდერი. ქ. მ-ის გარდაცვალების შემდეგ, მისი სამკვიდრო ქონება მემკვიდრეობით მიიღო ს. მ-ემ, რომელმაც 2004 წლის 1 სექტემბერს სასარჩელო განცხადებით მიმართა ქობულეთის რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა შპს „...“ მასთან პრივატიზაციის ხელშეკრულების გაფორმების დავალება, ქ. ქობულეთში, ... ქ. №... ბინა №...-ში დარჩენილ ფართზე, რაც ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 15 აგვისტოს დაუსწრებელი გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა. შესაბამისად, ქობულეთის საკრებულოს გამგეობასა და ს. მ-ეს შორის, 2006 წლის 17 თებერვალს გაფორმდა პრივატიზაციის ხელშეკრულება, თუმცა დაინტერესებულ პირთა განცხადების საფუძველზე, ქობულეთის რაიონული სასამართლოს მიერ 2007 წლის 3 სექტემბერს გაუქმდა ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 15 აგვისტოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება, განახლდა საქმის წარმოება და 2007 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, ს. მ-ის სარჩელი ქობულეთში, ... ქ. №... ბინა №...-ში მდებარე ფართის ნაწილის პრივატიზაციის დავალების თაობაზე არ დაკმაყოფილდა. 2010 წლის 23 აპრილს გ. ტ-ომ სარჩელი აღძრა სასამართლოში და ქობულეთის საკრებულოს გამგეობასა და ს. მ-ეს შორის 2006 წლის 17 თებერვლის პრივატიზაციის ხელშეკრულების ბათილად ცნობა მოითხოვა, რაც ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 2 დეკემბრის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა და ბათილად იქნა ცნობილი ქობულეთის საკრებულოს გამგეობასა და ს. მ-ეს შორის 2006 წლის 17 თებერვალს გაფორმებული ქ. ქობულეთში, ... ქ. №... ბინა №...-ში მდებარე საცხოვრებელი ბინის პრივატიზაციის ხელშეკრულება.

მოსარჩელე ასევე მიუთითებდა, რომ გ. ტ-ომ, როგორც მ. დ-ას ანდერძით მემკვიდრემ და კანონიერმა მოსარგებლემ, 2012 წლის 24 თებერვლით დათარიღებული განცხადებით და თანდართული მასალებით მიმართა ქობულეთის მუნიციპალიტეტს, ქ. ქობულეთში, ... ქუჩა №..., ბინა №...-ში მდებარე, 58.18 კვ.მ. საერთო ფართის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის თაობაზე. ქობულეთის მუნიციპალიტეტმა გ. ტ-ოს მოთხოვნა არ დააკმაყოფილა და 2012 წლის 5 მარტის №ტ-09 ნერილით აცნობა, რომ ქობულეთში, ... ქ. №... მდებარე №... ბინა საჯარო რეესტრის მონაცემებით წარმოადგენს მოქალაქე ს. მ-ის საკუთრებას, რომელსაც გ. ტ-ოს განცხადების საფუძველზე, ბათუმის საქალაქო სასამართლოს განჩინებით

ადევს ყადაღა და აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით გამგეობა არ არის უფლებამოსილი, დღეის მდგომარეობით განკარგოს ბინის ნაწილი მის სახელზე.

გ. ტ-ომ 2012 წლის 6 აპრილს სარჩელი აღძრა ბათუმის საქალაქო სასამართლოში და ქ. ქობულეთში, ... ქ. №... ბინა №...-ში საცხოვრებელი ბინის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემაზე უარის თქმის შესახებ ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2012 წლის 5 მარტის №ტ-09 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და სადავო ბინის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის თაობაზე ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება მოითხოვა. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 23 აგვისტოს გადაწყვეტილებით გ. ტ-ოს სარჩელი არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება გასაჩივრებულ იქნა სააპელაციო წესით ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 26 მარტის გადაწყვეტილებით, გ. ტ-ოს სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 23 აგვისტოს გადაწყვეტილება, სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2012 წლის 5 მარტის №ტ-09 გადაწყვეტილება, ქ. ქობულეთში, ... ქ. №... მდებარე №... საცხოვრებელი ბინის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემაზე უარის თქმის შესახებ და დაევალა ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შედეგად გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გ. ტ-ოს განცხადებასთან დაკავშირებით, რომლითაც მოთხოვნილია ქ. ქობულეთში, ... ქ. №... მდებარე №... საცხოვრებელი ბინის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემა. აღნიშნული გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში.

ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობაში დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, 2015 წლის 18 მაისს მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომლითაც გ. ტ-ოს განცხადება არ დაკმაყოფილდა იმ მოტივით, რომ გ. ტ-ო ვერ აკმაყოფილებს კანონიერი მოსარგებლისათვის დადგენილ პირობებს, კერძოდ: მისი მამკვიდრებლის მ. დ-ას გადაცვალების შემდეგ, ორდერით გაცემული ქონება უფლებამოსილი ორგანოს მიერ განიკარგა სხვა პირზე, რის გამოც გ. ტ-ომ ვერ მოიპოვა მასზე სარგებლობის უფლება, ამასთან, სამკვიდრო ქონებაში სადავო ბინა არ შესულა და ვერც შევიდოდა, ვინაიდან სამსახურებრივად დროებით გამოყოფილ ფართს წარმოადგენდა. მოსარჩელის განმარტებით, გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმი-

ნისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია კანონის მოთხოვნათა დარღვევით, რის გამოც იგი ბათილად უნდა იქნეს ცნობილი.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 8 ივლისის განჩინებით ადმინისტრაციულ საქმეში საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე მესამე პირად ჩაბმულ იქნა ს. მ-ე.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 2 ნოემბრის განჩინებით ადმინისტრაციულ საქმეში გ. ტ-ოს სარჩელის გამო მოპასუხე ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის, მესამე პირის – ს. მ-ის მიმართ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის, ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე მოთხოვნით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, მესამე პირად ჩაბმულ იქნა ნ. მ-ე.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილებით გ. ტ-ოს სარჩელი მოპასუხის ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის, მე-სამე პირების – ს. მ-ისა და ნ. მ-ის მიმართ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის, ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა გ. ტ-ომ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 19 აპრილის გადაწყვეტილებით გ. ტ-ოს სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილება. სადავო საკითხის გადაწყვეტილად ბათილად იქნა ცნობილი ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2015 წლის 18 მაისის №01-06-48 ბრძანება. ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას დაევალა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევის საფუძველზე გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გ. ტ-ოს განცხადებასთან დაკავშირებით.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ 2004 წლის 1 სექტემბერს ს. მ-ემ მიმართა სარჩელით ქობულეთის რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა შპს „...“ დავალდებულება გაუფორმოს ქ.ქობულეთში, ... ქუჩა №..., ბინა №...-ის ნაწილის პრივატიზაციის ხელშეკრუ-

ლება. ქობულეთის რაიონული სასამართლოს სხდომაზე შპს „...“ წარმომადგენელი არ გამოცხადდა, რის გამოც 2005 წლის 12 აგვისტოს სასამართლომ მიიღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომლითაც შპს „...“ დაევალა ს. მ-ესთან პრივატიზაციის ხელშეკრულების გაფორმება ქ.ქობულეთში, ... ქუჩის №... №...-ში მდებარე ბინაზე.

ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 12 აგვისტოს გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით 2006 წლის 17 თებერვალს ქობულეთის რაიონის გამგეობასა და ს. მ-ეს შორის გაფორმდა პრივატიზაციის ხელშეკრულება, რომლითაც ს. მ-ეს უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაეცა ქობულეთში, ... ქუჩის №... ბინა №...-ის ნაწილი.

ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 05 სექტემბრის განჩინებით ბათილად იქნა ცნობილი ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 12 აგვისტოს გადაწყვეტილება და საქმის წარმოება განახლდა, ხოლო 2007 წლის 29 ოქტომბრის 10 გადაწყვეტილებით ს. მ-ის სარჩელი ქობულეთში, ... ქუჩის №..., ბინა №...-ის ნაწილის პრივატიზაციის ხელშეკრულების გაფორმების დავალდებულების შესახებ – არ დაკმაყოფილდა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 2 დეკემბრის გადაწყვეტილებით, რომელიც შესულია კანონიერ ძალაში, სასამართლომ გაიზიარა ს. მ-ის წარმომადგენლის მოსაზრება, რომ მ. დ-ას ანდერძში, რომელიც გ. ტ-ოს სახელზეა გაცემული, ქობულეთში, ... ქუჩა №..., ბინა №... არ არის აღნიშნული, რადგან ანდერძის შედგენის დროს ბინა არ იყო მ. დ-ას საკუთრება – იგი ამ ბინის დამქირავებელს წარმოადგენდა. გ. ტ-ომ მ. დ-ასაგან მიიღო ყველა სახის აქტივი და პასივი, რაც მას გააჩნდა... მ. დ-ა იყო ქირავნობის ხელშეკრულების მონაწილე და მას ორდერით მიღებული ქონების სარგებლობის უფლება გააჩნდა. გ. ტ-ოს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 571-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეეძლო მიეღო მხოლოდ ქირავნობის უფლება.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 2 დეკემბრის გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობასა და ს. მ-ეს შორის 2006 წლის 17 თებერვალს დადებული პრივატიზაციის ხელშეკრულება ბინაზე – მდებარე, ქობულეთი, ... ქუჩა №..., ბინა №... საქმეში წარმოდგენილ საარქივო ცნობაში, რომელიც მომზადდა გ. ტ-ოს მიმართვის საფუძველზე, აღნიშნულია, რომ ... სახლ „...“ მობინადრეთა შესახლების შესახებ ქობულეთის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის 1983 წლის 26 დეკემბრის №301 გადაწყვეტილებით ორდერები გაიცა ... სახლ „...“ – ბინიან კორპუსში შესახლებულ მოქალაქეებზე.

მათ შორის, საარქივო ცნობის დანართ სიაში მე-20 ნომრად მითითებულია დ-ა მ. დ. ასული, მ-ა ო. ი. ასული – ოჯახის შემადგენლობა 2; ნათესაური დამოკიდებულება – თანამობინადრენი; სადარბაზო – ..., სართული – 5, ბინა – ..., საცხოვრებელი ფართობი – 28; ქობულეთის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის 1983 წლის 26 დეკემბრის №301 გადაწყვეტილების საფუძველზეა გაცემული საქმეში წარმოდგენილი ორდერი №00330, სადაც დამქირავებლებად მითითებულნი არიან მ. დ-ა და ო. მ-ა. ორდერში აღნიშნულია: სულადობა – 2, ოთახების რაოდენობა – 2, იზოლირებული, ფართობი – 28 კვ.მ. მისამართი: ქუჩა -..., სახლი – №..., ბინა – ..., სადარბაზო – ..., სართული – V ამდენად, ქობულეთში, ... ქუჩა, სახლი №..., ბინა – ..., სადარბაზო – ..., სართული – V, 28 კვ.მ საცხოვრებელი ბინის კანონიერ მოსარგებლებს წარმოადგენდნენ მ. დ-ა და ო. (ო.) მ-ა.

სააპელაციო პალატამ დადგინებულად მიიჩნია, რომ ქობულეთის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის 1985 წლის 30 ოქტომბრის №263 გადაწყვეტილებით ქ. მ-ეს გამოეყო ქობულეთში, ... ქუჩა №..., ბინა №..., ერთი ოთახი – 15 კვ.მ. 1985 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილების საფუძველზე ქ. მ-ის სახელზე ორდერი გაიცა 1997 წლის 10 აგვისტოს. ორდერით დასტურდება, რომ ქ. მ-ეს გადაეცა 15 კვ.მ. ფართობის ბინა №..., ... ქუჩა №... სახლში. სადარბაზო ..., სართული – I. მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანო ამტკიცებს, რომ გ. ტ-ოს მიერ მოთხოვნილი საცხოვრებელი ბინა, მ. დ-ას გარდაცვალების შემდეგ (21.02.1984წ) გადაეცა ქ. მ-ეს. ეს მტკიცება გაიზიარა ბათუმის საქალაქო სასამართლომაც და მიიჩნია, რომ მ. დ-ას მემკვიდრეს მითითებულ ბინასთან დაკავშირებით რაიმე უფლებები არ წარმოშობია. პალატის აზრით, ადგილობრივ თვითმმართველობას, რა თქმა უნდა, გააჩნდა უფლება სხვა დამქირავებლისათვის გადაეცა თავისუფალი საცხოვრებელი ფართი, თუმცა ეს უნდა მომხდარიყო იმ პროცედურის დაცვით, რასაც ითვალისწინებდა იმ დროს მოქმედი საქართველოს სსრ საბინაო კოდექსი.

ამდენად, მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელმაც გ. ტ-ოს უარი განუცხადა საცხოვრებელი ბინის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემაზე იმ საფუძველით, რომ მისი მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდეგ საცხოვრებელი ბინის დამქირავებელს სხვა პირი (ქ. მ-ე) წარმოადგენდა, უნდა გამოეკვლია სადავო საცხოვრებელ ფართთან გ. ტ-ოს დამოკიდებულება მას შემდეგ, რაც მ. დ-ა გარდაიცვალა. ვინ სარგებლობდა ფაქტობრივად საცხოვრებელი ფართობით, ვინ იხდიდა კომუნალურ გადასახადებს და ა.შ. მ. დ-ას გარდაცვალების შემდეგ ქ. მ-ეს გადაეცა თუ არა საცხოვრებელი

ფართი საქართველოს სსრ საბინაო კოდექსის მოთხოვნების დაცვით და გახდა თუ არა ის სადავო ბინის დამქირავებელი (კანონიერი მოსარგებლე).

საქართველოს სსრ საბინაო კოდექსის 57-ე მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საბინაო ფონდის სახლებში საცხოვრებელი სადგომის მიცემის გადაწყვეტილების საფუძველზე სახალხო დეპუტატთა შესაბამისი (საქალაქო, რაიონული, ქალაქის რაიონული, სადაბო, სასოფლო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი მოქალაქეს აძლევდა ორდერს, რომელიც მიცემულ საცხოვრებელ სახლში შესახლების ერთადერთ საფუძველს წარმოადგენდა. ორდერი შეიძლებოდა გაცემულიყო მხოლოდ თავისუფალ, იზოლირებულ საცხოვრებელ ფართობზე. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 2 სექტემბრის №577 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს სს რესპუბლიკაში საბინაო პირობებგასაუმჯობესებელ მოქალაქეთა აღრიცხვისა და საცხოვრებელი სადგომის მიცემის წესის“ 58-ე პუნქტის მეორე აბზაცი კიდევ უფრო აკონკრეტებდა, რომ ორდერი შეიძლებოდა გაცემულიყო მხოლოდ ფაქტობრივად თავისუფალ ბინაზე. დადგენილების 59-ე პუნქტის შესაბამისად, ორდერში იწერებოდა გვარი, სახელი, მამის სახელი მოქალაქისა, რომელსაც მიეცა საცხოვრებელი ფართობი და მისი ოჯახის წევრებისა, აღინიშნებოდა მათი ნათესაური ურთიერთობა და დაბადების წელი. ქობულეთის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის 1985 წლის 30 ოქტომბრის №263 გადაწყვეტილებით ქ. მ-ეს ოჯახის ორ სულზე გამოეყო ბინა, თუმცა ორდერში არ არის აღნიშვნა მისი ოჯახის წევრების შესახებ, რისი მითითებაც სავალდებულო იყო.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ ორდერი გაცემულია ქობულეთის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის მიერ 1997 წლის აგვისტოში, მაშინ როცა ამ დროისათვის ადგილობრივი მმართველობის ორგანოს რაიონის გამგეობა წარმოადგენდა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 18 მაისის №01-06-48 ბრძანებით, გ. ტ-ოს უარი ეთქვა მ. დ-ას სარგებლობაში არსებული ბინის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემაზე იმ საფუძველით, რომ მისი მამკვიდრების, მ. დ-ას გარდაცვალების შემდეგ, მისთვის ორდერით გაცემული საცხოვრებელი ბინა უფლებამოსილი ორგანოს მიერ განიკარგა სხვა პირზე და მ. დ-ას წილის ფართის კანონიერი მოსარგებლე გახდა ქ. მ-ე, რის გამოც გ. ტ-ომ დაკარგა კანონიერი მოსარგებლის სტატუსი.

პალატა იზიარებს ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მსჯელობას, რომ მ. დ-ას (ბინის დამქირავებლის) გარდაცვალების

შემდეგ საცხოვრებელი ბინის მესაკუთრეს უფლება ჰქონდა ფართი გადაეცა სხვა დამქირავებლისათვის, თუმცა პალატას მიაჩნია, რომ დამატებით გამოსარკვევია გადაეცა თუ არა მ. დ-ას სარგებლობაში არსებული საცხოვრებელი ფართობი ამ უკანასკნელის გადაცვლების შემდეგ ქ. მ-ეს. ქობულეთის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის 1985 წლის 30 ოქტომბრის №263 გადაწყვეტილებაში, მართალია, მითითებულია, რომ ქ. მ-ეს ოჯახს ორ სულზე გამოეყო ... ქუჩა №... მდებარე ოროთახიანი ბინის №... ერთი ოთახი შესახლებით და მეორე ოთახში ცხოვრობს ო. მ-ა, თუმცა აქვე მითითებულია, რომ მოქალაქეზე უნდა გაცემულიყო ორდერი. საქმეში წარმოდგენილი ორდერით კი, სადაც დაკონკრეტებულია დამქირავებლისათვის გადაცემული საცხოვრებელი ფართობის მდებარეობა, აღნიშნულია, რომ ბინა მდებარეობს სახლში №..., ბინის ნომერი – ..., სადარბაზო – ..., სართული – I, ფართობი – 15 კვ.მ. მაშინ, როცა სადავო ბინა V სართულზე მდებარეობს. საყურადღებოა ქობულეთის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის 1985 წლის 30 ოქტომბრის №263 გადაწყვეტილების შინაარსი კიდევ ერთი თვალსაზრისით. ამ გადაწყვეტილებაში საუბარია ბინის გაცვლის წესით გადაცემაზე. ამ სახის ურთიერთობებს ანესრიგებდა საქართველოს სს რესპუბლიკაში საცხოვრებელი სადგომის გაცვლის წესი, დამტკიცებული საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 30 აგვისტოს №572 დადგენილებით, რომლის 25-ე პუნქტი მიუთითებდა, რომ გაცვლის შემთხვევაში ორდერი გაიცემოდა გაცვლის შესახებ გადაწყვეტილების გამოტანის დღიდან 15 დღის ვადაში, ხოლო თუ ამ ვადაში არასაპატიო მიზეზით მოქალაქე ვერ მიიღებდა ორდერს – გაცვლის ნებართვა (გადაწყვეტილება) კარგავდა ძალას. ამდენად, სასამართლოს მიაჩნია, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს უნდა ემსჯელა რამდენად იყო ძალაში ქობულეთის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის 1985 წლის 30 ოქტომბრის №263 გადაწყვეტილება ქ. მ-ის ოჯახისათვის ორ სულზე საცხოვრებელი ბინის გადაცემის შესახებ გადაწყვეტილება და რამდენად ითვლებოდა ის კანონიერი სარგებლობის დამადასტურებელ დოკუმენტად, მაშინ, როცა ბინაზე ორდერი (რომელიც ფართში შესახლების ერთადერთ საფუძველს წარმოადგენდა) გაცემული იყო გადაწყვეტილების მიღებიდან 12 წლის შემდეგ – 1997 წლის 10 აგვისტოს.

საქმეში წარმოდგენილი – ტექპასპორტით შედგენილი 1995 წლის 4 დეკემბერს, ირკვევა, რომ ქ. ქობულეთში, ... ქუჩა №..., ბინა №... ირიცხება მ-ე ქ- სახელზე 1/105 წერილით და კომუნალურ საწარმოთა კომბინატის სახელზე 104/105 წილით. პასპორტის გაცემის საფუძველია 13.11.1995 წლის ხელშეკრულება №2734 დამონ-



მებული ქობულეთის ნოტარიუსის მიერ, ამავე ტექპასპორტზე დატანილი შენობა-ნაგებობის გეგმით და მისი შენიშვნით (რომელიც არ არის დამონმებული სამსახურის ბეჭდით და არ არის ხელმოწერილი იმ პირის მიერ, ვინც შეასრულა შესაბამისი აღნიშვნა) ირკვევა, რომ ბინის საერთო ფართობი შეადგენს 28.83 კვ.მ-ს, საცხოვრებელი ფართობი – 15.0 კვ.მ-ს. შენიშვნაში მითითებულია, რომ დამტრისხული ოთახი ეკუთვნის ო.ი. მ-ას, ხოლო ბინა და სამზარეულო საერთო სარგებლობისაა.

სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ ზემოაღნიშნული გარემოებები მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მსჯელობის საგანი არ გამხდარა ბინის კანონიერი მოსარგებლის საკითხის გადწყვეტისას, რის გარეშეც შეუძლებელია გაირკვეს არსებობს თუ არა გ. ტ-ოს განცხადების (საცხოვრებელი ბინის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის) დაკმაყოფილების საფუძველი.

სააპელაციო სასამართლო მიუთითა, რომ მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ უნდა გაირკვეს: ა) ქობულეთში, ... ქუჩა №... №... ბინის რა ნაწილი მიიღო საკუთრებაში პრივატიზაციის წესით ქ. მ-ემ (რაც მემკვიდრეობით გადაეცა ს. მ-ეს) და რა ნაწილზე ითხოვდა მოგვიანებით ს. მ-ე სასამართლო წესით პრივატიზაციის ხელშეკრულების გაფორმებას (რაც ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 12 აგვისტოს გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა, თუმცა მოგვიანებით გადაწყვეტილება ბათილად იქნა ცნობილი, რასაც შედეგად ს. მ-ის სარჩელის უარყოფა მოჰყვა, ხოლო 2006 წლის 17 თებერვლის პრივატიზაციის ხელშეკრულება, რომლითაც ს. მ-ეს ქობულეთში, ... ქუჩა №... ბინა №...-ის ნაწილი გადაეცა – სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული 02.12.2010წ. გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი); ბ) ქ. მ-ის მიერ სადავო საცხოვრებელი ფართობის ფაქტობრივად დაუფლების დრო; გ) წარმოადგენს თუ არა სადავო საცხოვრებელ ფართობზე ქ. მ-ის სარგებლობის უფლების დამდგენ დოკუმენტს ქობულეთის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის 1985 წლის 30 ოქტომბრის №263 გადაწყვეტილება და მის საფუძველზე გაცემული ორდერი და შესაძლებელია თუ არა აღნიშნული დოკუმენტების საფუძველზე გადაცემული ბინის იდენტიფიცირება; დ) ქობულეთში, ... ქუჩა №... №... ბინის ფართობი (ოდენობა და მდებარეობა), რომელზეც პრეტენზიას აცხადებს გ. ტ-ო; ე) გ. ტ-ოს მიერ სადავო საცხოვრებელი ფართობის ფაქტობრივად დაუფლების დრო და პერიოდი ან მიზეზები, რამაც ხელი შეუშალა ბინის მფლობელობასა და სარგებლობაში; ზემოთ მითითებულ საკითხებზე მსჯელობისას მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ მხედველობაში უნდა მიიღოს ის გარემოებებიც, რომ საჯარო რეესტრის ამონაწერი,

რომელიც მომზადებულია 2012 წლის 29 მაისს, ირკვევა, რომ ქობულეთში, ... ქუჩა №... ბინა ...-ის, სართული – 5, ფართობი – 54.30 კვ.მ, მესაკუთრეა ს. მ-ე საფუძველი: პრივატიზაციის ხელშეკრულება №1-868 17/02/2006 წელი, სამემკვიდრეო მონაშობა – №2-44, 08/05/2003 წელი. სამემკვიდრეო მონაშობით, რომელიც ს. მ-ის საკუთრების უფლების რეგისტრაციის ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს ირკვევა, რომ ს. მ-ემ ქ. მ-ისგან მემკვიდრეობით მიიღო ქონება – ერთოთახიანი საცხოვრებელი ბინა, საერთო სარგებლობის ფართობი – 28 კვ.მ. საიდანაც 15 კვ.მ. საცხოვრებელია, ხოლო 13.8 კვ.მ. დამხმარე. თუკი ქ. მ-ე სრულად წარმოადგენდა საცხოვრებელი ბინის მესაკუთრეს, მაშინ რით იყო განპირობებული ს. მ-ის სარჩელი ქობულეთის გამგეობის მიმართ ქობულეთში, ... ქუჩა №... ბინა ...-ის ნაწილზე პრივატიზაციის ხელშეკრულების გაფორმების შესახებ.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1328-ე მუხლის პირველი ნაწილით, სამკვიდრო (სამკვიდრო ქონება) შეიცავს მამკვიდრებლის როგორც ქონებრივი უფლებების (სამკვიდრო აქტივი), ისე მოვალეობების (სამკვიდრო პასივი) ერთობლიობას, რომელიც მას ჰქონდა სიკვდილის მომენტისათვის. სააპელაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ გ. ტ-ო 1984 წლის 14 თებერვლის ანდერძის საფუძველზე გახდა რა მ. დ-ას მემკვიდრე, მან მიიღო ის აქტივები და პასივები (ქონებრივი უფლებები და მოვალეობები), რაც მამკვიდრებელს გააჩნდა გარდაცვალების მომენტში. ასევე ს. მ-ემ მიიღო დედის, ქ. მ-ის სამკვიდრო – ქონებრივი უფლებები და მოვალეობები – იმ ფარგლებში, რაც მამკვიდრებელს გააჩნდა. მ. დ-ა იყო ქ. ქობულეთში, ... ქუჩა №... ბ. ...-ში მდებარე საცხოვრებელი ბინის (მე-... სადარბაზო, მე-5 სართული) დამქირავებელი, რაც დასტურდება საქმეში წარმოდგენილი ქობულეთის საქალაქო საბჭოს აღმასკომის 26.12.1983 წლის №301 გადაწყვეტილებითა და მის საფუძველზე გაცემული ორდერით. მოპასუხე ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა ამტკიცებს ქ. მ-ისაგან მემკვიდრეობის გზით მიიღო სადავო საცხოვრებელი ბინა ს. მ-ემ და იგი დღემდე ამ ბინის მესაკუთრედ არის რეგისტრირებული. 1997 წლის 10 აგვისტოს ორდერით (თუ ამ ორდერის საფუძველზე შესახლდა ქ. მ-ე სადავო ბინაში) ირკვევა, რომ მას პირველ სართულზე მდებარე ბინა გადაეცა, მისი მემკვიდრე, ს. მ-ე კი რეგისტრირებულია ... ქუჩა №... კორპუსში მე-5 სართულზე მდებარე ბინის მესაკუთრედ, ამასთან სამკვიდრო მონაშობით ირკვევა, რომ მან მიიღო 28 კვ.მ. საერთო ფართობის ბინა, ხოლო საჯარო რეესტრში რეგისტრირებული მისი საკუთრების ობიექტის ფართობი შეადგენს 54.30 კვ.მ. ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა მიუთითოს, რით აიხსნება საჯარო რეეს-

ტრში მემკვიდრის სახელზე 54.30 კვ.მ. ფართობის მქონე ბინის რეგისტრაცია, მაშინ, როცა სამემკვიდრეო მონუმობის საფუძველზე მას გადაეცა საცხოვრებელი ბინა საერთო ფართობით 28 კვ.მ, ხოლო სამემკვიდრეობის, ქ. მ-ისათვის უფლების დამდგენი დოკუმენტით (1985 წლის 30 ოქტომბრის №263 გადაწყვეტილება) გადაეცემა მუღია ბინის ერთი ოთახი 15 კვ.მ-ის ოდენობით.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ სადავო ადმინისტრაციული აქტის გამოცემისას ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დარღვეულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნები, კერძოდ, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნა, რომლითაც ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე.

აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობამ და ს. მ-ემ. კასატორებმა მოითხოვეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 19 აპრილის გადაწყვეტილების გაუქმება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღება.

კასატორები მიუთითებენ, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილებით ადმინისტრაციულ ორგანოს დაევალა იმ ფაქტების გამოკვლევა, რომელიც დადგენილად ითვლება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 206-ე მუხლის საფუძველზე. კერძოდ, სადავო საცხოვრებელ ფართთან გ. ტ-ოს შემსებლობა არასოდეს არ ჰქონია, არც მ. დ-ას გარდაცვალებამდე და არც მისი გარდაცვალების შემდეგ. გ. ტ-ომ, სადავო საცხოვრებელ ფართზე პრეტენზია განაცხადა, მხოლოდ, 2010 წელს, მას შემდეგ, რაც სასამართლოს მიმართა ადმინისტრაციული სარჩელით (სადავო საცხოვრებელი ფართის დაკანონების შესახებ), რაც არ დაკმაყოფილდა და სასამართლოს გადაწყვეტილებით განემარტა, რომ მას არ ჰქონდა საცხოვრებელ ფართზე რაიმე კანონიერი ინტერესი.

მ. დ-ა გარდაიცვალა 1984 წლის 21 თებერვალს და მისი გარდაცვალების შემდეგ, ამ უკანასკნელის მიერ დაკავებული საცხოვრებელი ფართი 15 კვ.მ. ქობულეთის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის 1985 წლის 30 ოქტომბრის №263 გადაწყვეტილებით ქ. მ-ეს, ოჯახის 2 სულზე გამოეყო ქობულეთში, ... ქუჩა №..., მე-5 სართულზე, ბინა №..., რომლის მეორე ოთახშიც ცხოვრობდა ო.ი. მ-ა. აღნიშნული გადაწყვეტილების საფუძველზე გაიცა საცხოვრებელი ბინის ორდერი, სადაც დაკონკრეტებით მითითებულია, საცხოვრებელი ბინის ფართობი 15 კვ.მ. (1 ოთახი) და მდებარეობა

რეობა: ქობულეთი, ... ქუჩა №..., სადარბაზო ..., სართული V, ბინა №... ქ. მ-ის სახელზე გაიცა საბინაო წიგნი.

კასატორები აღნიშნავენ, რომ 1995 წლის 13 ნოემბრის, ქობულეთის სანოტარო კანტორის პრივატიზაციის ხელშეკრულებით №2737 ქ. მ-ეს, საკუთრებაში გადაეცა კანონიერად დაკავებული (ქობულეთის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის 1985 წლის 30 ოქტომბრის №263 გადაწყვეტილებით გამოყოფილი) ერთი ოთახი, საერთო ფართით 28,8 კვ.მ. მდებარე: ქობულეთში, ... ქუჩა №..., ბინა №... აღნიშნული პრივატიზაციის ხელშეკრულების საფუძველზე, 1995 წლის 4 დეკემბერს გაიცა ტექნიკური პასპორტი, რომლის მიხედვით, საცხოვრებელი სახლის 1/105 ნილის მფლობელი - ქ. მ-ეა, ხოლო 104/105 ნილის მფლობელია კომუნალურ საწარმოთა კომბინატი, საცხოვრებელი ბინის ტექნიკური პასპორტის მონაცემების მიხედვით, ქ. მ-ეზე გადაცემული საერთო ფართია 28,8 კვ.მ, საიდანაც საცხოვრებელი ფართი 15,0 კვ.მ, ხოლო 13 კვ.მ. - არასაცხოვრებელი. აქვე არის მითითებული, რომ დაშტრიხული ოთახი ეკუთვნის ო.ი. მ-ას, აბანო და სამზარეულო კი საერთო სარგებლობაშია, რაც შეადგენდა 13 კვ.მ. აღნიშნული ტექნიკური პასპორტი, შედგენილია ტექნიურის სამსახურის მიერ, და-მონშებულია ტექნიურის უფროსის ხელმოწერით და აჭარის ა.რ. ქობულეთის კომუნალურ საწარმოთა კომბინატის ტექ. აღრიცხვის ბიუროს ბეჭდით. ქ. მ-ე გარდაიცვალა 2002 წლის 5 ნოემბერს და მისი კუთვნილი ქონება 2003 წლის 8 მაისის სამკვიდრო მონმობის №2-11 საფუძველზე მიიღო ს. მ-ემ. აღნიშნული სამკვიდრო მონმობა დარეგისტრირებულია საჯარო რეესტრში, სადაც მესაკუთრის გრაფაში მითითებულია: ქ. მ-ე და კომუნალურ საწარმოთა კომბინატი და ქ. მ-ის უფლების დამადასტურებელ დოკუმენტად - 2003 წლის 8 მაისის სამკვიდრო მონმობა №2-11.

ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 12 აგვისტოს გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით 2006 წლის 17 თებერვალს ქობულეთის რაიონის გამგეობასა და ს. მ-ეს შორის გაფორმებულ პრივატიზაციის ხელშეკრულებას, რომლითაც ს. მ-ეს უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაეცა, ქობულეთში, ... ქუჩა №... ბინა №...-ის ნაწილი, რომელიც სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული 2010 წლის 2 დეკემბრის გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი, შეეხებოდა ო. მ-ას საცხოვრებელ ოთახს, რომელიც მისი გარდაცვალების შემდეგ ქობულეთის რაიონის გამგეობის ბალანსზე აღირიცხა. ს. მ-ე სარჩელში განმარტავდა, რომ ო. მ-ას გარდაცვალების შემდეგ იგი დაეუფლა აღნიშნულ ოთახს, რადგან აღნიშნული ოთახი იყო მის საკუთრებაში მდებარე ოთახის მიმდებარე და ორივე ოთახს, არასაცხოვრებელი ფართი (სველი წერტილი და სამზარეუ-

ლო) ჰქონდა საერთო სარგებლობაში. აქედან გამომდინარე, ითხოვდა, აღნიშნული ოთახის დაკანონებას, რადგანაც თავს მიიჩნევდა კეთილსინდისიერ მფლობელად, რაც თავდაპირველად სასამართლომ დააკმაყოფილა, რომლის საფუძველზეც, 2006 წლის 17 თებერვალს ქობულეთის რაიონის გამგეობასა და ს. მ-ეს შორის გაფორმდა პრივატიზაციის ხელშეკრულება და ქობულეთში, ... ქუჩა №..., მდებარე ბინა №...-ის მთლიანი ფართი – 54 კვ.მ. საჯარო რეესტრში აღირიცხა ს. მ-ის საკუთრებად. მოგვიანებით, 2006 წლის 17 თებერვლის, ქობულეთის რაიონის გამგეობასა და ს. მ-ეს შორის გაფორმებული პრივატიზაციის ხელშეკრულება, გაუქმებულ იქნა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 2 დეკემბრის გადაწყვეტილებით, მაგრამ საჯარო რეესტრის ჩანაწერები 54 კვ.მ. ფართზე დღემდე უცვლელი რჩება, რადგანაც უძრავ ქონებას ადევს ყადაღა და რეესტრის ჩანაწერებში ცვლილება ვერ შედის.

კასატორები აღნიშნავენ, რომ ქ. მ-ე 1985 წლიდან გარდაცვალებამდე ფლობდა და სარგებლობდა ქობულეთში ... ქუჩის №... მდებარე ბინა №...-ის ნაწილით, ერთი ოთახით, რომლის გარდაცვალების შემდეგ, აღნიშნული ერთი ოთახი გადაეცა ს. მ-ეს. სადავო საცხოვრებელ ფართობზე ქ. მ-ის სარგებლობის უფლების დამდგენ დოკუმენტს წარმოადგენს ქობულეთის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის 1985 წლის 30 ოქტომბრის №263 გადაწყვეტილება და მის საფუძველზე გაცემული ორდერი, რომლითაც ნამდვილად შესაძლებელია აღნიშნული დოკუმენტების საფუძველზე გადაცემული ბინის იდენტიფიცირება, რადგან ორივე დოკუმენტის თანახმად, ქ. მ-ეს გამოეყო ქობულეთში, ... ქუჩა №... მდებარე ბინა №..., ერთი ოთახი მე-... სადარბაზო, მე-5 სართული. აღნიშნულ ფართზე გაცემულია პრივატიზაციის ხელშეკრულება, საცხოვრებელი ბინის ტექნიკური პასპორტი და საბინაო წიგნი, რომელზედაც შემდგომ 2003 წელს გაცემულია სამკვიდრო მონუმობა.

კასატორები მიუთითებენ, რომ გ. ტ-ო თავს მიიჩნევს მ. დ-ას მემკვიდრედ, რაც გულისხმობს იმას, რომ იგი პრეტენზიას აცხადებს ფართზე, რაც მ. დ-ას ჰქონდა გამოყოფილი, ანუ 15 კვ.მ.-ზე. აღნიშნული ფართი მ. დ-ას გარდაცვალების შემდეგ ქობულეთის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის 1985 წლის 30 ოქტომბრის №263 გადაწყვეტილებით გამოეყო ქ. მ-ეს, რაზედაც გაიცა ორდერი და გაფორმდა პრივატიზაციის ხელშეკრულება. ქ. მ-ის გარდაცვალების შემდეგ კი აღნიშნული ფართი, სამკვიდრო მონუმობის საფუძველზე გადაეცა ს. მ-ეს. აღნიშნული დოკუმენტების კანონიერებაზე, კერძოდ კი, ქობულეთის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის 1985 წლის 30 ოქტომბრის №263 გადაწყვეტილებისა და მის საფუძველზე გამოცემული ორდერის

კანონიერებაზე, გ. ტ-ოს აღძრული ჰქონდა ადმინისტრაციული სარჩელი, რაც უსაფუძვლოდ გამო ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 25 მაისის გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა. ამდენად, კასატორების მოსაზრებით, სასამართლოს განმარტებები, ქობულეთის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის 1985 წლის 30 ოქტომბრის №263 გადაწყვეტილებისა და მის საფუძველზე განხორციელებული ქმედებების კანონიერებასთან დაკავშირებით უსაფუძვლოა, რადგან აღნიშნულზე სასამართლომ ერთხელ უკვე იმსჯელა და დასაბუთებული გადაწყვეტილებაც გამოტანილია. კერძოდ, დადგენილია, რომ გ. ტ-ოს ბინასთან რაიმე სამართლებრივი კავშირი არ გააჩნია და იგი არასდროს დაუფლებია სადავო ფართს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 6 დეკემბრის განჩინებით ს. მ-ისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საკასაციო საჩივრები მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მიღებულ იქნა არსებითად განსახილველად; საქმის განხილვა დაინიშნა ზეპირი მოსმენის გარეშე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მათი შესწავლისა და ანალიზის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთებულობისა და წარმოდგენილი საკასაციო საჩივრების მოტივების შემომნების საფუძველზე მიიჩნევს, რომ ს. მ-ისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საკასაციო საჩივრები უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 19 აპრილის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც გ. ტ-ოს სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: ... სახლ „...“ მობინადრეთა შესახლების შესახებ ქობულეთის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის 1983 წლის 26 დეკემბრის №301 გადაწყვეტილებით ორდერები გაიცა ... სახლ „...“... – ბინიან კორპუსში შესახლებულ მოქალაქეებზე. მათ შორის, საარქივო ცნობის დანართ სიაში მე-20 ნომრად მითითებულია დ-ა მ. დ. ასული, მ-ა ო. ი. ასული – ოჯახის შემადგენლობა 2; ნათესაური დამოკიდებულება – თანამობინადრენი; სადარბაზო – ..., სართული – 5, ბინა – ..., საცხოვრებელი ფართობი – 28;

ქობულეთის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის 1983 წლის 26 დეკემბრის №301 გადაწყვეტილების საფუძველზე

ზე გაცემულ №00330 ორდერში დამქირავებლებად მითითებულნი არიან მ. დ-ა და ო. მ-ა. ორდერში აღნიშნულია: სულადობა – 2, ოთახების რაოდენობა – 2, იზოლირებული, ფართობი – 28 კვ.მ. მისამართი: ქუჩა – ..., სახლი – №..., ბინა – ..., სადარბაზო – ..., სართული – V.

ქობულეთის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის 1985 წლის 30 ოქტომბრის №263 გადაწყვეტილებით ქ. მ-ეს გამოეყო ქობულეთში, ... ქუჩა №..., ბინა №..., ერთი ოთახი – 15 კვ.მ. როგორც საქმის მასალებით ირკვევა, 1985 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილების საფუძველზე ქ. მ-ის სახელზე ორდერი გაცა 1997 წლის 10 აგვისტოს. ორდერით დასტურდება, რომ ქ. მ-ეს გადაეცა 15 კვ.მ. ფართობის ბინა №..., ... ქუჩა №... სახლში. სადარბაზო ..., სართული – I.

საკასაციო პალატა პირველყოვლისა მიუთითებს, რომ მოცემულ შემთხვევაში დავის საგანია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის – ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 18 მაისის №01-06-48 ბრძანება, რომლითაც გ. ტ-ოს უარი ეთქვა ქ. ქობულეთში, ... ქ. №... მდებარე ბინა №...-ის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემაზე იმ საფუძველით, რომ გ. ტ-ო ვერ აკმაყოფილებდა კანონიერი მოსარგებლისათვის დადგენილ პირობებს, კერძოდ: მისი მამკვიდრების მ. დ-ს გარდაცვალების შემდეგ, ორდერით გაცემული ქონება უფლებამოსილი ორგანოს მიერ განიკარგა სხვა პირზე. შესაბამისად, გ. ტ-ომ ვერ მოიპოვა მასზე სარგებლობის უფლება, რამდენადაც სამკვიდრო ქონებაში მოცემული ბინა არ შესულა და ვერც შევიდოდა, ვინაიდან სამსახურებრივად დროებით გამოყოფილ ფართს წარმოადგენდა. მ. დ-ას წილი ფართის კანონიერი მოსარგებლე გახდა ქ. მ-ე, რითიც გ. ტ-ომ დაკარგა კანონიერი მოსარგებლის სტატუსი. მოსარჩელე ასევე ითხოვდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობისთვის ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალებას და გ. ტ-ოსთვის, როგორც ანდერძისმიერი მემკვიდრისა და კანონიერ მოსარგებლისთვის საკუთრებაში გადაცემის დავალებას საცხოვრებელი ბინის გადაცემას, მდებარე ქობულეთში, ... ქ. №..., ბინა №...-ში.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ გ. ტ-ოს სასარჩელო მოთხოვნის საფუძველიანობის შემონგებისათვის მნიშვნელოვანია დადგინდეს მოსარჩელის მიერ სადავო ფართის „კანონიერი მოსარგებლებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლებისათვის უსასყიდლოდ საკუთ-

რებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 თებერვლის №189 დადგენილებით გათვალისწინებული წესით კანონიერი სარგებლობის ფაქტის არსებობა და არა ქ. მ-ის სარგებლობის უფლების დამდგენი დოკუმენტის კანონიერების შეფასება, რამდენადაც ქ. ქობულეთის რაიალმასკომის 1985 წლის 30 ოქტომბრის №263 გადაწყვეტილების კანონიერების საკითხი ცალკე დავის საგანს წარმოადგენდა, რომელზეც 2011 წლის 25 მაისს მიღებულ იქნა ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილება გ. ტ-ოს სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 თებერვლის №189 დადგენილებით „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის“ პირველი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ეს წესი არეგულირებს სახელმწიფო საბინაო ფონდში საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ამოქმედებამდე ფონდში არსებული, მათ შორის 2007 წლის 2 თებერვლამდე დროებით გადაცემული, არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის კანონიერი მოსარგებლისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესსა და პირობებს, ამ პროცესში წარმოშობილ ურთიერთობებს და განსაზღვრავს წესით გათვალისწინებული ურთიერთობის მხარეებსა და მათ უფლებამოსილებებს. მითითებული წესის მე-3 მუხლის თანახმად, არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის კანონიერი მოსარგებლისათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო – მუნიციპალიტეტის გამგებელი/მერი, ხოლო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში, ამ წესის მიზნებისათვის – შესაბამისი რაიონის გამგებელი, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“, ამ წესისა და აგრეთვე სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების შესაბამისად. ამავე დებულების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის საკუთრებაში გადაცემის განხილვის საფუძველია კანონიერი მოსარგებლის წერილობითი განცხადება შესაბამის ად-



გილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელ ორგანოში. თავის მხრივ, აღნიშნული დებულების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი ადგენს კანონიერი მოსარგებლის ლეგალურ დეფინიციას, რომლის თანახმად, კანონიერი მოსარგებლე არის ფიზიკური პირი, რომელიც უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული დოკუმენტის (ინდივიდუალურ ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტი, ბინის ორდერი, საბინაო ნიგნი და სხვ.) საფუძველზე კანონიერად სარგებლობს საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული ან არაიზოლირებული) ფართობით, ხოლო კანონიერი მოსარგებლის გარდაცვალების შემთხვევაში, მისი მემკვიდრე.

ამდენად, ზემოაღნიშნულ ნორმებზე დაყრდნობით, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ პირის კანონიერ მოსარგებლედ მიჩნევისათვის საჭიროა ორი პირობის არსებობა: 1. უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული დოკუმენტი და 2. ფიზიკური პირის მხრიდან საპრივატიზაციო ფართის ფლობისა და სარგებლობის ფაქტი. ამასთან, აღნიშნული ორი პირობა კუმულაციურად უნდა არსებობდეს.

განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიერ გაცემული №3/ზ-561-2012 სააღსრულებლო ფურცლის აღსრულების მიზნით, რომლითაც ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას დაევალა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შედეგად გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გ. ტ-ოს განცხადებასთან დაკავშირებით, ქ. ქობულეთში, ... ქ. №... ბინა №... საცხოვრებელი ბინის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის თაობაზე, ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობაში დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 თებერვლის №189 დადგენილებით „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის“ მე-5 მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, თუ კანონიერი მოსარგებლის მიერ წარდგენილ განცხადებაზე თანდართული დოკუმენტები არ ადასტურებს საცხოვრებელ და არასაცხოვრებელ (იზოლირებულ და არაიზოლირებულ) ფართობზე განმცხადებლის კანონიერი სარგებლობის უფლების ფაქტს, ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო იღებს გადაწყვეტილებას განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. მოცემულ შემთხვევაში

დადგენილია, რომ ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 18 მაისის №01-06-48 ბრძანებით გ. ტ-ოს უარი ეთქვა ქ. ქობულეთში, ... ქ. №... მდებარე ბინა №...-ის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის თაობაზე, იმ მოტივით, რომ გ. ტ-ო ვერ აკმაყოფილებდა კანონიერი მოსარგებლისათვის დადგენილ პირობებს.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ საცხოვრებელი ფართის უსასყიდლოდ საკუთრებაში მისაღებად გადამწყვეტია ამა თუ იმ პირის მიერ საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართით, როგორც ფაქტობრივი სარგებლობა, ასევე ფართით სარგებლობის კანონიერი საფუძველი, კერძოდ, აღნიშნული პირი რამდენად წარმოადგენს საცხოვრებელი ბინის კანონიერ მოსარგებლეს.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ გ. ტ-ო სადავო ფართზე კანონიერ მოსარგებლედ ვერ ჩაითვლება, ვინაიდან მ. დ-ას გარდაცვალების შემდეგ ორდერით გაცემული ქონება უფლებამოსილი ორგანოს მიერ განიკარგა სხვა პირზე, კერძოდ, ქობულეთის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის 1985 წლის 30 ოქტომბრის №263 გადაწყვეტილებით, ქ. ქობულეთში, ... ქუჩა №... მდებარე ბინა №...-ის, ერთი ოთახი, ფართი – 15 კვ.მ გამოეყო ქ. მ. ასულ მ-ის ოჯახს 2 სულზე, გადაწყვეტილებაში ასევე მითითებულია, რომ მეორე ოთახში ცხოვრობს მოქალაქე ო. მ-ა. შესაბამისად, პალატას მიაჩნია, რომ გ. ტ-ო, სადავო ფართზე ვერ მოიპოვებდა სარგებლობის უფლებას, ვინაიდან საცხოვრებელი ფართი, რომელიც წარმოადგენდა მ. დ-ასათვის სამსახურებრივად დროებით გამოყოფილ ფართს, მისი გარდაცვალების შემდეგ გადაეცა ქ. მ-ის ოჯახს, ამდენად იგი ვერ შევიდოდა მ. დ-ას სამკვიდრო ქონებაში, აღნიშნულის შესახებ, თვით სამკვიდრო მონაწილეობის უფლების მონაწილეობაში მითითებულია, რომ გ. ტ-ომ მემკვიდრეობით მიიღო მ. დ-ას კუთვნილი ფულადი თანხა. შესაბამისად, საკასაციო პალატა იზიარებს კასატორი ადმინისტრაციული ორგანოს პოზიციას და მიიჩნევს, რომ გ. ტ-ოს მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტი, ხოლო წარმოდგენილი ანდერძისმიერი მემკვიდრეობის უფლების მონაწილე ვერ მიიჩნევა კანონიერი სარგებლობის დამადასტურებელ დოკუმენტად.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება. ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად კი, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ან სხვა სახის ქმედება,

რომელიც იწვევს ადამიანის საქართველოს კონსტიტუციით მინიჭებული უფლებების ან თავისუფლებების შეზღუდვას, დაიშვება მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავის შესაბამისად, კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულებას წარმოადგენს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევა. სწორედ საქმის გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე უნდა იქნეს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გადაწყვეტილება მიღებული.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში, ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ სადავო ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღება მოხდა კანონის მოთხოვნათა დაცვით, კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის შესაბამისად და მხოლოდ საქმის ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევისა და ფაქტების დადასტურების შემდეგ იქნა მიღებული გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი – ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 18 მაისის №01-06-48 ბრძანება. ამდენად, არ არსებობს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობის საფუძველი.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ „კანონიერი მოსარგებლებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესი“ ავალდებულებს ადმინისტრაციულ ორგანოს საკუთრებაში ფართის გადაცემის საკითხის განხილვისას შეამოწმოს განმცხადებლის მოთხოვნისა და წარდგენილი დოკუმენტების შესაბამისობა აღნიშნული წესის მოთხოვნებთან. ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლოს მიაჩნია, რომ გ. ტ-ოს სარჩელი უსაფუძვლოა, რადგან ადგილი არ აქვს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლით გათვალისწინებულ კანონის დარღვევას, გასაჩივრებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ასახული კონკრეტული ურთიერთობის მოწესრიგება შეესაბამება მათი გამოცემის სამართლებრივ საფუძველებს და წინააღმდეგობაში არ მოდის მოცემული ურთიერთობის მარეგულირებელ სამართლებრივ ნორ-

მებთან, რის გამოც სასარჩელო მოთხოვნა უსაფუძვლოა და არ არსებობს გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის – ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 18 მაისის №01-06-48 ბრძანების ბათილად ცნობის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი. ამდენად, სააპელაციო სასამართლოს დასკვნები სრულიად დაუსაბუთებელია, როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი თვალსაზრისით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის შესაბამისად, სახეზეა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საკასაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღების პროცესუალური წინაპირობები, რომლითაც გ. ტ-ოს უარი უნდა ეთქვას სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების მიხედვით კი, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება აგრეთვე სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, შესაბამისად, იგი შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

განსახილველ შემთხვევაში, გ. ტ-ომ კასატორ ს. მ-ეს უნდა აუნაზღაუროს საკასაციო ინსტანციაში გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 300 ლარი.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

### **გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :**

1. ს. მ-ისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციული ხარჯების განაწილება;

ციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 19 აპრილის გადაწყვეტილება და საქმეზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. გ. ტ-ოს სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;

4. გ. ტ-ოს დაეკისროს ს. მ-ის სასარგებლოდ ამ უკანასკნელის მიერ საკასაციო ინსტანციაში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 300 ლარის ანაზღაურება;

5. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **საცხოვრებელი ბინის პრივატიზების ხელშეკრულების პანონირება**

### **განჩინება საქართველოს სახელით**

№ბს-420-420(კ-18)

28 მარტი, 2019 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. სხირტლაძე,  
ვ. როინიშვილი**

**დავის საგანი:** ადმინისტრაციული ხელშეკრულების ბათილად ცნობა, ქმედების განხორციელების დავალება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

2013 წლის 20 ივნისს ზ. ბ-ემ და მ. კ-ემ სასარჩელო განცხადებით მიმართეს ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხეების – ქ. ბათუმის მერიისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსა და მესამე პირის – ნოტარიუს მ. მ-ის მიმართ.

მოსარჩელებმა 1982 წლის 13 მაისს გაცემული №01860 საცხოვრებელი ბინის ორდერიდან ს. ბ-ის ამორიცხვა და 1992 წლის 14 სექტემბერს გაფორმებული პრივატიზაციის ხელშეკრულების ბათილად ცნობა მოითხოვეს.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 13 სექტემბრის განჩინებით შეჩერდა ადმინისტრაციულ საქმეზე №3-244/13წ. წარმოება ზ. ბ-ის, მ. კ-ის სარჩელისა გამო მოპასუხეების – ქალაქ ბათუმის მერიის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და

ეკონომიკის სამინისტროს მიმართ, ბინის ორდერიდან პირის ამორიცხვის, პრივატიზაციის ხელშეკრულების ბათილად ცნობის თაობაზე, ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმომბაში არსებულ სამოქალაქო საქმეზე №2-870/13 ზ. ბ-ის და მ. კ-ის სარჩელის გამო მოპასუხეების – ხელვაჩაურის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის, ნოტარიუსის ხ. კ-ის მიმართ ქორწინების და სამკვიდრო მონუმბის ბათილად ცნობის, მესაკუთრედ ცნობის, სამკვიდრო მონუმბის გადასაცემად ნოტარიუსის დავალდებულების თაობაზე, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე და გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 27 იანვრის განჩინებით განახლდა ადმინისტრაციული საქმის №3-244/13წ. წარმოება ზ. ბ-ის, მ. კ-ის სარჩელისა გამო მოპასუხეების – ქალაქ ბათუმის მერიის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიმართ, ბინის ორდერიდან პირის ამორიცხვის, პრივატიზაციის ხელშეკრულების ბათილად ცნობის თაობაზე და საქმის განხილვა გაგრძელდა საერთო წესით.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 7 აპრილის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქმეში მესამე პირად ჩაება სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 24 აპრილის განჩინებით ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, საქმეში მესამე პირად ჩაება მე. კ-ე, რომელიც წარმოადგენს მოსარჩელე ზ. ბ-ის შვილიშვილს და რომელსაც ს. ბ-ემ ანდერძით დაუტოვა სადავო საცხოვრებელი ბინა.

2014 წლის 10 ივნისს მესამე პირის – მე. კ-ის კანონიერი წარმომადგენლის ნ. მ-ის წარმომადგენელმა მ. ა-მა შეგებებული სარჩელით მიმართა სასამართლოს მოპასუხეების – ზ. ბ-ის, მ. კ-ის მიმართ და მოითხოვა ხ. ბ-ისა (გარდაცვლილი 1990 წლის 21 ივნისს) და მ. კ-ის სადავო ბინის ფართზე, მდებარე: ქ. ბათუმი, ... დასახლება, სახლი №29, ბინა №117, უფლებადაკარგულად ცნობა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 7 ივლისის განჩინებით მესამე პირის – მე. კ-ის (კანონიერი წარმომადგენელი ნ. მ-ე, წარმომადგენელი მ. ა-ი) შეგებებული სარჩელი არ იქნა მიღებული სასამართლოს წარმოებაში.

2014 წლის 26 აგვისტოს მე. კ-ემ სასარჩელო განცხადებით მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-

მეთა კოლეგიას, მოპასუხეების – ზ. ბ-ისა და მ. კ-ის მიმართ და მოითხოვა საცხოვრებელი ბინის ორდერიდან №01860 პირის ამორიცხვა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 10 აგვისტოს განჩინებით ერთ წარმოებად გაერთიანდა ადმინისტრაციული საქმე №3-244/13, ზ. ბ-ის, მ. კ-ის სარჩელი მოპასუხეების – ქალაქ ბათუმის მერიის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიმართ, ბინის ორდერიდან პირის ამორიცხვის და პრივატიზაციის ხელშეკრულების ბათილად ცნობის თაობაზე მოთხოვნით და ადმინისტრაციული საქმე №3-343/14, მე. კ-ის სარჩელისა გამო მოპასუხეების – ზ. ბ-ის და მ. კ-ის მიმართ საცხოვრებელი ბინის ორდერიდან №01860 პირის ამორიცხვის თაობაზე მოთხოვნით.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 16 მარტის გადაწყვეტილებით ზ. ბ-ისა და მ. კ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა; მე. კ-ის (კანონიერი წარმომადგენელი ნ. მ-ე) სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ხ. ბ-ე და ს. ბ-ე 1976 წლის 24 სექტემბრიდან იმყოფებოდნენ რეგისტრირებულ ქორწინებაში.

ქალაქ ბათუმის საქალაქო საბჭოს აღმასკომის 1982 წლის 7 მაისის №220 გადაწყვეტილების საფუძველზე, 1982 წლის 13 მაისს გაცემული იქნა №01860 ორდერი, ქ. ბათუმში, ... დასახლება სახლი №29-ში მდებარე ბინა №117-ზე, რომლის თანახმად, საცხოვრებელი ბინის დამქირავებლები იყვნენ ხ. ბ-ე, ს. ბ-ე, მ. ბ-ე. ხ. ბ-ე გარდაიცვალა 1990 წლის 21 ივნისს.

სასამართლომ საქმის მასალებით დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელე მ. ბ-ე (კ-ე) და ლ. კ-ე 1980 წლის 9 ივნისიდან იმყოფებიან რეგისტრირებულ ქორწინებაში. კახაბრის თემის საკრებულოს სოფელ ... 1986-2006 წლების საკომლო წიგნის ჩანაწერების მიხედვით, კომლის წევრებად ირიცხებიან ლ. და მ. კ-ეები.

საქმეში წარმოდგენილი 1992 წლის 14 სექტემბრის პრივატიზაციის ხელშეკრულების (რეესტრის №...) თანახმად, ს. ბ-ეს ა. გ-მ, როგორც ადგილობრივი მმართველობის ორგანოს №5 საბინაო-საექსპლუატაციო კანტორის წარმომადგენელმა, უსასყიდლოდ საკუთრებაში გადასცა და ს. ბ-ემ მიიღო ქ. ბათუმში, ... დასახლება №29-ში მდებარე ოროთახიანი ბინა №117.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2006 წლის 27 იანვრის კანონისმიერი სამკვიდრო მონაწილის (რეესტრი №2-11) საფუძველზე, ს. ბ-ემ მემკვიდრეობით მიიღო 1990 წლის 21 ივნისს გარდაცვლილი მეუღლის ხ. ბ-ის სამკვიდრო ქონება, მინის ნაკვე-

თი – 592.8 კვ.მ და შენობა-ნაგებობები სასარგებლო ფართით – 80.9 კვ.მ და ავტოფარეხი – 10.9 კვ.მ, მდებარე ქ. ბათუმი, ... ქ. №21.

საქალაქო სასამართლომ ასევე დადგინებულ ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნია, რომ 2010 წლის 27 მაისის ანდერძით (რეგისტრაციის №...) დგინდება, რომ ქ. ბათუმში, ... დასახლება სახლი №29 ბინა №117, ს. ბ-ემ უანდერძა მე. კ-ეს (დაბ. ...ნ.). ს. ბ-ე გარდაიცვალა 2010 წლის 30 აგვისტოს.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 11 ნოემბრის გადაწყვეტილებით (საქმე №2/870-2013), ზ. ბ-ის და მ. კ-ის სასარჩელო მოთხოვნა ქორწინების ბათილად ცნობის თაობაზე დაკმაყოფილდა, შესაბამისად, ბათილად იქნა ცნობილი 1976 წლის 24 სექტემბერს ხ. ბ-ესა და ს. ბ-ეს შორის რეგისტრირებული ქორწინება. ამავე გადაწყვეტილებით, ზ. ბ-ის და მ. კ-ის სასარჩელო მოთხოვნა სამკვიდრო მონუმობის ბათილად ცნობის თაობაზე დაკმაყოფილდა, შესაბამისად, ბათილად იქნა ცნობილი 2006 წლის 27 იანვარს ს. ბ-ის სახელზე გაცემული კანონისმიერი სამკვიდრო მონუმობა რეესტრი №2-11. ასევე, ამავე გადაწყვეტილებით დადგინებულ იქნა ზ. ბ-ის და მ. კ-ის მიერ სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობით მართვისა და მიღების ფაქტი. შესაბამისად, ზ. ბ-ე და მ. კ-ე ცნობილ იქნენ ხ. ბ-ის დანაშთი სამკვიდრო ქონების, მდებარე ქ. ბათუმი, ... დასახლება, სახლი №29, ბინა №117-ის მემკვიდრეებად – ზ. ბ-ე 1/2 ნაწილზე, მ. კ-ე 1/2 ნაწილზე.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტზე, რომლის მიხედვით, ადმინისტრაციული ხელშეკრულება არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით ფიზიკურ ან იურიდიულ პირთან, აგრეთვე სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან დადებული სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულება.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელების – ზ. ბ-ის და მ. კ-ის ერთ-ერთ მოთხოვნას ადგილობრივი მმართველობის ორგანოს №5 საბინაო-საექსპლუატაციო კანტორის წარმომადგენელსა და ს. ბ-ეს შორის 1992 წლის 14 სექტემბრის გაფორმებული პრივატიზაციის ხელშეკრულების ბათილად ცნობა წარმოადგენდა. ამასთან, აღნიშნული ხელშეკრულება წარმოადგენდა ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა „საქართველოს რესპუბლიკის ბინების პრივატიზაციის (უსასყიდლო გადაცემის) შესახებ“ მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 1 თებერვლის №107 დადგენილებაზე, რომლის თანახმად, ბინების პრივატიზაცია წარმოადგენს მოქალაქეთათვის სახელმწიფო და საზოგადოებრივ ფონდში მათ მი-



ერ დაკავებული საცხოვრებელი სახლის (ბინის) ნებაყოფლობითი შეღავათიანი პირობებით საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემას. სასამართლომ აღნიშნა, რომ განსახილველი ნორმის თანახმად, გასათვალისწინებელი იყო ის, რომ საცხოვრებელი სახლის (ბინის) პრივატიზაციისას თანაბარი უფლებებით სარგებლობენ ის პირები, ვინც წარმოადგენენ ამ საცხოვრებელი სახლის (ბინის) დამქირავებლებს ან მათი ოჯახის წევრებს, ანუ აღნიშნული ნორმატიული აქტი არ აყენებს საცხოვრებელი სახლის (ბინის) არც ერთ დამქირავებელს ან მისი ოჯახის წევრს პრივილეგიურულ მდგომარეობაში. ასეთ შემთხვევაში, საცხოვრებელი სახლის (ბინის) დამქირავებლები გამოთქვამენ ნებას, თავისი კონსტიტუციური უფლების რეალიზაციის მიზნით საკუთრებაში მიიღონ საცხოვრებელი სახლი (ბინა), რომელიც მათ გადაცემული ჰქონდათ სარგებლობაში. საქალაქო სასამართლოს მითითებით, აღნიშნულს, თავის მხრივ, ასევე ადასტურებდა დასახელებული დადგენილების მე-5 მუხლი, რომლის თანახმადაც, საცხოვრებელი სახლი (ბინა) უსასყიდლოდ გადაეცემათ საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებს, რომლებიც ამ საცხოვრებელი სახლის (ბინის) დამქირავებლები ან დამქირავებლის ოჯახის წევრები არიან. მითითებული დადგენილების მე-6 პუნქტის თანახმად, ხელშეკრულება საცხოვრებელი სახლის (ბინის) უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ ფორმდება ადგილობრივი მმართველობის ორგანოს სახელით საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაციასა და მოქალაქეს შორის, რომელსაც ბინა უნდა გადაეცეს საკუთრებაში, ხოლო სანარმოს, დანესებულებისა და ორგანიზაციის კუთვნილი საცხოვრებელი სახლის (ბინის) უსასყიდლოდ გადაცემისას, ადმინისტრაციასა და მოქალაქეს შორის.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, განსახილველ შემთხვევაში, საქმეში არსებული მასალებით დადგენილი იყო, რომ 1992 წლის 14 სექტემბრის პრივატიზაციის ხელშეკრულების (რეესტრის №...) თანახმად, ს. ბ-ეს ა. გ-მ, როგორც ადგილობრივი მმართველობის ორგანოს №5 საბინაო-საექსპლუატაციო კანტორის წარმომადგენელმა უსასყიდლოდ საკუთრებაში გადასცა და ს. ბ-ემ მიიღო ქ. ბათუმში, ... დასახლება №29-ში მდებარე ოროთახიანი ბინა №117.

სასამართლომ იმ გარემოებაზეც მიუთითა, რომ, მოცემულ შემთხვევაში, დავის საგანს წარმოადგენდა 1992 წლის 14 სექტემბრის პრივატიზაციის ხელშეკრულების (რეესტრის №...) კანონიერების შემოწმება, რომლითაც ს. ბ-ეს უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაეცა ოროთახიანი საცხოვრებელი ბინა, მდებარე ქ. ბათუმში, ... დასახლება №29 ბინა №117.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 70-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციული ორგანოს მი-

ერ დადებული ხელშეკრულების ბათილად გამოცხადებას ანესრიგებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის თანახმად, ბათილია გარიგება, რომელიც არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს, ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან ზნეობის ნორმებს, ხოლო ამავე კოდექსის 170-ე და 172-ე მუხლების პირველი ნაწილების მიხედვით, მესაკუთრეს შეუძლია, კანონისმიერი ან სხვაგვარი, კერძოდ, სახელშეკრულებო შებოჭვის ფარგლებში თავისუფლად ფლობდეს და სარგებლობდეს ქონებით (ნივთით), არ დაუშვას სხვა პირთა მიერ ამ ქონებით სარგებლობა, განკარგოს იგი, თუკი ამით არ ილახება მეზობლების ან სხვა მესამე პირთა უფლებები, ანდა, თუ ეს მოქმედება არ წარმოადგენს უფლების ბოროტად გამოყენებას, ხოლო მესაკუთრეს შეუძლია, მფლობელს მოსთხოვოს ნივთის უკან დაბრუნება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მფლობელს ჰქონდა ამ ნივთის ფლობის უფლება.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილია, რომ თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ამავე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილია, რომ საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლის პირველი ნაწილით დადგენილია, რომ მოსარჩელე ვალდებულია დაასაბუთოს თავისი სარჩელი და წარადგინოს შესაბამისი მტკიცებულებები. მოპასუხე ვალდებულია წარადგინოს წერილობითი პასუხი (შესაგებელი) და შესაბამისი მტკიცებულებები.

საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ განსახილველ შემთხვევაში, საქმის მასალებში არ მოიპოვებოდა მტკიცებულება, ამასთან, დავის სასამართლო განხილვისას მოსარჩელის მხრიდან წარდგენილი არ ყოფილა შესაბამისი მტკიცებულება, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა იმის მტკიცება, რომ ადგილობრივი მმართველობის ორგანოს №5 საბინაო-საექსპლუატაციო კანტორის წარმომადგენელსა და ს. ბ-ეს შორის 1992 წლის 14 სექტემბრის პრივატიზაციის ხელშეკრულება გაფორმებული იყო „საქართველოს რესპუბლიკაში ბინების პრივატიზაციის (უსასყიდლოდ გადაცემის) შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 1 თებერვლის №107 დადგენილებით განსაზღვრული წესის დარღვევით და რომ არსებობდა მისი ბათილად ცნობის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი.

სასამართლომ დამატებით აღნიშნა, რომ მოსარჩელები სარ-

ჩელში და თავის ახსნა-განმარტებაში განმარტავდნენ, რომ 1982 წლის 13 მაისს №01860 ორდერი გაცემული იქნა მამამისის ხ. ბ-ის სახელზე, სადაც მითითებული იქნა მეუღლე – ს. ბ-ე და შვილი მ. ბ-ე (კ-ე). შესაბამისად, ქ. ბათუმში, ... დასახლება სახლი №29-ში მდებარე ბინა №117 წარმოადგენდა მამამისის კუთვნილ ქონებას (საკუთრებას) და მათ აღნიშნული ქონება უნდა მიეღოთ, როგორც ხ. ბ-ის კანონისმიერ მემკვიდრეებს. მოსარჩელები აღნიშნავდნენ, რომ ს. ბ-ეს, როგორც ხ. ბ-ის მეუღლეს და პირველი რიგის კანონისმიერ მემკვიდრეს უფლება არ ჰქონდა მოეხდინა საცხოვრებელი ბინის პრივატიზაცია, რადგან მათ შორის ქორწინება კანონიერი არ ყოფილა, რაც დადასტურდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 11 ნოემბრის გადაწყვეტილებითაც. კერძოდ, ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 11 ნოემბრის გადაწყვეტილებით (საქმე №2/870-2013), ბათილად იქნა ცნობილი 1976 წლის 24 სექტემბერს ხ. ბ-ესა და ს. ბ-ეს შორის რეგისტრირებული ქორწინება, ასევე ბათილად იქნა ცნობილი 2006 წლის 27 იანვარს ს. ბ-ის სახელზე გაცემული კანონისმიერი სამკვიდრო მონაწილეობა რეესტრი №2-11 და ზ. ბ-ე და მ. კ-ე ცნობილი იქნენ ხ. ბ-ის დანაშთი სამკვიდრო ქონების, მდებარე ქ. ბათუმი, ... დასახლება, სახლი №29, ბინა №117-ის მემკვიდრეებად – ზ. ბ-ე 1/2 ნაწილზე, მ. კ-ე 1/2 ნაწილზე.

სასამართლომ აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის საქალაქო საბჭოს აღმასკომის მიერ 1982 წლის 13 მაისს გაცემულ იქნა №01860 ორდერი, ქ. ბათუმში, ... დასახლება სახლი №29-ში მდებარე ბინა №117-ზე, რომლის თანახმად საცხოვრებელი ბინის დამქირავებლები იყვნენ ხ. ბ-ე, ს. ბ-ე, მ. ბ-ე. 1990 წლის 21 ივნისს ხ. ბ-ე გარდაიცვალა, ხოლო მ. კ-ე კახაბრის თემის საკრებულოს სოფელ მეჯინისწყალის 1986-2006 წლების საკომლო წიგნის ჩანაწერების მიხედვით ირიცხება კომლის წევრად. ამდენად, 1992 წლის 14 სექტემბერს ს. ბ-ის მიერ სადავო საცხოვრებელ ბინაზე პრივატიზაციის ხელშეკრულების გაფორმების დროისათვის, ხ. ბ-ეს და მ. კ-ეს საცხოვრებელ ბინასთან სამართლებრივი კავშირი აღარ გააჩნდათ, რადგან ხ. ბ-ე გარდაცვლილი იყო, ხოლო მ. კ-ე ირიცხებოდა კომლის წევრად მეუღლესთან – ლ. კ-ესთან ერთად. ამდენად, ს. ბ-ე წარმოადგენდა ერთადერთ დამქირავებელს, რომელსაც საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 1 თებერვლის №107 დადგენილებით მინიჭებული უფლებიდან გამომდინარე, უფლება ჰქონდა მოეხდინა საცხოვრებელი ბინის პრივატიზაცია.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 16 მარტის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ზ. ბ-ემ და მ. კ-ემ, რომლებმაც გასაჩივრებული

გადანყვეტილების გაუქმება და ახალი გადანყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 25 დეკემბრის განჩინებით ზ. ბ-ისა და მ. კ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 16 მარტის გადანყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს სამართლებრივი დასაბუთება და ამასთან, დამატებით აღნიშნა, რომ ე.წ. „ჩაწერის ინტიტუტი“ ნიშნავდა საცხოვრებელი ადგილის არსებობას. იმდროინდელი კანონმდებლობის საფუძველზე ბინაში ჩაწერა წარმოადგენდა სახლის (ბინის) ფლობის, სარგებლობის და განკარგვის უტყუარ დამადასტურებელ საბუთს. ამდენად, ის გარემოება, რომ ს. ბ-ე ჩაწერილი (რეგისტრირებული) იყო მითითებულ საცხოვრებელ ბინაში, ადგენდა საცხოვრებელ ფართზე მის კანონისმიერ უფლებას. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის პოზიცია იმის თაობაზე, რომ რადგანაც ხ. ბ-ესა და ს. ბ-ეს შორის არსებული ქორწინება კანონიერი არ იყო (რაც დადასტურებული იყო ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 11 ნოემბრის გადანყვეტილებით), შესაბამისად 1992 წლის 14 სექტემბრის პრივატიზაციის ხელშეკრულება, რომელიც დადებული იყო ქ. ბათუმის №5 საბინაო-საექსპლუატაციო კანტორასა და ს. ბ-ეს შორის, უნდა ჩათვლილიყო უკანონოდ.

სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ 1992 წლის 14 სექტემბრისათვის ს. ბ-ე, საცხოვრებელ ბინაზე პრივატიზაციის ხელშეკრულების გაფორმების დროს წარმოადგენდა საცხოვრებელი სახლის (ბინის) დამქირავებელს (1992 წლის 1 თებერვლის №107 დადგენილება), აღნიშნული სტატუსი მას მოპოვებული ჰქონდა, როგორც სადავო ბინაში რეგისტრაციით, ასევე 1982 წლის 13 მაისს გაცემული №01860 ორდერით, ამასთან, იგი უწყვეტად, კანონიერად სარგებლობდა სადავო ფართით. შესაბამისად, მისი ხ. ბ-ესთან უკანონო ქორწინებაში ყოფნა რაიმე არსებით გავლენას ბინის პრივატიზების პროცესზე ვერ მოახდენდა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო პრივატიზაციის ხელშეკრულების დადების დროს ადმინისტრაციულ ორგანოს არ დაურღვევია იმ დროს მოქმედი საკანონმდებლო ნორმების მოთხოვნები. შესაბამისად, პირველი ინსტანციის სასამართლომ მართებულად უარყო მოსარჩელეთა მიერ წარდგენილი სარჩელი. ამათან, ასევე უსაფუძვლო იყო აპელანტების მოთხოვნა ს. ბ-ის ბინის ორდერიდან ამორიცხვის შესახებ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 25 დეკემბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ზ. ბ-ემ და მ. კ-ემ, რომლებმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვეს.

კასატორები აღნიშნავენ, რომ ხ. ბ-ესთან უკანონოდ დაქორწინებული ს. ბ-ე ცნობილ იქნა ხ. ბ-ის პირველი რიგის მემკვიდრედ და ნოტარიუსის მიერ მასზე გაიცა სამკვიდრო მონმოზა. შესაბამისად, ხ. ბ-ის გარდაცვალების შემდგომ, სამკვიდრო მონმოზის საფუძველზე ს. ბ-ე ცნობილ იქნა პირველი რიგის მემკვიდრედ სხვა მემკვიდრეთა გვერდის ავლით და მასზე გავრცელდა მემკვიდრის ყველა უფლება.

კასატორები აგრეთვე აღნიშნავენ, რომ ხ. ბ-ის გარდაცვალების შემდეგ, ს. ბ-ემ, როგორც თითქოს მისმა მეუღლემ, მოახდინა ქ. ბათუმში, ... დასახლებაში მდებარე სახლი №29, ბინა №117-ის პრივატიზება. ბინის ორდერით კი დგინდება, რომ იგი ხ. ბ-ის სახელზე არის გაცემული. კასატორები უკანონოდ მიიჩნევენ ს. ბ-ის მიერ პრივატიზების ხელშეკრულების საფუძველზე ბათუმის საარეგისტრაციო სამსახურში ზემოაღნიშნული ფართის საკუთრებაში აღრიცხვას, რამდენადაც ს. ბ-ე და ხ. ბ-ე დაქორწინდნენ ქორწინების დამაბრკოლებელ გარემოებათა არსებობის ფონზე. ს. ბ-ე საბინაო ორდერში მითითებულია, როგორც ხ. ბ-ის მეუღლე, აქედან გამომდინარე, მან უკანონოდ ისარგებლა მეუღლისა და ხ. ბ-ის პირველი რიგის მემკვიდრის კანონისმიერი უფლებებით. ამასთან, კასატორები ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ აღნიშნულ ორდერში ოჯახის წევრებად მითითებულნი არიან ს. ბ-ე – ხ. ბ-ის მეუღლის რანგში, მ. ბ-ე-კ-ე კი – შვილის რანგში.

კასატორები მიუთითებენ, რომ ს. ბ-ემ ზემოაღნიშნული ქმედებებით პირველი რიგის რეალურ მემკვიდრეებს მოუსპო საშუალება, მიეღოთ სამკვიდრო. ამასთან, ს. ბ-ეს სადავო ბინაში, პრაქტიკულად, არ უცხოვრია და ის ფაქტობრივად ხ. ბ-ის სახელზე რიცხულ მეორე ბინაში ცხოვრობდა. კასატორები აღნიშნავენ, რომ სწორედ ისინი არიან სამკვიდროს ფაქტობრივი მფლობელები, ისინი აღნიშნულ ბინაში ცხოვრობდნენ მამის გარდაცვალებამდე და მასში ცხოვრება განაგრძეს მამის გარდაცვალების შემდგომაც. სწორედ ზ. ბ-ემ უზრუნველყო საკუთარი ხარჯებით ქონების შეცვლა, გარემონტება, კეთილმოწყობა, მასში საკუთარი ხარჯებით შექმნილი ქონების განთავსება.

კასატორები ყურადღებას ამახვილებენ ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილად და დადასტურებულად მიჩ-

ნეული ფაქტობრივი გარემოებების ნაწილზე, სადაც მითითებულია, რომ ხ. ბ-ის გარდაცვალების შემდეგ, ს. ბ-ემ, როგორც მეუღლემ, მოახდინა ბინისა მდებარე ქ. ბათუმში, ... დასახლება №29, ბინა №117 პრივატიზაცია, ბინის ორდერით დასტურდება, რომ ის გაცემულია მოსარჩევეების მამის, ხ. ბ-ის სახელზე; პრივატიზების ხელშეკრულების საფუძველზე, ს. ბ-ემ ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურში საკუთრებაში აღირიცხა ზემოაღნიშნული ფართი. ამასთან, დადასტურებულად იქნა მიჩნეული, რომ ქორწინება იყო ბათილი ხ. ბ-ესა და ს. ბ-ეს შორის. შესაბამისად, მოცემული მოქმედებები (ანუ პრივატიზების ხელშეკრულების გაფორმება, საჯარო რეესტრში ქონების მესაკუთრედ აღრიცხვა) ს. ბ-ის მხრიდან განხორციელდა ბათილი ქორწინების საფუძველით; მანამდე არსებული მდგომარეობით კი უძრავი ქონება ირიცხებოდა ორდერის საფუძველით ხ. ბ-ის სახელზე.

კასატორთა მითითებით, ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილით დადგენილ იქნა სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობის ფაქტი, კერძოდ, მოსარჩევეების – ზ. ბ-ისა და მ. კ-ის მიერ სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობით მართვისა და მიღების ფაქტი. შესაბამისად, მოსარჩევეები ცნობილ იყვნენ ხ. ბ-ის დანაშთი სამკვიდრო ქონების მემკვიდრეებად. ამდენად, კასატორები მიიჩნევენ, რომ ს. ბ-ემ, ბათილი ქორწინების საფუძველით უკანონოდ უზრუნველყო იმ ბინის პრივატიზება და შემდგომ საჯარო რეესტრში რეგისტრაცია, რომელიც ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 11 ნოემბრის გადაწყვეტილებით მიჩნეულ იქნა ხ. ბ-ის დანაშთ სამკვიდრო ქონებად. ამასთან, ხსენებული გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის მიხედვით, რადგან დადასტურდა, რომ მოსარჩევეები ფაქტობრივად დაეუფლნენ გარდაცვლილი მამის დანაშთ სამკვიდროს, შესაბამისად, ისინი უნდა აღირიცხონ თანაბარ წილად სამკვიდრო ქონებაზე მესაკუთრეებად.

კასატორები მიუთითებენ, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას ნამსჯელი აქვს პრივატიზების ხელშეკრულების თაობაზეც და გამოტანილი აქვს სწორი დასკვნებიც, კერძოდ, სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ ბათილად ცნო ქორწინება ხ. ბ-ესა და ს. ბ-ეს შორის, შესაბამისად, ბათილად იქნა ცნობილი სამკვიდრო მონაშთაც, ხოლო კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით პრივატიზების ხელშეკრულება პრაქტიკულად აღიარებულ იქნა კანონდარღვევით გაფორმებულად, ბათილი ქორწინების საფუძველით, რაც უდავოდ უნდა იქნეს გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალწარმოების ფარგლებში.

კასატორები აგრეთვე აღნიშნავენ, რომ მიუხედავად ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 11 ნოემბრის გადაწყვეტილების შინაარსის გაზიარებისა თუ გაუზიარებლობისა, იგი უკვე შესულია კანონიერ ძალაში, შესაბამისად, ადმინისტრაციული სამართალწარმოების ფარგლებში იგი პრეიუდიციული მნიშვნელობისაა.

ამასთან, კასატორები განმარტავენ, რომ მათ სადავო ბინასთან სამართლებრივი კავშირი არ ჰქონიათ განყვეტილი, მით უფრო, იმ პირობებში, როდესაც აღნიშნული ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებითაც ცალსახად იყო დადასტურებული, რომ ზ. ბ-ე და მ. კ-ე მამის – ხ. ბ-ის გარდაცვალების შემდეგ დაეუფლნენ სადავო ბინას და ისინი ხ. ბ-ის დანაშთი სამკვიდრო ქონების თანამესაკუთრები არიან. კასატორები მიიჩნევენ, რომ ს. ბ-ე უკანონოდ იყო დაფიქსირებული როგორც ერთადერთი დამქირავებელი, ამასთან, ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ ცალსახად მიუთითა, რომ ბათილი ქორწინების საფუძველი იყო ისიც, რომ იგი სადავო ბინის თითქოს ერთადერთ დამქირავებელს წარმოადგენდა, ანუ ბათილი ქორწინება რომ არა, ს. ბ-ე, ცხადია, ვერ მოახდენდა პრევატიზების ხელშეკრულების გაფორმებას.

კასატორები მიუთითებენ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 70-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის მიხედვით, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებული ხელშეკრულების ბათილად გამოცხადებას აწესრიგებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის თანახმად, ბათილია გარიგება, რომელიც არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს, ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან ზნეობის ნორმებს, ხოლო ამავე კოდექსის 170-ე და 172-ე მუხლების პირველი ნაწილების მიხედვით, მესაკუთრეს შეუძლია, კანონისმიერი ან სხვაგვარი, კერძოდ, სახელშეკრულებო შებოჭვის ფარგლებში თავისუფლად ფლობდეს და სარგებლობდეს ქონებით (ნივთით), არ დაუშვას სხვა პირთა მიერ ამ ქონებით სარგებლობა, განკარგოს იგი, თუკი ამით არ ილახება მეზობლების ან სხვა მესამე პირთა უფლებები, ანდა, თუ ეს მოქმედება არ წარმოადგენს უფლების ბოროტად გამოყენებას, ხოლო მესაკუთრეს შეუძლია, მფლობელს მოსთხოვოს ნივთის უკან დაბრუნება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მფლობელს ჰქონდა ამ ნივთის ფლობის უფლება.

კასატორები აგრეთვე მიუთითებენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოე-

ბანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ამავე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილია, რომ საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით. ამასთან, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლის პირველი ნაწილით დადგენილია, რომ მოსარჩელე ვალდებულია დაასაბუთოს თავისი სარჩელი და წარადგინოს შესაბამისი მტკიცებულებები. მოპასუხე ვალდებულია წარადგინოს წერილობითი პასუხი (შესაგებელი) და შესაბამისი მტკიცებულებები.

კასატორთა განმარტებით, სახეზეა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის დარღვევით დადებული პრივატიზების ხელშეკრულება, რაც ცალსახად დასტურდება ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის ძალაში შესული გადაწყვეტილებით, სადაც ცალსახად არის დადგენილი, რომ ს. ბ-ემ, სწორედაც კანონით დადგენილი წესებისა და აკრძალვების უგულვებელყოფით, ბათილი ქორწინების საფუძვლებით განახორციელა ყველა სხვა იურიდიული მოქმედებისა და მათ შორის პრივატიზების ხელშეკრულების გაფორმება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 4 ივნისის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ზ. ბ-ისა და მ. კ-ის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 3 სექტემბრის განჩინებით ზ. ბ-ისა და მ. კ-ის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე. ამასთან, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 4 დეკემბრის განჩინებით ზ. ბ-ისა და მ. კ-ის საკასაციო საჩივრის განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრებით. მხარეებს მიეცათ ვადა მორიგებისათვის, თუმცა უშედეგოდ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 28 მარტის განჩინებით ზ. ბ-ისა და მ. კ-ის საკასაციო საჩივრის განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ზ. ბ-ისა და მ. კ-ის საკასაციო საჩივარი არ უნდა



დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 25 დეკემბრის განჩინება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: საქმის მასალებით დადგენილია, რომ ხ. ბ-ე და ს. ბ-ე 1976 წლის 24 სექტემბრიდან იმყოფებოდნენ რეგისტრირებულ ქორწინებაში.

ხ. ბ-ე გარდაიცვალა 1990 წლის 21 ივნისს. მოსარჩელე მ. ბ-ე და ლ. კ-ე 1980 წლის 9 ივნისიდან იმყოფებიან რეგისტრირებულ ქორწინებაში. კახაბრის თემის საკრებულოს სოფელ მეჯინისწყალის 1986-2006 წლების საკომლო წიგნის ჩანაწერების მიხედვით, კომლის წევრებად ირიცხებიან ლ. და მ. კ-ეები.

საქმეში წარმოდგენილი 1992 წლის 14 სექტემბრის პრივატიზაციის ხელშეკრულების (რეესტრის №...) თანახმად, ს. ბ-ეს ა. გ-მ, როგორც ადგილობრივი მმართველობის ორგანოს №5 საბინაო-საექსპლუატაციო კანტორის წარმომადგენელმა, უსასყიდლოდ საკუთრებაში გადასცა და ს. ბ-ემ მიიღო ქ. ბათუმში, ... დასახლება №29-ში მდებარე ოროთახიანი ბინა №117.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ 2006 წლის 27 იანვრის კანონისმიერი სამკვიდრო მონუმობის (რეესტრი №2-11) საფუძველზე, ს. ბ-ემ მემკვიდრეობით მიიღო 1990 წლის 21 ივნისს გარდაცვლილი მეუღლის – ხ. ბ-ის სამკვიდრო ქონება, მინის ნაკვეთი – 592.8 კვ.მ და შენობა-ნაგებობები სასარგებლო ფართით – 80.9 კვ.მ და ავტოფარეხი – 10.9 კვ.მ, მდებარე ქ. ბათუმი, ... ქ. №21.

2010 წლის 27 მაისის ანდერძით (რეგისტრაციის №...) დგინდება, რომ ქ. ბათუმში, ... დასახლება სახლი №29 ბინა №117, ს. ბ-ემ უანდერძა მე. კ-ეს (დაბ. ...წ.). ს. ბ-ე გარდაიცვალა 2010 წლის 30 აგვისტოს. მე. კ-ე წარმოადგენს მოსარჩელე ზ. ბ-ის შვილიშვილს.

საკასაციო სასამართლო, თავდაპირველად, მიუთითებს საქმეში წარმოდგენილ ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 11 ნოემბრის კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებაზე (საქმე №2/870-2013), რომლითაც ზ. ბ-ის და მ. კ-ის სასარჩელო მოთხოვნა ქორწინების ბათილად ცნობის თაობაზე დაკმაყოფილდა, შესაბამისად, ბათილად იქნა ცნობილი 1976 წლის 24 სექტემბერს ხ. ბ-ესა და ს. ბ-ეს შორის რეგისტრირებული ქორწინება. ამავე გადაწყვეტილებით ზ. ბ-ის და მ. კ-ის სასარჩელო მოთხოვნა სამკვიდრო მონუმობის ბათილად ცნობის თაობაზე დაკმაყოფილდა, შესაბამისად, ბათილად იქნა ცნობილი 2006 წლის 27 იანვარს ს. ბ-ის სახელზე გაცემული კანონისმიერი სამკვიდრო მონუმობა რეესტრი №2-11. ასევე, ამავე გადაწყვეტილებით დადგენილი იქნა ზ. ბ-ის და მ. კ-ის მიერ სამკვიდროს ფაქტობ-

რივი ფლობით მართვისა და მიღების ფაქტი. ამდენად, ზ. ბ-ე და მ. კ-ე ცნობილ იქნენ ხ. ბ-ის დანაშთი სამკვიდრო ქონების, მდებარე ქ. ბათუმი, ... დასახლება, სახლი №29, ბინა №117-ის მემკვიდრეებად – ზ. ბ-ე 1/2 ნაწილზე, მ. კ-ე 1/2 ნაწილზე.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის კანონიერ ძალაში შესულ ზემოხსენებულ და განსახილველ საქმეზე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 25 დეკემბრის გასაჩივრებულ გადაწყვეტილებებს შორის არსებობს კონკურენცია, კერძოდ, სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ გადაწყვეტილებით უძრავი ქონება მდებარე ქ. ბათუმში, ... დასახლება სახლი №29-ში მდებარე ბინა №117 მემკვიდრეებად ცნო კასატორები – ზ. ბ-ე 1/2 ნაწილზე და მ. კ-ე 1/2 ნაწილზე, ხოლო ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 25 დეკემბრის გასაჩივრებული გადაწყვეტილებით კასატორთა სასარჩელო განცხადება 1982 წლის 13 მაისს გაცემული №01860 საცხოვრებელი ბინის ორდერიდან ს. ბ-ის ამორიცხვისა და 1992 წლის 14 სექტემბერს გაფორმებული პრივატიცაზიის ხელშეკრულების ბათილად ცნობის თაობაზე არ იქნა დაკმაყოფილებული, რის გამოც მოსარჩელები ვერ ახერხებენ სასამართლოს მიერ სადავო ქონებაზე აღიარებული საკუთრების უფლების საჯარო რეგისტრში რეგისტრაციას.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ კასატორთა მხრიდან განსახილველ დავაში წარმოდგენილი სასარჩელო განცხადება და, შესაბამისად, საკასაციო საჩივარი ძირითადად ეფუძნება ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 11 ნოემბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ქორწინების ბათილად ცნობისა და ხ. ბ-ის დანაშთი სამკვიდრო ქონებაზე ზ. ბ-ისა და მ. კ-ის მემკვიდრეებად ცნობის ფაქტს, რამდენადაც კასატორები აღნიშნულ შედეგს იმ გარემოებას უკავშირებენ, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით 1992 წლის 14 სექტემბრის პრივატიცაზიის ხელშეკრულების გაფორმების საფუძვლად სწორედ სამკვიდრო მონაწილე იქნა მიჩნეული. კერძოდ, ზემოხსენებულ გადაწყვეტილებაში მითითებულია: „საქმეში არსებული მტკიცებულებების თანახმად, ს. ბ-ის მიერ, ხ. ბ-ის გარდაცვალების შემდეგ, როგორც მისმა მეუღლემ მოახდინა ბინის, მდებარე ქ. ბათუმში, ... დასახლება, სახლი №29, ბინა №117 პრივატიზება.“ ამავე გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ „საქმის განხილვით და საქმეში არსებული მტკიცებულებებით დადგენილია, რომ სამკვიდრო მონაწილე გაცე-

მულია ს. ბ-ის სახელზე, როგორც პირველი რიგის კანონიერ მემკვიდრეზე და სამკვიდრო მონაწილის საფუძველზე ს. ბ-ეს მიღებული აქვს ხ. ბ-ის დანაშთი სამკვიდრო ქონება.“ შესაბამისად, კასატორებს მიაჩნიათ, რომ სამოქალაქო სამართალწარმოების ფარგლებში დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს მოცემულ ადმინისტრაციულ დავაში პრეიუდიციული ძალა უნდა მიენიჭოს.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში პრეიუდიციულ ძალას იძენს სამოქალაქო საქმეზე დადგენილი ის ფაქტობრივი გარემოებები, რომელთა დადგენა მხოლოდ სამოქალაქო სამართალწარმოების ფარგლებშია შესაძლებელი ან თანაბრად შეიძლება როგორც სამოქალაქო, ასევე, ადმინისტრაციული დავის განხილვისას. ამდენად, ის გარემოებები, რომლებიც ექსკლუზიურად და იმპერატიულად მხოლოდ ადმინისტრაციული სამართალწარმოების ფარგლებში დადგენასა და დადასტურებას ექვემდებარება, თუმცა, მიუხედავად ამისა, სამოქალაქო სამართალწარმოებისას კონკრეტული დავის განხილვის პროცესში მაინც დადგინდა, ყოველგვარი მოკვლევისა და დადგენის გარეშე ადმინისტრაციული სამართალწარმოების მიზნებისათვის გაზიარებული ვერ იქნება, შესაბამისად, მას ვერც პრეიუდიციული ძალა მიენიჭება. განსახილველ შემთხვევაში, დავის საგანს წარმოადგენს ადმინისტრაციული ხელშეკრულების, კერძოდ, 1992 წლის 14 სექტემბერს გაფორმებული პრივატიცაზიის ხელშეკრულების კანონიერება. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ რამდენადაც ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება ადმინისტრაციული დავის საგანს წარმოადგენს, ადმინისტრაციული ხელშეკრულების კანონიერების საკითხის შემოწმება მოიცავს სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების ფარგლებში მისი წარმოშობის საფუძვლების დადგენა-შეფასებასაც. შესაბამისად, ხსენებული საკითხის განხილვა და გადაწყვეტა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, საგნობრივი განსჯადობის თვალსაზრისით მხოლოდ ადმინისტრაციული წესით განსახილველ დავათა კატეგორიას მიეკუთვნება, ამდენად, ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების საფუძვლების სამოქალაქო სამართალწარმოების ფარგლებში შეფასება არ გამოორიცხავს ადმინისტრაციული წესით დავის განმხილველი სასამართლოს შესაძ-

ლებლობას, მოიკვლიოს ასეთი ხელშეკრულების საფუძვლები და განსხვავებული შედეგის შემთხვევაში, სხვაგვარად განსაზღვროს ფაქტობრივი გარემოებები. ამასთან, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ შეჯიბრებითობის პრინციპზე აგებული სამოქალაქო სამართალწარმოებისაგან განსხვავებით, ადმინისტრაციული სამართალწარმოება სწორედ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლებით დადგენილ ინკვიზიციურობის პრინციპს ეფუძნება. აღნიშნული განაპირობებს ადმინისტრაციული წესით განმხილველი სასამართლოს არა მხოლოდ უფლებამოსილებას, არამედ იმავდროულად ვალდებულებასაც, მოიკვლიოს საგნობრივად მისი განსჯადი საქმის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებები. შესაბამისად, სამართლებრივ საფუძველს მოკლებულია, პრეიუდიციული ძალა მიენიჭოს საგნობრივად ადმინისტრაციული სამართალწარმოების ფარგლებში განსახილველი საკითხის (საკითხების) მიმართ სამოქალაქო წესით განმხილველი სასამართლოს მიერ მხოლოდ მხარეთა მხრიდან წარდგენილი მტკიცებულებებით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, რამდენადაც ადმინისტრაციულ დავათა კატეგორიას მიკუთვნებულ საკითხთან დაკავშირებული და სამოქალაქო წესით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებისათვის ადმინისტრაციული სამართალწარმოების მიზნებისათვის პრეიუდიციული ძალის მინიჭება, ფაქტობრივად, სპობს ინკვიზიციურობის პრინციპის ქმედითობას ადმინისტრაციულ პროცესში, აცლის სასამართლოს შესაძლებლობას, მტკიცებულებათა მოძიების, ფაქტების მოკვლევის მიმართ აქტიური ჩართულობით დაადგინოს ადმინისტრაციულ დავათა კატეგორიას მიკუთვნებული კონკრეტული სადავო საკითხის განსაზღვრისა და გადაწყვეტისათვის საჭირო ფაქტობრივი გარემოებები. თავის მხრივ, სასამართლოს ჩართულობა აქტიურ გავლენას ახდენს კონკრეტული ფაქტების სწორ განსაზღვრაზე, ვინაიდან ადმინისტრაციული წესით განმხილველი სასამართლოს მონაწილეობამ შესაძლოა, საქმეზე ფაქტობრივ გარემოებათა სხვაგვარი შეფასება და დადგენა განაპირობოს.

შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ განსხვავებით, მაგალითად, ქორწინების ბათილობის საკითხისაგან, რომელიც სამოქალაქო წესით საქმის განხილვით ნყდება, უშუალოდ სადავო ქონების პრივატიზაციის მიზნით გაფორმებული ადმინისტრაციული ხელშეკრულების მიმართ სამოქალაქო საქმეზე დადგენილ ფაქტებს პრეიუდიციული ძალა განსახილველი დავის ფარგლებში ვერ მიენიჭება, რისი გათვალისწინებითაც, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში სასამართლო უფლებამოსილია, პრივატიზაციის ხელშეკრულების კანონიერების მიზნებისათვის

თავად განსაზღვროს და დაადგინოს კონკრეტულად ადმინისტრაციული ხელშეკრულების კანონიერების საკითხის გადაწყვეტისათვის საჭირო ფაქტობრივი გარემოებები.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სადავო პრივატიზების ხელშეკრულების გაფორმება და სადავო ქონებაზე ს. ბ-ის საკუთრების უფლების წარმოშობა განაპირობა არა ს. ბ-ესა და ხ. ბ-ეს შორის არსებულმა მემკვიდრეობითმა ურთიერთობამ, არამედ სადავო ბინასთან ს. ბ-ის უშუალო კავშირმა, რომელიც აღნიშნული ქონების მიმართ დამქირავებლის სტატუსსა და სადავო ბინის ფაქტობრივ მფლობელობაში იქნა გამოხატული.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს „საქართველოს რესპუბლიკის ბინების პრივატიზაციის (უსასყიდლო გადაცემის) შესახებ“ მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 1 თებერვლის №107 დადგენილებაზე, რომლის პირველი პუნქტის თანახმად, ბინების პრივატიზაცია წარმოადგენს მოქალაქეთათვის სახელმწიფო და საზოგადოებრივ ფონდში მათ მიერ დაკავებული საცხოვრებელი სახლის (ბინის) ნებაყოფლობითი შეღავათიანი პირობებით საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემას. დასახელებული დადგენილების მე-5 პუნქტის თანახმადაც, საცხოვრებელი სახლი (ბინა) უსასყიდლოდ გადაეცემათ საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებს, რომლებიც ამ საცხოვრებელი სახლის (ბინის) დამქირავებლები ან დამქირავებლის ოჯახის წევრები არიან. მითითებული დადგენილების მე-6 პუნქტის თანახმად, ხელშეკრულება საცხოვრებელი სახლის (ბინის) უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ ფორმდება ადგილობრივი მმართველობის ორგანოს სახელით საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაციასა და მოქალაქეს შორის, რომელსაც ბინა უნდა გადაეცეს საკუთრებაში, ხოლო საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის კუთვნილი საცხოვრებელი სახლის (ბინის) უსასყიდლოდ გადაცემისას, ადმინისტრაციასა და მოქალაქეს შორის.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ განსახილველი ნორმის თანახმად, გასათვალისწინებელია, რომ საცხოვრებელი სახლის (ბინის) პრივატიზაციისას თანაბარი უფლებებით სარგებლობენ ის პირები, ვინც წარმოადგენენ ამ საცხოვრებელი სახლის (ბინის) დამქირავებლებს ან მათი ოჯახის წევრებს, ანუ აღნიშნული ნორმატიული აქტი არ აყენებს საცხოვრებელი სახლის (ბინის) არც ერთ დამქირავებელს ან მისი ოჯახის წევრს პრივილეგიურულ მდგომარეობაში. ასეთ შემთხვევაში, საცხოვრებელი სახლის (ბინის) დამქირავებლები გამოთქვამენ ნებას, თავისი კონსტიტუციური უფლების რეალიზაციის მიზნით საკუთრებაში მიიღონ საცხოვრებელი სახლი (ბინა), რომელიც მათ გადაცემული ჰქონდათ სარგებლობაში. ამასთან, დაქირავებული ბინის მიმართ განსაზღ-

ღვრული უფლება-მოვალეობების კუთხით დამქირავებლისა და მისი ოჯახის წევრების სტატუსს ათანაბრებს, ასევე, სადავო ხელშეკრულების გაფორმების პერიოდში მოქმედი საქართველოს სსრ 1983 წლის 4 ივნისის კანონით დამტკიცებული საქართველოს სსრ საბინაო კოდექსის 62-ე მუხლიც, რომლის თანახმად, დამქირავებლის ოჯახის წევრები, რომლებიც მასთან ერთად ცხოვრობენ, დამქირავებლის თანაბრად სარგებლობენ ყველა უფლებით და ეკისრებათ საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა მოვალეობა. ოჯახის სრულწლოვან წევრებს დამქირავებელთან ერთად ეკისრებათ სოლიდარული ქონებრივი პასუხისმგებლობა აღნიშნული ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებებისათვის.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილ და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიერ გაზიარებულ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომლის მიხედვით, ქალაქ ბათუმის საქალაქო საბჭოს აღმასკომის 1982 წლის 7 მაისის №220 გადაწვეტილების საფუძველზე, 1982 წლის 13 მაისს გაცემული იქნა №01860 ორდერი, ქ. ბათუმში, ... დასახლება სახლი №29-ში მდებარე ბინა №117-ზე, რომლის თანახმად, საცხოვრებელი ბინის დამქირავებლები იყვნენ ხ. ბ-ე, ს. ბ-ე, მ. ბ-ე.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს მოსარჩელეთა მითითებას, რომ ს. ბ-ე არ ცხოვრობდა ქ. ბათუმში, ... დასახლება სახლი №29-ში მდებარე ბინა №117-ში, რამდენადაც, საქმეში წარმოდგენილი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსსგ ბათუმის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის მიერ გაცემული №... საინფორმაციო ბარათით დასტურდება, რომ ს. ბ-ე 1989 წლის 28 ოქტომბრიდან აღნიშნულ მისამართზე იყო რეგისტრირებული. ამასთან, სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას თავად მ. კ-ემ დაადასტურა, რომ 1982 წლიდან მ. ბ-ე (შემდგომში კ-ე), მისი მამა – ხ. ბ-ე და ს. ბ-ე ერთად ცხოვრობდნენ აღნიშნულ მისამართზე.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს სადავო ხელშეკრულების გაფორმების პერიოდში მოქმედი საქართველოს სსრ 1983 წლის 4 ივნისის კანონით დამტკიცებული საქართველოს სსრ საბინაო კოდექსის 62-ე მუხლზე, რომლის მიხედვით, დამქირავებლის ოჯახის წევრებს განეკუთვნებიან მასთან მუდმივად მცხოვრები დამქირავებლის მეუღლე, მათი შვილები და მშობლები. დამქირავებლის ოჯახის წევრებზე შეიძლება ცნობილ იქნენ აგრეთვე სხვა ნათესავები და შრომისუუნარო კმაყოფაზე მყოფნი, თუ ისინი მუდმივად ცხოვრობენ დამქირავებელთან და ეწევიან საერთო მეურნეობას მასთან ერთად. მიუხედავად საბინაო კოდექსის აღნიშნული ჩანაწერისა, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ევრო-

პული კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებში მომხდარი სოციალური და სამართლებრივი ცვლილებების გათვალისწინებით, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ოჯახური ცხოვრების განმარტება გასცდა ფორმალურ ურთიერთობას და მოიცავდა ასევე ფაქტობრივი კავშირები პარტნიორებს შორის, კერძოდ, საქმეზე – კრონი ნიდერლანდების წინააღმდეგ (**Kroon v. Netherlands**) – ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ „მე-8 მუხლით გათვალისწინებული „ოჯახური ცხოვრების“ ცნება არ იზღუდება მხოლოდ ქორწინებაზე დამყარებული ურთიერთობით და შეიძლება მოიცავდეს სხვა *de facto* „ოჯახურ კავშირებს“, როდესაც მხარეები ერთად ცხოვრობენ ქორწინების გარეშე. ... თუმცა, როგორც წესი, ერთად ცხოვრება შეიძლება ასეთი ურთიერთობის მოთხოვნა იყოს, გამონაკლისის სახით სხვა ფაქტორებმა ასევე შეიძლება მოახდინონ იმის დემონსტრირება, რომ ასეთ ურთიერთობას აქვს საკმარისი მდგრადობა, რათა დამყარდეს *de facto* „ოჯახური კავშირები“.“

ამდენად, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ რეგისტრირებული ქორწინების და მის საფუძველზე გაცემული სამკვიდრო მონუმბის ბათილად ცნობის პირობებშიც კი, ხ. ბ-ისა და ს. ბ-ის უშუალო თანაცხოვრების, აგრეთვე, საერთო მეურნეობის გაძლოლის გათვალისწინებით, მათ შორის არსებული კავშირი ოჯახურ ურთიერთობად, ხოლო ხ. ბ-ე და ს. ბ-ე კი ერთმანეთის ოჯახის წევრებად უნდა იქნენ მიჩნეული. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ს. ბ-ე წარმოადგენდა სადავო ბინის არა მხოლოდ დამქირაველებს, არამედ მისი კიდევ ერთი დამქირავებლის – ხ. ბ-ის ოჯახის წევრსაც, ხოლო რამდენადაც საქართველოს სსრ 1983 წლის 4 ივნისის კანონით დამტკიცებული საქართველოს სსრ საბინაო კოდექსის 62-ე მუხლი დამქირავებლისა და მისი ოჯახის წევრების უფლება-მოვალეობებს ერთმანეთს უთანაბრებს, არა თუ დამქირავებლის, არამედ ს. ბ-ისთვის მხოლოდ დამქირავებლის ოჯახის წევრის სტატუსის მინიჭების შემთხვევაშიც კი, ს. ბ-ე უფლებამოსილი იყო მოეხდინა ქ. ბათუმში, ... დასახლება სახლი №29-ში მდებარე ბინა №117-ის პრივატიზება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ განსახილველ შემთხვევაში, საქმეში არსებული მასალებით დადგენილია, რომ 1992 წლის 14 სექტემბრის პრივატიზაციის ხელშეკრულების (რეესტრის №...) თანახმად, ს. ბ-ეს ა. გ-მ, როგორც ადგილობრივი მმართველობის ორგანოს №5 საბინაო-საექსპლუატაციო კანტორის წარმომადგენელმა უსასყიდლოდ საკუთრებაში გადასცა და ს. ბ-ემ მიიღო ქ. ბათუმში, ... დასახლება №29-ში მდებარე ოროთახიანი ბინა №117. საკასაციო სასამართლო განმეორებით აღნიშნავს, რომ ხსენებუ-

ლი ხელშეკრულების გაფორმება სწორედ ს. ბ-ის მიერ სადავო ქონების მიმართ არსებულმა დამქირავებლის სტატუსმა, მის მიერ აღნიშნული ქონების ფაქტობრივად ფლობამ და ხ. ბ-ის მიმართ არსებულმა იმ პერიოდში რეგისტრირებულმა, თუმცა შემდგომში არარეგისტრირებულად მიჩნეულმა ოჯახურმა კავშირმა განაპირობა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 70-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის მიხედვით, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებული ხელშეკრულების ბათილად გამოცხადებას ანესრიგებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის თანახმად, ბათილია გარიგება, რომელიც არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს, ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან ზნეობის ნორმებს, ხოლო ამავე კოდექსის 170-ე და 172-ე მუხლების პირველი ნაწილების მიხედვით, მესაკუთრეს შეუძლია, კანონისმიერი ან სხვაგვარი, კერძოდ, სახელშეკრულებო შეპოჭვის ფარგლებში თავისუფლად ფლობდეს და სარგებლობდეს ქონებით (ნივთით), არ დაუშვას სხვა პირთა მიერ ამ ქონებით სარგებლობა, განკარგოს იგი, თუკი ამით არ ილახება მეზობლების ან სხვა მესამე პირთა უფლებები, ანდა, თუ ეს მოქმედება არ წარმოადგენს უფლების ბოროტად გამოყენებას, ხოლო მესაკუთრეს შეუძლია, მფლობელს მოსთხოვოს ნივთის უკან დაბრუნება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მფლობელს ჰქონდა ამ ნივთის ფლობის უფლება.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ამავე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილია, რომ საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლის პირველი ნაწილით დადგენილია, რომ მოსარჩელე ვალდებულია დაასაბუთოს თავისი სარჩელი და წარადგინოს შესაბამისი მტკიცებულებები. მოპასუხე ვალდებულია წარადგინოს წერილობითი პასუხი (შესაგებელი) და შესაბამისი მტკიცებულებები.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ქალაქ ბათუმის საქალაქო საბჭოს აღმასკომის მიერ ქ. ბათუმში, ... დასახლება სახლი №29-ში მდებარე ბინა №117-ზე 1982 წლის 13 მაისს გაცემული №01860 ორდერის თანახმად, საცხოვრებელი ბინის დამქირავებლები იყვნენ ხ. ბ-ე, ს. ბ-ე, მ. ბ-ე. 1990 წლის 21 ივნისს ხ. ბ-ე გარდაიცვალა, ხოლო მ. კ-ე კახაბრის თემის საკრებულოს სოფელ მეჯი-



ნისწყალის 1986-2006 წლების საკომლო წიგნის ჩანაწერების მიხედვით ირიცხება კომლის წევრად. ამდენად, 1992 წლის 14 სექტემბერს ს. ბ-ის მიერ სადავო საცხოვრებელ ბინაზე პრივატიზაციის ხელშეკრულების გაფორმების დროისათვის, ს. ბ-ეს და მ. კ-ეს საცხოვრებელ ბინასთან სამართლებრივი კავშირი აღარ გააჩნდათ, რადგან ს. ბ-ე გარდაცვლილი იყო, ხოლო მ. კ-ე ირიცხებოდა კომლის წევრად მეუღლესთან – ლ. კ-ესთან ერთად. ამდენად, ს. ბ-ე წარმოადგენდა ერთადერთ დამქირავებელს, რომელსაც საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 1 თებერვლის №107 დადგენილებით მინიჭებული უფლებიდან გამომდინარე, უფლება ჰქონდა მოეხდინა საცხოვრებელი ბინის პრივატიზაცია.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში, საქმის მასალებში არ მოიპოვება მტკიცებულება, ამასთან, დავის სასამართლო განხილვისას მოსარჩელის მხრიდან ქვედა ინსტანციის სასამართლოებში წარდგენილი არ ყოფილა შესაბამისი მტკიცებულება, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა იმის მტკიცება, რომ ადგილობრივი მმართველობის ორგანოს №5 საბინაო-საექსპლუატაციო კანტორის წარმომადგენელსა და ს. ბ-ეს შორის 1992 წლის 14 სექტემბერს პრივატიზაციის ხელშეკრულება გაფორმებულია „საქართველოს რესპუბლიკაში ბინების პრივატიზაციის (უსასყიდლოდ გადაცემის) შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 1 თებერვლის №107 დადგენილებით განსაზღვრული წესის დარღვევით და რომ არსებობს მისი ბათილად ცნობის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ მოსარჩელეთა მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი რაიმე სახის მტკიცებულება, რომელიც უტყუარად დაადასტურებდა, რომ პრივატიზაციის ხელშეკრულების გაფორმების დროს დარღვეული იყო საკანონმდებლო მოთხოვნები, რის გამოც განსახილველ შემთხვევაში, საქმის ფაქტობრივი გარემოებების მხედველობაში მიღებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს 1992 წლის 14 სექტემბრის პრივატიზაციის ხელშეკრულების ბათილად ცნობის და შესაბამისად, არც ს. ბ-ის ბინის ორდერიდან ამორიცხვის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი. ამდენად, ზ. ბ-ისა და მ. კ-ის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად უნდა დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 25 დეკემბრის განჩინება.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილითა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა :**

1. ზ. ბ-ისა და მ. კ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 25 დეკემბრის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **საცხოვრებელი ბინის პრივატიზების ხელშეკრულების კანონიერება**

### **განჩინება საქართველოს სახალხო**

№ბს-1213(2კ-18)

20 ივნისი, 2019 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. სხირტლაძე,  
ვ. როინიშვილი**

**დავის საგანი:** ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ნაწილობრივ ბათილად ცნობა, ადმინისტრაციული ხელშეკრულების ნაწილობრივ ბათილად ცნობა

### **აღწერილობითი ნაწილი:**

2016 წლის 2 ივნისს დ. ბ-მა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხეების – საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და გ. ბ-ის მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, იგი დაიბადა ... წელს ცხინვალში.

2003 წლის მარტიდან რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფება მოქალაქე ლ. ბ-ესთან. ქორწინების რეგისტრაცია განხორციელდა ერედვში – სოფ. ...ს თ/საკრებულოში. თანაცხოვრების პერიოდში შეეძინათ ორი შვილი: ნ. ბ-ი დაბადებული ... წლის ... ..ს და ი. ბ-ი დაბადებული ... წლის ... ..ს.

მოსარჩელის მითითებით, იგი ოჯახთან ერთად 2008 წლამდე ცხოვრობდა ერედვში. 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად იძულებული შეიქმნა დაეტოვებინა მუდმივი საცხოვრებელი ადგილი და დროებით საცხოვრებლად გადავიდა ქ. რუსთავში ქირით. თუმცა, მძიმე მატერიალური მდგომარეობის გამო იძულებული გახდა ოჯახთან ერთად სამუშაოდ წასულიყო გერმანიაში, სადაც დაიბადა ი. ბ-ი. 2015 წლის აგვისტოს თვეში დაბრუნდნენ საქართველოში და ისევ ქირით გააგრძელეს ცხოვრება. იგი წლების განმავლობაში იბრძოდა, რათა მის ოჯახს მიეღო საცხოვრებელი ფართი. მოსარჩელის მითითებით, მათ ხელთ აქვთ ერედვის მუნიციპალიტეტის გამგეობის, ერედვის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულის მიერ გაცემული ცნობა, სადაც ნათლად ჩანს, რომ დ. ბ-ის ბებიის ზ. ბ-ის ოჯახის შემადგენლობაში შედიოდნენ: დ. ბ-ი, მისი მეუღლე – ლ. ბ-ე და შვილი – ნ. ბ-ი. ზ. ბ-ს გამოეყო მხოლოდ 30.81 კვ.მ საცხოვრებელი ფართი, თეთრინყაროს რ/ნ სოფ. ...ში, როგორც ერთსულიან ოჯახს. მიუხედავად იმისა, რომ დ. ბ-ის ოჯახის წევრების აღრიცხვა მოხდა ზ. ბ-ის ოჯახის შემადგენლობაში, ისინი დარჩნენ ისევ ნაქირავებ ბინაში, ვინაიდან ზ. ბ-ისთვის გამოყოფილი ფართი გათვალისწინებული იყო ერთ სულზე და იქ ოთხსულიან ოჯახთან ცხოვრება შეუძლებელი იყო.

რაც შეეხება გ. ბ-ეს, მოსარჩელის მითითებით, იგი გახლდათ მისი ცოლის – ლ. ბ-ის პაპა და რის საფუძველზე და როდის მოხდა მასთან ერთად დ. და ნ. ბ-ების დარეგისტრირება დაუდგენელია. მოსარჩელის განმარტებით, მხოლოდ ახლახან გახდა ცნობილი, რომ თითქოს დ. ბ-ის ოჯახი დაკმაყოფილდა ფართით და 2012 წლის 24 მაისის ხელშეკრულების საფუძველზე მათ გადაეცათ საცხოვრებელი ფართი თეთრინყაროს რაიონის სოფ. ...ში, რომელიც გ. ბ-ეს გამოეყო. 2012 წლის 24 მაისის ნასყიდობის ხელშეკრულებაში მითითებულია, რომ გ. ბ-ეს გამოეყო საცხოვრებელი ფართი 47,59 და დაევალა უზრუნველყოფა მითითებულ ფართში დ. და ნ. ბ-ების სათანადო საცხოვრებელი პირობებით. ხელშეკრულების 2.4. პუნქტის შესაბამისად, 2.2 პუნქტში მითითებული პირობი არ იქნებიან უფლებამოსილნი მოითხოვონ დამატებით რაიმე სახის კომპენსაცია. ხელშეკრულებას ხელს აწერს მყიდველი – გ. ბ-ე და გამყიდველი – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.

აღნიშნულს არ ეთანხმება მოსარჩელე და მიუთითებს, რომ იგი ინფორმირებული მაინც უნდა ყოფილიყო, რომ მისი რეგისტრაცია (თუ საერთოდ განხორციელდა იგი) განხორციელდა გ. ბ-ესთან ერთ ოჯახად, რომელთანაც არასდროს უცხოვრია და რომელსაც ჰყავს თავისი ოჯახი. მოსარჩელის მითითებით, მისთვის არც ის იყო ცნობილი, რომ გ. ბ-ეს დაევალა უზრუნველყოფა მითითებულ ფართში დ. და ნ. ბ-ების სათანადო საცხოვრებელი პირობებით. ასევე არ იყო ცნობილი, რომ იმის გამო, რომ გ. ბ-ეს გადაეცა საცხოვრებელი ფართი, 2012 წლის 24 მაისის ხელშეკრულების 2.2 პუნქტში მითითებული პირები არ იქნებიან უფლებამოსილნი მოითხოვონ დამატებით რაიმე სახის კომპენსაცია. ხელშეკრულებას კი ხელს აწერს მყიდველი – გ. ბ-ე და გამყიდველი – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. მოსარჩელის მოსაზრებით, სავალდებულო იყო დ. და ნ. ბ-ების ხელმოწერები, მინიმუმ მათი ინფორმირება მაინც.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ დ. ბ-ისა და ნ. ბ-ის ნაწილში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 11 მაისის №11/05/02 განკარგულებისა და დ. ბ-ისა და ნ. ბ-ის საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილების ნაწილში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და გ. ბ-ეს შორის 2012 წლის 24 მაისის გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 21 სექტემბრის საოქმო განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე საქმეში მესამე პირად ჩაება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილებით დ. ბ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; დ. ბ-ისა და ნ. ბ-ის ნაწილში ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 11 მაისის №11/05/02 განკარგულება; დ. ბ-ისა და ნ. ბ-ის საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილების ნაწილში ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და გ. ბ-ეს შორის 2012 წლის 24 მაისის გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულება.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ დ. ბ-ი და ნ. ბ-ი 2008 წლიდან ერედვის მუნიციპალიტეტიდან დევნილები არიან. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგი-

ლებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ წარმოებული აღრიცხვით, დ. ბ-ი თეთრინწყაროს რაიონის სოფელი ...ის მცხოვრებ დევნილად 2012 წელს დარეგისტრირდა საოჯახო ნომერზე ..., სადაც იმ დროისათვის დარეგისტრირებული იყო მისი შვილი – ნ. ბ-ი და მეუღლის პაპა, ან გარდაცვლილი გ. ბ-ე.

საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 11 მაისის №11/05/02 განკარგულებით დადგინდა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, განკარგულების დანართში მითითებული ქონების პირდაპირი მყიდვის ფორმით, სიმბოლურ ფასად – 1 (ერთი) ლარად დანართშივე მითითებულ ფიზიკურ პირებზე (ოჯახის უფროსებზე) საკუთრებაში გადაცემა. მითითებული განკარგულების დანართის თანახმად, თეთრინწყაროს სოფელ ...ში მდებარე №9 კორპუსის პირველ სართულზე არსებული 47.59 კვ.მ ფართობის ბინა №4 (საკადასტრო კოდი №...) გ. ბ-ეს, დ. ბ-სა და ნ. ბ-ს უნდა გადასცემოდათ ოჯახის უფროსთან – გ. ბ-ესთან ხელშეკრულების გაფორმებით. ამავე განკარგულების მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით ბინის საპრივატიზებო პრობად განისაზღვრა მყიდველის ვალდებულება, ოჯახის წევრები საცხოვრებლით უზრუნველყო.

საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 11 მაისის №11/05/02 განკარგულების საფუძველზე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და გ. ბ-ეს შორის 2012 წლის 24 მაისს ნასყიდობის ხელშეკრულება გაფორმდა, რომლითაც გ. ბ-ეს გადაეცა პრობადადებული საკუთრების უფლება უძრავ ქონებაზე მდებარე თეთრინწყაროს სოფელ ...ში, №9 კორპუსში (საკადასტრო კოდი №...). დასახელებული ხელშეკრულების 2.2 და 2.5 პუნქტებით გ. ბ-ეს მისთვის გადაცემულ ქონებაში დ. და ნ. ბ-ების საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის ვალდებულება დაეკისრა, ხოლო 2.4 პუნქტში აღინიშნა, რომ დასახელებული პირები ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ აღარ იქნებოდნენ უფლებამოსილნი, დევნილის სტატუსიდან გამომდინარე სახელმწიფოსგან, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულისაგან ან სხვა პირისგან კომპენსაცია ან უძრავი ქონების გადაცემა მოეთხოვათ, გარდა კანონით განსაზღვრული შემთხვევებისა.

საცხოვრებლით დაკმაყოფილების მოთხოვნის პასუხად, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 2015 წლის 26 ნოემბრის წერილით დ. ბ-ს ეცნობა, რომ 2012 წლის 24 მაისის ნასყიდობის ხელშეკრულებით, რომელსაც საფუძველად საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 11 მაისის №11/05/02 განკარგულება დაედო, გ. ბ-ეს, დ. ბ-სა და ნ. ბ-ს თეთრინწყაროს რაიონის სოფელ ...ში საცხოვრებელი ფართი გადაეცათ. წერილის მიხედვით,

დ. ბ-ი ითვლებოდა სახელმწიფოს მიერ დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი უზრუნველყოფის პროექტის ფარგლებში დაკმაყოფილებულად და მისი განცხადება საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილების თაობაზე მეორედ აღარ განიხილებოდა.

სასამართლოს მითითებით, 2012 წლის მაისში და შემდგომ პერიოდში თეთრინყაროს რაიონის სოფელ ...ში დ. ბ-ისა და ნ. ბ-ის ფაქტობრივად ცხოვრებისა და გ. ბ-ეთან ერთად საერთო საოჯახო მეურნეობის წარმოების ფაქტი, ასევე, სადავო ხელშეკრულებასთან დაკავშირებით დ. ბ-ის ინფორმირების ან ხელშეკრულებაზე მისი პოზიციის დაფიქსირების ფაქტი საქმის მასალებით არ დასტურდება.

სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის წარმომადგენლის მტკიცება მასზე, რომ მოსარჩევეების ...ის დარეგისტრირების ფაქტი მეტყველებს აღნიშნულ მისამართზე მათ ფაქტობრივად ცხოვრებაზე. სასამართლოს მითითებით, „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონი ამ კანონის მიზნებისათვის განმარტავს, რომ დევნილის ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი არის დევნილის მიერ დევნილობის პერიოდში არჩეული საცხოვრებელი ადგილი, სადაც იგი ცხოვრობს, მიუხედავად რეგისტრაციისა (მე-4 მუხლის „ე“ პუნქტი), ხოლო დევნილის რეგისტრაციის ადგილად მიიჩნევა სამინისტროში არსებულ დევნილთა მონაცემთა ბაზაში აღნიშნული დევნილის საცხოვრებელი ადგილი, სადაც იგი დევნილობის პერიოდში დარეგისტრირდა (მე-4 მუხლის „დ“ პუნქტი). ამდენად, ცხადია, რომ დევნილის რეგისტრაციას კანონმდებლობა არ უკავშირებს დევნილის ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის დადგენის მნიშვნელობას. მართალია, 2012 წელს მოქმედი კანონით არ იყო გამიჯნული დევნილის ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი მისი რეგისტრაციის ადგილისაგან, თუმცა ნებისმიერ დროს საცხოვრებელი ადგილის არჩევის თავისუფლება სწორედ მათი გამიჯვნის საჭიროებას აყენებდა, რამაც ასახვა კანონმდებლობაშიც ჰპოვა.

სასამართლოს მითითებით, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული აქტის გამოცემისა და ადმინისტრაციული ხელშეკრულების გაფორმების საფუძვლების არსებობის მტკიცება იმ ადმინისტრაციულ ორგანოს ეკისრება, რომელმაც შესაბამისი აქტი გამოსცა ან ხელშეკრულება გააფორმა. სადავო აქტისა და ხელშეკრულების საფუძვლად წარმოებული ადმინისტრაციული საქმის მასალები სასამართლომ სრულყოფილი სახით გამოითხოვა მოპასუხეებისაგან, თუმცა წარმოდგენილი მასალებით არ დადასტურდა, რომ

ადმინისტრაციული წარმოებისას გამოკვლეულ იქნა, თუ ფაქტობრივად სად ცხოვრობდნენ მოსარჩელები, რა სახის ურთიერთობა აკავშირებდათ მათ გ. ბ-ესთან, ენეოდნენ თუ არა მასთან ერთად საერთო შინასამეურნეო საქმიანობას, სურდა თუ არა დ. ბ-ს მის მიერ დაკავებული ბინით დაკმაყოფილება ან/და გამოთქვა თუ არა აღნიშნულზე თანხმობა. სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია ადმინისტრაციული წარმოების მასალებით დადასტურების გარეშე ადმინისტრაციული ორგანოს წარმომადგენლის მტკიცება მითითებული გარემოებების სათანადო წესით დადგენასთან დაკავშირებით.

ამასთან, სასამართლომ აღნიშნა, რომ სსიპ ქ.რუსთავის №10 საჯარო სკოლის 2017 წლის 6 მარტის ცნობის მიხედვით, ნ. ბ-ი 2008 წლიდან ცნობის გაცემის დრომდე რუსთავის №10 საჯარო სკოლის მოსწავლეს წარმოადგენდა, რაც მიუთითებს მასზე, რომ 2012 წელს და შემდგომ იგი ფაქტობრივად რუსთავში ცხოვრობდა.

სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ გ. ბ-ემ სადავო ხელშეკრულებით გადაცემისთანავე გაასხვისა გადაცემული ბინა, აღნიშნული კი ამ ბინაში მოსარჩელების ფაქტობრივად ცხოვრების ფაქტის საწინააღმდეგოდ მეტყველებს.

სასამართლოს მითითებით, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 11 მაისის №11/05/02 განკარგულება, როგორც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი სახელმწიფოს ქონების განკარგვით დ. და ნ. ბ-ების საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის თაობაზე, ბათილია, თუ ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები, თანახმად ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60<sup>1</sup> მუხლისა. მითითებული განკარგულების შინაარსიდან გამომდინარე, ამ განკარგულებით რეალიზებულ იქნა მოსარჩელების, როგორც დევნილების უფლება საცხოვრებლით უზრუნველყოფაზე, დადგინდა დ. ბ-ის ოჯახისათვის ...ის დასახელებაში მდებარე საცხოვრებელი ფართის გადაცემა, რამაც შესაბამისი უფლების ამონაწერა განაპირობა. ამდენად, ამ აქტის კანონიერების საკითხის გადაწყვეტა დაკავშირებულია იმ გარემოების გამორკვევაზე, რამდენად ჯეროვნად განხორციელდა დ. ბ-ისა და ნ. ბ-ის უფლება საცხოვრებლით უზრუნველყოფაზე ან/და საერთოდ განხორციელდა თუ არა იგი.

სასამართლოს მითითებით, „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა

შესახებ“ საქართველოს კანონით გარანტირებულია დევნილის უფლება, უზრუნველყოფილ იქნეს სათანადო საცხოვრებელი (მუხლი 13). სახელმწიფოს ეხსნება დევნილის ან მისი ოჯახის წევრთა პირდაპირი დამავალი შტოს შთამომავლების საცხოვრებელი ფართობით დაკმაყოფილების ვალდებულება, მათი დევნილის სტატუსიდან გამომდინარე იმ შემთხვევაში, თუ დევნილი ოჯახი უზრუნველყოფილია გრძელვადიანი საცხოვრებელი (მე-13 მუხლის მე-4 პუნქტი). სადავო აქტის გამოცემის პერიოდში მოქმედი „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონი, ასევე, ითვალისწინებდა დევნილის უფლებას, უზრუნველყოფილი ყოფილიყო დროებითი საცხოვრებელი (მუხლი 5). „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2007 წლის 2 თებერვლის №47 განკარგულებით იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა ნებაყოფლობით და ღირსეულ განსახლებასთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელება დადგინდა. მითითებული განკარგულების მიხედვით, დევნილების გადანაცვეტილების ნებაყოფლობითობა და თავისუფალი არჩევანი, დიალოგი დევნილ მოსახლეობასთან და მისი თანამონაწილეობა გადანაცვეტილებათა მიღებაში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სახელმძღვანელო პრინციპებად განისაზღვრა. ამასთან, სახელმწიფო სტრატეგიით დასახული მიზნების მისაღწევად განსახორციელებელი ღონისძიებები დეტალურად სამოქმედო გეგმაში ჩამოყალიბდა. სადავოდ ქცეული პრეზიდენტის განკარგულება გამოცემულია საქართველოს მთავრობის 2009 წლის 28 მაისის №403 განკარგულებით დამტკიცებული „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მიმართ 2009-2012 წლებში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის“ ფარგლებში. მითითებული გეგმით, სახელმწიფო სტრატეგიის მთავარ მიზნად საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება დარჩა, რის მისაღწევადაც სამოქმედო გეგმა დევნილთა საცხოვრებელი პირობების გრძელვადიან გადანაცვეტას ითვალისწინებდა. აღნიშნული სამოქმედო გეგმა განსაკუთრებულ ყურადღებას დევნილთა მიერ ნებაყოფლობით და ინფორმირებულ გადანაცვეტილებათა მიღებას და თავისუფალ არჩევანს, დევნილებთან დიალოგსა და გადანაცვეტილებათა მიღების პროცესში მათ მონაწილეობას მიაქცევდა. აღინიშნა, რომ სამოქმედო გეგმა ობიექტური, გამჭვირვალე კრიტერიუმების საფუძველზე უნდა განხორციელებულიყო და მას დაგეგმვის პრო-



ცესში დევნილთა ჩართულობა და მათი მხრიდან, ყველა იმ გადან-ყვეტილებასთან მიმართებაში, რომლებიც მათ შეეხებოდათ, კარ-გად ინფორმირებული და გააზრებული არჩევანის გაკეთება უზ-რუნველყო. საქართველოს მთავრობის 2009 წლის 28 მაისის №403 განკარგულებით დამტკიცებული სტრატეგიის მიხედვით, დევნილ-თათვის საცხოვრებელი ფართების საკუთრებაში გადაცემის კო-ორდინირებას საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამი-ნისტრო ახორციელებდა – აღნიშნული სამინისტროს უნდა უზრუნ-ველყო საპრივატიზებო ობიექტების განსაზღვრა, კონკრეტულ ობიექტებში რეალურად მცხოვრები პირების დადგენა, დევნილ-თათვის კონკრეტული შეთავაზების გაკეთება და მათი სურვილის დაფიქსირება. უშუალოდ პრივატიზება „სახელმწიფო ქონების შე-სახებ“ კანონის მიხედვით ხდებოდა ლტოლვილთა და განსახლე-ბის სამინისტროს ინიცირებით საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ჩართულობით საქართვე-ლოს პრეზიდენტის მიერ გადანყვეტილების მიღებით. კერძოდ, აღ-ნიშნული კანონის მიხედვით, სახელმწიფო ქონების პირდაპირი მი-ყიდვის ფორმით განკარგვაზე გადანყვეტილება საქართველოს პრეზიდენტს უნდა მიეღო საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დასაბუთებული წინადადების სა-ფუძველზე (2012 წელს მოქმედი კანონის მე-18 და მე-10 მუხლე-ბი).

განსახილველ შემთხვევაში კი, როგორც სასამართლომ დაად-გინა, 2012 წლის მაისში და შემდეგ დ. და ნ. ბ-ების ...ის გ. ბ-ესთან ერთად ერთ ოჯახად ცხოვრების ფაქტი ვერ დადასტურდა, ასევე, ვერ იქნა დადასტურებული დ. ბ-ის ბინით დაკმაყოფილების საკით-ხის გადანყვეტის პროცესში მისი მონაწილეობა ან/და ამ საკითხზე მისი მხრიდან რაიმე სახის პოზიციის დაფიქსირება (პუნქტი 4.5), რაც ამ აქტის გამოცემის განმაპირობებელი არსებითი გარემოება უნდა ყოფილიყო. მიუხედავად ამისა, მითითებული გარემოებები სადავო განკარგულების გამოცემის საფუძველად განხორციელებუ-ლი წარმოებით ყოველგვარი საფუძვლის გარეშე დადასტურებუ-ლად ჩაითვალა და ამ განკარგულების გამოცემის საფუძველი გან-და.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების პირ-დაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 11 მაისის №11/05/02 განკარგულება დ. და ნ. ბ-ების ნაწილში გამოცემულია კანონის დარღვევით, უსაფუძ-ვლოდ ადგენს დასახელებული პირების საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილების ფაქტს, და მათ ამ უფლების რეალიზების შესაძ-

ლებლობას ართმევს. ამდენად, არსებობს გასაჩივრებული ნაწილში მითითებული განკარგულების ბათილად ცნობის საფუძველი.

სასამართლოს მითითებით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და გ. ბ-ეს შორის 2012 წლის 24 მაისს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების შინაარსიდან გამომდინარე, აღნიშნული აქტი ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „ზ“ პუნქტით განსაზღვრულ ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას წარმოადგენს, ვინაიდან დადებულია მითითებული სამინისტროს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების – სახელმწიფო ქონების განკარგვის მიზნით საქართველოს პრეზიდენტის 20012 წლის 11 მაისის №11/05/02 განკარგულების საფუძველზე დევნილი ოჯახის გრძელვადიანი საცხოვრებელი უზრუნველსაყოფად. სასამართლომ განმარტა, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას გამოიყენება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ნორმები და საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნები ხელშეკრულებათა შესახებ, თანახმად ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65-ე მუხლის მე-2 ნაწილისა. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 70-ე მუხლის მიხედვით, ადმინისტრაციული ხელშეკრულების ბათილად გამოცხადებას სამოქალაქო კოდექსის ნორმები აწესრიგებს, ამასთან, ადმინისტრაციული ხელშეკრულების ბათილობას იმ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა იწვევს, რომლის საფუძველზეც ხელშეკრულება დაიდო.

სასამართლოს მითითებით, მოცემულ შემთხვევაში, პრეზიდენტის განკარგულება, რომლის საფუძველზეც სადავო ხელშეკრულება გაფორმდა, სასამართლომ ბათილ აქტად მიიჩნია. ამდენად, სახეზეა ბათილი აქტის შესაბამის ნაწილში ხელშეკრულების გაბათილების საფუძველიც. გარდა ამისა, ხელშეკრულების სადავო ნაწილი ბათილია სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის მიხედვითაც. აღნიშნული ნორმის თანახმად, ბათილია გარიგება, რომელიც არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს, ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან ზნეობის ნორმებს. მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ დადგინებულად მიიჩნია, რომ დ. ბ-ისა და ნ. ბ-ის ნაწილში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და გ. ბ-ეს შორის გაფორმებული ხელშეკრულება მასზე დ. ბ-ის ინფორმირებისა და მისი მხრიდან მოსაზრების მიღებისა და შეფასების გარეშე გაფორმდა, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 67-ე მუხლი კი ადმინისტრაციული ხელშეკრულების გაფორმებისას ადმინისტრაციული ორგანოს აკისრებს ვალდებულებას, დასაადებ ხელშეკრულებაზე აცნობოს იმ პირის, რომლის ინ-

ტერესებსაც ხელშეკრულება შეიძლება შეეხოს და მიიღოს მისგან მოსაზრება. ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ 2012 წლის 24 მაისის ხელშეკრულება დადებულია სამინისტროს მხრიდან მითითებული ვალდებულების დარღვევით, ხოლო აღნიშნული დარღვევის შედეგად მოსარჩელის უფლების უგულებელყოფამ განაპირობა მისი, როგორც დევნილის საცხოვრებელი უზრუნველყოფის უფლების ჯეროვანი რეალიზების ინტერესის შელახვა (აღნიშნულ უფლებაზე ვრცლად მითითებულია 7.1 პუნქტით).

სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია მოპასუხის პოზიცია სასარჩელო მოთხოვნების ხანდაზმულობაზე შემდეგ გარემოებათა გამო: „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, პრივატიზებულ სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებასთან დაკავშირებული სადავო საკითხების სასარჩელო ხანდაზმულობის ვადაა 3 წელი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალებით არ დასტურდება, რომ დ. ბ-ისათვის 2012 წლის 24 მაისის ხელშეკრულების თაობაზე მისი გაფორმების დროისთვის ან მოგვიანებით ისეთ დროს გახდა ცნობილი, რაც სარჩელის ხანდაზმულობაზე დასკვნას განაპირობებდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს საქართველოს პრეზიდენტმა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ, რომლებმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 10 ივლისის განჩინებით საქართველოს პრეზიდენტის და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლო სრულად დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებს და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ გარემოებებთან დაკავშირებით და მიიჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლომ სწორად დაადგინა საქმის ფაქტობრივი გარემოებები და სწორი სამართლებრივი შე-

ფასება მისცა საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებს, რაც გაიზიარა სააპელაციო პალატამ.

ამასთან, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ სადავო პერიოდში მოქმედი „სახელმწიფო ქონების შესახებ“ კანონის 10.2 მუხლის თანახმად, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, იჯარით გაუცემელი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის პირდაპირი მიყიდვა ხორციელდებოდა საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, სამინისტროს, ხოლო განსაკუთრებულ შემთხვევებში – საქართველოს მთავრობის წარდგინების საფუძველზე. ამავე კანონის 18.3 მუხლის თანახმად, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმითა და კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზება ხორციელდებოდა საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილების საფუძველზე, ამ კანონის მე-10 მუხლით დადგენილი წესით და პირდაპირი მიყიდვის ფორმით, სამინისტროს მიერ, ამ კანონის მე-18<sup>1</sup> მუხლით დადგენილი წესით. ამავე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სამინისტრო უფლებამოსილია გააფორმოს ხელშეკრულება მესამე პირებთან, რომლებიც უზრუნველყოფენ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზების ინიცირებას და საჭიროების შემთხვევაში სკადასტრო აზომებითი ნახაზების მომზადებას. ამდენად, პრივატიზება ხდებოდა ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ინიცირებით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ჩართულობით და საქართველოს პრეზიდენტის მიერ გადაწყვეტილების მიღებით, სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით განკარგვაზე გადაწყვეტილება საქართველოს პრეზიდენტს უნდა მიეღო საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დასაბუთებული წინადადების საფუძველზე.

სააპელაციო პალატამ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოება, რომ 2012 წლის მაისში და შემდეგ, ...ის დ. და ნ. ბ-ების გ. ბ-ესთან ერთად, ერთ ოჯახად ცხოვრების ფაქტი ვერ დადასტურდა, ასევე ვერ დადასტურდა დ. ბ-ის ბინით დაკმაყოფილების საკითხის გადაწყვეტის პროცესში მისი მონაწილეობა ან/და ამ საკითხზე მისი მხრიდან რაიმე სახის პოზიციის დაფიქსირება (პუნქტი 4.5), რაც ამ აქტის გამოცემის განმაპირობებელი არსებითი გარემოება უნდა ყოფილიყო, მიუხედავად ამისა, მითითებული გარემოებები სადავო განკარგულების გამოცემის საფუძველად განხორციელებული წარმოებით ყოველგვარი საფუძვლის გარეშე დადასტურებულად ჩაითვალა და ამ განკარგულების გამოცემის საფუძველი გახდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 10 ივლისის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს საქართველოს პრეზიდენტმა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ, რომლებმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვეს.

კასატორის – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მითითებით, დ. ბ-მა მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს და მოითხოვა გ. ბ-ესა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შორის დადებული ხელშეკრულების 2.4 პუნქტის ბათილად ცნობა. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით დ. ბ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა და გ. ბ-ესა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შორის დადებული ხელშეკრულება ბათილად იქნა ცნობილი დ. ბ-ისა და ნ. ბ-ის ნაწილში. მიუხედავად იმისა, რომ ნ. ბ-ი არასრულწლოვანია და მის ინტერესს მშობლები წარმოადგენენ, ნ. ბ-ს მოთხოვნა არ წარუდგენია, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილებაშიც მოსარჩელედ მხოლოდ ერთი პირია მითითებული, თუმცა გადაწყვეტილება გამოტანილია 2 პირის მიმართ, სააპელაციო სასამართლოს კი აღნიშნული არ შეუფასებია.

კასატორის მითითებით, მოცემულ შემთხვევაში მნიშვნელოვანია შეფასდეს გააჩნია თუ არა მოსარჩელეს იურიდიული ინტერესი და არის თუ არა ინტერესი ნამდვილი. მხარის იურიდიულ ინტერესად შეიძლება მიჩნეულ იქნეს ის გარემოება, რომ სადავო ხელშეკრულების საფუძველზე მოსარჩელეს საცხოვრებელი გადაცემული აქვს და დამატებით ველარ მოითხოვს (თუმცა მხარეს იურიდიული ინტერესი არ მიუთითებია), თუმცა გასათვალისწინებელია ის სამართლებრივი ურთიერთობა, რომლის ფარგლებში დაიდო ხელშეკრულება და სწორედ ამ ფარგლებში უნდა შეფასდეს მოსარჩელის იურიდიული ინტერესის ნამდვილობა.

კასატორის მითითებით, დ. ბ-ი 2012 წელს დარეგისტრირდა იძულებით გადაადგილებულ პირად კონკრეტულ საოჯახო ნომერზე<sup>1</sup>... და კონკრეტულ მისამართზე. საოჯახო ნომერსა და მისამართზე პირი რეგისტრირდება მისივე განცხადების საფუძველზე და არა ადმინისტრაციული ორგანოს სურვილით, შესაბამისად, გაურკვეველია მოსარჩელის მითითება დევნილად რეგისტრაციის დროს დაშვებული შეცდომის და მისი რეგისტრაციის ადგილზე ჩანაწერის გაურკვეველობის თაობაზე.

კასატორის განმარტებით, საცხოვრებელი სადგომი გადაეცემა დევნილ ოჯახს და არა ოჯახის თითოეულ წევრს ცალ-ცალკე. მო-

სარჩელე წარმოადგენს №... საოჯახო ნომრით რეგისტრირებულ პირთა ოჯახის წევრს, რაც სადავოდ არ გაუხდია.

ამასთან, კასატორის მითითებით, მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელე მხარე ითხოვს მხოლოდ ხელშეკრულების ბათილად ცნობას მიკუთვნებითი მოთხოვნის აღძვრის გარეშე, რაც მის მოთხოვნას საფუძველს აცლის და უნდა შეეფასებინა სასამართლოს.

კასატორის მოსაზრებით, მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენილი სარჩელი არ არის საფუძვლიანი ნამდვილი იურიდიული ინტერესის არარსებობის გამო, სასამართლომ ასევე არასწორად შეაფასა საქმეში არსებული მტკიცებულებები, სასამართლომ მხედველობაში არ მიიღო ერთ ოჯახად რეგისტრაციის ფაქტი, ის გარემოება, რომ მოსარჩელის რეგისტრაცია კონკრეტული ოჯახის შემადგენლობასა და კონკრეტულ მისამართზე განხორციელდა მოსარჩელის მოთხოვნის საფუძველზე ხელშეკრულების დადებამდე მცირე დროით ადრე, რის გამოც მოსარჩელეს ხელშეკრულების დადების შესახებ ინფორმაცია უნდა მიეღო, თუმცა ეს მოსარჩელის ქმედების გამო არ განხრციელდა, შესაბამისად, სასამართლოს უნდა გამოეყენებინა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლის დანაწესი („...უნდა შეეცყო...“) და სარჩელის დაკმაყოფილებაზე ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო უნდა ეთქვა უარი. კასატორის მითითებით, სასამართლოს ასევე უნდა შეეფასებინა ის გარემოება, რომ მოსარჩელის მიერ მითითებული წერილი, რომელსაც მოსარჩელე უფლების წარმოშობას უკავშირებდა, ხომ არ წარმოადგენდა უფლების ბოროტად გამოყენებას ხანდაზმულობის ვადის ათვლასთან მიმართებით. ასევე უნდა შეეფასებინა ის გარემოება, რომ მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულება არ ადასტურებდა მხარის კონკრეტულ მისამართზე (რუსთავში) ცხოვრებას კონკრეტული თარიღისათვის.

კასატორი – საქართველოს პრეზიდენტი თავდაპირველად აღნიშნავს, რომ პრეზიდენტის სადავო განკარგულების გამოცემის დროს მოქმედი „სახელმწიფო ქონების შესახებ“ კანონის 18.1 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზების ერთ-ერთი ფორმაა პირდაპირი მიყიდვა, ხოლო ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზება ხორციელდება საქართველოს პრეზიდენტის მიერ. ამავე კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების მიზანია, საკუთრების უფლება გადაეცეს იმ მიყიდველს, რომელიც სრულად და კეთილსინდისიერად შეასრულებს სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივა-

ტიზებისათვის დადგენილ პირობას (პირობებს), ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, იჯარით გაუცემელი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის პირდაპირი მიყიდვა და კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი მიყიდვა ხორციელდება საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, სამინისტროს, ხოლო განსაკუთრებულ შემთხვევებში – საქართველოს მთავრობის წარდგინების საფუძველზე. კასატორის განმარტებით, როგორც სადავო განკარგულების წარმოების მასალებით დასტურდება, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ მიმართა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და მოითხოვა, სამინისტროს მიემართა საქართველოს პრეზიდენტისათვის შესაბამისი შუამდგომლობით, წერილის დანართში მითითებული კომპაქტურად დასახლებულ ობიექტში მცხოვრები დევნილებისათვის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ფართების პირდაპირი მიყიდვის ფორმით გადაცემის მოთხოვნით. აღნიშნულის შემდეგ, სამინისტრომ სათანადო შუამდგომლობა თანდართულ მასალებთან ერთად გადააგზავნა საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციას და შედეგად, გამოცემულ იქნა სადავო განკარგულება.

კასატორის მითითებით, სასამართლომ არ გაითვალისწინა საქმეზე სამინისტროს მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები. სამინისტროს მიერ წარმოდგენილი მასალებით დასტურდება, რომ 2012 წელს დ. ბ-მა თავად მიმართა სამინისტროს და განუმარტა, რომ იგი შვილთან და გ. ბ-ესთან ერთად ცხოვრობდა სოფელ ...ში და ვინაიდან ფართი იყო პატარა, ითხოვდა მის გაფართოვებას. ამასთან, მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები და ახსნა-განმარტებები წინააღმდეგობაში მოდის ერთმანეთთან. კერძოდ, სასარჩელო განცხადებაში და სამინისტროს მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება, რომ დ. ბ-ი 2002 წლამდე მუდმივად ცხოვრობდა გორის რაიონის სოფელ ერედეში, 2003 წელს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 8 წლის ვადით, სასჯელს იხდიდა რუსეთის ფედერაციაში, საიდანაც გაათავისუფლდა 2011 წელს, ხოლო დევნლის სტატუსი მიენიჭა 2012 წელს. თუმცა სასამართლო სხდომაზე მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი ნოტარიულად დამოწმებული მოწმის განმარტებით დასტურდება, რომ თითქოს დ. ბ-ი ამ პერიოდში ცხოვრობდა ქალაქ რუსთავში.

კასატორის მითითებით, გასათვალისწინებელია, რომ სადავო ურთიერთობის დროს მოქმედი საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის 2007 წლის 1 ნოემბრის №124 ბრძანებით

დამტკიცებული „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირად – დევნილად ცნობის, დევნილის სტატუსის მინიჭებისა და დევნილთა რეგისტრაციის წესის“ მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, ასევე, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 12 იანვრის №4 განკარგულებით დამტკიცებული „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიიდან გამომდინარე განსახორციელებელ ღონისძიებათა პროგრამის“ თანახმად, დევნილის ოჯახისა და მისი შემადგენლობის საკითხის განსაზღვრა წარმოადგენდა არა საქართველოს პრეზიდენტის, არამედ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს და შესაბამისი ტერიტორიული ორგანოს კომპეტენციას, რომლის განსაზღვრაშიც ჩაბმული იყო კიდევ რამდენიმე ორგანო. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფოს მხრიდან საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილება ხდებოდა და ამჟამადაც ხდება არა თითოეული ფიზიკური პირის, არამედ დევნილი ოჯახის, ხოლო საქართველოს მთავრობის 2009 წლის 28 მაისის №403 განკარგულებით დამტკიცებული „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მიმართ 2009-2012 წლებში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის“ 2.1.5. პუნქტის თანახმად, დევნილისათვის ქონების საკუთრებაში გადაცემის პროცესი სრულდებოდა დევნილის ოჯახის წარმომადგენლის „შესყიდვის ხელშეკრულებაზე“ ხელმოწერით, რომელიც უზრუნველყოფდა პრივატიზაციის პროცესის იურიდიულ მხარეს. შესაბამისად, სამოქმედო გეგმის თანახმად, პრივატიზაციის ხელშეკრულებას ხელს აწერდა დევნილი ოჯახის ერთ-ერთი სრულუფლებიანი წევრი და არა ოჯახის ყველა წევრი, რაც მოცემულ შემთხვევაში განხორციელდა კიდევაც.

კასატორის მითითებით, ასევე უსაფუძვლოა სასამართლოს მსჯელობა ხანდაზმულობის ვადებთან დაკავშირებით, ვინაიდან როგორც იმ დროს მოქმედი, ისე ამჟამად მოქმედი „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, პრივატიზებულ სახელმწიფო ქონებასთან და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონებასთან დაკავშირებული სადავო საკითხების სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა არის 3 წელი. ამასთან, სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან, მოთხოვნის წარმოშობის მომენტად კი, ითვლება დრო, როდესაც პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. კასატორის მოსაზრებით, განსახილველ შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადის ათვლა უნდა და-



ინყოს ხელშეკრულების დადების მომენტიდან, ვინაიდან საქმეში არსებობს მტკიცებულება, რომლითაც დასტურდება, რომ მოსარჩელემ ჯერ კიდევ 2012 წელს იცოდა სადავო პრივატიზების შესახებ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 15 ოქტომბრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საკასაციო საჩივრები.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 27 დეკემბრის განჩინებით საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საკასაციო საჩივრები მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მათი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მათი შესწავლისა და ანალიზის, გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთებულობისა და წარმოდგენილი საკასაციო საჩივრების მოტივების შემოწმების საფუძველზე მიიჩნევს, რომ საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საკასაციო საჩივრები უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ 2016 წლის 2 ივნისს დ. ბ-მა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხეების – საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და გ. ბ-ის მიმართ, დ. ბ-ისა და ნ. ბ-ის ნაწილში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 11 მაისის №11/05/02 განკარგულებისა და დ. ბ-ისა და ნ. ბ-ის საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილების ნაწილში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და გ. ბ-ეს შორის 2012 წლის 24 მაისს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის მოთხოვნით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილებით დ. ბ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; დ. ბ-ისა და ნ. ბ-ის ნაწილში ბათილად

იქნა ცნობილი საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 11 მაისის №11/05/02 განკარგულება; დ. ბ-ისა და ნ. ბ-ის საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილების ნაწილში ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და გ. ბ-ეს შორის 2012 წლის 24 მაისს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულება. აღნიშნული გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა გასაჩივრებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 10 ივლისის განჩინებით.

ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენილი სარჩელით სადავო პრეზიდენტის განკარგულება და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და გ. ბ-ეს შორის გაფორმებული ხელშეკრულება დ. ბ-ისა და ნ. ბ-ის ნაწილში, მოსარჩელედ დასახელებულია მხოლოდ დ. ბ-ი, გადაწყვეტილება კი გამოტანილია დ. ბ-ისა და ნ. ბ-ის მიმართ.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 81-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ყველა სრულწლოვანი ფიზიკური პირი და იურიდიული პირი აღჭურვილია უნარით, თავისი მოქმედებით განახორციელოს სასამართლოში საპროცესო უფლებები და შეასრულოს საპროცესო მოვალეობები, აგრეთვე დაავალოს საქმის წარმოება წარმომადგენელს (საპროცესო ქმედუნარიანობა). მე-2 ნაწილის თანახმად კი, ფიზიკურ პირთა სრული საპროცესო ქმედუნარიანობა წარმოიშობა 18 წლის ასაკიდან (სრულწლოვანებიდან), ხოლო იურიდიული პირის ქმედუნარიანობა – მისი რეგისტრაციის მომენტიდან. ქმედუნარიანად ითვლება აგრეთვე პირი, რომელიც იქორწინებს 18 წლის ასაკის მიღწევამდე. ხოლო ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, 7-დან 18 წლამდე არასრულწლოვანთა, აგრეთვე შეზღუდულ ქმედუნარიანად აღიარებულ მოქალაქეთა უფლებებსა და კანონით დაცულ ინტერესებს სასამართლოში იცავენ მათი მშობლები, მშვილებლები ან მზრუნველები. ამასთანავე, სასამართლო ვალდებულია ასეთ საქმეებში ჩააბას თვით არასრულწლოვნებიც.

სადავო განკარგულება და ხელშეკრულება გასაჩივრებულია დ. ბ-ისა და ნ. ბ-ის ნაწილში. საქმის მასალების მიხედვით დ. ბ-ი, დაბადებული ... წლის ... ..ს, წარმოადგენს ნ. ბ-ის მამას, რომელიც დაბადებულია ... წლის ... ..ს. ნ. ბ-ი სარჩელის წარდგენის მომენტში იყო 15 წლის, სააპელაციო წესით საქმის განხილვისას – 17 წლის, ხოლო ამჟამად იგი არის 18 წლის და წარმოადგენს სრულწლოვან პირს. აღნიშნულიდან გამომდინარე და დასახელებული ნორმის (სსსკ-ის 81.3 მუხლი) შესაბამისად, მართალია 7-დან 18 წლამდე არასრულწლოვანთა უფლებებსა და კანონით დაცულ ინტერესებს სასამართლოში იცავენ მათი მშობლები, მშვილებლები ან მზრუნველები,

თუმცა სასამართლო ვალდებული იყო ასეთ საქმეში ჩაება თვით არასრულწლოვანიც.

აღნიშნულის თაობაზე ასევე მიუთითებს კასატორი – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო წარმოდგენილ საკასაციო საჩივარში და აღნიშნავს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილებაშიც მოსარჩელედ მხოლოდ ერთი პირია მითითებული, თუმცა გადაწყვეტილება გამოტანილია 2 პირის მიმართ, სააპელაციო სასამართლოს კი აღნიშნული არ შეუფასებია. მითითებული, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, წარმოადგენს სადავო გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის იმავე სასამართლოში დაბრუნების საფუძველს, რა დროსაც სააპელაციო სასამართლომ, მოსარჩელეთა წრის დაზუსტების შედეგად, საქმეზე უნდა მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველს საქმეზე პროცესუალური დარღვევით მიღებული გადაწყვეტილება წარმოადგენს, რაც არ ცვლის მსგავს სამართლებრივ საკითხზე საკასაციო სასამართლოს პოზიციას (იხ. 30.10.2014წ. განჩინება საქმეზე №ბს-308-304(2კ-14), 05.04.2018წ. განჩინება საქმეზე №ბს-42-42(2კ-18), 03.09.2018წ. განჩინება საქმეზე №ბს-634-634(2კ-17), 31.01.2019წ. განჩინება საქმეზე №ბს-1287(2კ-18), 21.02.2019წ. განჩინება საქმეზე №ბს-1452(3კ-18)).

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას გასაჩივრებულ განკარგულებასა და ხელშეკრულებასთან დაკავშირებით მოსარჩელის თანხმობის არსებობის აუცილებლობაზე და მიუთითებს, რომ მოცემული დავის სწორად გადაწყვეტისთვის მნიშვნელოვანია დადგინდეს უფლებამოსილი იყო თუ არა საქართველოს პრეზიდენტი გამოეცა სადავო განკარგულება, ხოლო საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს გ. ბ-ესთან დაედო სადავო ხელშეკრულება, დ. ბ-ისა და ნ. ბ-ის შეტყობინებისა და მათი თანხმობის გარეშე. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს სადავო ხელშეკრულების 1.1. მუხლზე, რომლის თანახმად, ხელშეკრულების მიზანია „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2007 წლის 27 თებერვლის №47 განკარგულების შესაბამისად, იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა ნებაყოფლობით და ღირსეულ განსახლებასთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელება. აღსანიშნავია, რომ დევნილების გადაწყვეტილების ნებაყოფლობითობა და თავისუფალი არჩევანი, დიალოგი დევნილ

მოსახლეობასთან და მისი თანამონაწილეობა გადანყვეტილებათა მიღებაში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სახელმძღვანელო პრინციპებია. ამასთან, სახელმწიფო სტრატეგიით დასახული მიზნების მისაღწევად განსახორციელებელი ღონისძიებები დეტალურად ყალიბდება სამოქმედო გეგმაში. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ განსახილველ შემთხვევაში სადავოდ ქცეული პრეზიდენტის განკარგულება გამოცემულია და 2012 წლის 24 მაისის ხელშეკრულება დადებულია საქართველოს მთავრობის 2009 წლის 28 მაისის №403 განკარგულებით დამტკიცებული „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მიმართ 2009-2012 წლებში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის“ ფარგლებში. აღნიშნული გეგმით, სახელმწიფო სტრატეგიის მთავარ მიზნად საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება განისაზღვრა, რის მისაღწევადაც სამოქმედო გეგმა დევნილთა საცხოვრებელი პირობების გრძელვადიან გადანყვეტას ითვალისწინებდა. სამოქმედო გეგმა განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევდა დევნილთა მიერ ნებაყოფლობით და ინფორმირებულ გადანყვეტილებათა მიღებას და თავისუფალ არჩევანს, დევნილეთთან დიალოგსა და გადანყვეტილებათა მიღების პროცესში მათ მონაწილეობას; სამოქმედო გეგმა ობიექტური, გამჭვირვალე კრიტერიუმების საფუძველზე უნდა განხორციელებულიყო, უნდა მომხდარიყო დაგეგმვის პროცესში დევნილთა ჩართულობა და მათი მხრიდან, ყველა იმ გადანყვეტილებასთან მიმართებაში, რომლებიც მათ შეეხებოდათ, კარგად ინფორმირებული და გააზრებული არჩევანის გაკეთების უზრუნველყოფა.

განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ დ. ბ-ი და ნ. ბ-ი 2008 წლიდან ერედვის მუნიციპალიტეტიდან დევნილები არიან. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ წარმოებული აღრიცხვით, დ. ბ-ი თეთრინყაროს რაიონის სოფელი ...ის მცხოვრებ დევნილად 2012 წელს დარეგისტრირდა საოჯახო ნომერზე ..., სადაც იმ დროისათვის დარეგისტრირებული იყო მისი შვილი – ნ. ბ-ი და მეუღლის პაპა, ან გარდაცვლილი გ. ბ-ე.

საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 11 მაისის №11/05/02 განკარგულებით დადგინდა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, განკარგულების დანართში მითითებული ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით, სიმბოლურ ფასად – 1 (ერთი) ლარად დანართშივე მითითებულ ფიზიკურ პირებზე (ოჯახის უფროსებზე) საკუთრებაში გადაცემა. განკარგულების დანართის თანახმად, თეთრინ-

ყაროს სოფელ ...ში მდებარე №9 კორპუსის პირველ სართულზე არსებული 47.59 კვ.მ ფართობის ბინა №4 (საკადასტრო კოდი №...) გ. ბ-ეს, დ. ბ-სა და ნ. ბ-ს უნდა გადასცემოდეთ ოჯახის უფროსთან – გ. ბ-ესთან ხელშეკრულების გაფორმებით. ამავე განკარგულების მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით ბინის საპრივატიზებო პირობად განისაზღვრა მყიდველის ვალდებულება, ოჯახის წევრები საცხოვრებლით უზრუნველყოს.

საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 11 მაისის №11/05/02 განკარგულების საფუძველზე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და გ. ბ-ეს შორის 2012 წლის 24 მაისს ნასყიდობის ხელშეკრულება გაფორმდა, რომლითაც გ. ბ-ეს გადაეცა პირობადადებული საკუთრების უფლება უძრავ ქონებაზე მდებარე თეთრიწყაროს სოფელი ...ში, №9 კორპუსში (საკადასტრო კოდი №...). ხელშეკრულების 2.2 და 2.5 პუნქტებით გ. ბ-ეს მისთვის გადაცემულ ქონებაში დ. და ნ. ბ-ების საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის ვალდებულება დაეკისრა, ხოლო 2.4 პუნქტში აღინიშნა, რომ დასახლებული პირები ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ აღარ იქნებოდნენ უფლებამოსილნი, დევნილის სტატუსიდან გამომდინარე სახელმწიფოსგან, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულისაგან ან სხვა პირისგან კომპენსაცია ან უძრავი ქონების გადაცემა მოეთხოვათ, გარდა კანონით განსაზღვრული შემთხვევებისა.

საცხოვრებლით დაკმაყოფილების მოთხოვნის პასუხად, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 2015 წლის 26 ნოემბრის წერილით დ. ბ-ს ეცნობა, რომ 2012 წლის 24 მაისის ნასყიდობის ხელშეკრულებით, რომელსაც საფუძვლად საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 11 მაისის №11/05/02 განკარგულება დაედო, გ. ბ-ეს, დ. ბ-სა და ნ. ბ-ს თეთრიწყაროს რაიონის სოფელ ...ში საცხოვრებელი ფართი გადაეცათ. წერილის მიხედვით, დ. ბ-ი ითვლებოდა სახელმწიფოს მიერ დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფის პროექტის ფარგლებში დაკმაყოფილებულად და მისი განცხადება საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილების თაობაზე მეორედ აღარ განიხილებოდა.

ამდენად, სადავო ხელშეკრულების 2.4. პუნქტით დ. ბ-ს და ნ. ბ-ს ისე აეკრძალათ უფლება, როგორც დევნილებმა, მოითხოვონ სახელმწიფოსგან ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულისგან ან სხვა პირისგან რაიმე სახის კომპენსაცია, ასევე უძრავი ქონების საკუთრებაში ან სარგებლობაში გადაცემა მათი დევნილის სტატუსიდან გამომდინარე, რომ ამის შესახებ სახელმწიფოს ხელშეკრულების გაფორმების დროს არ უცნობებია მათთვის, არ მიუწვევიათ

ისინი ადმინისტრაციულ წარმოებაში და შესაბამისად, არ არსებობდა მათი არანაირი ფორმით გაცემული თანხმობა სადავო ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე. დ. ბ-მა და ნ. ბ-მა არა თუ გამოხატეს საკუთარი ნება პრივატიზაციის პროცესთან დაკავშირებით, არამედ, მათთვის საერთოდ არ ყოფილა ცნობილი პრივატიზაციის პროცესის მიმდინარეობის თაობაზე. ეს იმ პირობებში, როდესაც სახელმწიფო სტრატეგიის ფარგლებში მიმდინარე პრივატიზაცია ნებაყოფლობით პროცესს წარმოადგენს; ხოლო სახელმწიფოს აღებული აქვს ვალდებულება გადანყვეტილებათა მიღების პროცესში დევნილთა მაქსიმალური ჩართულობის თაობაზე. აღნიშნული უდავოდ ზღუდავს საქართველო ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 67-ე მუხლის იმპერატიულ დანაწესს, რომლის თანახმად, ადმინისტრაციული ხელშეკრულება, რომელიც ზღუდავს მესამე პირის უფლებებს ან აკისრებს მას რაიმე ვალდებულებას, ძალაში შეიძლება შევიდეს მხოლოდ მესამე პირის მიერ წერილობითი თანხმობის წარდგენის შემდეგ; ხოლო ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებაზე ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია აცნობოს ამის შესახებ მესამე პირს, რომლის ინტერესებსაც იგი შეეხება. ამდენად, გასაჩივრებული განკარგულება და გ. ბ-ესა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება ზღუდავს დ. ბ-ისა და ნ. ბ-ის უფლებას, როგორც დევნილებმა, იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიიდან გამომდინარე განსახორციელებელ ღონისძიებათა პროგრამის ფარგლებში მიიღონ საცხოვრებელი ფართი. განსახილველ შემთხვევაში არ გარკვეულა მოსარჩელე მხარის დამოკიდებულება პრივატიზაციის პროცესის მიმართ.

მოცემულ შემთხვევაში მხარეთა შორის დავას ასევე დ. და ნ. ბ-ებისა და გ. ბ-ის ერთ ოჯახად რეგისტრაციის ფაქტი იწვევს. საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს დევნილობის პერიოდში რეგისტრაციის მნიშვნელობასა და მის დანიშნულებაზე, რა პრინციპით ხდება ერთ ფართზე დევნილ პირთა რეგისტრაცია, ხდება თუ არა ერთ მისამართზე დევნილ პირთა რეგისტრაცია საცხოვრებელი ფართის გათვალისწინებით და სხვ.. საგულისხმოა, რომ პრივატიზაციის პროცესში ყურადღება უნდა მიექცეს საპრივატიზებო ობიექტში რეალურად მცხოვრებ პირთა რაოდენობას. საცხოვრებელი სათანადო უნდა იყოს, სადაც უზრუნველყოფილია ღირსეული ცხოვრებისათვის აუცილებელი პირობები. აქვე აღსანიშნავია, რომ სადავო სამართალურთიერთობის დროს მოქმედი „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონი

არ მიჯნავდა დევნილის დროებითი საცხოვრებელი ადგილისა და დევნილის რეგისტრაციის ადგილის ცნებებს, ხოლო ამჟამად მოქმედი კანონი განასხვავებს აღნიშნულ ცნებებს.

საკასაციო სასამართლო ასევე გამორიცხავს კასატორის – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მითითებას დ. ბ-ისა და ნ. ბ-ის კანონიერი ინტერესის არარსებობის თაობაზე, ვინაიდან სადავო განკარგულებისა და ხელშეკრულების საფუძველზე დ. ბ-ს და ნ. ბ-ს, როგორც დევნილ პირებს, შეეზღუდათ საცხოვრებელი ბინით უზრუნველყოფის უფლება. ასევე უსაფუძვლოა სამინისტროს მითითება მიკუთვნებითი მოთხოვნის აღძვრის გარეშე მხოლოდ ხელშეკრულების ბათილად ცნობის დაუშვებლობის თაობაზე. განსახილველი დავის საგანს დ. ბ-ისა და ნ. ბ-ის ინფორმირებისა და მათი ნებართვის გარეშე განხორციელებული საცხოვრებელი ბინით უზრუნველყოფის პროცესი წარმოადგენს, რაც არ გამორიცხავს სასამართლოს შესაძლებლობას, მიკუთვნებითი მოთხოვნის გარეშე შეაფასოს სადავო განკარგულებისა და ხელშეკრულების კანონიერება.

ამასთან, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლო მსჯელობას ხანდაზმულობის ვადასთან დაკავშირებით, ვინაიდან 2012 წლის მაისში და შემდგომ პერიოდში თეთრიწყაროს რაიონის სოფელ ...ში დ. ბ-ისა და ნ. ბ-ის ფაქტობრივად ცხოვრებისა და გ. ბ-თან ერთად საერთო საოჯახო მეურნეობის წარმოების ფაქტი, ასევე, სადავო ხელშეკრულებასთან დაკავშირებით მოსარჩელე მხარის ინფორმირების ან ხელშეკრულებაზე მათი პოზიციის დაფიქსირების ფაქტი საქმის მასალებით არ დასტურდება. საქმის მასალებით არ დგინდება, რომ არსებობს დ. ბ-ის და ნ. ბ-ის წერილობითი თანხმობა ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე, ასევე არ დგინდება, რომ დ. ბ-ისა და ნ. ბ-ისათვის ცნობილი იყო ამ ხელშეკრულების ან/და პრეზიდენტის განკარგულების არსებობის თაობაზე. ხელშეკრულებაშივე მითითებულია, რომ იგი შედგენილ იქნა ერთ ეგზემპლარად. ასევე საჯარო რეესტრის მონაცემებში, კერძოდ ამონაწერში, მითითებულია მხოლოდ მესაკუთრე. დამატებით რაიმე ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ბინას სხვა მოსარგებლებე ჰყავს, ან რომ ბინაზე რაიმე უფლება აქვს დ. ბ-ს და ნ. ბ-ს, რეგისტრირებული მონაცემებით არ დასტურდება. ხოლო აღნიშნული ბინა გ. ბ-ემ სადავო ხელშეკრულებით გადაცემისთანავე გაასხვისა.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საკასაციო საჩივრები უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 10 ივლისის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს. სააპელაციო სასამართლომ თავის მხრივ საქმის ხელახლა განხილვისას, მოსარჩელეთა წრის დაზუსტების შედეგად, საქმეზე უნდა მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 10 ივლისის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.



**სამინისტროს ბალანსზე რიცხული ბინების  
უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წინაპირობები**

**გადაწყვეტილება  
საქართველოს სახელით**

№ბს-1017(კ-18)

20 ივნისი, 2019 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. სხირტლაძე,  
ვ. როინიშვილი**

**დავის საგანი:** ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, ქმედების განხორციელების დავალეზა

**აღწერილობითი ნაწილი:**

2017 წლის 25 აგვისტოს გ. შ-ამ, შ. ჯ-ამ, გ. დ-მა, ი. ს-ემ, მ. მ-ამ, მ. ბ-ამ, რ. ბ-ემ და ნ. ბ-ემ სასარჩელო განცხადებებით მიმართეს ფოთის საქალაქო სასამართლოს, მოპასუხის – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ.

მოსარჩელებმა მოქალაქეების: შ. ჯ-ას, ი. ს-ის, მ. მ-ას, ნ. ბ-ის, გ. დ-ის, რ. ბ-ის, მ. ბ-ას და გ. შ-ას წარმომადგენლის რო. ბ-ის 2017 წლის 18 აპრილის №355385 ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილის 2017 წლის 21 ივლისის ბრძანების ბათილად ცნობა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის გ. შ-ასათვის ქ.ფოთი, კუნძული კოლუმბარი ...-ში, შ. ჯ-ასათვის ქ.ფოთი, კუნძული კოლუმბარი ...-ში, გ. დ-ისათვის ქ.ფოთი, კუნძული კოლუმბარი ...-ში, ი. ს-ისათვის ქ.ფოთი, კუნძული კოლუმბარი ...-ში, მ. მ-ასათვის ქ.ფოთი, კუნძული კოლუმბარი ...-ში, მ. ბ-ასათვის ქ.ფოთი, კუნძული კოლუმბარი ...-ში და ნ. ბ-ისათვის ქ.ფოთი, კუნძული კოლუმბარი ...-ში მდებარე ბინების საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით, წერილობითი თანხმობის გაცემის დავალეზა მოითხოვეს.

ფოთის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 19 სექტემბრის საოქმო განჩინებით ერთ წარმოებად გაერთიანდა – ფოთის საქალაქო სასამართლოს წარმოებაში არსებული №3/98-2017 ადმინისტრაციული საქმე, გ. შ-ას სარჩელისა გამო მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის და ქმედების განხორ-

ციელების თაობაზე, ფოთის საქალაქო სასამართლოს წარმოებაში არსებული №3/99-2017 ადმინისტრაციული საქმე, შ. ჯ-ას სარჩელისა გამო მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის და ქმედების განხორციელების თაობაზე, ფოთის საქალაქო სასამართლოს წარმოებაში არსებული №3/100-2017 ადმინისტრაციული საქმე, გ. დ-ის სარჩელისა გამო მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის და ქმედების განხორციელების თაობაზე, ფოთის საქალაქო სასამართლოს წარმოებაში არსებული №3/101-2017 ადმინისტრაციული საქმე, ი. ს-ის სარჩელისა გამო მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის და ქმედების განხორციელების თაობაზე, ფოთის საქალაქო სასამართლოს წარმოებაში არსებული №3/102-2017 ადმინისტრაციული საქმე, მ. მ-ას სარჩელისა გამო მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის და ქმედების განხორციელების თაობაზე, ფოთის საქალაქო სასამართლოს წარმოებაში არსებული №3/103-2017 ადმინისტრაციული საქმე, მ. ბ-ას სარჩელისა გამო მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის და ქმედების განხორციელების თაობაზე, ფოთის საქალაქო სასამართლოს წარმოებაში არსებული №3/104-2017 ადმინისტრაციული საქმე, რ. ბ-ის სარჩელისა გამო მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის და ქმედების განხორციელების თაობაზე და ფოთის საქალაქო სასამართლოს წარმოებაში არსებული №3/105-2017 ადმინისტრაციული საქმე, ნ. ბ-ის სარჩელისა გამო მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის და ქმედების განხორციელების თაობაზე.

წარმოდგენილ სარჩელებში აღნიშნულია, რომ საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში ქ.ფოთში, კუნძულ კოლუმბარზე განლაგებული იყო სამხედრო ქალაქი, სადაც მსახურობდნენ მოსარჩელები. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 6 აგვისტოს №603 დადგენილებით სამხედრო მოსამსახურეთა ბინებით დაკმაყოფილება ხორციელდებოდა იმ სამხედრო უწყებათა მიერ, სადაც ისინი მსახურობდნენ. მოსარჩელებს საცხოვრებელი ბინა სარგებლობისათვის გადაეცათ იმ დასახლებულ პუნ-

ქტში, რომლის ტერიტორიაზეც დისლოცირებული იყო ის სამხედრო ნაწილი, სადაც მსახურობდნენ, ვინაიდან მოსარჩელებს არ გააჩნდათ სხვა საცხოვრებელი. 1991 წლიდან ნ. ბ-ე, 1994 წლიდან რ. ბ-ე, 1996 წლიდან შ. ჯ-ა, გ. დ-ი, ი. ს-ე, მ. მ-ა, მ. ბ-ა, 1998 წლიდან გ. შ-ა შესახებულ იქნენ სადავო ბინებში. გ. შ-ას, გ. დ-ს, მ. ბ-ას და რ. ბ-ეს ბინის სარგებლობის დოკუმენტი ხელზე არ გადასცემია. მიზეზად ის დაასახელეს, რომ მათი სახელი და გვარი შეტანილია სპეციალურ ზონარგაყრილ წიგნში და საბინაო კომისიის ოქმში, ამიტომაც მათ არანაირი პრობლემა არ შეექმნებოდათ ბინათსარგებლობაში. შ. ჯ-ას, ი. ს-ეს, მ. მ-ას და ნ. ბ-ეს ბინებზე გადაეცათ ორდერები. სადავო ბინები დღესაც თავდაცვის სამინისტროს ბალანსზეა და ამ სამინისტროს საბინაო ფონდში შედის. შტატების შემცირების გამო მოსარჩელები გათავისუფლდნენ სამსახურებიდან, დღემდე ცხოვრობენ სადავო ბინებში, იხდიან კომუნალურ გადასახადებს. საცხოვრებელი სახლები ავარიულ მდგომარეობაში იყო, მობინადრებმა საკუთარი სახსრებით შეაკეთეს ბინები და დღემდე, ოც წელზე მეტია ფლობენ მათ. 2017 წლის 6 მარტს მათ მიმართეს თავდაცვის სამინისტროს ბინის საკუთრებაში გადასაცემად ქ.ფოთის მერიაში წარსადგენი წერილობითი თანხმობის გაცემის მოთხოვნით, რაზეც 2017 წლის 21 ივლისის №817 0000051 ბრძანებით უარი ეთქვათ, იმ საფუძველზე, რომ ბინები სამსახურებრივი დანიშნულების იყო და ასეთი კატეგორიის ბინები საკუთრებაში გადაცემას არ ექვემდებარებოდა.

მოპასუხის მითითებით, საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2017 წლის 21 ივლისის ბრძანება გამოცემულია კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით და არ არსებობს მისი ბათილად ცნობის საფუძველი. „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე რიცხული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართობების საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 30 აპრილის №219 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, საკუთრებაში გადაცემას არ ექვემდებარება საქართველოს თავდაცვის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით მხოლოდ სამსახურებრივი სარგებლობისათვის განკუთვნილი ბინები. როგორც ჯარების ლოგისტიკური უზრუნველყოფის სარდლობის 2017 წლის 5 ივნისის წერილიდან ირკვევა, სადავო ბინებს არ აქვთ მოხსნილი სამსახურებრივი სარგებლობისათვის განკუთვნილი ბინების სტატუსი, რაც საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 30 აპრილის №219 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, წარმოადგენს სასარჩელო

მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს.

ფოთის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილებით გ. შ-ას, შ. ჯ-ას, გ. დ-ის, ი. ს-ის, მ. მ-ას, მ. ბ-ას, რ. ბ-ისა და ნ. ბ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილის 2017 წლის 21 ივლისის ბრძანება მოქალაქეების შ. ჯ-ას, ი. ს-ის, მ. მ-ას, ნ. ბ-ის, გ. დ-ის, რ. ბ-ის, მ. ბ-ას და გ. შ-ას წარმომადგენლის რო. ბ-ის 2017 წლის 18 აპრილის №355385 ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაევალა წერილობითი თანხმობის გაცემა გ. შ-ასათვის ქ.ფოთი, კუნძული კოლუმბარი ...-ში, შ. ჯ-ასათვის ქ.ფოთი, კუნძული კოლუმბარი ...-ში, გ. დ-ისათვის ქ.ფოთი, კუნძული კოლუმბარი ...-ში, ი. ს-ისათვის ქ.ფოთი, კუნძული კოლუმბარი ...-ში, მ. მ-ასათვის ქ.ფოთი, კუნძული კოლუმბარი ...-ში, მ. ბ-ასათვის ქ.ფოთი, კუნძული კოლუმბარი ...-ში და ნ. ბ-ისათვის ქ.ფოთი, კუნძული კოლუმბარი ...-ში მდებარე ბინების საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით.

სასამართლოს მითითებით, საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილის 2017 წლის 21 ივლისის ბრძანების საფუძველზე, მოქალაქეებს: შ. ჯ-ას, ი. ს-ის, მ. მ-ას, ნ. ბ-ის, გ. დ-ის, რ. ბ-ის, მ. ბ-ას და გ. შ-ას წარმომადგენელს რო. ბ-ს 2017 წლის 18 აპრილის №355385 ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარი ეთქვათ.

საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ჯარების ლოგისტიკური უზრუნველყოფის სარდლობის 2017 წლის 5 ივნისის წერილის თანახმად, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის უფროსს ეცნობა, რომ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2010 წლის 13 სექტემბრის №589 ბრძანების შესაბამისად, თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე მყოფი სადავო ბინები გამოცხადებულია მხოლოდ სამსახურებრივი სარგებლობისათვის გამოსაყენებელ ბინებად და აღნიშნული სტატუსი დღეის მდგომარეობით მოხსნილი არ აქვთ.

სასამართლოს მითითებით, საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის J-1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტის 2016 წლის 4 აგვისტოს წერილზე დართული ინფორმაციის შესაბამისად, უფროსი ლეიტენანტი მ. მ-ა 1993 წელს მუშაობდა ს/ნ 22682 ქვედანაყოფში საავტომობილო სამსახურის ...ად, 1993-1997 წლებში ს/ნ 12116 ქვედანაყოფში კავშირგაბმულობის საწყობის ...ად, 1997-1998 წლებში საჰაერო ჯარების ცალკეული 162-ე რადიოტექნიკური ბატალიონის სანივთე საწყობში საწყობის ...ად, 1998

წელს 162-ე რადიოტექნიკურ ბატალიონში საკომანდო პუნქტის ...დ, 1998-2001 წლებში სამხედრო საჰაერო ძალების საჰაერო თავდაცვის მე-2 ბაზის რადიოლოკაციურ კვანძში შტაბის ...ი – კვანძის უფროსის ...დ, 2001-2003 წლებში სსძ სამხედრო-საჰაერო ძალების მე-2 ბაზის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ასეულში ...ად, 2003-2004 წლებში გადაიყვანეს კადრების განკარგულებაში, 2004 წლის 12 მარტს რეორგანიზაციისა და შტატების შემცირების გამო დაითხოვეს შეიარაღებული ძალებიდან.

უფროსი სერჟანტი ნ. ბ-ე 1993-1995 წლებში მუშაობდა ს/ნ 22686 ქვედანაყოფში ...ად, 1995-1996 წლებში ამავე ქვედანაყოფში ს/ნ მეთაურის მოადგილის ...ში, 1996-2001 წლებში საჰაერო თავდაცვის ფოთის 162-ე რადიოტექნიკურ ბატალიონში სურსათ-სანოვების სანყოფის ...ად, 2001-2003 წლებში სსხ მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის დივიზიონში სანივთე სანყოფის ...ად, 2003 წელს გადაიყვანეს კადრების განყოფილებაში, 2003 წელს მუშაობდა ჰაერსანიანალმდეგო თავდაცვის სარაკეტო დივიზიონი, ტექნიკური ბატარეა, მატერიალური უზრუნველყოფის ოცეული, სანყოფები – შეიარაღების სანყოფის ...ი, შტატი №...-ში შეიარაღების სანყოფის ...ად, 2003 წელს გადაიყვანეს კადრების განყოფილებაში, 2003-2004 წლებში მუშაობდა საჰაერო თავდაცვის მე-2 ბაზა (ქ.ფოთი), მატერიალური უზრუნველყოფისა და დაცვის ასეული, მატერიალური უზრუნველყოფის ოცეული, სანყოფები – შეიარაღებული სანყოფის ...ი, შტატი №...-ში შეიარაღების სანყოფის ...ად, 2004-2006 წლებში საჰაერო თავდაცვის მე-2 ბაზა, სანყოფებში შეიარაღებული სანყოფის ...ად, 2006 წელს გადაიყვანეს კადრების განკარგულებაში, 2006 წლის 17 ივნისს რეორგანიზაციისა და შტატების შემცირების გამო დაითხოვეს შეიარაღებული ძალებიდან.

უფროსი სერჟანტი ი. ს-ე 1993 წელს ს/ნ 22682 ქვედანაყოფში მუშაობდა ...ად, 1993-1995 წლებში ს/ნ 22686 ქვედანაყოფში უფროს ...ად, 1995-1996 წლებში იყო დათხოვნილი, 1996-1997 წლებში მუშაობდა საჰაერო თავდაცვის 162-ე ბატალიონის საექსპლუატაციო ათეულში ...ად, 1997-1998 წლებში ს/ნ 22686, 162-ე რ.ტ.ბ. საავტომობილო სამსახურის საკონტროლო ტექნიკურ პუნქტში ...ად, 1998-2001 წლებში ს.თ. №2 ბაზა, რადიოლოკაციურ კვანძში ...ად, 2001-2002 წლებში სსძ საჰაერო თავდაცვის მე-2 ბაზაში რადიოლოკაციური დაზვერვის ...ად, 2002-2003 წლებში საზღვაო თავდაცვის ძალების საზღვაო ქვეითი ჯარის სპეცდანიშნულების მექანიზირებული ბატალიონის მექანიზირებული საზღვაო-ქვეითი ოცეულის მექანიზირებულ საზღვაო-ქვეით ათეულში ...ად, 2003 წელს გადაიყვანეს კადრების განკარგულებაში, 2003 წელს მუშაობდა საზღვაო თავდაცვის ძალების ლოჯისტიკის ბატალიონი, საავტომ-

მობილო ასეული, საავტომობილო ოცეული, საავტომობილო ათე-  
ულში ...ად, 2003 წლის 17 ოქტომბერს ავადმყოფობის გამო დაით-  
ხოვეს შეიარაღებული ძალებიდან.

...ი შ. ჯ-ა 1997-1998 წლებში საჰაერო ჯარების მე-2 საზენიტო-  
სარეკეტო ბრიგადაში მუშაობდა საკომანდო პუნქტის ...ად, 1998-  
2001 წლებში სსძ საჰაერო თავდაცვის მე-2 ბაზის საზენიტო სარე-  
კეტო დივიზიონში სპეც. ტექნიკური რემონტისა და მომსახურე-  
ბის სახელოსნოს ...ად, 2001-2002 წლებში ამავე დივიზიონში მატე-  
რიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის დივიზიონის სურსათ-სანო-  
ვავის საწყობის ...ად, 2002-2003 წლებში საჰაერო თავდაცვის ბაზა  
ს/ნ 22684 (ფოთი), საწყობებში სანივთე და სასურსათო საწყობის  
...ად, 2003 წელს გადაიყვანეს კადრების განკარგულებაში, 2003  
წლის 22 მაისს რეორგანიზაციისა და შტატების შემცირების გამო  
დაითხოვეს შეიარაღებული ძალებიდან.

სასამართლოს მითითებით, მალთაყვის უბანში ქალაქ ფოთის  
მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლის მიერ 2017 წლის 17 თე-  
ბერვალს გაცემული №97 ცნობის შესაბამისად, გ. შ-ა ცხოვრობს  
ქ.ფოთი, კუნძული კოლუმბარი №...-ში. მალთაყვის უბანში ქალაქ  
ფოთის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 12 სექტემბრის №894  
ცნობის თანახმად, გ. დ-ი ცხოვრობს ქ.ფოთი, კუნძული კოლუმბა-  
რი №...-ში. მალთაყვის უბანში ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის  
მერის 2017 წლის 15 სექტემბრის №910 ცნობის შესაბამისად, მ. მ-  
ა ცხოვრობს ქ.ფოთი, კუნძული კოლუმბარი №...-ში. მალთაყვის  
უბანში ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 12 სექ-  
ტემბრის №893 ცნობის მიხედვით, ნ. ბ-ე ცხოვრობს ქ.ფოთი, კუნ-  
ძული კოლუმბარი №...-ში. მალთაყვის უბანში ქალაქ ფოთის მუნი-  
ციპალიტეტის მერის 2017 წლის 12 სექტემბრის №891 ცნობის შე-  
საბამისად, ი. ს-ე ცხოვრობს ქ.ფოთი, კუნძული კოლუმბარი №...-  
ში. მალთაყვის უბანში ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის 2017  
წლის 12 სექტემბრის №895 ცნობის მიხედვით, მ. ბ-ა ცხოვრობს  
ქ.ფოთი, კუნძული კოლუმბარი №...-ში. მალთაყვის უბანში ქალაქ  
ფოთის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 12 სექტემბრის №892  
ცნობის თანახმად, რ. ბ-ე ცხოვრობს ქ.ფოთი, კუნძული კოლუმბა-  
რი №...-ში.

ფოთის რეგიონალური ბაზა №3-ის მიერ 2001 წლის 16 აგვის-  
ტოს გაცემული №2 ორდერის შესაბამისად, ნ. ბ-ეს გადაეცა სამსა-  
ხურებრივი საცხოვრებელი ნაგებობა მდებარე ქ.ფოთი, კუნძული  
კოლუმბარი №..., ორდერის გაცემის საფუძველად მითითებულია  
2001 წლის 31 ივლისის ფოთის გარნიზონის საბინაო-საყოფაცხოვ-  
რებო კომისიის სხდომის ოქმი №2.

ფოთის რეგიონალური ბაზა №3-ის მიერ 2003 წლის 31 მარტს

გაცემული №2 ორდერის შესაბამისად, ი. ს-ეს გადაეცა სამსახურებრივი საცხოვრებელი ნაგებობა, მდებარე ქ.ფოთი, კუნძული კოლუმბარი №..., ორდერის გაცემის საფუძვლად მითითებულია 2002 წლის 9 იანვრის ფოთის გარნიზონის საბინაო-საყოფაცხოვრებო კომისიის სხდომის ოქმი №1.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2015 წლის 11 დეკემბრის ნერილის შესაბამისად, რო. ბ-ს ეცნობა, რომ უძრავ ნივთებზე მდებარე, ქ.ფოთი, კუნძული კოლუმბარი №..., №..., №..., №..., №..., №... საკუთრების უფლება რეგისტრირებული არ არის.

ფოთის რეგიონალური ბაზა №3-ის მიერ 2002 წლის 21 აგვისტოს გაცემული №11 ორდერის შესაბამისად, შ. ჯ-ას გადაეცა სამსახურებრივი საცხოვრებელი ნაგებობა, მდებარე ქ.ფოთი, კუნძული კოლუმბარი №..., ორდერის გაცემის საფუძვლად მითითებულია 2002 წლის 9 იანვრის ფოთის გარნიზონის საბინაო-საყოფაცხოვრებო კომისიის სხდომის ოქმი №1.

მალთაყვის უბანში ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის 2016 წლის 15 ნოემბრის №1113 ცნობის შესაბამისად, შ. ჯ-ა ცხოვრობს ქ.ფოთი, კუნძული კოლუმბარი №...-ში.

მალთაყვის უბანში ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის 2015 წლის 3 დეკემბრის №1771 ცნობის შესაბამისად, გ. დ-ი 2000 წლიდან ცხოვრობს ქ.ფოთი, კუნძული კოლუმბარი №...-ში.

2015 წლის 4 დეკემბრის აბონენტის ბარათის შესაბამისად, აბონენტი – გ. დ-ის მისამართად მითითებულია ქ.ფოთი, კუნძული კოლუმბარი, შენობა ..., ბინა ... და აღნიშნულ მისამართზე ის იხდის ელექტროენერგიის გადასახადს.

შპს „...ეს“ ფილიალის „ს...ას“ მიერ გაცემული 2004 წლის 17 თებერვლის ცნობის თანახმად, ი. ს-ე ცხოვრობს ქ.ფოთში, კუნძული კოლუმბარი №...-ში.

ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ 2015 წლის 21 ივლისის ცნობის თანახმად, მ. მ-ას დიაგნოზია ზედა კიდურის, მხრის ჩათვლით, კანის ავთვისებიანი სიმსივნეები.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კადრების მთავარი სამმართველოს უფროსის 2003 წლის 24 აპრილის №1481 ბრძანების თანახმად, მ. მ-ა გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და გადაყვანილ იქნა კადრების მთავარი სამმართველოს განკარგულებაში.

ფოთის რეგიონალური საბინაო-საექსპლოატაციო ნაწილის მიერ 2001 წლის 23 იანვარს გაცემული №20 ორდერის შესაბამისად, მ. მ-ას გადაეცა სამსახურებრივი საცხოვრებელი ნაგებობა, მდებარე: ქ.ფოთი, კუნძული კოლუმბარი №..., ორდერის გაცემის საფუძვლად მითითებულია 2000 წლის 26 დეკემბრის ფოთის გარნი-

ზონის საბინაო-საყოფაცხოვრებო კომისიის სხდომის ოქმი №4.

2015 წლის 4 დეკემბრის აბონენტის ბარათის შესაბამისად, აბონენტი – ნ. ბ-ის მისამართად მითითებულია: ქ.ფოთი, კუნძული კოლუმბარი, შენობა ..., ბინა ... და აღნიშნულ მისამართზე ის იხდის ელექტროენერჯის გადასახადს.

მალთაყვის უბანში ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის 2015 წლის 3 დეკემბრის №1770 ცნობის შესაბამისად, ნ. ბ-ე 1992 წლიდან ცხოვრობს ქ.ფოთი, კუნძული კოლუმბარი №...-ში.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ №... მონომობის შესაბამისად, მ. ბ-ა არის ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანი.

სასამართლოს მითითებით, საკუთრების უფლება ფუნდამენტურ უფლებათა იმ კატეგორიას განეკუთვნება, რომლის სრულფასოვანი განხორციელება, ერთი მხრივ, ინდივიდის ღირსეული არსებობისა და მეორე მხრივ, თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაზე დაფუძნებული დემოკრატიული საზოგადოების არსებობის წინაპირობაა.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის თანახმად, ყოველ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს აქვს თავისი საკუთრებით შეუფერხებელი სარგებლობის უფლება. საკუთრების უფლება ადამიანის უფლებათა სამართლის ერთ-ერთი ყველაზე ძველი და ფუნდამენტური უფლებაა, რომელიც გულისხმობს ადამიანის შესაძლებლობას, საკუთარი ნების შესაბამისად და სხვათა ინტერესების შეუღლახავად ფლობდეს, სარგებლობდეს და განკარგავდეს თავის ქონებას. საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლი, რომელიც საკუთრების უფლებას ეხება, თავისი შინაარსით შეესაბამება ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველ მუხლს. კერძოდ, „საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და უზრუნველყოფილია. დაუშვებელია საკუთრების, მისი შექმნის, გასხვისების ან მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლების გაუქმება“.

საკუთრება, როგორც კონსტიტუციით გარანტირებული ადამიანის ძირითადი უფლება, ზესახელმწიფოებრივი უფლებაა და შესაბამისად, ექვემდებარება დაცვას სახელმწიფოს მხრიდან.

„საქართველოს კონსტიტუციისა და საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებიდან და ნორმებიდან გამომდინარე, საკუთრების უფლება წარუვალი და უზენაესი ადამიანური ღირებულებაა, საყოველთაოდ აღიარებული ძირითადი უფლება, დემოკრატიული საზოგადოების, სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფოს ქვაკუთხედი. საკუთრება ადამიანის ყოფიერების არსებითი საფუძველია“ (საქართველოს საკონსტიტუ-



ციო სასამართლოს 1997 წლის 21 ივლისის გადაწყვეტილება №1/51 საქმეზე „ქ.თბილისის ჩუღურეთის რაიონის სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება“). „საკუთრების უფლება ც ბუნებითი უფლებაა, რომლის გარეშე შეუძლებელია დემოკრატიული საზოგადოების არსებობა. საკუთრების უფლება ადამიანის არა მარტო არსებობის ელემენტარული საფუძველია, არამედ უზრუნველყოფს მის თავისუფლებას, მისი უნარისა და შესაძლებლობების ადეკვატურ რეალიზაციას, ცხოვრების საკუთარი პასუხისმგებლობით წარმართვას. ყოველივე ეს კანონზომიერად განაპირობებს ინდივიდის კერძო ინიციატივებს ეკონომიკურ სფეროში, რაც ხელს უწყობს ეკონომიკური ურთიერთობების, თავისუფალი მენარმეობის, საბაზრო ეკონომიკის განვითარებას, ნორმალურ, სტაბილურ სამოქალაქო ბრუნვას. იმავდროულად, კერძო საკუთრება, როგორც ინსტიტუტი, საბაზრო ეკონომიკის ბირთვს წარმოადგენს. შესაბამისად, ის არის არა მხოლოდ მესაკუთრეებს შორის ეკონომიკური კონკურენციის, არამედ ასევე დემოკრატიული სახელმწიფოს და საზოგადოებრივი წყობილების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობა“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 02 ივლისის გადაწყვეტილება №1/2/384 საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – დავით ჯიმშელიშვილი, ტარიელ გვეტაძე და ნელი დალალიშვილი“). „საკუთრება არის ინსტიტუტი, რომელიც სახელმწიფოს ეკონომიკურ საფუძველს წარმოადგენს. საკუთრების უფლების დაცვა უცხოა ტოტალიტარული სახელმწიფოსათვის, ხოლო დემოკრატიული, სამართლებრივი და სოციალური სახელმწიფოსათვის სასიცოცხლოდ აუცილებელია, ერთი მხრივ, საკუთრების, როგორც ინსტიტუტის, კონსტიტუციურ-სამართლებრივი გარანტირება, ხოლო მეორე მხრივ, მესაკუთრისათვის, როგორც სუბიექტისათვის უფლების სამართლებრივი დაცვის საკმარისი საშუალებების მინიჭება, მისი ხელშეწყობისა და უზრუნველყოფის გარანტიების შექმნა. სწორედ ამ მიზანს ემსახურება კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველი პუნქტი, რომლის შესაბამისადაც საკუთრების უფლება აღიარებული და უზრუნველყოფილია. ეს გულისხმობს არა მხოლოდ მესაკუთრისათვის უფლების დაცვის სამართლებრივი შესაძლებლობების მინიჭებას, არამედ საკუთრების დაცვას ისეთი ხელყოფისაგან, რომელიც არ თავისუფლდება ამავე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით დადგენილ ფარგლებში“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 18 მაისის გადაწყვეტილება №2/1-370,382,390,402,405 საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები ზაურ ელაშვილი, სულიკო მაშია, რუსუდან გოგია და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“).

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხ-

ლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, დაუშვებელია, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას საფუძვლად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე, რომლებიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს.

სასამართლოს მითითებით, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ არ განხორციელდა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების გამოკვლევა და აღნიშნულის შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე გადაწყვეტილების მიღება. სადავო აქტი არ არის გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერებისათვის საჭირო მოთხოვნათა დაცვით. ამდენად, სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები მიუთითებენ სადავო აქტის, საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილის 2017 წლის 21 ივლისის ბრძანების კანონშეუსაბამობაზე, რაც საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, აქტის ბათილად ცნობის საფუძველია.

სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩლეებს საცხოვრებელი ბინები სარგებლობისათვის გადაეცათ იმ დასახლებულ პუნქტში, რომლის ტერიტორიაზეც დისლოცირებული იყო ის სამხედრო ნაწილი, სადაც მსახურობდნენ, ვინაიდან მოსარჩლეებს არ გააჩნდათ სხვა საცხოვრებელი. 1991 წლიდან ნ. ბ-ე, 1994 წლიდან რ. ბ-ე, 1996 წლიდან შ. ჯ-ა, გ. დ-ი, ი. ს-ე, მ. მ-ა, მ. ბ-ა, 1998 წლიდან გ. შ-ა შესახლებულ იქნენ სადავო ბინებში. ისინი გარკვეული დროის შემდეგ გათავისუფლებული იქნენ დაკავებული თანამდებობიდან, მაგრამ მიუხედავად ამისა, განაგრძეს მათთვის გადაცემულ ბინებში ცხოვრება და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მათთვის ბინის ფლობასთან დაკავშირებით რაიმე სახის პრეტენზია არ გამოუხა-

ტავს. მოსარჩელები დღემდე ცხოვრობენ სადავო ბინებში, იხდიან კომუნალურ გადასახადებს, საცხოვრებელი სახლები ავარიულ მდგომარეობაში იყო, მობინადრეებმა საკუთარი სახსრებით შეაკეთეს ბინები და დღემდე, ოც წელზე მეტია ფლობენ მათ.

სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით დაკითხულმა გ. გ-მა განმარტა, რომ 1996 წლის სექტემბრის თვეში დაინიშნა ჯარების განთავსებისა და მშენებლობის მთავარ სამმართველოში. შეიქმნა ოთხი რეგიონალური საბინაო-საექსპლუატაციო ნაწილი, მათ შორის იყო ფოთის ნაწილი, რომლის სამოქმედო ტერიტორია განისაზღვრა ცხენისწყლიდან აჭარის ჩათვლით. საბინაო-საექსპლუატაციო ნაწილის დამტკიცებული დებულებით, რომელსაც ხელს აწერდა გენერალ-მაიორი მ-ე და შესაბამისი მთავარი სამმართველოს ფუნქციებზე მინისტრი იყო მთელ ამ რეგიონში არსებული მთელი სამხედრო ქონება, მათ შორის ქალაქში განთავსებული საბინაო ფონდები იყო მათ ბალანსზე, მაგრამ კონკრეტულ სამხედრო ქალაქს ჰყავდა თავისი მეთაური, რომელზეც ყველა ფუნქცია იყო დამატებული, მათ შორის ბინებთან დაკავშირებულიც. კოლუმბარი იყო ერთი დიდი დახურული სამხედრო ქალაქი, რომელიც იმ პერიოდისთვის ფლობდა საბინაო ფონდს. საბინაო-საექსპლუატაციო ნაწილები აკეთებდნენ აღრიცხვიანობას და საბინაო ფონდი გამოყენებული იყო იქ მაცხოვრებელი სამხედრო პირებისთვის, რომლებიც მუშაობდნენ ამ სამხედრო ნაწილებში. მოსარჩელებს ის იცნობს. სამხედრო ნაწილის საბინაო კომისია მეთაურის და მისი მოადგილის გადანყვეტილებით თუ კომისიის გადანყვეტილებით, ჩასახლებულ სამხედრო პირებზე ოფიციალურად მიმართავდა მათ, რომ ამ პიროვნებებისთვის ამოწმებდათ ორდერი, მაშინ ამოიწმენებოდა ორდერი ან თუ ორდერი არ ამოიწმენებოდა, ყოველივე ფიქსირდებოდა ზონარგაყრილ წიგნში. მთავრობის დადგენილება №603 მათ პირდაპირ აძლევდა ორდერის ამოწმების უფლებას. იყო ისეთი სამხედრო პირებიც, რომლებიც მუშაობდნენ და ცხოვრობდნენ იქ, მათზე ორდერები არ ამოიწმენებოდა, მაგრამ ზონარგაყრილ წიგნში ყველა იყო დაფიქსირებული თავისი ოჯახის წევრებით.

სასამართლოს მითითებით, საქართველოს სკ-ის 115-ე მუხლის თანახმად, სამოქალაქო უფლება უნდა განხორციელდეს მართლზომიერად. დაუშვებელია უფლების გამოყენება მართლოდენ იმ მიზნით, რომ ზიანი მიადგეს სხვას. ამავე კოდექსის 155-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების შესაბამისად, მფლობელობა წარმოიშვება ნივთზე ფაქტობრივი ბატონობის ნებითი მოპოვებით. თუ პირი ნივთს ფლობს იმ სამართლებრივი ურთიერთობის საფუძველზე, რომელიც განსაზღვრული ვადით ანიჭებს მას ნივთის ფლობის უფლებას ან ავალდებულებს მას ფლობდეს ნივთს, მაშინ ეს პირი

ითვლება პირდაპირ მფლობელად, ხოლო უფლების მიმნიჭებელი ან ვალდებულების დამკისრებელი მიიჩნევა არაპირდაპირ მფლობელად.

კეთილსინდისიერია მფლობელი, რომელიც ნივთს მართლზომიერად ფლობს, ან რომელიც უფლებამოსილ პირად შეიძლება იქნეს მიჩნეული საქმიან ურთიერთობებში საჭირო გულმოდგინე შემონმების საფუძველზე. ნივთის მფლობელობა ნყდება, თუ მესაკუთრე მფლობელს ნაუყენებს დასაბუთებულ პრეტენზიას.

„სასამართლო აცხადებს, რომ „მფლობელობის“ ცნებად №1 დამატებითი ოქმის პირველი პუნქტის პირველი ნაწილის თვალსაზრისით, აქვს ავტონომიური მნიშვნელობა, რომელიც არ შემოიფარგლება მხოლოდ ფიზიკური ნივთების მესაკუთრეობით და დამოუკიდებელია ადგილობრივ კანონმდებლობაში არსებული ფორმალური კლასიფიკაციისაგან: გამოსაკვეფეი საკითხი შემდეგში მდგომარეობს: შეიძლება თუ არა ჩაითვალოს, რომ საქმის ფაქტობრივი გარემოებების ერთიანობა განმცხადებელს ანიჭებს საკუთრების უფლებას იმ მატერიალურ ინტერესზე, რომელსაც იცავს აღნიშნული დებულება. შესაბამისად, ისევე როგორც ფიზიკური ნივთები, კონკრეტული უფლებები და ინტერესი, რომლებიც წარმოადგენენ კანონივებს, შეიძლება ასევე ჩაითვალოს „მფლობელობად“ ამ დებულების საჭიროებიდან გამომდინარე. „მფლობელობის“ ცნება არ იზღუდება „არსებულ მფლობელობად“, არამედ შეიძლება მოიცავდეს კანონივებს, მათ შორის მოთხოვნებს, რომლებთან დაკავშირებითაც განმცხადებელს შეუძლია იდავოს, რომ მას გააჩნია სულ მცირე გონივრული და „მართლზომიერი მოლოდინი“ იმისა, რომ შეძლებს საკუთრების უფლებით სარგებლობას. „მოლოდინი“ მართლზომიერია, თუკი იგი ემყარება საკანონმდებლო დებულებას ან ნორმატიულ აქტს, რომელიც შეეხება საკუთრების ინტერესს“ (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2010 წლის 27 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე „სალინაძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“).

სასამართლოს მითითებით, სახელმწიფომ ბინები მოსარჩელეებს გამოუყო კანონიერად, ეს იყო კეთილსინდისიერი ქმედება, რეგისტრირებული საკუთრების უფლების არარსებობის მიუხედავად, უმთავრესი მნიშვნელობა ამასთან დაკავშირებით აქვს უწყებების მიერ მკაფიოდ გამოხატულ ტოლერანტობას. მოსარჩელები ოცნელზე მეტია, რაც შეუფერხებლად სარგებლობენ მათთვის გადაცემული საცხოვრებლებით, ამ დროის განმავლობაში ისინი იხდიდნენ კომუნალურ გადასახადებს, უვლიდნენ აღნიშნულ უძრავ ქონებებს, როგორც საკუთარს და სახელმწიფოს აღნიშნული ფაქტი არასდროს გაუპროტესტებია. საცხოვრებლის კეთილსინდისიერი

ფლობა წარმოადგენდა მატერიალურ უფლებას. ამგვარად შეუძლებელი იყო მათი საცხოვრებლიდან გამოსახლება მისი ნების წინააღმდეგ და მსგავსი ალტერნატიული თავშესაფრის ან ფულადი კომპენსაციის შეთავაზების გარეშე, ამასთან, მათ გააჩნდათ სულ მცირე გონივრული და „მართლზომიერი მოლოდინი“ იმისა, რომ შეძლებდნენ საკუთრების უფლებით სარგებლობას.

სასამართლოს მითითებით, პირის დროებითი საცხოვრებელი, მიუხედავად იმისა, ჰქონდა თუ არა ასეთ პირს რეგისტრირებული საკუთრების უფლება, წარმოადგენდა სამოქალაქო კოდექსში მოცემული მფლობელობის წესებით დაცულ უფლებას. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 167-ე მუხლის თანახმად, თუ პირი საჯარო რეესტრში შეტანილია მიწის ნაკვეთის ან სხვა უძრავი ქონების მესაკუთრედ ისე, რომ არ შეუძენია საკუთრების უფლება მათზე, იგი მოიპოვებს ამ საკუთრების უფლებას, თუკი რეგისტრაცია არსებობდა თხუთმეტი წლის განმავლობაში და ამ ხნის მანძილზე პირი ფლობდა მათ, როგორც საკუთარს. კონკრეტულ შემთხვევაში, სახეზეა გარემოება, როდესაც მოსარჩელები ათ წელზე მეტი დროის განმავლობაში ცხოვრობენ სადავო ბინებში, აუცილებელი გადასახადების გადახდით, შესახლების დროისათვის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად (იხ. გ.გ-ის დაკითხვის ოქმი), მათი გამოსახლების თაობაზე ადმინისტრაციულ ორგანოებს საკითხი არ დაუყენებიათ, მათ გააჩნდათ სულ მცირე გონივრული და „მართლზომიერი მოლოდინი“ იმისა, რომ შეძლებდნენ საკუთრების უფლებით სარგებლობას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ სასარჩელო მოთხოვნები საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს უნდა დაევალოს გასცეს წერილობითი თანხმობა გ. შ-ასათვის ქ.ფოთი, კუნძული კოლუმბარი ...-ში, შ. ჯ-ასათვის ქ.ფოთი, კუნძული კოლუმბარი ...-ში, გ. დ-ისათვის ქ.ფოთი, კუნძული კოლუმბარი ...-ში, ი. ს-ისათვის ქ.ფოთი, კუნძული კოლუმბარი ...-ში, მ. მ-ასათვის ქ.ფოთი, კუნძული კოლუმბარი ...-ში, მ. ბ-ასათვის ქ.ფოთი, კუნძული კოლუმბარი ...-ში, რ. ბ-ისათვის ქ.ფოთი, კუნძული კოლუმბარი ...-ში და ნ. ბ-ისათვის ქ.ფოთი, კუნძული კოლუმბარი ...-ში მდებარე ბინების საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით.

ფოთის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-

მეთა პალატის 2018 წლის 14 მაისის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა ფოთის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებს და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით და მიიჩნია, რომ საქალაქო სასამართლომ სწორად დაადგინა საქმის ფაქტობრივი გარემოებები და სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა მათ, რაც გაიზიარა სააპელაციო პალატამ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 14 მაისის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორის განმარტებით, მოსარჩელების მიერ გასაჩივრებული იქნა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, კერძოდ, 21.07.2017 წლის ბრძანება. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად: „სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით“. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად: „არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს“. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მისამართთა თბილისი, გენერალ გ. კვინიტაძის №20, კასატორის მოსაზრებით, ფოთის საქალაქო სასამართლოს საქმე განსჯადობით უნდა გადმოეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოში. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის თანახმად: „გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ საქმე განიხილა სასამართლოს არაკანონიერმა შემადგენლობამ“. ამავე კოდექსის 385-ე მუხლის შესაბამისად: „სააპელაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს უბრუნებს პირველი ინსტანციის სასამართლოს ხელახლა განსახილველად, თუ ადგილი აქვს 394-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებს“. კასატორის მითითებით, თავდაცვის სამინისტროს მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოში დაყენებული იქნა საკითხი საქმის განსჯად სასამართლოში გადაგზავნის შესახებ, თუმცა სასამართლოს მიერ არ იქნა დაკმაყოფილებული, რასაც სადავოდ ხდის კასატორი.

ამასთან, კასატორის მითითებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილება მიღებულია კანონის დარღვევით და უნდა გაუქმდეს, ვინაიდან საქართველოს თავდაცვის მინისტრის 21.07.2017 წლის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით და არ არსებობს მისი ბათილად ცნობის საფუძველი.

კასატორის მითითებით, „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე რიცხული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართობის საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 30.04.08 წლის №219 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულებით გათვალისწინებულია სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე რიცხული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართობის საკუთრებაში გადაცემის წესი და პირობები. აღნიშნული დებულებით, ბინების უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემისათვის სხვა დოკუმენტებთან ერთად, ფიზიკურმა პირმა შესაბამის ორგანოში უნდა წარადგინოს მითითებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ცნობა, „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ცნობა ამ დებულების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ბ.ა“, „ბ.ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გარემოებებისა და შესაბამის ბინაზე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მონაწილეობით სასამართლო დავის არარსებობის თაობაზე“. დებულების პირველი მუხლის თანახმად: ეს დებულება ანესრიგებს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე რიცხული საცხოვრებელი ბინებისა და არასაცხოვრებელი ფართობის საკუთრებაში გადაცემის წესსა და პირობებს. ამავე მუხლის მე-2 ნაწილით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე რიცხული ბინები უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაეცემა იმ ფიზიკურ პირებს, რომლებსაც აღნიშნული ბინები დაკავებული აქვთ ამ დებულების მე-3 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტის საფუძველზე. აღნიშნული ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ფიზიკური პირების მიერ დაკავებული ამ დებულების პირველი მუხლით გათვალისწინებული ბინების უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემა ხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელ ორგანოში წარდგენილი იქნება: ა) საბინაო კომისიის გადაწყვეტილება ბინის სარგებლობაში გადაცემის შესახებ, ბ) საბინაო ორდერი ბინის დროებით სარგებლობაში გადაცემის შესახებ, გ) სასამართლო გადაწყვეტილება, რომელიც ადასტურებს პირის სარგებლობის უფლებას, დ) საქართველოს თავდაცვის მინისტ-

ტრის სამართლებრივი აქტი, რომელიც ადასტურებს ფიზიკური პირის მიერ ბინის ამ ბრძანებულების ამოქმედებამდე ფაქტობრივად დაკავების ფაქტს და შეიძლება გამოიყენოს განსაკუთრებულ შემთხვევებში ამ პუნქტით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტის წარმოდგენის შეუძლებლობის შემთხვევაში. დებულების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, საკუთრებაში გადაცემას არ ექვემდებარება ბინები, რომლების საქართველოს თავდაცვის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით მხოლოდ სამსახურებრივი სარგებლობისათვის არის განკუთვნილი.

კასატორის მითითებით, თავდაცვის მინისტრის 13.09.10 წლის №589 ბრძანების მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე მყოფი ყველა ბინა (საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართები) მათ შორის, მოსარჩელების მიერ დაკავებული ფართი გამოცხადებულია მხოლოდ სამსახურებრივი სარგებლობისათვის გამოსაყენებელ ბინებად. შესაბამისად, თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე არსებული მოსარჩელების მიერ დაკავებული ბინები უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემას არ ექვემდებარება აღნიშნული სტატუსის მოხსნამდე. ამასთან, გასათვალისწინებელია ისიც, რომ მოსარჩელეთა მხრიდან სადავოდ არ გამხდარა დაკავებულ ფართებზე სტატუსის მოხსნის საკითხი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 28 სექტემბრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 22 ნოემბრის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მათი შესწავლისა და ანალიზის, გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთებულობისა და წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის მოტივების შემოწმების საფუძველზე მიიჩნევს, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც გ. შ-ას, შ. ჯ-ას, გ. დ-ის, ი. ს-ის, მ. მ-ას, მ. ბ-ას, რ. ბ-ისა და ნ. ბ-ის სარჩელი უნდა დაკმაყო-



ფილდეს ნაწილობრივ.

განსახილველი დავის საგანს მოქალაქეების შ. ჯ-ას, ი. ს-ის, მ. მ-ას, ნ. ბ-ის, გ. დ-ის, რ. ბ-ის, მ. ბ-ას და გ. შ-ას წარმომადგენლის რო. ბ-ის 2017 წლის 18 აპრილის №355385 ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილის 2017 წლის 21 ივლისის ბრძანების კანონიერების დადგენა წარმოადგენს; მოსარჩელები ასევე საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის გ. შ-ასათვის ქ.ფოთი, კუნძული კოლუმბარი ...-ში, შ. ჯ-ასათვის ქ.ფოთი, კუნძული კოლუმბარი ...-ში, გ. დ-ისათვის ქ.ფოთი, კუნძული კოლუმბარი ...-ში, ი. ს-ისათვის ქ.ფოთი, კუნძული კოლუმბარი ...-ში, მ. მ-ასათვის ქ.ფოთი, კუნძული კოლუმბარი ...-ში, მ. ბ-ასათვის ქ.ფოთი, კუნძული კოლუმბარი ...-ში, რ. ბ-ისათვის ქ.ფოთი, კუნძული კოლუმბარი ...-ში და ნ. ბ-ისათვის ქ.ფოთი, კუნძული კოლუმბარი ...-ში მდებარე ბინების საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით, წერილობითი თანხმობის გაცემის დავალებას ითხოვენ.

ამასთან, საკასაციო საჩივრით დასმულია საკითხი მოცემული საქმის ტერიტორიულ განსჯადობასთან დაკავშირებით, სადაც კასატორი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის პირველ ნაწილზე მითითებით (რომლის თანახმად: „სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით“) აღნიშნავს, რომ ვინაიდან საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მისამართია თბილისი, გენერალ გ. კვინიტაძის №20, ფოთის საქალაქო სასამართლოს საქმე განსჯადობით უნდა გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოში. შესაბამისად, კასატორი მიიჩნევს, რომ საქმე განიხილა სასამართლოს არაკანონიერმა შემადგენლობამ. საკასაციო სასამართლო უსაფუძვლოდ მიიჩნევს კასატორის მოსაზრებას მოცემული საქმის ტერიტორიულ განსჯადობასთან დაკავშირებით და განმარტავს, რომ ამგვარი კატეგორიის დავებზე განსჯადობის თვალსაზრისით დადგენილია ერთიანი სასამართლო პრაქტიკა, კერძოდ, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ მის ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების პრივატიზაციასთან დაკავშირებული დავები განიხილება უძრავი ქონების ადგილმდებარეობის მიხედვით (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 22.11.2018წ. განჩინება საქმეზე №ბს-1016(გ-18)), შესაბამისად, მოცემული საქმე განიხილულია უფლებამოსილი სასამართლოს მიერ. ამასთან, საკასაციო სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ ტერიტორიული განსჯადობის დარღვევა ვერ გახდება საგნობრივად უფლებამოსილი სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გაუქმების წინაპირობა და არ წარმოადგენს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის

394-ე მუხლით განსაზღვრული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს.

რაც შეეხება დავის არსებით მხარეს, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველი სამართალურთიერთობის შეფასებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოების დადგენას, რამდენად საფუძვლიანია მოსარჩელეთა მოთხოვნა სადავო ბინების საკუთრებაში გადაცემის თაობაზე.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის №73 ბრძანებულებით დამტკიცებული „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესზე“ (ძალადაკარგულია 09.06.2013წ. №1037 საქართველოს კანონით), რომლის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, კანონიერ მოსარგებლეს წარმოადგენდა ფიზიკური პირი, რომელიც უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის (ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის, ბინის ორდერის, საბინაო წიგნაკის და სხვ.) საფუძველზე კანონიერად სარგებლობდა საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობით (ანალოგიურ დებულებას შეიცავს ამჟამად მოქმედი საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 თებერვლის №189 დადგენილებით დამტკიცებული „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესი“ (2.1 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი)). ნორმაში ჩამოთვლილია ის დოკუმენტები, რომლითაც უნდა დადასტურდეს კანონიერი სარგებლობა, თუმცა კანონმდებელი არ იძლევა ამ დოკუმენტების ამომწურავ ჩამონათვალს და ადმინისტრაციულ ორგანოს ანიჭებს უფლებამოსილებას დაეყრდნოს უძრავი ქონების კანონიერი სარგებლობის ფაქტის დამადასტურებელ სხვა დოკუმენტებსაც.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ სადავო ბინები იმყოფება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე. სადავო აქტის გამოცემის დროს მოქმედი საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 30 აპრილის №219 ბრძანებულებით დამტკიცებული „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე რიცხული საცხოვრებე-

ლი და არასაცხოვრებელი ფართობის საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ დებულების პირველი და მე-2 მუხლების თანახმად, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე რიცხული ბინების უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემა ხორციელდება ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის №73 ბრძანებულებით დადგენილი წესით, მითითებული დებულებით გათვალისწინებული თავისებურებების შესაბამისად. სამინისტროს ბალანსზე რიცხული ფართის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემისათვის საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 30 აპრილის №219 ბრძანებულებით დამტკიცებული „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე რიცხული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართობის საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ დებულების მე-3 მუხლი შეიცავს საკუთრებაში ფართის უსასყიდლოდ გადაცემისათვის წარსადგენი დოკუმენტაციის ამომწურავ ჩამონათვალს. დებულების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ფიზიკური პირების მიერ დაკავებული ამ დებულების პირველი მუხლით გათვალისწინებული ბინების უსასყიდლო საკუთრებაში გადაცემა ხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელ ორგანოში წარდგენილი იქნება: ა) საბინაო კომისიის გადანყვეტილება ბინის სარგებლობაში გადაცემის შესახებ, ან/და ბ) საბინაო ორდერი ბინის დროებით სარგებლობაში (მათ შორის სამსახურებრივ სარგებლობაში) გადაცემის შესახებ, ან/და გ) სასამართლოს გადანყვეტილება, რომელიც ადასტურებს პირის სარგებლობის უფლებას, ან დ) საქართველოს თავდაცვის მინისტრის სამართლებრივი აქტი, რომელიც ადასტურებს ფიზიკური პირის მიერ ბინის ამ ბრძანებულების ამოქმედებამდე ფაქტობრივად დაკავების (სარგებლობის) ფაქტს და შეიძლება გამოიცეს განსაკუთრებულ შემთხვევებში ამ პუნქტით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტების წარმოდგენის შეუძლებლობის შემთხვევაში. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, ამ დებულების მე-2 მუხლში მითითებული საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებითა და ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების გარდა, ფიზიკურმა პირმა შესაბამის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს უნდა წარუდგინოს: ა) საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ცნობა ამ დებულების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ბ.ა.“, „ბ.ბ.“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გარემოებებისა და შესაბამის ბინაზე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მონაწილეობით სასამართლო დავის არარსებობის თაობაზე; ბ) საქართველოს მოქალაქეობისა და საქართველოს ტერი-

ტორიაზე რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი (თუ მისი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი არ შეიცავს მითითებულ ინფორმაციას); გ) ცნობა სამუშაო ადგილიდან (იმ შემთხვევაში, თუ პირი დასაქმებულია).

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 30 აპრილის №219 ბრძანებულებით დამტკიცებული „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე რიცხული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართობის საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ დებულების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საკუთრებაში გადაცემას არ ექვემდებარება საქართველოს თავდაცვის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით მხოლოდ სამსახურებრივი სარგებლობისათვის განკუთვნილი ბინები. ამდენად, ნორმატიული აქტით განისაზღვრა ის გამონაკლისი შემთხვევები, როდესაც საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე რიცხული საცხოვრებელი ბინები არ ექვემდებარება პრივატიზაციას. აღნიშნული დებულებით საკუთრებაში გადაცემას არ ექვემდებარება საქართველოს თავდაცვის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით მხოლოდ სამსახურებრივი სარგებლობისთვის განკუთვნილი ბინები.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, ზემოაღნიშნული ნორმის სამართლებრივი ანალიზიდან გამომდინარე, უდავოა, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 30 აპრილის №219 ბრძანებულება ითვალისწინებს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე რიცხული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართობის საკუთრებაში გადაცემის წესსა და პირობებს. განსახილველ შემთხვევაში საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2010 წლის 13 სექტემბრის №589 ბრძანებით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე არსებული ყველა ბინა, მათ შორის, სადავო ბინები გამოცხადებულ იქნა სამსახურებრივი სარგებლობისთვის გამოსაყენებელ ბინად. შესაბამისად, მითითებული ბრძანებულებით გარკვეული კატეგორიის ფიზიკური პირებისათვის მინიჭებული უფლება, ამავე ბრძანებულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში უსასყიდლოდ საკუთრებაში გადასცემოდათ დაკავებული ბინები, მთლიანად შეიზღუდა. უდავოა, ასევე, რომ სადავო ბინებს მოხსნილი არ აქვს სამსახურებრივი სარგებლობისათვის განკუთვნილი ბინის სტატუსი. საკასაციო სასამართლო საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასების შედეგად მიიჩნევს, რომ ის საფუძველი, რომელიც საცხოვრებელი ბინის პრივატიზებაზე შესა-

ბამისი თანხმობის (ცნობის) გაცემის დამაბრკოლებელ გარემოებას წარმოადგენს (ბინის სამსახურებრივი დანიშნულების სტატუსი), დღეის მდგომარეობითაც არსებობს და იგი გაუქმებული არ არის.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პოზიციას იმ კუთხით, რომ მხოლოდ სამსახურებრივი სარგებლობისათვის განკუთვნილი ბინები საკუთრებაში გადაცემას არ ექვემდებარება, რასაც მოქმედი კანონმდებლობა ცალსახად განსაზღვრავს, თუმცა საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია მოსარჩელეთა მიერ წარდგენილი მოთხოვნის სათანადო შეფასებასა და საქმის გარემოებების გამოკვლევას, კერძოდ, თავდაცვის სამინისტროს წარდგენილი მოთხოვნის ფარგლებში არ უმსჯელია მოსარჩელეთა სარგებლობაში არსებული ბინებისათვის სამსახურებრივი სტატუსის მოხსნაზე, რასაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა საკითხის გადასაწყვეტად, ვინაიდან სამსახურებრივი სარგებლობისათვის განკუთვნილი ბინების სტატუსის მოხსნა და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე რიცხული ბინების უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემა ურთიერთკავშირშია ერთმანეთთან. ამ კუთხით საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს საქმეზე დადგენილ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: მოსარჩელებს საცხოვრებელი ბინები სარგებლობისათვის გადაეცათ იმ დასახლებულ პუნქტში, რომლის ტერიტორიაზეც დისლოცირებული იყო ის სამხედრო ნაწილი, სადაც მსახურობდნენ, ვინაიდან მოსარჩელებს არ გააჩნდათ სხვა საცხოვრებელი. 1991 წლიდან ნ. ბ-ე, 1994 წლიდან რ. ბ-ე, 1996 წლიდან შ. ჯ-ა, გ. დ-ი, ი. ს-ე, მ. მ-ა, მ. ბ-ა, 1998 წლიდან გ. შ-ა შესახლებულ იქნენ სადავო ბინებში. თავდაცვის სამინისტროს სადავო ბინებზე ფაქტობრივად მოხსნილი აქვს სამსახურებრივი სტატუსი, ბინების გამოყენება არ ხდება სამსახურებრივი დანიშნულებით, რაც დასტურდება იმ გარემოებებით, რომ მოსარჩელები გარკვეული დროის შემდეგ გათავისუფლდნენ დაკავებული თანამდებობიდან, მაგრამ მიუხედავად ამისა, განაგრძეს მათთვის გადაცემულ ბინებში ცხოვრება და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მათთვის ბინების ფლობასა და სარგებლობასთან დაკავშირებით რაიმე სახის პრეტენზია არ განუცხადებია. მოსარჩელები დღემდე ცხოვრობენ სადავო ბინებში, იხდიან კომუნალურ გადასახადებს, საცხოვრებელი სახლები ავარიულ მდგომარეობაში იყო, მობინადრეებმა საკუთარი სახსრებით შეაკეთეს ბინები და დღემდე, წლებია ფლობენ მათ.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ თავდაცვის სამინისტ-

ტრომ წლების განმავლობაში სადავო ბინებზე პრეტენზიის განუცხადებლობით, ბინების მობინადრეთა სარგებლობაში დატოვებით, მხოლოდ სამართლებრივად დატოვა ბინებისთვის სამსახურებრივი სტატუსის არსებობა. ფაქტობრივად, სადავო ბინების სამსახურებრივი სტატუსით გამოყენება წლების განმავლობაში არ ხდება. სწორედ აღნიშნული უდავოდ არსებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით უნდა იმსჯელოს თავდაცვის სამინისტრომ სადავო ბინებზე სამსახურებრივი სტატუსის მოხსნის შესაძლებლობასა და მიზანშეწონილობაზე.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 85-ე მუხლი ადგენს სახელმწიფოში საჯარო მმართველობის განმახორციელებელი ყველა დაწესებულების ვალდებულებას ადმინისტრაციული წარმოების სუბიექტების მიმართ, გაუწიონ მათ სრულფასოვანი სამართლებრივი დახმარება. დასახელებული მუხლით დადგენილია ადმინისტრაციული ორგანოს მოვალეობა სამართლებრივი დახმარების განევის თაობაზე. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, განუმარტოს დაინტერესებულ მხარეს მისი უფლებები და მოვალეობები, გააცნოს განცხადების განხილვის წესი, წარმოების სახე და ვადა, აგრეთვე ის მოთხოვნები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს განცხადება ან საჩივარი, მიუთითოს განცხადებაში დაშვებული შეცდომების შესახებ. გარდა აღნიშნულისა, ადმინისტრაციული ორგანო (წარმოდგენილი საჯარო მოსამსახურის სახით) დაინტერესებული პირისათვის სამართლებრივი დახმარების განევისას მოქმედებს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის პრინციპების საფუძველზე – კანონის წინაშე თანასწორობის, უფლებამოსილების კანონის საფუძველზე განხორციელების, საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის დაცვის, კანონიერი ნდობისა და საქმის მიუკერძოებლად გადაწყვეტის პრინციპების გათვალისწინებით. ადმინისტრაციულ ორგანოთათვის კანონმდებლობით დაწესებული ვალდებულებები წარმოადგენს მათ საჯარო ვალდებულებას, რომლის შესრულების კანონიერი, პატივსაღები მოლოდინი გააჩნია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე ნებისმიერ დაინტერესებულ პირს. ამ ვითარებაში საჯარო მოსამსახურეთათვის ფუნქციების განხორციელებისას ვალდებულია მოქმედებდეს სწორედ არსებული მოცემულობის ადეკვატურად, მისი მომსახურების სტანდარტი უნდა იქმნებოდეს და ყალიბდებოდეს არა კანონის დანაწესის ცალმხრივი, ფორმალისტური გაგებიდან, არამედ მომსახურების მიმღების ინტერესების დაცვის მაქსიმალური უზრუნველყოფით.

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, ვინაიდან, სამსახურებ-

რივი სარგებლობისათვის განკუთვნილი ბინების სტატუსის მოხსნა და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე რიცხული ბინების უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემა ურთიერთკავშირშია ერთმანეთთან (ამგვარი სტატუსის მოხსნის გარეშე ბინები არ ექვემდებარება საკუთრებაში გადაცემას), თავდაცვის სამინისტროს წარდგენილი მოთხოვნის ფარგლებში შეფასება სწორედ სადავო ბინებზე სამსახურებრივი სტატუსის მოხსნასთან დაკავშირებით უნდა გაეკეთებინა, რაც წარმოადგენდა მოსარჩელეთა უფლების რეალიზაციის სათანადო ფორმას, ვინაიდან კანონი პირდაპირ განსაზღვრავს, რომ საკუთრებაში გადაცემას არ ექვემდებარება საქართველოს თავდაცვის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით მხოლოდ სამსახურებრივი სარგებლობისთვის განკუთვნილი ბინები. შესაბამისად, სტატუსის მოხსნის შესაძლებლობაზე მსჯელობის არარსებობის პირობებში, იმთავითვე ნათელი იყო მოსარჩელეთა მოთხოვნის უსაფუძვლობა. ადმინისტრაციულ ორგანოს კი მოთხოვნა უნდა განეხილა მოსარჩელეთა მოთხოვნის შინაარსისა და მათი მიზნის შესაბამისად.

ამასთან, საკასაციო სასამართლო საჭიროდ მიიჩნევს ყურადღება გაამახვილოს ქვედა ინსტანციის სასამართლოების მიერ მოსარჩელეთა მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველზე, სადაც სასამართლომ ევროსასამართლოს გადანყვევტილებებზე მითითებით მოსარჩელეთა მოთხოვნა „ლეგიტიმური მოლოდინის“ არსებობას დაუკავშირა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის სამართლებრივ შინაარსზე, რომელიც „უზრუნველყოფს უფლებას არსებულ ქონებაზე, რაც ასევე მოიცავს მოთხოვნებს, რომლის საფუძველზეც განმცხადებელს აქვს საკუთრების უფლებით ეფექტიანი სარგებლობის მოპოვების მინიმუმ „ლეგიტიმური მოლოდინი“.“ (მორისი საფრანგეთის წინააღმდეგ (*Maurice v. France*), No. 11810/03, 6.10.03; პლეხანოვი პოლონეთის წინააღმდეგ (*Plechadow v. Poland*), No. 22279/04, 7.7.09;).

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ მომავალი შემოსავალი განიხილება „საკუთრებად“ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის უკვე გამომუშავებულია ან მასზე აღსრულებადი მოთხოვნა უკვე არსებობს (ამბროსი იტალიის წინააღმდეგ (*Ambruosi v. Italy*), No. 31227/96, 19.10.00, მე-20 პარაგრაფი). უფრო მეტიც, „დიდი ხნის განმავლობაში ეფექტიანად აღსრულებადი ძველი საკუთრების უფლების გადარჩენის აღიარების იმედი“ არ უტოლდება „საკუთრებას“ (სლივენკო ლატვიის წინააღმდეგ (*Slivenko v. Latvia*), No. 48321/99,

23.1.02, მე-12 პარაგრაფი).

„ლეგიტიმური მოლოდინის“ ცნებასთან მიმართებით, საინტერესოა საქმე კოპეცკი სლოვაკეთის წინააღმდეგ (კოპეცკი სლოვაკეთის წინააღმდეგ (Kopecký v. Slovakia), No. 44912/98, 7.1.03 (პალატა) და 28.9.04 (დიდი პალატა). მოცემულ საქმეში, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ დაადგინა, რომ განმცხადებელს არ ჰქონდა „ლეგიტიმური მოლოდინი“ 1950-იან წლებში ჩამორთმეულ მონეტებზე მის მოთხოვნასთან მიმართებით, ვინაიდან ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნები რეალურად არ შესრულებულა. ლეგიტიმური მოლოდინის საკითხზე მნიშვნელოვანია, ზემოხსენებულ საქმეში მოცემული განმარტება, რაც ხშირად მეორდება შემდგომ პრეცედენტულ სამართალშიც (Centro Europa 7 S.r.l და დისტეფანო იტალიის წინააღმდეგ (Centro Europa 7 S.r.l and Di Stefano v. Italy), No. 38433/09, 07.06.2012, 73-ე პარაგრაფი.): „როდესაც საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული ინტერესი მოთხოვნის ბუნებისაა, პირი, რომელსაც ის გააჩნია, შესაძლოა მიჩნეულ იქნეს „ლეგიტიმური მოლოდინის“ მქონედ, თუ აღნიშნული ინტერესის არსებობისთვის საკმარისი და სათანადო საფუძველი არსებობს ეროვნულ სამართალში, მაგალითად, სადაც არსებობს ეროვნულ სასამართლოებში დამკვიდრებული პრაქტიკა/პრეცედენტული სამართალი, რომელიც აღნიშნულის არსებობას ადასტურებს...“

ლეგიტიმური მოლოდინის შესაფასებლად ხაზგასასმელი დეფინიციაა მოცემული საქმეში რამაერი და ვან ვილიგენი ნიდერლანდების წინააღმდეგ (რამაერი და ვან ვილიგენი ნიდერლანდების წინააღმდეგ (Ramaer and Van Willigen v. the Netherlands), No. 34880/12, 23.10.2012. 81-ე პარაგრაფი), სადაც სასამართლომ აღნიშნა, რომ „მომჩივნების მოლოდინები არ ეფუძნებოდა რაიმე სამართლებრივ დანაწესს ან სამართლებრივ აქტს, როგორცაა, მაგალითად, სასამართლოს გადაწყვეტილება. ისინი უფრო ეყრდნობოდა იმედს, რომ მათ გაუხანგრძლივებდნენ ან განუახლებდნენ სადაზღვევო ხელშეკრულებებს იმ პირობებით, რომლებიც ძველ პირობებთან შედარებით ნაკლებად ხელსაყრელი მათთვის არ იქნებოდა. სასამართლომ საკუთარ პრეცედენტულ სამართალში უკვე არაერთხელ გაამახვილა ყურადღება განსხვავებაზე სარგებლის მიღების იმედსა (როგორი გასაგებიც არ უნდა იყოს ეს იმედი) და ლეგიტიმურ მოლოდინს შორის, რომელიც აუცილებელია, იყოს უფრო კონკრეტული ბუნების ვიდრე უბრალო იმედი და ეფუძნებოდა სამართლებრივ დანაწესს ან სამართლებრივ აქტს.“

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის ანალიზისა და შეფასების საფუძველზე, საკასა-



ციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სადავო ბინების მოსარჩელეთა საკუთრებაში გადაცემის მოთხოვნის უფლება არ წარმოადგენდა ევროსასამართლოს პრაქტიკით ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის დაცვის ქვეშ მოქცევად „ლეგიტიმურ მოლოდინს“ საკუთრების უფლების მიღებაზე, ვინაიდან, განსახილველ შემთხვევაში ამგვარი მოლოდინის წარმოშობას გამოორიცხავდა ის გარემოება, რომ მოსარჩელებს სამსახურებრივი მიზნითა და დანიშნულებით სარგებლობაში გადაეცათ თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე რიცხული ბინები, ხოლო მეორე მხრივ, მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელეთა „ლეგიტიმურ მოლოდინს“ გამოორიცხავს თავად საკანონმდებლო დანაწესი (საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 30 აპრილის №219 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი), სადაც ცალსახად არის განსაზღვრული, რომ მხოლოდ სამსახურებრივი სარგებლობისათვის განკუთვნილი ბინები საკუთრებაში გადაცემას არ ექვემდებარება.

ამდენად, იმ პირობებში, როდესაც მოსარჩელებს სადავო ბინები გადაეცათ სამსახურებრივი დანიშნულებით სარგებლობაში, ხოლო კანონი დაუშვებლად მიიჩნევს ასეთი ბინების საკუთრებაში გადაცემას მანამ, სანამ ბინებს არ მოეხსნებათ სამსახურებრივი სტატუსი, მოსარჩელეთა მხრიდან სადავო ბინებით სარგებლობის ფაქტს არ შეეძლო გამოეწვია „ლეგიტიმური მოლოდინი“ სადავო ბინებზე საკუთრების უფლების მიღებისა.

რაც შეეხება ქვედა ინსტანციის სასამართლოების მიერ დასახელებულ საქმეს – „სალინაძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“ (სადაც მითითებულია „ლეგიტიმური მოლოდინის“ არსებობაზე), საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსხვავებული გარემოებებია განსახილველ საქმესა და დასახელებულ საქმეს შორის, სადაც „ლეგიტიმური მოლოდინის“ არსებობა უმეტესწილად პირის დევნილის განსაკუთრებულმა სტატუსმა განაპირობა, ხოლო სასამართლოს შეფასების საგანს არა სამსახურებრივი სტატუსის მქონე ბინის საკუთრებაში გადაცემა, არამედ ბინით სარგებლობის უზრუნველყოფა წარმოადგენდა.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 14 მაისის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც გ. შ-ას, შ. ჯ-ას, გ. დ-ის, ი. ს-ის, მ. მ-ას, მ. ბ-ას, რ. ბ-ისა და ნ. ბ-ის სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ; სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად უნდა იქ-

ნეს ცნობილი მოქალაქეების შ. ჯ-ას, ი. ს-ის, მ. მ-ას, ნ. ბ-ის, გ. დ-ის, რ. ბ-ის, მ. ბ-ას და გ. შ-ას წარმომადგენლის რო. ბ-ის 2017 წლის 18 აპრილის №355385 ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილის 2017 წლის 21 ივლისის ბრძანება და მოპასუხეს – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს უნდა დაევალოს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ მოსარჩელეთა მიმართ გამოსცეს ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

ამასთან, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსარჩელების – გ. შ-ას, შ. ჯ-ას, გ. დ-ის, ი. ს-ის, მ. მ-ას, მ. ბ-ას, რ. ბ-ისა და ნ. ბ-ის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს მათ სარჩელებზე სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი თანხის ანაზღაურება 800 (100+100+100+100+100+100+100+100) ლარის ოდენობით.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, მე-10 მუხლის მე-2 ნაწილით, 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

### **ბ ა დ ა ნ ე ყ ვ ი ტ ა :**

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 14 მაისის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. გ. შ-ას, შ. ჯ-ას, გ. დ-ის, ი. ს-ის, მ. მ-ას, მ. ბ-ას, რ. ბ-ისა და ნ. ბ-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

4. სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნეს ცნობილი მოქალაქეების შ. ჯ-ას, ი. ს-ის, მ. მ-ას, ნ. ბ-ის, გ. დ-ის, რ. ბ-ის, მ. ბ-ას და გ. შ-ას წარმომადგენლის რო. ბ-ის 2017 წლის 18 აპრილის №355385 ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილის 2017 წლის 21 ივლისის ბრძანება და მოპასუხეს – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაევალოს საქმისათვის არსებითი მნიშ-

ვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ მოსარჩელეთა მიმართ გამოსცეს ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი;

5. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გ. შ-ას, შ. ჯ-ას, გ. დ-ის, ი. ს-ის, მ. მ-ას, მ. ბ-ას, რ. ბ-ისა და ნ. ბ-ის სასარგებლოდ დაეკისროს მათ სარჩელებზე სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 800 ლარის ანაზღაურება;

6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **სამინისტროს ბალანსზე რიცხული ბინების უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წინაპირობები**

### **განჩინება საქართველოს სახელმწიფო**

№ბს-1576(კ-18)

26 სექტემბერი, 2019 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. სხირტლაძე,  
ვ. როინიშვილი**

**დავის საგანი:** ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, ქმედების განხორციელების დავალეგა

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

2016 წლის 7 დეკემბერს ნ. თ-მა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, 1992 წლის 11 დეკემბერს (ორდერი №0177) საცხოვრებელი ბინის გაცლის შედეგად, შესაბამისი ორდერის გაცემის შემდგომ, ყველა დოკუმენტის საფუძველზე, ძირითადი დამქირავებლების სახით ბინა გადაეცათ ა. თ-ს და მის ოჯახს. ორდერში ჩანერილები არიან: 1. თ-ი ა., 2. გ-ა მ., 3. თ-ი გ. და 4. თ-ი ნ. . ქ. ქუთაისში, ...ას ქ. 19, №100/47-ში მდებარე საცხოვრებელ (საპრივატიზაციო) ბინაში დღემდე ცხოვრობენ აღნიშნული

პირები. 2016 წლის 6 ივნისს ბინათმოსარგებლე ნ. თ-მა ქ. ქუთაისში, ...ას ქ. 19, №100/47-ში მდებარე საცხოვრებელ ბინაზე საკუთრების უფლების დამადასტურებელი მოწმობის გაცემის მოთხოვნით მიმართა ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიას. 2016 წლის 4 ივლისის №01/14513 წერილით მერიამ მოითხოვა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ცნობა საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 30 აპრილის №219 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ბ.ა“, „ბ.ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გარემოებებისა და შესაბამის ბინაზე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მონაწილეობით სასამართლო დავის არარსებობის თაობაზე. აღნიშნული ცნობის გაცემის მოთხოვნით მოსარჩელემ მიმართა თავდაცვის სამინისტროს. ნ. თ-ს უარი ეთქვა მოთხოვნილი ცნობის გაცემაზე იმ საფუძველით, რომ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2010 წლის 13 სექტემბრის №589 ბრძანების მე-2 პუნქტის შესაბამისად, ქ. ქუთაისში, ...ას ქ. 19, №100/47-ში არსებული საცხოვრებელი ბინა განეკუთვნებოდა სამსახურებრივი სარგებლობის ბინას და არ ექვემდებარებოდა საკუთრებაში გადაცემას.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ჯარების ლოგისტიკური უზრუნველყოფის სარდლობის 2016 წლის 19 ივლისის №MOD61600661606 მიმართვისა და საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილის 2016 წლის 10 ნოემბრის №MOD11600000019 ბრძანების ბათილად ცნობა და ქ. ქუთაისში, ...ას ქუჩა 19, №100/47-ში მდებარე ბინაზე სამსახურებრივი სტატუსის მოხსნისა და საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 30 აპრილის №219 ბრძანებულების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ბ.ა“, „ბ.ბ“, და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გარემოებების შესახებ ცნობის გაცემის დავალება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილებით ნ. თ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ჯარების ლოგისტიკური უზრუნველყოფის სარდლობის 2016 წლის 19 ივლისის №MOD61600661606 წერილი; სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილის 2016 წლის 10 ნოემბრის №MOD11600000019 ბრძანება და მოპასუხეს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შედეგად მოსარჩელის მიმართ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დაევალა.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ა. თ-ი მე-ულესთან – მ. გ-ასთან და შვილებთან – გ. და ნ. თ-ებთან ერთად ქ. ქუთაისში, ...ას ქუჩა 19, №100/47 ბინაში საქართველოს რესპუბლიკის ქუთაისის პრეფექტურის 1992 წლის 11 დეკემბრის №0177 ორდერის საფუძველზე ბინების გაცვლის შედეგად დამქირავებლის სახით იქნა შესახლებული.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2010 წლის 13 სექტემბრის №589 ბრძანების მეორე პუნქტით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე მყოფი ყველა ბინა (საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართები) მხოლოდ სამსახურებრივი სარგებლობისათვის გამოსაყენებელ ბინებად გამოცხადდა.

2016 წლის 6 ივნისს ნ. თ-ის წარმომადგენელმა დ. ბ-ემ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიას განცხადებით მიმართა, რომლითაც ქ. ქუთაისში, ...ას ქუჩა 19, №100/47-ში მდებარე ბინის ნ. თ-ის სახელზე პრივატიზება მოითხოვა. განცხადებასთან ერთად მერიას №0177 ორდერი, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქუთაისის სარეგისტრაციო სამსახურის გადაწყვეტილება, შიდა აზომ-ვითი ნახაზი, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ქუთაისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის საინფორმაციო ბარათი, პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, პრივატიზებაზე ნ. თ-ის ოჯახის წევრების – ა. თ-ის, მ. გ-ასა და გ. თ-ის ნოტარიულად დამოწმებული თანხმობები და რწმუნებულება წარედგინა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების მართვის სამსახურის 2016 წლის 4 ივლისის №01/14513 წერილით ნ. თ-ის განცხადებას დაუდგინდა ხარვეზი, რომლის გამოსასწორებლად განმცხადებელს დაევალა, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 თებერვლის №189 დადგენილების და საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 30 აპრილის №219 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების შესაბამისად წარედგინა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ცნობა საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 30 აპრილის №219 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ბ.ა“, „ბ.ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გარემოებებისა და შესაბამის ბინაზე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მონაწილეობით სასამართლო დავის არარსებობის თაობაზე.

2016 წლის 5 ივლისს ნ. თ-ის წარმომადგენელმა დ. ბ-ემ საქართველოს თავდაცვის მინისტრს განცხადებით მიმართა, რომლითაც ნ. თ-ის მფლობელობაში არსებული, ქ. ქუთაისში, ...ას ქუჩა 19, №100/

47-ში მდებარე ბინის პრივატიზებისათვის საჭირო, საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 30 აპრილის №219 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ბ.ა“, „ბ.ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გარემოებებისა და შესაბამის ბინაზე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მონაწილეობით სასამართლო დავის არარსებობის თაობაზე ცნობის გაცემა მოითხოვა. განცხადებასთან ერთად სამინისტროს №0177 ორდერის ასლი, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქუთაისის სარეგისტრაციო სამსახურის გადაწყვეტილება, შიდა აზომვითი ნახაზი, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ქუთაისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის საინფორმაციო ბარათი, პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, ნოტარიულად დამოწმებული თანხმობები, 2016 წლის 4 ივლისის №01/14513 წერილი და რწმუნებულება წარედგინა.

საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ჯარების ლოგისტიკური უზრუნველყოფის სარდლობის 2016 წლის 19 ივლისის №MOD61600661606 წერილით ნ. თ-ის წარმომადგენელს დ. ბ-ეს განემართა სამინისტროს ბალანზე რიცხული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართობების საკუთრებაში გადაცემისა წესისა და პირობების შესახებ და ეცნობა, რომ ნ. თ-ის მიერ დაკავებული საცხოვრებელი ფართი წარმოადგენდა სამსახურებრივი სარგებლობისთვის განკუთვნილ ბინას და არ ექვემდებარებოდა საკუთრებაში გადაცემას.

2016 წლის 28 ივლისის ნ. თ-ის წარმომადგენელმა დ. ბ-ემ საქართველოს თავდაცვის მინისტრს №698826 ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა, რომლითაც საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ჯარების ლოგისტიკური უზრუნველყოფის სარდლობის 2016 წლის 19 ივლისის №MOD61600661606 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა და 2016 წლის 5 ივლისის მოთხოვნის დაკმაყოფილება მოითხოვა. საჩივრის თანახმად, აქტის გამომცემ ორგანოს ცნობის გაცემაზე უარის თქმის საფუძველი არ ჰქონდა.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილის 2016 წლის 10 ნოემბრის №MOD11600000019 ბრძანებით ნ. თ-ის წარმომადგენელს დ. ბ-ეს 2016 წლის 29 ივლისის №698826 ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარი ეთქვა. აღნიშნული ბრძანების თანახმად, ნ. თ-ის სარგებლობაში არსებული საცხოვრებელი ბინა, საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2010 წლის 13 სექტემბრის №589 ბრძანების მე-2 პუნქტის მიხედვით, განკუთვნილი იყო მხოლოდ სამსახურებრივი სარგებლობისათვის და ამდენად, საკუთრებაში გადაცემას არ ექვემდებარებოდა.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, სახელმწიფო საბინაო ფონდში საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ამოქმედებამდე და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საცხოვრებელ ფონდში არსებული, მათ შორის 2007 წლის 2 თებერვლამდე დროებით გადაცემული, არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის კანონიერი მოსარგებლისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესსა და პირობებს, ამ პროცესში წარმოშობილ ურთიერთობების მარეგულირებელ ნორმებს, მხარეებსა და მათ უფლებამოსილებებს საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 თებერვლის №189 დადგენილებით დამტკიცებული „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესი“ განსაზღვრავს. დასახელებული წესი საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართის უსასყიდლოდ საკუთრებაში მიღების უფლებამოსილებას შესაბამისი ფართის კანონიერ მოსარგებლეს ანიჭებს და განმარტავს, რომ ამ წესის მიზნებისათვის კანონიერი მოსარგებლე არის ფიზიკური პირი, რომელიც უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული დოკუმენტის (ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ბინის ორდერი, საბინაო წიგნი და სხვ.) საფუძველზე კანონიერად სარგებლობს საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული ან არაიზოლირებული) ფართობით (წესის მე-2 მუხლის „ე“ პუნქტი). დასახელებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების ? საქართველოს სასაზღვრო პოლიციის ბალანსზე რიცხული სამსახურებრივი დანიშნულების არაპრივატიზირებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის სპეციალური წინაპირობები რეგულირდება შესაბამისი ნორმატიული აქტით დადგენილი წესის შესაბამისად.

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე რიცხული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართობის (შემდეგში – ბინები) საკუთრებაში გადაცემის წესსა და პირობებს საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 30 აპრილის №219 ბრძანებულებით დამტკიცებული „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე რიცხული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფარ-

თობის საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ დებულება განსაზღვრავს. დასახელებული დებულების მიხედვით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე რიცხული ბინების უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემა ხორციელდება ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ ამ დებულებით გათვალისწინებული თავისებურებების შესაბამისად (მე-2 მუხლი). ამავე დებულების მიხედვით, ფიზიკური პირების მიერ დაკავებული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე რიცხული ბინების უსასყიდლო საკუთრებაში გადაცემა ხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელ ორგანოში წარდგენილი იქნება: ა) საბინაო კომისიის გადაწყვეტილება ბინის სარგებლობაში გადაცემის შესახებ, ან/და ბ) საბინაო ორდერი ბინის დროებით სარგებლობაში (მათ შორის სამსახურებრივ სარგებლობაში) გადაცემის შესახებ, ან/და გ) სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც ადასტურებს პირის სარგებლობის უფლებას ან; დ) საქართველოს თავდაცვის მინისტრის სამართლებრივი აქტი, რომელიც ადასტურებს ფიზიკური პირის მიერ ბინის ამ ბრძანებულების ამოქმედებამდე ფაქტობრივად დაკავების (სარგებლობის) ფაქტს და შეიძლება გამოიცეს განსაკუთრებულ შემთხვევებში ამ პუნქტით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტების წარმოდგენის შეუძლებლობის შემთხვევაში (მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტი). ამავე დებულების მიხედვით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე რიცხული ბინის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის თაობაზე მოთხოვნის წარდგენისას ფიზიკურმა პირმა შესაბამის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს უნდა წარუდგინოს: ა) საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ცნობა ამ დებულების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ბ.ა.“, „ბ.ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გარემოებებისა და შესაბამის ბინაზე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მონაწილეობით სასამართლო დავის არარსებობის თაობაზე; ბ) საქართველოს მოქალაქეობისა და საქართველოს ტერიტორიაზე რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი (თუ მისი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი არ შეიცავს მითითებულ ინფორმაციას); გ) ცნობა სამუშაო ადგილიდან (იმ შემთხვევაში, თუ პირი დასაქმებულია) (მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი). სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე რიცხული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართობის საკუთრებაში გადაცემის შესახებ დებულების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით: საკუთრებაში გადაცემას არ ექვემდებარება ბინა: ა) რომელიც მდებარეობს დახურული სამხედრო ქალაქის ტერიტორიაზე; ბ) თუ ბინა დაკავებული აქვს: ბ.ა) 2006 წლის



1 იანვრის შემდეგ დათხოვნილ სამხედრო მოსამსახურეს (გარდა ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა); ბ.ბ) მოქმედ სამხედრო მოსამსახურეს (გარდა ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა); ბ.გ) საქართველოს მოქალაქეობის არმქონე ან/და რუსეთის ფედერაციის სამხედრო ძალებში მომსახურე პირს; გ) საქართველოს თავდაცვის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით მხოლოდ სამსახურებრივი სარგებლობისათვის განკუთვნილი ბინები.

სასამართლომ აღნიშნა, რომ მითითებული ნორმებიდან გამომდინარე, ნ. თ-ის მფლობელობაში არსებული ბინის პრივატიზებისათვის საჭირო, საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 30 აპრილის №219 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ბ.ა.“, „ბ.ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გარემოებებისა და შესაბამის ბინაზე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მონაწილეობით სასამართლო დავის არარსებობის თაობაზე ცნობის გაცემაზე კომპეტენტურ ორგანოს წარმოადგენდა საქართველოს თავდაცვის სამინისტრო და მისი სტრუქტურული ქვედანაყოფი – საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ჯარების ლოგისტიკური უზრუნველყოფის სარდლობა არ იყო უფლებამოსილი, ემსჯელა ნ. თ-ის განცხადებაზე, თანახმად საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დებულებისა (დამტკიცებული საქართველოს მთავრობის 2013 წლის 22 ნოემბრის №297 დადგენილებით).

რაც შეეხება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ ადმინისტრაციული საჩივრის საფუძველზე განხორციელებულ წარმოებას, სასამართლოს მითითებით, იგი ვერ ჩაითვლება ადეკვატურად და ჯეროვნად, რამეთუ ადგილი არ ჰქონია წარდგენილი მოთხოვნის სათანადო შეფასებასა და საქმის გარემოებების გამოკვლევას. სამინისტრომ ფაქტობრივად იმსჯელა ნ. თ-ის მოთხოვნაზე საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 30 აპრილის №219 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ბ.ა.“, „ბ.ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გარემოებებისა და შესაბამის ბინაზე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მონაწილეობით სასამართლო დავის არარსებობის თაობაზე ცნობის გაცემაზე და აღნიშნული მოთხოვნა მიიჩნია უსაფუძვლოდ იმის გამო, რომ ნ. თ-ის მფლობელობაში არსებული ბინა განკუთვნილი იყო სამსახურებრივი სარგებლობისათვის, თუმცა სამინისტროს არ უმსჯელია ბინისათვის შესაბამისი სტატუსის მოხსნაზე, რაც თავისთავად მოიაზრებოდა ნ. თ-ის მოთხოვნის შემადგენელ ნაწილად და არსებითი იყო საკითხის გადასაწყვეტად. განსახილველი საქმის არსის გათვალისწინებით, სამი-

ნისტროს ჰქონდა საჭიროება, მოეთხოვა დაინტერესებული პირის განმარტება, მისი განცხადება მოიცავდა თუ არა ბინისათვის სამსახურებრივი სარგებლობის ქონების სტატუსის შეცვლას და დადებით შემთხვევაში, ემსჯელა ამგვარი სტატუსის შეცვლაზე შესაბამისი ბინის გამოყენების ფაქტობრივად ჩამოყალიბებული სახიდან გამომდინარე.

სასამართლომ მიუთითა, რომ ადმინისტრაციული წარმოების ჩატარება მოიცავს ადმინისტრაციული ორგანოს უმნიშვნელოვანეს პროცედურულ ვალდებულებას – გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. კანონმდებელი იმდენად არსებით და აქტის კანონიერების განმსაზღვრელ ფუნქციას ანიჭებს საქმის გარემოებათა გამოკვლევას, რომ იმპერატიულად კრძალავს, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას საფუძველად დაუდოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ (საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილები). ადმინისტრაციული წარმოების ვალდებულების შესრულება ემსახურება ასევე უმნიშვნელოვანეს – მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთების ვალდებულებას. ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა ახსნას, განმარტოს, თუ რა ფაქტებზე დაყრდნობით მიიღო კონკრეტული გადაწყვეტილება და რა მოტივებით უარყო წარმოების შედეგით დაინტერესებული მხარის არგუმენტები.

სასამართლოს განმარტებით, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილე პირის უფლების რეალიზაცია პირდაპირ არის დამოკიდებული მის მიერ ადმინისტრაციული ორგანოსათვის მიმართვის უფლების, როგორც კონსტიტუციური უფლების რეალიზაციასთან, რაც კანონით დადგენილი რამდენიმე ფორმით ხორციელდება და რომელიც, თავის მხრივ, განეკუთვნება ადმინისტრაციული ორგანოს შემოწმებისა და შეფასების სფეროს. ამდენად, საჯარო მოხელეების მხრიდან პირის მიერ ადმინისტრაციულ ორგანოში წარდგენილი საპროცესო დოკუმენტების ზუსტი კვალიფიკაცია უშუალო კავშირშია ადამიანის, როგორც მატერიალური, ასევე პროცედურული უფლებების უზრუნველყოფასთან, მმართველობის კანონიერების, თანასწორობისა და კანონიერი ნდობის უფლების პრინციპების განხორციელებასთან.

სასამართლოს მითითებით, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 85-ე მუხლი ადგენს სახელმწიფოში საჯარო მმართველობის განმახორციელებელი ყველა დაწესებულების ვალდებულებას ად-

მინისტრაციული წარმოების სუბიექტების მიმართ, გაუწიონ მათ სრულფასოვანი სამართლებრივი დახმარება. დასახელებული მუხლით დადგენილია ადმინისტრაციული ორგანოს მოვალეობა სამართლებრივი დახმარების განევის თაობაზე. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, განუმარტოს დაინტერესებულ მხარეს მისი უფლებები და მოვალეობები, გააცნოს განცხადების განხილვის წესი, წარმოების სახე და ვადა, აგრეთვე ის მოთხოვნები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს განცხადება ან საჩივარი, მიუთითოს განცხადებაში დაშვებული შეცდომების შესახებ. გარდა აღნიშნულისა, ადმინისტრაციული ორგანო (წარმოდგენილი საჯარო მოსამსახურის სახით) დაინტერესებული პირისათვის სამართლებრივი დახმარების განევისას მოქმედებს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის პრინციპების საფუძველზე – კანონის წინაშე თანასწორობის, უფლებამოსილების კანონის საფუძველზე განხორციელების, საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის დაცვის, კანონიერი ნდობისა და საქმის მიუკერძოებლად გადაწყვეტის პრინციპების გათვალისწინებით. ადმინისტრაციულ ორგანოთათვის კანონმდებლობით დაწესებული ვალდებულებები წარმოადგენს მათ საჯარო ვალდებულებას, რომლის შესრულების კანონიერი, პატივსადები მოლოდინი გააჩნია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე ნებისმიერ დაინტერესებულ პირს. საზოგადოებისა და ქვეყნის განვითარების თანამედროვე მოცემულობა – დაბალი სამართლებრივი კულტურა, მოსახლეობის მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, უმუშევრობის მაღალი მაჩვენებელი, სრულფასოვანი და კვალიფიციური იურიდიული დახმარების ხელმიუწვდომლობა, და სხვ., განაპირობებს ზოგადად, საჯარო წესრიგისადმი დამოკიდებულების საერთო-ეროვნული ტრადიციის, როგორც კულტურის შემადგენელი ნაწილის, ჩამოყალიბების სირთულეს. ამ ვითარებაში საჯარო მოსამსახურე თავისი ფუნქციების განხორციელებისას ვალდებულია მოქმედებდეს სწორედ არსებული მოცემულობის ადეკვატურად, მისი მომსახურების სტანდარტი უნდა იქმნებოდეს და ყალიბდებოდეს არა შექმნილი კლიშეს, ან კანონის დანაწესის ცალმხრივი, ფორმალისტური გაგებიდან, არამედ მომსახურების მიმღების ინტერესების დაცვის მაქსიმალური უზრუნველყოფით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ჯარების ლოგისტიკური უზრუნველყოფის სარდლობის 2016 წლის 19 ივლისის №MOD61600661606 ნერილი და საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილის 2016 წლის 10 ნოემბრის №MOD11600000019 ბრძანება გამოცემულია რა კანონმდებლობის

დანანესების უგულვებლყოფით, საქმის გარემოებათა სათნადო გამოკვლევის, შეფასებისა და დასაბუთების გარეშე და ამგვარად ზღუდავს მოსარჩელის უფლებას, ბათილად უნდა იქნეს ცნობილი ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე სადავო საკითხის გადაუწყვეტლად და მოპასუხეს უნდა დაევალოს, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შედეგად გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 24 ივლისის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 20 ნოემბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებს და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით და მიიჩნია, რომ საქალაქო სასამართლომ სწორად დაადგინა საქმის ფაქტობრივი გარემოებები და სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა მათ, რაც გაიზიარა სააპელაციო პალატამ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 24 ივლისის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორის მითითებით, როგორც საქალაქო, ასევე სააპელაციო სასამართლომ არასათანადოდ გამოიკვლია და შეაფასა თავდაცვის მინისტრის 2010 წლის 13 სექტემბრის №589 ბრძანების მეორე პუნქტი, რომლის თანახმად, სადავო ქ. ქუთაისში, ...ას ქ. 19, №100/47-ში მდებარე საცხოვრებელი ბინა განკუთვნილია მხოლოდ სამსახურებრივი სარგებლობისათვის, ხოლო საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 30 აპრილის №219 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საკუთრებაში გადაცემას არ ექვემდებარება საქართველოს თავდაცვის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაცი-

ულ-სამართლებრივი აქტით მხოლოდ სამსახურებრივი სარგებლობისათვის განკუთვნილი ბინები.

გარდა აღნიშნულისა, კასატორის განმარტებით, ჯარების ლოგისტიკური უზრუნველყოფის სარდლობის 19.07.2016 წლის წერილით მხარეს სწორი და დასაბუთებული უარი ეთქვა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, ვინაიდან მოსარჩელეს აღნიშნული ცნობა ესაჭიროებოდა სწორედ იმისათვის, რათა მოეხდინა მის მიერ დაკავებული ბინის საკუთრების უფლებით რეგისტრაცია, რომლის უფლებამოსილებაც მას არ ჰქონდა გამომდინარე ბინის სტატუსიდან.

ამასთან, კასატორის მითითებით, არც ერთმა სასამართლომ არ იმსჯელა იმასთან დაკავშირებით, რომ ნ. თ-ს თავდაცვის სამინისტროსთვის ამ დრომდე არ მიუმართავს მის მიერ დაკავებული სადავო ბინის სტატუსის მოხსნასთან დაკავშირებით არც განცხადებით და არც ადმინისტრაციული საჩივრით. მის მიერ თავდაცვის სამინისტროსგან მოთხოვნილ იქნა მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 30 აპრილის №219 ბრძანებულების შესაბამისად ბინის საკუთრებაში გადაცემისათვის საჭირო ცნობის გაცემა, რაზედაც დასაბუთებული უარი გაეცა და შემდგომ ეს უარი გასაჩივრდა ადმინისტრაციული საჩივრით, რომლითაც ასევე ითხოვდა განცხადებით მოთხოვნილი ცნობის გაცემას. თუმცა, აღნიშნულის მიუხედავად, კასატორის მოსაზრებით, სასამართლოები უსაფუძვლოდ და დაუსაბუთებლად აღნიშნავენ, რომ სამინისტროს მიუხედავად ნ. თ-ის მოთხოვნისა (ცნობის გაცემის შესახებ) უნდა ემსჯელა სადავო ბინისათვის სტატუსის მოხსნაზე, რასაც უსაფუძვლოდ მიიჩნევს კასატორი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 28 დეკემბრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკაცო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 28 მარტის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკაცო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკაცო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მათი შესწავლისა და ანალიზის, გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთებულობისა და წარმოდგენილი საკაცო საჩივრის მოტივების შემოწმების საფუძველზე მიიჩნევს, რომ საქართველოს თავ-

დაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 24 ივლისის განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო:

თავდაპირველად საკასაციო სასამართლო მოცემული საქმის ტერიტორიულ განსჯადობასთან დაკავშირებით მიუთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 22.11.2018წ. განჩინებაზე (საქმეზე №ბს-1016(გ-18)) და აღნიშნავს, რომ მართალია ამგვარი კატეგორიის დავებზე განსჯადობის თვალსაზრისით დადგენილია ერთიანი სასამართლო პრაქტიკა, კერძოდ, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ მის ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების პრივატიზაციასთან დაკავშირებული დავები განიხილება უძრავი ქონების ადგილმდებარეობის მიხედვით, თუმცა ტერიტორიული განსჯადობის დარღვევა ვერ გახდება საგნობრივად უფლებამოსილი სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გაუქმების წინაპირობა და არ წარმოადგენს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლით განსაზღვრული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს.

რაც შეეხება დავის არსებით მხარეს, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველი სამართალურთიერთობის შეფასებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოების დადგენას, რამდენად საფუძვლიანია ნ. თ-ის მოთხოვნა სადავო ბინის საკუთრებაში გადაცემის თაობაზე.

განსახილველი დავის საგანს საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ჯარების ლოგისტიკური უზრუნველყოფის სარდლობის 2016 წლის 19 ივლისის №MOD61600661606 მიმართვისა და საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილის 2016 წლის 10 ნოემბრის №MOD11600000019 ბრძანების ბათილად ცნობა და ქ. ქუთაისში, ...ას ქუჩა 19, №100/47-ში მდებარე ბინაზე სამსახურებრივი სტატუსის მოხსნისა და საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 30 აპრილის №219 ბრძანებულების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ბ.ა“, „ბ.ბ“, და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გარემოებების შესახებ ცნობის გაცემის დავალება წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის №73 ბრძანებულებით დამტკიცებული „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ

საკუთრებაში გადაცემის წესზე“ (ძალადაკარგულია 09.06.2013წ. №1037 საქართველოს კანონით), რომლის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, კანონიერ მოსარგებლეს წარმოადგენდა ფიზიკური პირი, რომელიც უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის (ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის, ბინის ორდერის, საბინაო წიგნაკის და სხვ.) საფუძველზე კანონიერად სარგებლობდა საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობით (ანალოგიურ დებულებას შეიცავს ამჟამად მოქმედი საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 თებერვლის №189 დადგენილებით დამტკიცებული „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესი“ (2.1 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი)). ნორმაში ჩამოთვლილია ის დოკუმენტები, რომლითაც უნდა დადასტურდეს კანონიერი სარგებლობა, თუმცა კანონმდებელი არ იძლევა ამ დოკუმენტების ამომწურავ ჩამონათვალს და ადმინისტრაციულ ორგანოს ანიჭებს უფლებამოსილებას დაეყრდნოს უძრავი ქონების კანონიერი სარგებლობის ფაქტის დამადასტურებელ სხვა დოკუმენტებსაც.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ სადავო ბინა იმყოფება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე. სადავო აქტის გამოცემის დროს მოქმედი საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 30 აპრილის №219 ბრძანებულებით დამტკიცებული „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე რიცხული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართობის საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ დებულების პირველი და მე-2 მუხლების თანახმად, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე რიცხული ბინების უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემა ხორციელდება ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის №73 ბრძანებულებით დადგენილი წესით, მითითებული დებულებით გათვალისწინებული თავისებურებების შესაბამისად. სამინისტროს ბალანსზე რიცხული ფართის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემისათვის საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 30 აპრილის №219 ბრძანებულებით დამტკიცებული „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე რიცხული საცხოვრებელი და არასაცხოვრე-

ბელი ფართობის საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ დებულების მე-3 მუხლი შეიცავს საკუთრებაში ფართის უსასყიდლოდ გადაცემისათვის წარსადგენი დოკუმენტაციის ამომწურავ ჩამონათვალს. დებულების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ფიზიკური პირების მიერ დაკავებული ამ დებულების პირველი მუხლით გათვალისწინებული ბინების უსასყიდლო საკუთრებაში გადაცემა ხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელ ორგანოში წარდგენილი იქნება: ა) საბინაო კომისიის გადანყვეტილება ბინის სარგებლობაში გადაცემის შესახებ, ან/და ბ) საბინაო ორდერი ბინის დროებით სარგებლობაში (მათ შორის სამსახურებრივ სარგებლობაში) გადაცემის შესახებ, ან/და გ) სასამართლოს გადანყვეტილება, რომელიც ადასტურებს პირის სარგებლობის უფლებას, ან დ) საქართველოს თავდაცვის მინისტრის სამართლებრივი აქტი, რომელიც ადასტურებს ფიზიკური პირის მიერ ბინის ამ ბრძანებულების ამოქმედებამდე ფაქტობრივად დაკავების (სარგებლობის) ფაქტს და შეიძლება გამოიცეს განსაკუთრებულ შემთხვევებში ამ პუნქტით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტების წარმოდგენის შეუძლებლობის შემთხვევაში. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, ამ დებულების მე-2 მუხლში მითითებული საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებითა და ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების გარდა, ფიზიკურმა პირმა შესაბამის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს უნდა წარუდგინოს: ა) საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ცნობა ამ დებულების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ბ.ა.“, „ბ.ბ.“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გარემოებებისა და შესაბამის ბინაზე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მონაწილეობით სასამართლო დავის არარსებობის თაობაზე; ბ) საქართველოს მოქალაქეობისა და საქართველოს ტერიტორიაზე რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი (თუ მისი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი არ შეიცავს მითითებულ ინფორმაციას); გ) ცნობა სამუშაო ადგილიდან (იმ შემთხვევაში, თუ პირი დასაქმებულია).

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 30 აპრილის №219 ბრძანებულებით დამტკიცებული „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე რიცხული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართობის საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ დებულების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საკუთრებაში გადაცემას არ ექვემდებარება საქართველოს თავდაცვის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით მხოლოდ სამსახურებრივი სარგებლობი-



სათვის განკუთვნილი ბინები. ამდენად, ნორმატიული აქტით განისაზღვრა ის გამონაკლისი შემთხვევები, როდესაც საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე რიცხული საცხოვრებელი ბინები არ ექვემდებარება პრივატიზაციას. აღნიშნული დებულებით საკუთრებაში გადაცემას არ ექვემდებარება საქართველოს თავდაცვის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით მხოლოდ სამსახურებრივი სარგებლობისთვის განკუთვნილი ბინები.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, ზემოაღნიშნული ნორმის სამართლებრივი ანალიზიდან გამომდინარე, უდავოა, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 30 აპრილის №219 ბრძანებულება ითვალისწინებს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე რიცხული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართების საკუთრებაში გადაცემის წესსა და პირობებს. განსახილველ შემთხვევაში საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2010 წლის 13 სექტემბრის №589 ბრძანებით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე არსებული ყველა ბინა, მათ შორის, სადავო ბინა გამოცხადებულ იქნა სამსახურებრივი სარგებლობისთვის გამოსაყენებელ ბინად. შესაბამისად, მითითებული ბრძანებულებით გარკვეული კატეგორიის ფიზიკური პირებისათვის მინიჭებული უფლება, ამავე ბრძანებულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში უსასყიდლოდ საკუთრებაში გადასცემოდათ დაკავებული ბინები, მთლიანად შეიზღუდა. უდავოა, ასევე, რომ სადავო ბინას მოხსნილი არ აქვს სამსახურებრივი სარგებლობისათვის განკუთვნილი ბინის სტატუსი. საკასაციო სასამართლო საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასების შედეგად მიიჩნევს, რომ ის საფუძველი, რომელიც საცხოვრებელი ბინის პრივატიზებაზე შესაბამისი თანხმობის (ცნობის) გაცემის დამაბრკოლებელ გარემოებას წარმოადგენს (ბინის სამსახურებრივი დანიშნულების სტატუსი), დღეის მდგომარეობითაც არსებობს და იგი გაუქმებული არ არის.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პოზიციას იმ კუთხით, რომ მხოლოდ სამსახურებრივი სარგებლობისათვის განკუთვნილი ბინები საკუთრებაში გადაცემას არ ექვემდებარება, რასაც მოქმედი კანონმდებლობა ცალსახად განსაზღვრავს, თუმცა საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია მოსარჩელის მიერ წარდგენილი მოთხოვნის სათანადო შეფასებასა და საქმის გარემოებების გამოკვლევას, კერძოდ, თავდაცვის სამინისტროს წარდგენილი მოთხოვნის ფარგლებში არ უმსჯელია ნ. თ-ის ოჯახის სარგებლობაში არსებუ-

ლი ბინისათვის სამსახურებრივი სტატუსის მოხსნაზე, რასაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა საკითხის გადასაწყვეტად, ვინაიდან სამსახურებრივი სარგებლობისათვის განკუთვნილი ბინის სტატუსის მოხსნა და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე რიცხული ბინის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემა ურთიერთკავშირშია ერთმანეთთან. ამ კუთხით საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს საქმეზე დადგენილ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: ა. თ-ი მეუღლესთან – მ. გ-ასთან და შვილებთან – გ. და ნ. თ-ებთან ერთად ქ.ქუთაისში, ...ას ქუჩა 19, № 100/47 ბინაში საქართველოს რესპუბლიკის ქუთაისის პრეფექტურის 1992 წლის 11 დეკემბრის №0177 ორდერის საფუძველზე ბინების გაცვლის შედეგად დამქირავებლის სახით იქნა შესახლებული. მოსარჩელის მითითებით, ისინი დღემდე ცხოვრობენ სადავო ბინაში. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კი მათთვის ბინის ფლობასა და სარგებლობასთან დაკავშირებით რაიმე სახის პრეტენზია არ განუცხადებია. თავდაცვის სამინისტროს სადავო ბინაზე ფაქტობრივად მოხსნილი აქვს სამსახურებრივი სტატუსი, ბინის გამოყენება არ ხდება სამსახურებრივი დანიშნულებით. ამდენად, მოსარჩელის ოჯახი წლებია ფლობს სადავო ბინას, რისი საწინააღმდეგოც სამინისტროს არ წარმოუდგენია.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ თავდაცვის სამინისტრომ წლების განმავლობაში სადავო ბინაზე პრეტენზიის განუცხადებლობით, ბინის მობინადრეთა სარგებლობაში დატოვებით, მხოლოდ სამართლებრივად დატოვა ბინისთვის სამსახურებრივი სტატუსის არსებობა. ფაქტობრივად, სადავო ბინის სამსახურებრივი სტატუსით გამოყენება წლების განმავლობაში არ ხდება. სწორედ აღნიშნული უდავოდ არსებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით უნდა იმსჯელოს თავდაცვის სამინისტრომ სადავო ბინაზე სამსახურებრივი სტატუსის მოხსნის შესაძლებლობასა და მიზანშეწონილობაზე.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 85-ე მუხლი ადგენს სახელმწიფოში საჯარო მმართველობის განმახორციელებელი ყველა დაწესებულების ვალდებულებას ადმინისტრაციული წარმოების სუბიექტების მიმართ, გაუწიონ მათ სრულფასოვანი სამართლებრივი დახმარება. დასახელებული მუხლით დადგენილია ადმინისტრაციული ორგანოს მოვალეობა სამართლებრივი დახმარების განევის თაობაზე. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, განუმარტოს დაინტერესებულ მხარეს მისი უფლებები და მოვალეობები, გააცნოს განცხადების განხილვის წესი, წარმოების სახე და ვადა, აგრეთვე

ის მოთხოვნები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს განცხადება ან საჩივარი, მიუთითოს განცხადებაში დაშვებული შეცდომების შესახებ. გარდა აღნიშნულისა, ადმინისტრაციული ორგანო (წარმოდგენილი საჯარო მოსამსახურის სახით) დაინტერესებული პირისათვის სამართლებრივი დახმარების განევისას მოქმედებს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის პრინციპების საფუძველზე – კანონის წინაშე თანასწორობის, უფლებამოსილების კანონის საფუძველზე განხორციელების, საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის დაცვის, კანონიერი ნდობისა და საქმის მიუკერძოებლად გადაწყვეტის პრინციპების გათვალისწინებით. ადმინისტრაციულ ორგანოთათვის კანონმდებლობით დაწესებული ვალდებულებები წარმოადგენს მათ საჯარო ვალდებულებას, რომლის შესრულების კანონიერი, პატივსაძევი მოლოდინი გააჩნია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე ნებისმიერ დაინტერესებულ პირს. ამ ვითარებაში საჯარო მოსამსახურე თავისი ფუნქციების განხორციელებისას ვალდებულია მოქმედებდეს სწორედ არსებული მოცემულობის ადეკვატურად, მისი მომსახურების სტანდარტი უნდა იქმნებოდეს და ყალიბდებოდეს არა კანონის დანაწესის ცალმხრივი, ფორმალისტური გაგებიდან, არამედ მომსახურების მიმღების ინტერესების დაცვის მაქსიმალური უზრუნველყოფით.

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, ვინაიდან, სამსახურებრივი სარგებლობისათვის განკუთვნილი ბინის სტატუსის მოხსნა და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე რიცხული ბინის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემა ურთიერთკავშირშია ერთმანეთთან (ამგვარი სტატუსის მოხსნის გარეშე ბინები არ ექვემდებარება საკუთრებაში გადაცემას), თავდაცვის სამინისტროს წარდგენილი მოთხოვნის ფარგლებში შეფასება სწორედ სადავო ბინაზე სტატუსის მოხსნასთან დაკავშირებით უნდა გაეკეთებინა, რაც წარმოადგენდა მოსარჩელის უფლების რეალიზაციის სათანადო ფორმას, ვინაიდან კანონი პირდაპირ განსაზღვრავს, რომ საკუთრებაში გადაცემას არ ექვემდებარება საქართველოს თავდაცვის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით მხოლოდ სამსახურებრივი სარგებლობისთვის განკუთვნილი ბინები. შესაბამისად, სტატუსის მოხსნის შესაძლებლობაზე მსჯელობის არარსებობის პირობებში, იმთავითვე ნათელი იყო მოსარჩელის მოთხოვნის უსაფუძვლობა. ადმინისტრაციულ ორგანოს კი მოთხოვნა უნდა განეხილა მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსისა და მისი მიზნის შესაბამისად. რის გამოც საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის – თავდაცვის სამინისტროს მითითებას მოთხოვნის

ფარგლებთან დაკავშირებით.

ამასთან, საკასაციო სასამართლო დამატებით მიუთითებს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის სამართლებრივ შინაარსზე, რომელიც „უზრუნველყოფს უფლებას არსებულ ქონებაზე, რაც ასევე მოიცავს მოთხოვნებს, რომლის საფუძველზეც განმცხადებელს აქვს საკუთრების უფლებით ეფექტიანი სარგებლობის მოპოვების მინიმუმ „ლეგიტიმური მოლოდინი“.“ (მორისი საფრანგეთის წინააღმდეგ (Maurice v. France), No. 11810/03, 6.10.03; პლეხანოვი პოლონეთის წინააღმდეგ (Plechanow v. Poland), No. 22279/04, 7.7.09;).

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ მომავალი შემოსავალი განიხილება „საკუთრებად“ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის უკვე გამომუშავებულია ან მასზე აღსრულებადი მოთხოვნა უკვე არსებობს (ამბრუოზი იტალიის წინააღმდეგ (Ambruosi v. Italy), No. 31227/96, 19.10.00, მე-20 პარაგრაფი). უფრო მეტიც, „დიდი ხნის განმავლობაში ეფექტიანად აღსრულებადი ძველი საკუთრების უფლების გადარჩენის აღიარების იმედი“ არ უტოლდება „საკუთრებას“ (სლივენკო ლატვიის წინააღმდეგ (Slivenko v. Latvia), No. 48321/99, 23.1.02, მე-12 პარაგრაფი).

„ლეგიტიმური მოლოდინის“ ცნებასთან მიმართებით, საინტერესოა საქმე კოპეცკი სლოვაკეთის წინააღმდეგ (კოპეცკი სლოვაკეთის წინააღმდეგ (Kopecký v. Slovakia), No. 44912/98, 7.1.03 (პალატა) და 28.9.04 (დიდი პალატა)). მოცემულ საქმეში, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ დაადგინა, რომ განმცხადებელს არ ჰქონდა „ლეგიტიმური მოლოდინი“ 1950-იან წლებში ჩამორთმეულ მონეტებზე მის მოთხოვნასთან მიმართებით, ვინაიდან ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნები რეალურად არ შესრულებულა. ლეგიტიმური მოლოდინის საკითხზე მნიშვნელოვანია, ზემოხსენებულ საქმეში მოცემული განმარტება, რაც ხშირად მეორდება შემდგომ პრეცედენტულ სამართალშიც (Centro Europa 7 S.r.l და დისტეფანო იტალიის წინააღმდეგ (Centro Europa 7 S.r.l and Di Stefano v. Italy), No. 38433/09, 07.06.2012, 73-ე პარაგრაფი.): „როდესაც საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული ინტერესი მოთხოვნის ბუნებისაა, პირი, რომელსაც ის გააჩნია, შესაძლოა მიჩნეულ იქნეს „ლეგიტიმური მოლოდინის“ მქონედ, თუ აღნიშნული ინტერესის არსებობისთვის საკმარისი და სათანადო საფუძველი არსებობს ეროვნულ სამართალში, მაგალითად, სადაც არსებობს ეროვნულ სასამართლოებში დამკვიდრებული პრაქტიკა/პრეცედენტული სამართალი, რომელიც აღნიშნულის არსებობას ადასტურებს...“

ლეგიტიმური მოლოდინის შესაფასებლად ხაზგასასმელი დეფი-

ნიციაა მოცემული საქმეში რამაერი და ვან ვილიგენი ნიდერლანდების წინააღმდეგ (რამაერი და ვან ვილიგენი ნიდერლანდების წინააღმდეგ (Ramaer and Van Willigen v. the Netherlands), No. 34880/12, 23.10.2012. 81-ე პარაგრაფი), სადაც სასამართლომ აღნიშნა, რომ „მომჩივნების მოლოდინები არ ეფუძნებოდა რაიმე სამართლებრივ დანაწესს ან სამართლებრივ აქტს, როგორცაა, მაგალითად, სასამართლოს გადაწყვეტილება. ისინი უფრო ეყრდნობოდა იმედს, რომ მათ გაუხანგრძლივებდნენ ან განუახლებდნენ სადაზღვევო ხელშეკრულებებს იმ პირობებით, რომლებიც ძველ პირობებთან შედარებით ნაკლებად ხელსაყრელი მათთვის არ იქნებოდა. სასამართლომ საკუთარ პრეცედენტულ სამართალში უკვე არაერთხელ გაამახვილა ყურადღება განსხვავებაზე სარგებლის მიღების იმედსა (როგორი გასაგებიც არ უნდა იყოს ეს იმედი) და ლეგიტიმურ მოლოდინს შორის, რომელიც აუცილებელია, იყოს უფრო კონკრეტული ბუნების ვიდრე უბრალო იმედი და ეფუძნებოდეს სამართლებრივ დანაწესს ან სამართლებრივ აქტს.“

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის ანალიზისა და შეფასების საფუძველზე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სადავო ბინის მოსარჩელის საკუთრებაში გადაცემის მოთხოვნის უფლება არ წარმოადგენდა ევროსასამართლოს პრაქტიკით ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის დაცვის ქვეშ მოქცევად „ლეგიტიმურ მოლოდინს“ საკუთრების უფლების მიღებაზე, ვინაიდან, განსახილველ შემთხვევაში ამგვარი მოლოდინის წარმოშობას გამორიცხავდა ის გარემოება, რომ მოსარჩელის ოჯახს სარგებლობაში გადაეცა თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე რიცხული ბინა, ხოლო მეორე მხრივ, მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელის „ლეგიტიმურ მოლოდინს“ გამორიცხავს თავად საკანონმდებლო დანაწესი (საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 30 აპრილის №219 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი), სადაც ცალსახად არის განსაზღვრული, რომ მხოლოდ სამსახურებრივი სარგებლობისათვის განკუთვნილი ბინები საკუთრებაში გადაცემას არ ექვემდებარება.

ამდენად, იმ პირობებში, როდესაც მოსარჩელის ოჯახს სადავო ბინა გადაეცა სარგებლობაში, ხოლო კანონი დაუშვებლად მიიჩნევს ასეთი ბინის საკუთრებაში გადაცემას მანამ, სანამ ბინას არ მოეხსნება სამსახურებრივი სტატუსი, მოსარჩელის ოჯახის მხრიდან სადავო ბინის სარგებლობის ფაქტს არ შეეძლო გამოენვია „ლეგიტიმური მოლოდინი“ სადავო ბინაზე საკუთრების უფლების მიღებისა.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა არსებითად სწორად გადაწყვიტეს მოცემული დავა, რის გამოც საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 24 ივლისის განჩინება.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 24 ივლისის განჩინება;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### 3. სამედიცინო მომსახურების ხელშეკრულება

#### სახელშეკრულებო მოთხოვნისათვის გათვალისწინებული ხანდაზმულობა

#### გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

№ბს-818(2კ-18)

17 იანვარი, 2019 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. სხირტლაძე,  
ვ. როინიშვილი

**დავის საგანი:** თანხის დაკისრება

#### აღწერილობითი ნაწილი:

2015 წლის 13 ნოემბერს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – შპს „...ის“ მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტომ განახორციელა შპს „...ის“ შემოწმება. ინსპექტირება მოიცავდა 2009 წლის 1 ივლისიდან 2012 წლის 1 მარტამდე პერიოდს. 2012 წლის 18 აგვისტოს გამოიცა შემოწმების აქტი, რომლის თანახმად, ბავშვთა სამედიცინო მომსახურების სახელმწიფო პროგრამის, ბავშვთა სტაციონარული დახმარების კომპონენტების მიხედვით, კლინიკის მიერ მონოდებული ინფორმაციით, სამედიცინო დაწესებულებას, 2009 წლის 1 ივნისიდან 2012 წლის 1 მარტამდე საინსპექციო პერიოდში, მოთხოვნილი აქვს 132 751.70 ლარი. ანაზღაურებულია 129 643.30 ლარი. 2009 წლის 1 ივნისიდან 2012 წლის 1 მარტამდე საინსპექციო პერიოდში, მოსახლეობის ურგენტული მომსახურების სახელმწიფო პროგრამის მიხედვით, სამედიცინო მომსახურებისათვის დაწესებულებას მოთხოვნილი აქვს 76 267.00 ლარი, მიღებული აქვს 76 013 ლარი. ინსპექტირებისას გამოვლინდა შემდეგი დარღვევა-ნაკლოვანებები:

1. მოსახლეობის ურგენტული მომსახურების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში – 2 შემთხვევაში, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2000 წლის 5 დეკემბრის №242/ნ და 2006 წლის 28 ივნისის №180/ნ ბრძანებების

შესაბამისად, არ ჩატარებულა მასალის ჰისტომორფოლოგიური კვლევა. აღნიშნულ შემთხვევებზე სააგენტოდან მიღებულია 1569.00 ლარი. შესაბამისად, დაწესებულების მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ ასანაზღაურებელი თანხა შეადგენს 1569.00 ლარს; 19 შემთხვევაში არ ჩატარებულა ოპერაცია. პაციენტებს ჩატარებული აქვთ კონსერვატიული მკურნალობა, ხოლო სააგენტოდან კლინიკას მიღებული აქვს მესამე სირთულის ოპერაციების შესაბამისად თითოეულ შემთხვევაზე – 784.50 ლარი, სულ – 14905.50; 3 შემთხვევაში ანგარიშში წარმოდგენილი დიაგნოზი არ შეესაბამება პაციენტის რეალურ მდგომარეობას. აღნიშნულ შემთხვევებზე კლინიკას სააგენტოდან მიღებული აქვს 2353.50 ლარი. „2011 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ადმინისტრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 7 მარტის №01-1/6 ბრძანების მე-14 მუხლის მე-3 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის თანახმად, დაწესებულების მხრიდან, ბიუჯეტში აღსადგენმა თანხამ შეადგინა, სააგენტოს მხრიდან ანაზღაურებული თანხის ოდენობა - 784.50 ლარი; 11 შემთხვევაში დარღვეულია სამედიცინო ბარათების წარმოების წესი, კერძოდ, არასწორადაა ნაწარმოები სტაციონარული პაციენტების სამედიცინო ბარათები. აღნიშნულ შემთხვევებზე დაწესებულებას სააგენტომ აუნაზღაურა პროგრამის შესაბამისად 3 351.00 ლარი. „2011 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ადმინისტრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 7 მარტის №01-1/6 ბრძანების მე-14 მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, დაწესებულების მხრიდან ბიუჯეტში აღსადგენმა თანხამ შეადგინა სააგენტოს მიერ ანაზღაურებული თანხის 10% – 335.10 ლარი. სულ მოსახლეობის ურგენტული მომსახურების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, დაწესებულების მხრიდან ბიუჯეტში აღსადგენმა თანხამ შეადგინა 19 947.60 ლარი.

2. ბავშვთა სამედიცინო მომსახურების სახელმწიფო პროგრამის, ბავშვთა სტაციონარული დახმარების კომპონენტი – „ხელშეკრულების განსაზღვრული მომსახურების შესრულების, აღრიცხვის, ანგარიშგებისა და ანაზღაურების წესის“ ზოგადი ნაწილის პირობის მიხედვით, სააგენტოს მიერ არ დაფინანსდება შემთხვევები თუ ბენეფიციარი განერის შემდეგ, ერთი თვის განმავლობაში იმავე დიაგნოზით მოთავსდება იმავე სამედიცინო კლინიკაში. აღნიშნული შემთხვევა დაფიქსირდა 3 სამედიცინო ბარათში. დაწესებულებას სააგენტოდან მიღებული აქვს 1059.20 ლარი; 1 შემთხვევაში პაციენტი აღმოჩნდა 3 წლის ზევით. მომსახურების ღირ-



რეზულტებამ აღნიშნულ შემთხვევებზე შეადგინა 131.20 ლარი; 15 შემთხვევაში დაწესებულებას სააგენტოდან მოთხოვნილი და მიღებული აქვს ნოზოლოგიური კოდის მთლიანი ღირებულება – 164.00 ლარი, ნაცვლად 131.20 ლარისა. ზედმეტად მიღებულმა თანხამ შეადგინა 492.00 ლარი.

მოსარჩელის მითითებით, „2011 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ადმინისტრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 7 მარტის №01-1/6 ბრძანების მე-14 მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, დაწესებულების მხრიდან, ბიუჯეტში აღსადგენმა თანხამ შეადგინა სააგენტოს მიერ ანაზღაურებული თანხის (1 584.00) 10% – 158.40 ლარი. სულ ბავშვთა სამედიცინო მომსახურების სახელმწიფო პროგრამის, ბავშვთა სტაციონარული დახმარების კომპონენტის ფარგლებში, დაწესებულების მიერ ასანაზღაურებელმა თანხამ შეადგინა 3 232.80 ლარი. ამდენად, შპს „...ის“ მიერ 2009 წლის 1 სექტემბრიდან 2012 წლის 1 მარტამდე საინსპექციო პერიოდში, სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულებების, ასევე „2011 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო დაცვის პროგრამების ადმინისტრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 7 მარტის №01-1/6 ბრძანების პირობების დარღვევის გამო, სახელმწიფო ბიუჯეტში აღსადგენმა თანხამ შეადგინა 23 180.40 ლარი. შემონმების აქტი ჩაჰზარდა კლინიკის დირექტორს. 2013 წლის 8 იანვარს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ გაიგზავნა წერილი კლინიკაში, თანხის გადახდის ვალდებულების შესახებ, შესაბამისი საბიუჯეტო ანგარიშის ჩვენებით, რასაც შედეგი არ მოჰყოლია. ამდენად, მოსარჩელემ შპს „...ისთვის“ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს სასარგებლოდ 23 180,40 ლარის დაკისრება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 18 ნოემბრის განჩინებით სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს სასარჩელო განცხადება, მოპასუხე შპს „...ის“ მიმართ, თანხის დაკისრების შესახებ, განსჯადობით გადაეგზავნა ზუგდიდის რაიონულ სასამართლოს.

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 3 დეკემბრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, საქმეში მესამე პირად ჩაბმულ იქნა სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო.

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 29 დეკემბრის

გადაწყვეტილებით სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს სარჩელი მოქსახე შპს „...ის“ მიმართ თანხის დაკისრების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ შპს „...სა“ და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას – ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტოს შორის 2009-2010 წლებში სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გაფორმდა ხელშეკრულებები.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტოს უფლებამონაცვლე და სახელმწიფო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებაა სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო. ამრიგად, სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს მიერ 2012 წლის 13 აგვისტოს ინსპექტირების შედეგად დაკისრებული თანხის მოთხოვნის მიმართ ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტოს უფლებამონაცვლე სუბიექტს 2010 წლიდან წარმოადგენს მოსარჩელე.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს უფროსის 2012 წლის 27 ივლისის ბრძანების საფუძველზე, სარევიზიო ჯგუფის (კომისიის) მიერ შემოწმდა 2009 წლის 1 სექტემბრიდან 2012 წლის 1 მარტამდე პერიოდში შპს „...ის“ მიერ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულებების შესაბამისად განხორციელებული საქმიანობა, რომლის შედეგადაც 2012 წლის 13 აგვისტოს აქტივით გამოვლინდა სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულებების, „ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების შესრულების, აღრიცხვის, ანგარიშსწორებისა და ანაზღაურების წესის“ და „2011 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ადმინისტრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 7 მარტის №01-1/ნ ბრძანების პირობების დარღვევა და რის გამოც სახელმწიფო ბიუჯეტში აღსადგენმა თანხამ შეადგინა 23 180,40 ლარი. აქტი ხელმოწერილია მხარეების მიერ და აქტის შედგენის დღესვე ერთი ეგზემპლარი ჩაჰბარდა საავადმყოფოს დირექტორს.

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ 2013 წლის 8 იანვარს მომზადებული იყო №04/462 წერილი მასზედ, რომ მოპა-

სუხეს ერთი თვის ვადაში შესაბამის ანგარიშზე ჩარიცხვით უნდა დაებრუნებინა სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს ინსპექტირების (სარევიზიო) ჯგუფის მიერ გამოვლენილი დარღვევების გამო ზედმეტად მოთხოვნილი თანხა – 23 180,40 ლარის ოდენობით. აღნიშნული წერილის მოპასუხისათვის გაგზავნა და ჩაბარება საქმის მასალებით არ დასტურდება.

სასამართლოს მითითებით, სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს სარჩელი ხანდაზმულია, რამდენადაც აქტი შედგენილია 2012 წლის 13 აგვისტოს, ხოლო ამ აქტის შესახებ მოსარჩელისათვის, როგორც სახელმწიფო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებისათვის იმთავითვე ცნობილი უნდა ყოფილიყო. სანინააღმდეგო გარემოების დამადასტურებელი უტყუარი მტკიცებულება მოსარჩელეს არ წარმოუდგენია.

სასამართლომ მიუთითა, რომ მოცემულ შემთხვევაში მოპასუხის ვალდებულება თანხის დაბრუნების თაობაზე წარმოიშვა სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულებების, „ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების შესრულების, აღრიცხვის, ანგარიშსწორებისა და ანაზღაურების წესისა“ და „2011 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ადმინისტრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 7 მარტის №01-1/ნ ბრძანების პირობების დარღვევის გამო.

სასამართლომ გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის თანახმად, სხვა პირისაგან რაიმე მოქმედების შესრულების ან მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნის უფლებაზე ვრცელდება ხანდაზმულობა. ამავე კოდექსის 129-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სახელშეკრულებო მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა შეადგენს სამ წელს. სასამართლოს მითითებით, მოპასუხე მხარემ თავისი პოზიცია შესაგებელში და სასამართლოს სხდომაზე დაამყარა იმ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომ მოსარჩელის მოთხოვნა ხანდაზმული იყო. ასეთ ვითარებაში, სასამართლო ვალდებული იყო, შეემოწმებინა ხანდაზმულობის საკითხი. კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. იმავე კოდექსის 122-ე მუხლის მიხედვით, თუ ვადის დასაწყისად აღებულია ესა თუ ის მოვლენა ან დღის რომელიმე მონაკვეთი, მაშინ ვადის გამოთვლისას არ მიეთ-

ვლება ის დღე, რომელშიც დგება ეს მოვლენა ან დღის ზემოაღნიშნული დრო, ხოლო 123-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილით, დღეების მიხედვით განსაზღვრული ვადა მთავრდება ვადის ბოლო დღის გასვლასთან ერთად; ვადა, რომელიც განსაზღვრულია კვირების, თვეების ან რამდენიმე თვის შემცველი დროით – წლით, ნახევარი წლით, კვარტალით, – მთავრდება ბოლო კვირის ან ბოლო თვის იმ დღის დამთავრებისთანავე, რომელიც შეესაბამება მოვლენის დადგომის დღეს ან დღის ზემოაღნიშნულ დროს. სასამართლომ ასევე განმარტა, რომ სასარჩელო ხანდაზმულობაში იგულისხმებოდა დრო, რომლის განმავლობაშიც პირს, ვისი უფლებებიც დარღვეული იყო, შეეძლო მოეთხოვა თავისი უფლების იძულებით განხორციელება ან დაცვა. შესაბამისად, ხანდაზმულობის ვადის დაწყების საფუძველი იყო უფლების დარღვევა, რის თანახმადაც კრედიტორს წარმოეშობოდა მოთხოვნა უფლების დასაცავად და აღსადგენად. სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის დენის დაწყება კი დაკავშირებული იყო სუბიექტურ ფაქტორთან, ანუ იმ მომენტთან, როცა დაზარალებულმა (კრედიტორმა) შეიტყო ან უნდა შეეტყო თავისი უფლების დარღვევის შესახებ. ამასთან, ივარაუდებოდა, რომ მან დარღვევის განხორციელებისთანავე შეიტყო აღნიშნულის შესახებ. სანინაალმდეგოს მტკიცების ტვირთი მოსარჩელეს აკისრია. იმ პირობებში, როდესაც უტყუარი მტკიცებულება, რომელიც მიუთითებდა 2012 წლის 13 აგვისტოს აქტის მოსარჩელი-სათვის გადაცემის თაობაზე, საქმეში არ მოიპოვება, სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, დასადგენი გარემოებაა, უნდა სცოდნოდა თუ არა მოსარჩელეს აქტის შინაარსის თაობაზე მისი შედგენის თარიღიდან.

აღნიშნულთან დაკავშირებით სასამართლომ მოიხმო საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 7 მარტის №01-1/6 ბრძანება „2011 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ადმინისტრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“, რომლის მე-2 მუხლის თანახმად, განსაზღვრული იყო პროგრამის ადმინისტრირებაში მონაწილე სახელმწიფო დაწესებულებები. კერძოდ, დაწესებულებებს წარმოადგენდნენ: ა) „2011 წლის ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 15 თებერვლის №77 დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებული დანართის შესაბამისი პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულება; ბ) საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო. 2011 წლის ჯან-

მრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 15 თებერვლის №77 დადგენილების მე-2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, პროგრამების განმახორციელებელი ერთ-ერთი დაწესებულებაა სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტო.

სასამართლოს თვალსაზრისით, აღნიშნული ნორმები მიუთითებენ მასზედ, რომ კონკრეტულ შემთხვევაში, 13.08.2012 წელს შედგენილი სარევიზიო აქტით განსაზღვრული თანხის – 23 180,40 ლარის მოთხოვნაზე სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის ათვლა უნდა დაწყებულიყო სწორედ აღნიშნული თარიღიდან – 2012 წლის 13 აგვისტოს მომდევნო დღიდან, რადგან მოსარჩელე მხარისათვის, როგორც სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოსთან ერთად პროგრამის ადმინისტრირებაში მონაწილე სახელმწიფო დაწესებულებისა და სახელმწიფო პროგრამის განმახორციელებელი ორგანოსათვის ცნობილი უნდა ყოფილიყო აქტის შინაარსის შესახებ მისი შედგენის თარიღიდან, რაც მიუთითებდა მასზედ, რომ მან იმთავითვე შეიტყო უფლების დარღვევის თაობაზე.

სამოქალაქო კოდექსის 138-ე მუხლით, ხანდაზმულობის ვადის დენა წყდებოდა, თუ უფლებამოსილი პირი შეიტანდა სარჩელს მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად ან მის დასადგენად, ანდა შეეცდებოდა დაეკმაყოფილებინა მოთხოვნა სხვა საშუალებით, როგორცაა სახელმწიფო ორგანოსათვის ან სასამართლოში განცხადებით მიმართვა მოთხოვნის არსებობის შესახებ, ანდა აღმასრულებელი მოქმედების განხორციელება. აღნიშნული ნორმის სამართლებრივი ანალიზი ცხადყოფდა, რომ სარჩელის წარდგენისას ან სხვა საშუალებით მოთხოვნის დაკმაყოფილების მცდელობისას წყდებოდა მხოლოდ იმ ხანდაზმულობის ვადის დენა, რომელიც არ დასრულებულა ანუ სახეზე უნდა ყოფილიყო ისეთი შემთხვევა, რომ კანონით დადგენილი ვადა (მაგ., სამი წელი) გასული არ ყოფილიყო.

მოცემულ შემთხვევაში, სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ თანხის დაკისრების მოთხოვნით სარჩელი აღძრული იყო 2015 წლის 13 ნოემბერს. შესაბამისად, ვინაიდან მოთხოვნილ თანხაზე ხანდაზმულობის ვადის დასაწყისად განისაზღვრა 2012 წლის 13 აგვისტოს მომდევნო დღე, აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ კანონით დადგენილი სამწლიანი ხანდაზმულობის ვადა სარჩელის აღძვრის დროისათვის გასული იყო, რაც გამოორიცხავდა სარჩელის დაკმაყოფილების შესაძლებლობას. რაც შეეხებოდა 2013 წლის 3 იანვრის №04/34 წერილს, რომელზედაც აპე-

ლირებდა მოსარჩელე, სასამართლომ აღნიშნა, რომ მოპასუხემ სადავოდ გახადა მისი ჩაბარების ფაქტი. საქმის მასალებში არ მოიპოვებოდა აღნიშნული წერილის გაგზავნისა და მოპასუხეზე ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტი, თუმცა ასეთის არსებობის შემთხვევაშიც, წერილის ჩაუბარებლობა ვერ გამოიწვევდა ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტას, ვინაიდან იგი არ შეიძლებოდა განხილული ყოფილიყო ისეთ შემთხვევადად, როგორცაა სახელმწიფო ორგანოსათვის ან სასამართლოში განცხადებით მიმართვა მოთხოვნის არსებობის შესახებ, ანდა აღმასრულებელი მოქმედების განხორციელება.

სასამართლომ მიიჩნია, რომ წერილით გადმოცემული იყო შემონმების აქტიდან წარმოშობილი მოთხოვნის დადასტურება და განსაზღვრულ ვადაში მოპასუხის მიერ მისი შესრულების ვალდებულება. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 144-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ ვალდებული პირი უფლებამოსილი იყო უარი ეთქვა მოქმედების შესრულებაზე.

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილებით სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილება; სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს სარჩელი დაკმაყოფილდა – შპს „...ს“ დაეკისრა 23 180.40 ლარი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საარგებლოდ.

სააპელაციო სასამართლომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, თუმცა არ დაეთანხმა მათ სამართლებრივ შეფასებებს და განმარტა, რომ განსახილველ შემთხვევაში „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, გამოყენებული უნდა ყოფილიყო „2012 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის №92 დადგენილება, რომლის 22-ე მუხლი განსაზღვრავდა პროგრამებში მონაწილე სუბიექტების უფლება-მოვალეობებს. მითითებული მუხლის მე-3 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით, მიმ-

წოდებული ვალდებული იყო, უზრუნველყო ზედამხედველობის შედეგად დაკისრებული საჯარიმო სანქციების შესრულება აღიარებიდან არა უგვიანეს 60 კალენდარული დღისა.

სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სხვა პირისაგან რაიმე მოქმედების შესრულების ან მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნის უფლებაზე ვრცელდებოდა ხანდაზმულობა. ამავე კოდექსის 129-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სახელშეკრულებო მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა შეადგენდა სამ წელს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობა იწყებოდა მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტიად ჩაითვლებოდა დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება, რომ ხანდაზმულობის ვადა უნდა ათვლილიყო სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2013 წლის 8 იანვრიდან, როცა №04/462 წერილი გაეგზავნა შპს „...ს“ და განხორციელდა შეტყობინება დავალიანების ოდენობისა და მისი გადახდის წესზე. საქმის მასალებით არ დასტურდებოდა აღნიშნული წერილის ადრესატისთვის ჩაბარების ფაქტი. შესაბამისად, პალატა ამ დოკუმენტს, როგორც უტყუარ მტკიცებულებას ხანდაზმულობის ვადის ათვლის თვალსაზრისით ვერ განიხილავდა. განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო პალატამ გაიზიარა აპელანტი მხარის პოზიცია მასზედ, რომ ხანდაზმულობის ვადა არ უნდა ათვლილიყო 2012 წლის 13 აგვისტოდან (აქტის შედგენიდან), რადგან ამ აქტით დადგინდა თანხების რაოდენობა და არა უფლების დარღვევის შეტყობინება, ასევე აქტში არ იყო მითითება თანხების ანაზღაურების მექანიზმებზე.

სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ „2012 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 15 მარტის №92 დადგენილების 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით მიმწოდებული ვალდებული იყო უზრუნველყო ზედამხედველობის შედეგად დაკისრებული საჯარიმო სანქციების შესრულება აღიარებიდან არა უგვიანეს 60 კალენდარული დღისა. ვალდებულების აღიარებიდან 60 დღე ამოიწურა – 2012 წლის 13 ნოემბერს, საიდანაც ერთი თვე იყო აქტის ძალაში შესვლის დრო (2012 წლის 13 სექტემბერი), რადგან მხარეს უფლება ჰქონდა გაეაჩივრებინა მითითებული აქტი, ხოლო დანარჩენი 60 დღე (2012 წლის 13 ნოემბრამდე) წარმოადგენდა აღიარებული ვალდებულების შესრულების დროს. ამ ვადის ამოწურვის დღიდან, 2012 წლის 13 ნოემბრიდან, უნდა ათვლილი-

ყო სახელმწიფო ურთიერთობიდან გამომდინარე სარჩელის შეტანის ხანდაზმულობის 3-წლიანი ვადა, რაც მოცემულ შემთხვევაში დაცული იყო (სარჩელი შეტანილია 2015 წლის 13 ნოემბერს).

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს 2012 წლის 13 აგვისტოს აქტით 2009 წლის 1 ივნისიდან 2012 წლის 1 მარტამდე შპს „...ის“ მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში აღსადგენმა თანხამ შეადგინა 23 180.40 ლარი (თანხის ოდენობა მოპასუხე სამედიცინო დაწესებულებას სადავოდ არ გაუხდია), რომლის გადახდის ვალდებულებაც ეკისრებოდა კომპანიას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს „...მა“, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 13 ივლისის განჩინებით შპს „...ის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში, შპს „...ის“ ვალდებულება თანხის დაბრუნების თაობაზე წარმოიშვა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 7 მარტის №01-1/6 ბრძანების პირობების დარღვევის გამო. სააპელაციო სასამართლომ კი დავის გადაწყვეტისას მიუთითა „2012 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 15 მარტის №92 დადგენილებაზე, მაგრამ გადაწყვეტილებაში არ არის დასაბუთება და მსჯელობა იმ გარემოებებზე, თუ რამ განაპირობა მითითებული დადგენილების გამოყენება იმ პირობებში, როცა გამოვლენილი დარღვევების ჩადენას ადგილი ჰქონდა ამ დადგენილების ამოქმედებამდე.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა „2012 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 15 მარტის №92 დადგენილების მე-3 მუხლზე, სადაც პირდაპირაა აღნიშნული, რომ ამ დადგენილებით დამტკიცებულ ღონისძიებათა ფარგლებში ვაუჩერის პირობებით ან „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით, შესაბამისი მიმწოდებლების გამოვლენამდე (ხოლო შესყიდული საქონლის მარაგის არარ-



სებობის შემთხვევაში – საქონლის მიწოდებამდე) ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამები გაგრძელდეს „იმ სახელმწიფო პროგრამების/მათი ღონისძიებების/მოცულობების განსაზღვრის შესახებ, რომელთა განხორციელებაც სახელმწიფოს მიერ 2011 წელს ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად უწყვეტად გაგრძელდება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში განსახორციელებელი 2012 წლის შესაბამისი სახელმწიფო პროგრამების დამტკიცებამდე ან/და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესრულებამდე, ან ვაუჩერის პირობების შესაბამისად, შესაბამისი მიმწოდებლების გამოვლენამდე“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 27 დეკემბრის №492 დადგენილების შესაბამისად, მაგრამ არა უგვიანეს 2012 წლის 1 სექტემბრისა...

ამასთან, საქართველოს მთავრობის 2011 წლის 27 დეკემბრის №492 დადგენილების მე-10 პუნქტში აღნიშნულია, რომ თუ ამ დადგენილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ადმინისტრირება გაგრძელდეს „2011 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ადმინისტრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 7 მარტის №01-1/6 ბრძანების შესაბამისად.

საკასაციო სასამართლო მიუთითა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტსა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-6 მუხლზე, რომელთა შესაბამისად, კანონებსა და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს არა აქვთ უკუქცევითი ძალა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს პირდაპირ არის კანონით გათვალისწინებული, კანონს არ შეიძლება მიეცეს უკუქცევითი ძალა, თუ იგი ზიანის მომტანია, ან აუარესებს პირის მდგომარეობას. ნორმა, რომლისთვისაც კანონმდებელს უკუძალა არ მიუნიჭებია, ვრცელდება იმ სამართალურთიერთობაზე, რომელიც ამ კანონის ამოქმედების შემდეგ წარმოიშვა.

საკასაციო სასამართლო განმარტა, რომ საერთო წესის თანახმად, კანონის მოქმედების ძალა შემოფარგლულია კანონის გამოქვეყნებისა და გაუქმების პერიოდით. აღნიშნულიდან გამომდინარე, იგი არ გამოიყენება: 1) იმ ფაქტების მიმართ, რომელიც განხორციელდა მის გამოცემამდე და 2) იმ ფაქტების მიმართ, რომელიც დადგა მისი მოქმედების შეწყვეტის შემდეგ; ორივე შემთხვევა წარმოადგენს უმაღლესი იურიდიული პრინციპის ორ მხარეს: განსახილველ ფაქტებთან დაკავშირებით სასამართლო გამოიყენებს იმ კანონს, რომლის მოქმედების პირობებში ამ ფაქტებს ჰქონდა ადგილი.

საკასაციო სასამართლომ სააპელაციო სასამართლოს ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ სისპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს მიერ შპს „...ს“ ინსპექტირება მოიცავდა 2009 წლის 1 ივლისიდან 2012 წლის 1 მარტამდე პერიოდს, რა დროსაც დადგინდა, რომ შპს „...ს“ ვალდებული იყო სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადაეხადა 23 180,40 ლარი. ამდენად, გამოვლენილი დარღვევების ჩადენას ადგილი ჰქონდა იმ პერიოდში, როცა ჯერ კიდევ ამოქმედებული არ იყო „2012 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 15 მარტის №92 დადგენილება.

საკასაციო სასამართლომ ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით გაიზიარა კასატორის მოსაზრება და განმარტა, რომ კანონის უკუქაღის მინიჭება ეწინააღმდეგება კონსტიტუციურ პრინციპს, რომლითაც დაუშვებელია აქტს უკუქცევითი ძალა მიენიჭოს, თუკი იგი აუარესებს პირის მდგომარეობას. ამასთან, საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს უზენაეს სასამართლოს არაერთ გადაწყვეტილებაში აქვს განმარტებული, რომ კანონის შეფარდებისას სასამართლო იყენებს ფაქტობრივი გარემოებების ხდომილებისას არსებულ კანონს და არა საკითხის გადაწყვეტისას მოქმედ კანონს (საქმე №ბს-1013-599(კ-05); საქმე №ბს-672-658(კ-12); საქმე №ბს-618-606(კ-12); საქმე №ბს-849-831(კ-12); საქმე №ბს-57-52(კ-13)). სააპელაციო სასამართლომ მის მიერ მიღებულ გადანყვეტილებაში აღნიშნა, რომ „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, გამოყენებული უნდა ყოფილიყო „2012 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 15 მარტის №92 დადგენილება, თუმცა საკასაციო სასამართლომ აღნიშნულთან დაკავშირებით მიუთითა ამავე კანონის 24-ე მუხლზე, სადაც განმარტებულია, რომ ნორმატიულ აქტს უკუქაღა აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს პირდაპირ არის დადგენილი ამ ნორმატიული აქტით, ხოლო ნორმატიულ აქტს, რომელიც ადგენს ან ამძიმებს პასუხიმგებლობას, უკუქაღა არა აქვს.

საკასაციო სასამართლომ, ასევე, მიუთითა სარჩელის ხანდაზმულობის საკითხზე და განმარტა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრულია სასარჩელო ხანდაზმულობის საერთო ვადები. სასარჩელო ხანდაზმულობაში იგულისხმება დრო, რომლის განმავლობაშიც პირს, ვისი უფლებაც დარღვეულია, შეუძლია მოითხოვოს თავისი უფლებების იძულებით განხორციელება ან დაცვა. ხანდაზმულობა არის დარღვეული უფლების იძულებითი დაცვის ვადა და იგი უშუალოდ უკავშირდება სარჩელის უფ-

ლებას. სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის გასვლა გავლენას ახდენს მოთხოვნის ანუ სარჩელის დაკმაყოფილების საფუძვლიანობაზე.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სხვა პირისაგან რაიმე მოქმედების შესრულების ან მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნის უფლებაზე ვრცელდება ხანდაზმულობა. ამავე კოდექსის 129-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სახელმეკრულებო მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა შეადგენს სამ წელს. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ მოთხოვნა ხანდაზმულია, მიუხედავად იმისა, პირმა იცოდა თუ არა თავისი უფლების დარღვევის შესახებ. ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა ასრულებს სადავო სამართლებრივ ურთიერთობას და გამორიცხავს სადავო სამართალურთიერთობიდან გამომდინარე მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობას, წინააღმდეგ შემთხვევაში მოთხოვნის დაკმაყოფილება გამოინვევს სხვათა უფლების შელახვას.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლის შესაბამისად, ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. ამდენად, სასარჩელო მოთხოვნის ვადის დენა დაკავშირებულია სუბიექტურ ფაქტორთან, ანუ იმ მომენტთან, როცა დაზარალებულმა შეიტყო ან უნდა შეეტყო თავისი უფლების დარღვევის შესახებ.

საკასაციო სასამართლო მიუთითა, რომ სააპელაციო სასამართლომ ხანდაზმულობის ვადა გამოთვალა „2012 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის №92 დადგენილების შესაბამისად, რომლის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის მიხედვით, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს ზედამხედველობის შედეგად დაკისრებული საჯარიმო სანქციების შესრულება აღიარებიდან არაუგვიანეს 60 კალენდარული დღისა. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ შემონგების აქტი გამოიცა 2012 წლის 13 აგვისტოს, ხოლო ვალდებულების აღიარებიდან 60 დღე ამოიწურა 2012 წლის 13 ნოემბერს, საიდანაც ერთი თვე არის აქტის ძალაში შესვლის დრო, რადგან მხარეს უფლება ჰქონდა გაესაჩივრებინა მითითებული აქტი. ამდენად, სარჩელის ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა უნდა ათვლილიყო 2012 წლის 13 ნოემბრიდან, რაც მოცემულ შემთხვევაში დაცული იყო (სარჩელი შეტანილია 2015 წლის 13 ნოემბერს). სააპელაციო სასამართლომ ხანდაზმულობის ვადის ათვლისას არ გაიზიარა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენ-

ტოს 2013 წლის 8 იანვრის №04/462 ნერილი, რომელიც გაეგზავნა შპს „...ს“, ვინაიდან საქმის მასალებით არ დასტურდებოდა ამ წერილის ადრესატისათვის ჩაბარების ფაქტი.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ სააპელაციო სასამართლოს საქმის ხელახლა განხილვისას უნდა ემსჯელა იმ საკითხზე, თუ როდიდან უნდა დაწყებულიყო სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის ათვლა, ვინაიდან საქმეში წარმოდგენილი მასალებით სრულყოფილად არ დასტურდებოდა უფლების შესახებ შეტყობის ფაქტი, მით უფრო იმ პირობებში, როცა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 7 მარტის №01-1/ნ ბრძანებასა და „2012 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 15 მარტის №92 დადგენილებაში განსხვავებული რეგულაციაა მოცემული ვალდებულების შესრულების ვადებთან დაკავშირებით. ამდენად, საკასაციო სასამართლომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე განმარტა, რომ სასამართლოს საქმის განხილვისას უნდა გამოეკვლია მტკიცებულებები, სარწმუნოდ დაედგინა საქმის ფაქტობრივი გარემოებები, მიეცა მათთვის სამართლებრივი შეფასება და გამოეტანა დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ, საქმეზე კანონიერი და დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

აქედან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში სახეზე იყო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე1“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დარღვევა, ანუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრული იყო, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელი იყო, რაც საკასაციო საჩივრის აბსოლუტურ საფუძველს ქმნიდა. ამასთან, საკასაციო სასამართლო თვითონ ვერ მიიღებდა გადაწყვეტილებას საქმეზე, რადგან არსებობდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და სააპელაციო სასამართლოში საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძველები.

ამდენად, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ შპს „...ს“ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილებულიყო ნაწილობრივ, გაუქმებულიყო ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაბრუნებოდა იმავე სასამართლოს. სააპელაციო სასამართლოს, თავის მხრივ, საქმის ხელახლა განხილვისას, საკასაციო სასამართლოს მითითებების გათ-

ვალისწინებით, საქმეზე დასაბუთებული გადანყვეტილება უნდა მიეღოს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 1 მარტის გადანყვეტილებით სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 29 დეკემბრის გადანყვეტილება; სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ – შპს „...ს“ დაეკისრა 22 686.9 ლარი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს სასარგებლოდ.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, ვალდებულების ძალით კრედიტორი უფლებამოსილია მოსთხოვოს მოვალეს მოქმედების შესრულება. ამავე მუხლის მე-2 ნაწილით თავისი შინაარსისა და ხასიათის გათვალისწინებით ვალდებულება შეიძლება ყოველ მხარეს აკისრებდეს მეორე მხარის უფლებებისა და ქონებისადმი განსაკუთრებულ გულისხმიერებას. იმავე კოდექსის 317-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მონაწილეთა შორის ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენების (დელიქტის), უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებიდან.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში მხარეთა შორის ურთიერთვალდებულება წარმოიშვა სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების განვითარების შესახებ 2009 წლის 19 მაისიდან 2010 წლის 31 დეკემბრის პერიოდში დადებული ხელშეკრულებებიდან. ამასთან, სადავო არ იყო ის გარემოება, რომ შპს „...ს“ სახელმწიფო ბიუჯეტიდან თანხები გადაეცემოდა ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების განვითარების მიზნით. შესაბამისად, პროგრამის განმახორციელებლის მიერ ანაზღაურებას ექვემდებარებოდა მხოლოდ განუხლები (შესრულებული) სამედიცინო მომსახურების ღირებულება. მხარეებს შორის არ არსებობდა ხელშეკრულება იმ მომსახურების ღირებულების ანაზღაურების შესახებ, რასაც სამედიცინო დანებსებულება არ გასწევდა.

შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ შპს „...ს“ გააჩნდა ვალდებულება სახელმწიფო ბიუჯეტში დაებრუნებინა თანხები, რომლებიც მან მიიღო სახელმწიფოსაგან და რომლის შესაბამისი სამედიცინო მომსახურება არ ჩაუტარებია ან არაჯეროვნად ჩაატარა.

მოპასუხე კომპანიის პოზიცია, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 144-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე (ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ ვალდებული პირი უფლებამოსილია უარი თქვას მოქმედების შესრულებაზე) მას უფლება აქვს არ შეასრულოს ვალდებულება (რაც გაიზიარა ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ), სააპელაციო პალატამ სამართლებრივად უსწოროდ მიიჩნია შემდეგი დასაბუთებით:

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 385-ე მუხლის შესაბამისად, ის, რაც ვალდებულების გარეშეა გადახდილი, შეიძლება უსაფუძვლო გამდიდრების შესახებ წესების მიხედვით უკან იქნეს მოთხოვილი.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, №ას-225-215-2016 საქმეზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ განიმარტა, რომ „კონდიქციური ვალდებულების წარმოშობისათვის სახეზე უნდა იყოს ერთი პირის გამდიდრება მეორის ხარჯზე და ასეთი გამდიდრება მოკლებული უნდა იყოს სამართლებრივ საფუძველს, რომელიც ან თავიდანვე არ არსებობდა, ან შემდგომში მოიშალა. ამასთან, მნიშვნელობა არა აქვს იმ გარემოებას თუ, რის შედეგად დადგა უსაფუძვლო გამდიდრების ფაქტი – თავად დაზარალებულის მოქმედების, გამდიდრებულის მოქმედების, თუ მესამე პირთა მოქმედების შედეგად ან განხორციელდა იგი მათი ნების საწინააღმდეგოდ. ასევე, არ აქვს მნიშვნელობა ამ სამართალურთიერთობაში მონაწილე სუბიექტთა ბრალეულობას, კეთილსინდისიერებასა და მათ მიერ განხორციელებული მოქმედებების მართლზომიერებას, თუ მართლწინააღმდეგობას. კონდიქციური ვალდებულების არსებობის სამართლებრივი საფუძვლით, სარჩელის დასაკმაყოფილებლად მნიშვნელოვანია დადგინდეს მხოლოდ ობიექტური შედეგი, რაც გულისხმობს ერთი პირის მიერ მეორე პირის ხარჯზე რაიმე სამართლებრივი სიკეთის შექმნას (დაზოგვას) შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის არსებობის გარეშე. ასევე, აუცილებელია, რომ გამდიდრება მოხდეს სხვის ხარჯზე, რის შედეგადაც ერთი პირის ქონების გაზრდა ხდება მეორე პირის ქონების შესაბამისი შემცირების ხარჯზე. უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტის ნორმები აღჭურვილია დაცვითი ფუნქციით, უზრუნველყოფს რა არაუფლებამოსილი სუბიექტისაგან უსაფუძვლოდ მიღებული ქონების ამოღებას და მისი უფლებამოსილი პირისათვის გადაცემას. შედეგობრივი თვალსაზრისით, სამართლისათვის არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, თუ რა საშუალებით გამდიდრდა პირი – მიიღო, თუ დაზოგა ქონება. ფაქტი ერთია – ვითომ კრედიტორის ქონებრივ სფეროში აღმოჩნდა ქონება, რომელსაც იქ არსებობის სამართლებრივი საფუძველი არ გააჩნია და, აქედან გამომდინარე, ექ-

ვემდებარება უფლებამოსილი პირისათვის დაბრუნებას. უსაფუძვლო გამდიდრების მიზანი არის სამართლებრივი საფუძვლის გარეშე შექმნილი ქონების (რომელშიც უნდა ვიგულისხმოთ უფლების ან გარკვეული შეღავათის, უპირატესობის) ამოღება, რითაც უნდა უზრუნველყოფილი იქნეს სამართლიანობის აღდგენა ანუ იმ მდგომარეობის აღდგენა, რომელიც იარსებებდა არაუფლებამოსილი პირის მიერ დაზარალებულის ხარჯზე გარკვეული შეღავათის, უფლების, უპირატესობის მიღებამდე. შესაბამისად, შეცილების განხორციელების მომენტიდან, მოსარჩელის მიერ ნების გამოვლენა ითვლება ბათილად, რაც გულისხმობს იმ სამართლებრივი შედეგის გაუქმებას, რაც ამ გარიგებას მოჰყვა.“

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ სამოქალაქო კოდექსის 977-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, პირს, რომელიც მეორე პირს გადასცემს რაიმეს არა ვალდებულების შესასრულებლად, არამედ იმ მიზნით, რომ ამ უკანასკნელმა შეასრულოს ან არ შეასრულოს რაიმე მოქმედება, შეუძლია გადაცემულის გამოთხოვა, თუ მეორე პირის მოქმედება არ შეესაბამება მოსალოდნელ მიზანს. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ აღნიშნული ნორმა ადგენს შესრულების კონდიციციის ერთ-ერთ შემთხვევას – შესრულების დაბრუნებას მიზანთან შეუსაბამობის გამო. ამ ნორმის საფუძველზე, პირს შეუძლია უკან გამოითხოვოს ქონება, რომელიც სხვა პირს იმ ვარაუდით გადასცა, რომ ეს უკანასკნელი განსაზღვრულ მოქმედებას შეასრულებდა, ამასთან, 997-ე მუხლიდან გამომდინარე მოთხოვნა ცალმხრივ მიზანს ითვალისწინებს, რომელიც შესრულების მიმღებს მხედველობიდან არ უნდა გამოჰპარვოდა, ამდენად, ამ ნორმის საფუძველზე, სამედიცინო დაწესებულებისათვის იმთავითვე ცხადი უნდა ყოფილიყო, რომ სახელმწიფო ბიუჯეტი კონკრეტული ხარჯების გაცემას ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ბენეფიციარებისათვის განეული კონკრეტული სახის სამედიცინო მომსახურების ვარაუდით ახორციელებდა.

შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სარჩელის დაკმაყოფილების მიზნებისათვის დასაშვები იყო სსკ-ის 976-ე, 977-ე მუხლების გამოყენება, რომლებიც ამ საფუძველით მოთხოვნის ხანდაზმულობის 10-წლიან ვადას აწესებენ.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე უკუმოთხოვნას არ გააჩნია სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული სახელშეკრულებო, უძრავ ნივთებთან დაკავშირებული ან სხვა რაიმე სპეციალური ხანდაზმულობის ვადები. შესაბამისად, მათ მიმართ მოქმედებს ხანდაზმულობის 10-წლიანი ვადა, რაც მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელეს დაცული

აქვს, ამდენად, დაუსაბუთებელი იყო მოპასუხის არგუმენტი, რომ ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო მას უფლება ჰქონდა, არ შეესრულებინა ვალდებულება.

სააპელაციო სასამართლოს მიერ ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამების განხორციელების მარეგულირებელი ნორმატიული აქტების შინაარსის გათვალისწინებით, არ იქნა გაზიარებული რაიონული სასამართლოს დასაბუთება იმის თაობაზე, რომ სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლით დადგენილი სახელშეკრულებო მოთხოვნების ხანდაზმულობის სამწლიანი ვადის დენა, განსახილველ შემთხვევაში, 2012 წლის 13 აგვისტოდან (აქტის შედგენის მომენტიდან) უნდა ათვლილიყო.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საქმის მასალებით დადგენილი იყო, რომ სარევიზიო პერიოდს წარმოადგენდა 2009 წლის 1 ივნისიდან – 2012 წლის 1 მარტამდე პერიოდი. რევიზია მიმდინარეობდა 2012 წლის აგვისტოში (აქტი შედგა 13.08.2012 წელს).

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 15 თებერვლის №77 დადგენილებით დამტკიცდა 2011 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამები. დადგენილების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტით განიმარტა, რომ პროგრამების ადმინისტრირება (მართვა, ზედამხედველობა, ინსპექტირება და კონტროლი) ხორციელდება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მიერ დამტკიცებული წესისა და პირობების შესაბამისად. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ აღნიშნული ბრძანება ასევე შეიძლება ადგენდეს ამ დადგენილებით განსაზღვრული შესაბამისი პროგრამების განხორციელებისათვის საჭირო სხვა დამატებით პირობებს (მათ შორის, მოთხოვნებს, ნორმებს და ა.შ.) საქონლის ან მომსახურების მიმართ. 2011 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ადმინისტრირების წესი და პირობები დამტკიცებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 7 მარტის №01-1/6 ბრძანებით. აღნიშნული ბრძანების მე-2 პუნქტი განსაზღვრავს იმ ურთიერთობებს, რაზეც არ ვრცელდება ამ ბრძანების მოქმედება და მიუთითებს, რომ ჯანმრთელობის დაცვის იმ სახელმწიფო პროგრამების/მათი ღონისძიებების/მოცულობების განსაზღვრის შესახებ, რომელთა განხორციელება, სახელმწიფოს მიერ 2010 წელს ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად, უწყვეტად გაგრძელდება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში განსახორციელებელი 2011 წლის შესაბამისი სახელმწიფო პროგრამების დამტკიცებამდე ან/და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესრულებამ-



დე ან ვაუჩერის პირობების შესაბამისად, შესაბამისი მიმწოდებლების გამოვლენამდე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №442/ნ ბრძანებით გათვალისწინებულ ურთიერთობებზე.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №442/ნ ბრძანება ჩამოთვლის იმ სახელმწიფო პროგრამებს, მათი განხორციელების ღონისძიებებსა და მოცულობებს, რომლებიც უწყვეტად გაგრძელდა 2011 წლის 1 იანვრიდან 2011 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცებამდე და შესაბამისი მიმწოდებლების განსაზღვრამდე. ამდენად, 2011 წლის 7 მარტის №1-1/ნ ბრძანებით განსაზღვრული ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების განხორციელების პროცედურული ნორმები (პროგრამის ზედამხედველობის წესი, შემთხვევების შერჩევითი შემოწმების, დოკუმენტაციის ინსპექტირების, შესრულებული სამუშაოს ანაზღაურების ან მასზე უარის თქმის წესები) ამოქმედდა ბრძანების გამოქვეყნებისთანავე – 07.03.2011წ. სარევიზიო (შესამოწმებელი) პერიოდის დასრულების მომენტისათვის (01.03.2012წ) მოქმედებდა ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ადმინისტრირების წესი დამტკიცებული საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 07.03.2011წ №01-1/ნ ბრძანებით, ხოლო რევიზიის (შემოწმების) განხორციელების (2012 წლის აგვისტო) და აქტის შედგენის დროს (2012 წლის 13 აგვისტოს) ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, პროგრამის განმახორციელებლის მიერ სახელმწიფო პროგრამის ადმინისტრირების წესი, რაც მოიცავდა პროგრამის განხორციელებაზე ზედამხედველობას, შემთხვევების შერჩევით შემოწმებას, საანგარიშგებო დოკუმენტაციის ინსპექტირებას, რევიზიას და ა.შ. რეგულირდებოდა საქართველოს მთავრობის 2012 წლის 15 მარტის №92 დადგენილებით.

მსგავსად საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №442/ნ ბრძანებისა, რომელიც ითვალისწინებდა მოსახლეობის სახელმწიფო ჯანდაცვის პროგრამით უწყვეტად უზრუნველყოფას – 2011 წლის ახალი პროგრამის დამტკიცებამდე, საქართველოს მთავრობამ 2011 წლის 27 დეკემბერს გამოსცა №492 დადგენილება, რომლითაც გაითვალისწინა ის სახელმწიფო პროგრამები, მათი განხორციელების ღონისძიებები და მოცულობები, რომელთა განხორციელებაც სახელმწიფოს მიერ 2011 წლის ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად უწყვეტად გაგრძელდა 2012 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცებამდე, თუმცა საქართვე-

ლოს მთავრობის 2012 წლის 15 მარტის №92 დადგენილებით განსაზღვრული ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის განხორციელებაზე სახელმწიფო კონტროლის მექანიზმი (პროცედურული წესები), რომლის მეშვეობითაც პროგრამის განმახორციელებელი უზრუნველყოფდა სახელმწიფო პროგრამის ადმინისტრირებას (შემოწმება, ინსპექტირება, რევიზია და ა.შ.), ძალაში შევიდა დადგენილების ამოქმედებისთანავე – 2012 წლის 16 მარტს.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ რადგან შემოწმება ჩატარდა 2012 წლის აგვისტოში, კომისია უფლებამოსილი იყო გამოეყენებინა პროგრამის მიმწოდებლის საქმიანობაზე კონტროლის განხორციელების ის პროცედურული წესი, რაც შემოწმების პერიოდში მოქმედებდა.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს მთავრობის 2012 წლის 15 მარტის №92 დადგენილების მე-17 მუხლზე, რომელიც ითვალისწინებდა შესრულებული სამუშაოს რევიზიას, როგორც ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამის ადმინისტრირების საშუალებას. დადგენილების 17.1 – 17.3 მუხლით, ანაზღაურებული შემთხვევების დასრულებიდან 3 წლის განმავლობაში რეგულირების სააგენტოს მიერ ადგილზე წარმოებდა მიმწოდებლების მიერ განეული მომსახურების რევიზია წინასწარ დადგენილი გეგმა-გრაფიკის მიხედვით. რევიზია ითვალისწინებდა მიმწოდებელ დანესებულებაში სამედიცინო დოკუმენტაციის შემოწმებას. რეგულირების სააგენტოს სარევიზიო ჯგუფი მიმწოდებლისგან ითხოვდა საჭირო დოკუმენტაციას და ახორციელებდა მის დეტალურ შემოწმებას, ხოლო დაწესებულება ვალდებული იყო სარევიზიო ჯგუფის მოთხოვნისთანავე წარედგინა ყველა საჭირო დოკუმენტაცია. რევიზიის დასრულების შემდეგ დგებოდა აქტი, რომელსაც ხელს აწერდნენ სარევიზიო ჯგუფის წევრები და მიმწოდებელი მხარის პასუხისმგებელი პირები.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ აღმოჩენილი დარღვევების შემთხვევაში, აქტის საფუძველზე, მიმწოდებელს დაეკისრებოდა ანაზღაურებული თანხის სახელმწიფო ბიუჯეტში დაბრუნება ან/და დამატებითი ფინანსური ჯარიმის გადახდა. საქართველოს მთავრობის 2012 წლის 15 მარტის №92 დადგენილების 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით, მიმწოდებელს უნდა უზრუნველყოფდა ზედამხედველობის შედეგად დაკისრებული საჯარიმო სანქციების შესრულება აღიარებიდან არა უგვიანეს 60 კალენდარული დღისა. 2012 წლის 15 მარტის №92 დადგენილების 21-ე მუხლი ითვალისწინებდა ზედამხედველობის ნებისმიერ ეტაპზე გამოვლენილი დარღვევებისას გამოყენებულ სხვადასხვა ტიპის საჯარიმო სანქციებს. კერძოდ, 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“

და „გ“ ქვეპუნქტების თანახმად, ასეთ სანქციას წარმოადგენს უკვე ანაზღაურებული შემთხვევისას თანხის უკან დაბრუნება და დამატებითი ფინანსური ჯარიმა.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, ანაზღაურებული თანხის სრულად უკან დაბრუნების ერთ-ერთი საფუძველია სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული მომსახურების სრულად ჩატარებლობა. ამავე მუხლის მე-17 პუნქტის მიხედვით, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტით (დანესებულებამ ყოველი პროგრამის/კომპონენტის მიხედვით მომსახურების შესრულებისთვის დანახარჯთა დადასტურების მიზნით, ცალ-ცალკე უნდა აწარმოოს პროგრამით/კომპონენტით გახარჯული მედიკამენტების, სამედიცინო დანიშნულების საგნების, სადიაგნოსტიკო და სამკურნალო ღონისძიებების პროცედურების, მანიპულაციების, მათ შორის, საოპერაციო მასალის ჰისტომორფოლოგიური გამოკვლევების აღრიცხვა, ცალ-ცალკე საანგარიშო პერიოდში) და მე-17 მუხლის მე-2 პუნქტით (რევიზია ითვალისწინებს მიმნოდებელ დანესებულებაში სამედიცინო დოკუმენტაციის შემოწმებას. რეგულირების სააგენტოს სარევიზიო ჯგუფი მიმნოდებლისგან ითხოვს საჭირო დოკუმენტაციას და ახორციელებს მის დეტალურ შემოწმებას, ხოლო დანესებულება ვალდებულია სარევიზიო ჯგუფს მოთხოვნისთანავე წარუდგინოს ყველა საჭირო დოკუმენტაცია) განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში საჯარიმო სანქციის ოდენობა განისაზღვრება სარევიზიო პერიოდში პროგრამის/კომპონენტის ფარგლებში ანაზღაურებული თანხის 1%-ით.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ სანქციების სახით დარიცხული თანხები აღიარებულად ითვლებოდა მას შემდეგ, რაც გავიდა 2012 წლის 13 აგვისტოს აქტის გასაჩივრების კანონით დადგენილი ვადა. ამ მომენტიდან 60 დღეში სამედიცინო დანესებულებას ჰქონდა ვალდებულება გადაეხადა ბიუჯეტში დარიცხული თანხები, რაც მას არ შეუსრულებია, თუმცა ამ ვალდებულების 60-დღიან ვადაში შეუსრულებლობა არ ცვლიდა საქმის არსს და არ ათავისუფლებდა დანესებულებას თანხის ბიუჯეტში დაბრუნებისაგან. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სსიპ სოციალურ მომსახურების სააგენტოს მიერ 2015 წლის 13 ნოემბერს შეტანილი სარჩელი არ იყო ხანდაზმული და იგი უნდა დაკმაყოფილებულიყო.

სააპელაციო სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია, რომ რევიზია ჩატარებული იყო კანონის მოთხოვნათა დაცვით, თვით რევიზიის ჩატარების პროცესს მოპასუხე სამედიცინო დანესებულე-

ბა არ შედავებია, მას სადავოდ არ გაუხდია 2012 წლის 13 აგვისტოს აქტით დარიცხული თანხების ოდენობაც, თუმცა ვინაიდან სასამართლო სარჩელის დაკმაყოფილების საფუძვლად სამოქალაქო კოდექსის უსაფუძვლო გამდიდრების ნორმებს იყენებდა, სამედიცინო დაწესებულებას სახელმწიფო ბიუჯეტში მხოლოდ პროგრამის ფარგლებში შესასრულებელი მომსახურების ღირებულების 22 686.9 ლარის (სარჩელით მოთხოვნილ 23 180. 40 ლარს – 493. 50 ლარი 21 (ჯარიმის სახით დაკისრებული (158. 40 ლარს+335. 10 ლარი)) ოდენობით დაბრუნება უნდა დაკისრებოდა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 1 მარტის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში საკასაციო წესით გაასაჩივრა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ, რომელმაც გასაჩივრებულ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 1 მარტის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს „...მა“, რომელმაც გასაჩივრებულ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე სრულად უარის თქმა მოითხოვა.

კასატორის – სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიმართებით, სააპელაციო სასამართლომ მართალია გაითვალისწინა სააგენტოს სააპელაციო საჩივრის საფუძვლები და გადაწყვეტილებაში ასევე მიუთითა ხანდაზმულობის ვადის ათვისება და სარჩელის უფლებაში გაერთიანებული ორი უფლების – სარჩელის აღდგრისა და სარჩელის დაკმაყოფილების უფლებას შორის გამიჯვნის შესახებ საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკასა და რეკომენდაციებზე, თუმცა ვინაიდან ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან, მოთხოვნის წარმოშობის მომენტად კი ჩაითვლება დრო, როდესაც პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ, 2012 წლის 13 აგვისტოს აქტით საინსპექციო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტში აღსადგენი თანხების რაოდენობის დადგენა არ წარმოადგენს უფლების დარღვევის შეტყობინებას, რამდენადაც აქტში არ არის მსჯელობა მისი ანაზღაურების მექანიზმებზე, თუ სად, როდის და როგორ უნდა მომხდარიყო ვალდებულების შესრულება. შესაბამისად, კასატორი მიიჩნევს, რომ შეუძლებელია მსჯელობა ხანდაზმულობაზე, რადგანაც არ განხორციელებულა შეტყობინება უფლების დარღვევის შესახებ. იმის გათვალისწინებით, რომ სარჩელი შეტანილია 2015 წლის 13 ნოემბერს, დაცულია საქართველოს სამოქალაქო კოდექს-

სით განსაზღვრული ხანდაზმულობის ვადა, რომელიც ვრცელდება როგორც ძირითადი საჯარიმო სანქციის, ასევე, ჯარიმის მიმართაც, რაც უდავოდ გამომდინარეობს მარეგულირებელი კანონმდებლობიდან.

კასატორი – შპს „...“ აღნიშნავს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 13 ივლისის განჩინებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა შპს „...ის“ საკასაციო საჩივარი, გაუქმდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილება, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა საქმე და აღნიშნული განჩინებით დაევალა, საქმის ხელახალი განხილვისას ემსჯელა იმ საკითხზე, თუ როდიდან უნდა დაწყებულიყო მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა. იმის მაგივრად, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ემსჯელა ხანდაზმულობის ვადის ათვლის საკითხზე, გასაჩივრებული 2018 წლის 1 მარტის გადაწყვეტილებით ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე დაადგინა, რომ სახეზეა შპს „...ის“ უსაფუძვლო გამდიდრება, მასზე ვრცელდება 10-წლიანი ხანდაზმულობის ვადა და შესაბამისად, მოსარჩელის მიერ წარდგენილი სარჩელი არ არის ხანდაზმული. კასატორი მიიჩნევს, რომ სასამართლოს აღნიშნული განმარტება მოკლებულია ყოველგვარ სამართლებრივ საფუძველს. უდავოა, რომ მხარეთა შორის არსებობდა სახელშეკრულებო ურთიერთობა და დავაც სწორედ ადმინისტრაციული ხელშეკრულებიდან გამომდინარეობდა. არაერთი გადაწყვეტილებით არის განმარტებული, რომ უსაფუძვლო გამდიდრება სუბსიდიური ხასიათისაა, რაც იმას ნიშნავს, რომ მხარეთა შორის არ უნდა არსებობდეს სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების სახელშეკრულებო საფუძველი. მოცემულ შემთხვევაში, უსაფუძვლო გამდიდრების ფაქტის არსებობისას იგულისხმება, რომ პირმა ქონება მიიღო (შეიძინა) შესაბამისი იურიდიული საფუძვლის გარეშე, რის გამოც შენაძენი ექვემდებარება კიდევაც უფლებამოსილი პირისათვის დაბრუნებას. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლი არეგულირებს ისეთ შემთხვევებს როდესაც შემსრულებელი ახორციელებს ფაქტობრივად არარსებულ ვალდებულებას, რაც იწვევს პირვანდელი მდგომარეობის აღდგენას მითითებული ნორმის დანაწესიდან გამომდინარე. კასატორის განმარტებით, მოცემულ შემთხვევაში, უდავოა, რომ მხარეთა შორის არსებობდა სახელშეკრულებო ურთიერთობა და არ არსებობს უსაფუძვლო გამდიდრება, მით უფრო უსაფუძვლო გამდიდრების ნორმებისა და 10-წლიანი ხანდაზმულობის გამოყენების საფუძველი. აღნიშნულით, ფაქტობრივად, სააპელაციო სასამართლო გასცდა ადმინისტრაციული ხელშეკრულების ფარგლებს, უგულებელ-

ყო მხარეთა შორის გაფორმებული ადმინისტრაციული ხელშეკრულება, დაადგინა არარსებული კანონისმიერი ურთიერთობა (უსაფუძვლო გამდიდრება), რის გამოც იგი გასცდა თავის კომპეტენციას. ამასთან, უსაფუძვლო გამდიდრების ნორმებიდან დავა არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლიდან.

კასატორი აგრეთვე აღნიშნავს, რომ სასამართლო გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში უთითებს საქართველოს მთავრობის 2012 წლის 15 მარტის №92 დადგენილების გამოყენებაზე, რაც ყოველგვარ საფუძველსაა მოკლებული. კასატორის მითითებით, ამ შემთხვევაში, სასამართლოს უნდა გამოეყენებინა 2011 წლის №01-1/ნ ბრძანება, რაზეც საკასაციო სასამართლოს ერთხელ უკვე ჰქონდა ნამსჯელი. მოცემულ შემთხვევაში, დადგენილია, რომ შპს „...ის“ ვალდებულება თანხის დაბრუნებაზე წარმოიშვა სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულებების „ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების შესრულების, აღრიცხვის, ანგარიშსწორებისა და ანაზღაურების წესისა“ და „2011 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ადმინისტრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 7 მარტის №01-1/ნ ბრძანების პირობათა დარღვევის გამო. კასატორის პასუხისმგებლობა სწორედ აღნიშნული ბრძანების საფუძველზეა შესწავლილი და გამოვლენილი. ხელშეკრულების გაფორმების დროს მოქმედებდა 2011 წლის ბრძანება და მხარეთა უფლება-მოვალეობები, ისევე როგორც პასუხისმგებლობა, სწორედ აღნიშნული ბრძანების საფუძველზე განისაზღვრა. დარღვევები სწორედ იმ პერიოდშია ჩადენილი, როდესაც მოქმედებდა აღნიშნული ბრძანება და ჯერ არ იყო ამოქმედებული საქართველოს მთავრობის 2012 წლის №92 დადგენილება.

ამასთან, კასატორი მიიჩნევს, რომ კანონისათვის და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტისათვის უკუძალის მინიჭება ეწინააღმდეგება კონსტიტუციურ პრინციპს, რომლითაც დაუშვებელია აქტს უკუეფექტი მიეცეს, თუკი იგი აუარესებს პირის მდგომარეობას. საქართველოს უზენაესი სასამართლოს არაერთ გადაწყვეტილებაშია მითითებული, რომ კანონის შეფარდებისას სასამართლომ უნდა გამოეყენოს ფაქტობრივი გარემოებების ხდომილებისას არსებული კანონი და არა ის კანონი, რომელიც საკითხის გადაწყვეტისას მოქმედებს.

კასატორის განმარტებით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 13 ივლისის განჩინებით გაზიარებულ იქნა კასატორის არგუმენტაცია, რომ არ არსებობდა 2012 წლის 15 მარტის №92 დადგენილების გამოყენე-

ბის საფუძველი, თუმცა ყოველად უსაფუძვლოდ, სააპელაციო სასამართლომ 2018 წლის 1 მარტს მიღებულ გადაწყვეტილებაში მანინც აღნიშნული დადგენილება გამოიყენა და დაასკვნა, რომ სარჩელი არ იყო ხანდაზმული. კასატორი მიიჩნევს, რომ აღნიშნულით სააპელაციო სასამართლომ უგულებელყო როგორც კონსტიტუციური პრინციპი, რომლითაც კანონს არ შეიძლება მიენიჭოს უკუძალა, აგრეთვე საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 13 ივლისის განჩინება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 20 ივლისის განჩინებებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსა და შპს „...ის“ საკასაციო საჩივრები.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 4 ოქტომბრის განჩინებით სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსა და შპს „...ის“ საკასაციო საჩივრები მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მათი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრების საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო შპს „...ის“ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 1 მარტის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სსიპ სოციალური მომსახურების სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს ხანდაზმულობის გამო.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში არსებულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: შპს „...სა“ და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ სახელმწიფო საქვეყნებო დაწესებულებას – ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტოს შორის 2009-2010 წლებში სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გაფორმდა ხელშეკრულებები.

საქმეში დაცული საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს 2012 წლის 13 აგვისტოს აქ-

ტით ირკვევა, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს უფროსის 2012 წლის 27 ივლისის №02-364/მ ბრძანების საფუძველზე შექმნილმა კომისიამ, შპს „...ში“ ჩაატარა სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში, ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების ინსპექტირება. კომისია მუშაობდა 2012 წლის 21 აგვისტოს ჩათვლით. ინსპექტირების პერიოდმა მოიცვა 2009 წლის პირველი ივნისიდან 2012 წლის პირველი მარტამდე შეუსწავლელი პერიოდი, რა დროსაც შემოწმდა 2009 წლის 19 მაისის №2მ993836013/1, 2009 წლის 1 ოქტომბრის №2ბ293836013/1, 2010 წლის 20 აგვისტოს №2ბ203836013/1, 2010 წლის 31 დეკემბრის №2მ9038366013/1 და 2010 წლის 31 დეკემბრის №2ბ203836013/1 ხელშეკრულებების შესრულების საკითხი.

საქმეში წარმოდგენილი 2012 წლის 13 აგვისტოს აქტი ირკვევა, რომ შპს „...სა“ და ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტოს შორის 01.07.2009 – 01.03.2012 წლის სარევიზიო პერიოდში მოქმედებდა რამდენიმე ხელშეკრულება:

1. 2009 წლის 19 მაისის №2მ993836013/1 ხელშეკრულება – 2009 წლის სამედიცინო მომსახურების სხვა სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში, მოსახლეობის ურგენტული მომსახურების სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული სამედიცინო მომსახურების განხორციელების შესახებ 60 წლისა და მეტი ასაკის მოსახლეობის მიმართ;

2. 2009 წლის 1 ოქტომბრის №2ბ293836013/1 ხელშეკრულება – 2009 წლის სამედიცინო მომსახურების სხვა სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში ბავშვთა სამედიცინო მომსახურების სახელმწიფო პროგრამით 3 წლამდე ასაკის ბავშვთა სტაციონარული დახმარების კომპონენტით გათვალისწინებული სამედიცინო მომსახურების განხორციელება;

3. 2010 წლის 20 აგვისტოს №2ბ203836013/1 ხელშეკრულება – 2010 წლის სამედიცინო მომსახურების სხვა სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში ბავშვთა სამედიცინო მომსახურების სახელმწიფო პროგრამით 3 წლამდე ასაკის ბავშვთა სტაციონარული დახმარების კომპონენტით გათვალისწინებული სამედიცინო მომსახურების განხორციელება;

4. 2010 წლის 31 დეკემბრის №2მ903836013/1 ხელშეკრულება – სახელმწიფოს მიერ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით 2010 წლის სამედიცინო მომსახურების სხვა სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში მოსახლეობის ურგენტული მომსახურების სხვა სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში შემსყიდველსა და მიმწოდებელს შო-



რის გაფორმებული ხელშეკრულების გაგრძელება 2011 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცებამდე;

5. 2010 წლის 31 დეკემბრის №28203836013/1 ხელშეკრულება – სახელმწიფოს მიერ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით 2010 წლის სამედიცინო მომსახურების სხვა სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში ბავშვთა სამედიცინო მომსახურების სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის გაფორმებული ხელშეკრულების გაგრძელება 2011 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცებამდე. 2007-2012 წლებში სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის პროგრამები გარკვეული მიმართულებებით გრძელდებოდა უწყვეტად მომავალი (ახალი) წლის შესაბამისი სახელმწიფო პროგრამების დამტკიცებამდე ან/და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესრულებამდე ან/და ვაუჩერის პირობების შესაბამისად მიმწოდებლის გამოვლენამდე.

შემომების აქტით ირკვევა, რომ ბავშვთა სტაციონარული დახმარების კომპონენტში 2009 წლის 1 ივნისიდან 2012 წლის 1 მარტის ჩათვლით პროგრამის ფარგლებში სამედიცინო მომსახურებისათვის დაწესებულებას (შპს „...ს“) სააგენტოსგან მოთხოვნილი ჰქონდა 132 751.70 ლარი, ხოლო მიღებული – 129 643.30 ლარი; 2009 წლის 1 ივნისიდან 2011 წლის 1 აპრილამდე საინსპექციო პერიოდში მოთხოვნილი და მიღებულია – 79 636.30 ლარი, ხოლო 2011 წლის 1 აპრილიდან 2012 წლის 1 მარტის ჩათვლით საინსპექციო პერიოდში მოთხოვნილია – 53 115.40 ლარი, ხოლო მიღებულია 50 007.00 ლარი. მოსახლეობის ურგენტული მომსახურების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში 01.06.2009-01.03.2012 წწ საინსპექციო პერიოდში მოსახლეობის ურგენტული მომსახურების სახელმწიფო პროგრამის მიხედვით სამედიცინო მომსახურებისთვის დაწესებულებას (შპს „...ს“) მოთხოვნილი აქვს – 76 267 ლარი, ხოლო მიღებული აქვს – 76 013 ლარი, მათ შორის 01.06.2009-01.04.2011წწ საინსპექციო პერიოდში – მოთხოვნილი და მიღებულია – 61 532 ლარი, ხოლო 01.04.2011-01.03.2012 წწ საინსპექციო პერიოდში მოთხოვნილია – 14 735 ლარი, მიღებულია 14 481.00 ლარი.

საქმის მასალებით ირკვევა, რომ გამოვლინდა შემდეგი დარღვევა-ნაკლოვანებები:

1. მოსახლეობის ურგენტული მომსახურების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში:

1. 2 შემთხვევაში არ ჩატარებულა საოპერაციო მასალის ჰისტომორფოლოგიური კვლევა. კერძოდ „სტაციონარული პაციენტის სამედიცინო ბარათები 2009 წელს – N405 (ღირებულება – 784.50

ლარი) და 2010 წელს – №122 (ღირებულება – 784.50 ლარი). აღნიშნულ შემთხვევებზე სააგენტოსაგან მიღებულია სულ – 1 569 ლარი, შესაბამისად დაწესებულების მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში აღსადგენმა თანხამ შეადგინა -1569 ლარი.

2. 19 შემთხვევაში არ ჩატარებულა ოპერაცია. პაციენტებს ჩატარებული აქვთ კონსერვატიული მკურნალობა, ხოლო სააგენტოდან დაწესებულებას მიღებული აქვს – „III სირთულის ოპერაციების“ შესაბამისად, თითოეულ შემთხვევაზე 784.50 ლარი, სულ – 14 905.50 ლარი. კერძოდ: ა) 2009 წელს „სტაციონარული პაციენტის სამედიცინო ბარათები“ – №241; №298; №335; №359; №422; №467; ბ) 2010 წელს „სტაციონარული პაციენტის სამედიცინო ბარათები“ – №45; №72; №138; №139; №177; №154; №222; №235; №279; №269; №304; გ) 2011 წლის მარტი „სტაციონარული პაციენტის სამედიცინო ბარათი“ – №203; „ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების შესრულების, აღრიცხვის, ანგარიშგებისა და ანაზღაურების წესის“ ზოგადი ნაწილის პირობის მიხედვით – „სააგენტოს მიერ არ დაფინანსდება შემთხვევები თუ გათვალისწინებული ოპერაციული მკურნალობა არ ჩატარებულა“. შესაბამისად, აღნიშნული დარღვევების გამო დაწესებულების მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში აღსადგენი თანხა შეადგენს – 14 905.50 ლარს.

3. 3 შემთხვევაში (2011 წლის „სტაციონარული პაციენტის სამედიცინო ბარათები“ – №455/43; №655, №668) ანგარიშში წარმოდგენილი დიაგნოზი არ შეესაბამება პაციენტის რეალურ მდგომარეობას. კერძოდ, პაციენტებს, რომელთაც ჩაუტარდათ კონსერვატიული მკურნალობა დიაგნოზით – „მწვავე ქოლეცისტიტი“ (არ არის გათვალისწინებული სახელმწიფო პროგრამით), პაციენტზე განეული სამედიცინო მომსახურების ღირებულება მოთხოვნილია კოდით ჯ85 „მწვავე პანკრეატიტი“. აღნიშნულ შემთხვევებზე დაწესებულებას სააგენტოსაგან მიღებული აქვს 2 353.50 ლარი. „2011 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ადმინისტრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 7 მარტის №01-1/ნ ბრძანების მე-14 მუხლის მე-3 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის მიხედვით, დაწესებულების მხრიდან ბიუჯეტში აღსადგენი თანხა შეადგენს 2 353.50 ლარს.

4. ერთ შემთხვევაში (2011 წლის „სტაციონარული პაციენტის სამედიცინო ბარათი“ №649), შემთხვევა არ წარმოადგენს პროგრამით გათვალისწინებულ მომსახურებას. კერძოდ, პაციენტს დიაგნოზით „თორმეტგოჯა ნაწლავის წყლული“ ჩატარებული აქვს კონსერვატიული მკურნალობა, ხოლო სახელმწიფო პროგრამა ითვალისწინებს მკურნალობას მხოლოდ დიაგნოზის დროს – „თორ-

მეტგოჯა ნანლავის წყლული, გართულებული, დეკომპენსირებული, პილოროსტენოზით“ (III სირთულის ოპერაციები K26). „2011 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ადმინისტრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 7 მარტის №01-1/6 ბრძანების მე-14 მუხლის მე-3 პუნქტის „გ.ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, დაწესებულების მხრიდან ბიუჯეტში აღსადგენი თანხა შეადგენს სააგენტოს მიერ ანაზღაურებულ თანხას – 784.50 ლარს.

5. 11 შემთხვევაში დარღვეულია სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების წესი, კერძოდ: „სტაციონარული პაციენტის სამედიცინო ბარათი“ №392/212; №535; №548; №38/3; №407/49; №448/57; №473/60; №412/51; №514/67; №45/50 და №56/6. აღნიშნულ შემთხვევებზე დაწესებულებისათვის სააგენტოს მიერ, პროგრამის ფარგლებში ანაზღაურებული თანხა შეადგენს სულ 3 351 ლარს. „2011 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ადმინისტრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 7 მარტის №01-1/6 ბრძანების მე-14 მუხლის მე-9 პუნქტის მიხედვით, დაწესებულების მხრიდან ბიუჯეტში აღსადგენი თანხა შეადგენს სააგენტოს მიერ ანაზღაურებული თანხის (3 351 ლარი) 10%-ს – 335.10 ლარს.

ამდენად, შემომნების აქტის გათვალისწინებით, სულ მოსახლეობის ურგენტული მომსახურების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო, დაწესებულების მხრიდან ბიუჯეტში აღსადგენი თანხა შეადგენს – 19 947.60 ლარს.

II. ბავშვთა სამედიცინო მომსახურების სახელმწიფო პროგრამების, ბავშვთა სტაციონარული დახმარების კომპონენტში:

1. „ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების შესრულების, აღრიცხვის, ანგარიშგებისა და ანაზღაურების წესის“ ზოგადი ნაწილის პირობის მიხედვით – „სააგენტოს მიერ არ დაფინანსდება შემთხვევები თუ ბენეფიციარი სტაციონარიდან განერის შემდეგ, ერთი თვის განმავლობაში იგივე დიაგნოზით მოთავსდა იმავე სამედიცინო დაწესებულებაში“. აღნიშნული დაფიქსირდა 2010 წელს 3 „სტაციონარული პაციენტის სამედიცინო ბარათში №134; 502; 508). სააგენტოსაგან ამ პაციენტებზე განეული სამედიცინო მომსახურებისათვის დაწესებულებას მიღებული აქვს 1 095.20 ლარი.

2. ერთ შემთხვევაში (2010 წელი – „სტაციონარული პაციენტის სამედიცინო ბარათი“ №331/216; ს. გ.) პაციენტი აღმოჩნდა 3 წლის ზევით. ამ პაციენტზე განეული სამედიცინო მომსახურებისათვის

დანესებულებას მიღებული აქვს 131.20 ლარი.

3. 15 შემთხვევაში (2009 წელს „სტაციონარული პაციენტის სამედიცინო ბარათები“ №256/161; №261/164; №261/165; №263/166; №279/178; №280/179; №281/180; №264/167; №299/189 და 2010 წელს №424; №429; №438; №446; №458; №459) დანესებულებას სააგენტოსაგან მოთხოვნილი და მიღებული აქვს ნოზოლოგიური კოდის მთლიანი ღირებულება – 164 ლარი, ნაცვლად 131.20 ლარისა, შესაბამისად, დანესებულებამ ზედმეტად მიიღო – 492 (15632.80) ლარი.

4. 3 შემთხვევაში (დიაგნოზი – პნევმონია; 2011 წელს „სტაციონარული პაციენტის სამედიცინო ბარათები“ №493/371; №561/422; №622/469) დიაგნოზი იქნა დამძიმებული. აღნიშნულ პაციენტზე განეული სამედიცინო მომსახურებისათვის დანესებულებას ანაზღაურებული აქვს 1 392 ლარი.

5. 7 შემთხვევაში დარღვეულია სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების წესი, კერძოდ „სტაციონარული პაციენტის სამედიცინო ბარათები“ №377; №432; №409; №459; №453; №496 და №629. აღნიშნულ შემთხვევებზე დანესებულებისათვის სააგენტოს მიერ, პროგრამის ფარგლებში ანაზღაურებული თანხა შეადგენს სულ 1 584 ლარს. „2011 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ადმინისტრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 7 მარტის №01-1/6 ბრძანების მე-14 მუხლის მე-9 პუნქტის მიხედვით, დანესებულების მხრიდან ბიუჯეტში აღსადგენი თანხა შეადგენს სააგენტოს მიერ ანაზღაურებული თანხის (1584 ლარი) 10%-ს – 158.40 ლარს.

შესაბამისად, სულ, ბავშვთა სამედიცინო მომსახურების სახელმწიფო პროგრამის, ბავშვთა სტაციონარული დახმარების კომპონენტის ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულების პირობების „ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების შესრულების, აღრიცხვის, ანგარიშგებისა და ანაზღაურების წესისა“ და „2011 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ადმინისტრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 7 მარტის №01-1/6 ბრძანების მე-14 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, დანესებულების მხრიდან ბიუჯეტში აღსადგენი თანხა შეადგენს 3 232.80 ლარს.

საბოლოოდ, 2012 წლის 13 აგვისტოს აქტით, შპს „...ის“ მიერ 2008 წლის 1 სექტემბრიდან 2012 წლის 1 მარტამდე პერიოდში სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულებებისა და ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების შესრულებ

ბის, აღრიცხვის, ანგარიშგების და ანაზღაურების წესის დარღვევის გამო, სახელმწიფო ბიუჯეტში აღსადგენმა თანხამ შეადგინა – 23 180.40 ლარი.

ამასთან, დადგენილია, რომ აქტს ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე, წევრი, ასევე შპს „...ის“ დირექტორი ს. ფ-ა, რომელიც ხელმოწერით ადასტურებს, რომ ჩაიბარა აქტის ერთი ეგზემპლარი. რევიზიის ჩატარების ფაქტი, ასევე მისი შედეგების ამსახველი 2012 წლის 13 აგვისტოს სადავო არ გამხდარა, სახელმწიფო ბიუჯეტში აღსადგენი თანხების ოდენობას ეთანხმება შპს „...ის“ დირექტორი, თუმცა მიიჩნევს, რომ მოთხოვნის ხანდაზმულობის გამო სამედიცინო დაწესებულებას უფლება აქვს არ შეასრულოს სახელმწიფო ბიუჯეტისადმი აქტით განსაზღვრული ვალდებულება.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს უფროსის 2012 წლის 27 ივლისის ბრძანების საფუძველზე, სარევიზიო ჯგუფის (კომისიის) მიერ შემოწმდა 2009 წლის 1 სექტემბრიდან 2012 წლის 1 მარტამდე პერიოდში შპს „...ის“ მიერ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულებების შესაბამისად განხორციელებული საქმიანობა, რომლის შედეგადაც 2012 წლის 13 აგვისტოს აქტით გამოვლინდა სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულებების, „ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების შესრულების, აღრიცხვის, ანგარიშსწორებისა და ანაზღაურების წესის“ და „2011 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ადმინისტრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 7 მარტის №01-1/6 ბრძანების პირობების დარღვევა და რის გამოც სახელმწიფო ბიუჯეტში აღსადგენმა თანხამ შეადგინა 23 180,40 ლარი. აქტი ხელმოწერილია მხარეების მიერ და აქტის შედგენის დღესვე ერთი ეგზემპლარი ჩაჰბარდა საავადმყოფოს დირექტორს.

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ 2013 წლის 8 იანვარს მომზადებული იყო №04/462 წერილი მასზედ, რომ მოპასუხეს ერთი თვის ვადაში შესაბამის ანგარიშზე ჩარიცხვით უნდა დაებრუნებინა სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს ინსპექტირების (სარევიზიო) ჯგუფის მიერ გამოვლენილი დარღვევების გამო ზედმეტად მოთხოვნილი თანხა – 23 180,40 ლარის ოდენობით. აღნიშნული წერილის მოპასუხისათვის გაგზავნა და ჩაბარება საქმის მასალებით არ დასტურდება.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვე-

ვაში, შპს „...ის“ ვალდებულება თანხის დაბრუნების თაობაზე წარმოიშვა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 7 მარტის №01-1/6 ბრძანების პირობების დარღვევის გამო. სააპელაციო სასამართლომ კი დავის გადაწყვეტისას მიუთითა „2012 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 15 მარტის №92 დადგენილებაზე, მაგრამ გადანყვეტილებაში არ არის დასაბუთება და მსჯელობა იმ გარემოებებზე, თუ რამ განაპირობა მითითებული დადგენილების გამოყენება იმ პირობებში, როცა გამოვლენილი დარღვევების ჩადენას ადგილი ჰქონდა ამ დადგენილების ამოქმედებამდე.

საკასაციო სასამართლო, უპირველესად, აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული ორგანო საჯარო მმართველობით ღონისძიებებს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი საქმიანობის სამართლებრივი ფორმების გამოყენების გზით ახორციელებს. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია, კონკრეტული სამართალურთიერთობა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის, ქმედების (რეალაქტის) განხორციელების ან ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების გზით მოაწესრიგოს. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საჯარო-სამართლებრივი, კერძოდ კი, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობებიდან წარმოშობილი დავების მართებულად გადანყვეტისათვის არსებით მნიშვნელობას იძენს, ზუსტად და ცალსახად განისაზღვროს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კონკრეტული სამართალურთიერთობის მოწესრიგებისათვის გამოყენებული საქმიანობის სამართლებრივი ფორმა და მისი ხასიათი, რამდენადაც დავის განხილვისას სასამართლოს მიერ სწორედ აღნიშნული საკითხის სხვა გარემოებებთან ერთობლიობაში მართებული განსაზღვრით დგინდება სასამართლო კონტროლის ის არეალი, რომლის ფარგლებშიც სასამართლო უფლებამოსილია, შეამოწმოს ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის კანონიერება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტებზე, რომლის თანახმად, ადმინისტრაციული ხელშეკრულება არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით ფიზიკურ ან იურიდიულ პირთან, აგრეთვე სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან დადებული სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულება.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ადმინისტრაციული ხელშეკრულება ადმინისტრაციული წარ-

მოების პროდუქტს წარმოადგენს და საქმიანობის აღნიშნულ სამართლებრივ ფორმას შედეგობრივად კონკრეტული პირისა თუ პირთა შეზღუდული წრის უფლება-მოვალეობების მომწესრიგებელი ფუნქცია გააჩნია, განსხვავებით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტისაგან, რომელიც ცალმხრივი ნების გამოვლენის შედეგს წარმოადგენს, ადმინისტრაციული ხელშეკრულება მხარეთა ნების თავისუფლებასა და კერძო ავტონომიის პრინციპს ეფუძნება, ამდენად, საქმიანობის აღნიშნული სამართლებრივი ფორმით მოწესრიგება დამოკიდებულია არა მხოლოდ ადმინისტრაციული ორგანოს, არამედ, აგრეთვე, ხელშეკრულების მეორე მხარის ნების გამოვლენაზეც.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, შესაძლებელია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობა, შეცვლა ან შეწყვეტა ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების გზით. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია კონკრეტული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობა, რომლის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის გზით მოწესრიგების უფლებამოსილება მას კანონით აქვს მინიჭებული, მოაწესრიგოს ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების გზით. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად კი, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას გამოიყენება ამ კოდექსის ნორმები და საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნები ხელშეკრულებათა შესახებ.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 50-ე მუხლის თანახმად, გარიგება არის ცალმხრივი, ორმხრივი ან მრავალმხრივი ნების გამოვლენა, რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ.

საკასაციო სასამართლო ზემოხსენებული სამართლებრივი საფუძვლების გათვალისწინებით განმარტავს, რომ ნების გამოვლენა ნებისმიერი სახის გარიგების და, მათ შორის, ადმინისტრაციული გარიგების ფუნდამენტია. განსხვავებით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისაგან, რა დროსაც ცალმხრივი ნება ადმინისტრაციული ორგანოს კანონისმიერი ვალდებულების შესრულებას უკავშირდება, ადმინისტრაციულ ხელშეკრულებაში ნების ორმხრივი გამოვლენა უშუალოდ გარიგების დადების სურვილიდან გამომდინარეობს. ამასთან, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ადმინისტრაციული ხელ-

შეკრულება სამოქალაქო ხელშეკრულებასთან არის გაიგივებული, კერძოდ, ადმინისტრაციულ ხელშეკრულებასა და სამოქალაქო ხელშეკრულებას შორის მიუხედავად არსებითი შინაარსობრივი სხვაობისა, ისინი ერთმანეთს იმ ზოგად ასპექტებში ემსგავსებიან, რომლებიც საერთოა და დამახასიათებელია ნებისმიერი სახელშეკრულებო ურთიერთობისათვის. ადმინისტრაციული გარიგებაც, მსგავსად სამოქალაქო გარიგებისა, კერძო ავტონომიასა და ხელშეკრულების თავისუფლებაზე დაფუძნებული სამართლებრივი ურთიერთობაა, რომლის ფარგლებშიც მხარეები ხელშეკრულების არსებითი პირობების საკუთარი ინიციატივით განსაზღვრის თავისუფლებით არიან აღჭურვილნი.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლის პირველ და მე-2 ნაწილებზე, რომელთა თანახმად, ხელშეკრულება დადებულად ითვლება, თუ მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდნენ საამისოდ გათვალისწინებული ფორმით. არსებითად ჩაითვლება ხელშეკრულების ის პირობები, რომლებზედაც ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით მიღწეულ უნდა იქნეს შეთანხმება, ანდა რომლებიც ასეთად მიჩნეულია კანონის მიერ.

მითითებულ ნორმაზე დაყრდნობით, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ხელშეკრულების დადების მიმართ გამოხატული ორმხრივი ნება არ გულისხმობს სახელშეკრულებო ურთიერთობის წარმოშობასთან დაკავშირებულ მხარეთა მხოლოდ ფორმალურ სურვილს. ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისათვის აუცილებელია, არსებობდეს მხარეთა ორი ურთიერთმფარავი თანხმედრი ნების გამოვლენა აღნიშნული ხელშეკრულების ყველა არსებით პირობაზე, ხოლო ხსენებული პირობების განსაზღვრა და მათზე შეთანხმება ყოველგვარი მავალდებულებელი თუ მაიძულებელი გარემოებების არსებობის გარეშე, მხარეთა ნების თავისუფალი გამოხატვით უნდა განხორციელდეს.

საკასაციო სასამართლო ხაზგასმით მიუთითებს, რომ განსახილველი დავის გადაწყვეტისათვის პრინციპულ მნიშვნელობას იძენს დადგენა იმისა, თუ რომელი სამართლებრივი საფუძველი უნდა ყოფილიყო გამოყენებული სახელმწიფო პროგრამაში მონაწილე სუბიექტების შემონგებისას და შემდგომში სასამართლოს მიერ სარჩელის ხანდაზმულობის საკითხის შეფასებისას რომელი ნორმატიული აქტის საფუძველზე უნდა განხორციელებულიყო საჯარიმო სანქციებით დაკისრებული თანხების ანაზღაურებისათვის გათვალისწინებული ვადების დადგენა.

აღნიშნულთან მიმართებით, საკასაციო სასამართლო კიდევ ერთხელ ამახვილებს ყურადღებას იმ გარემოებაზე, რომ შპს „...ის“



ვალდებულება თანხის დაბრუნების თაობაზე წარმოიშვა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 7 მარტის №01-1/6 ბრძანების პირობების დარღვევის გამო. მიუხედავად საკასაციო სასამართლოს მითითებებისა, სააპელაციო სასამართლომ სადავო საკითხზე ხელახალი მსჯელობისას კვლავ „2012 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 15 მარტის №92 დადგენილებაზე მიუთითა და აღნიშნა, რომ რადგანაც შემოწმება 2012 წლის აგვისტოში ჩატარდა, კომისია უფლებამოსილი იყო გამოეყენებინა პროგრამის მიმწოდებლის საქმიანობაზე კონტროლის განხორციელების ის პროცედურული წესი, რაც შემოწმების პერიოდში მოქმედებდა.

აღნიშნულის საპირისპიროდ, საკასაციო სასამართლო კიდევ ერთხელ მიუთითებს „2012 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 15 მარტის №92 დადგენილების მე-3 მუხლზე, სადაც აღნიშნულია, რომ ამ დადგენილებით დამტკიცებულ ღონისძიებათა ფარგლებში ვაუჩერის პირობებით ან „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით, შესაბამისი მიმწოდებლების გამოვლენამდე (ხოლო შესყიდვითი საქონლის მარაგის არარსებობის შემთხვევაში – საქონლის მიწოდებამდე) ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამები გაგრძელდეს „იმ სახელმწიფო პროგრამების/მათი ღონისძიებების/მოცულობების განსაზღვრის შესახებ, რომელთა განხორციელებაც სახელმწიფოს მიერ 2011 წელს ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად უწყვეტად გაგრძელდება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში განსახორციელებელი 2012 წლის შესაბამისი სახელმწიფო პროგრამების დამტკიცებამდე ან/და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესრულებამდე, ან ვაუჩერის პირობების შესაბამისად, შესაბამისი მიმწოდებლების გამოვლენამდე“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 27 დეკემბრის №492 დადგენილების შესაბამისად, მაგრამ არა უგვიანეს 2012 წლის 1 სექტემბრისა...“. ამასთან, საქართველოს მთავრობის 2011 წლის 27 დეკემბრის №492 დადგენილების მე-10 პუნქტში აღნიშნულია, რომ თუ ამ დადგენილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ადმინისტრირება გაგრძელდეს „2011 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ადმინისტრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 7 მარტის №01-1/6 ბრძანების

შესაბამისად.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტისა (ამჟამად მოქმედი კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-9 პუნქტი) და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-6 მუხლის შესაბამისად, კანონებსა და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს არა აქვთ უკუქცევითი ძალა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს პირდაპირ არის კანონით გათვალისწინებული, კანონს არ შეიძლება მიეცეს უკუქცევითი ძალა, თუ იგი ზიანის მომტანია, ან აუარესებს პირის მდგომარეობას. ნორმა, რომლისთვისაც კანონმდებელს უკუძალა არ მიუნიჭებია, ვრცელდება იმ სამართალურთიერთობაზე, რომელიც ამ კანონის ამოქმედების შემდეგ წარმოიშვა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საერთო წესის თანახმად, კანონის მოქმედების ძალა შემოფარგლულია კანონის გამოქვეყნებისა და გაუქმების პერიოდით. აღნიშნულიდან გამომდინარე, იგი არ გამოიყენება: 1) იმ ფაქტების მიმართ, რომელიც განხორციელდა მის გამოცემამდე და 2) იმ ფაქტების მიმართ, რომელიც დადგა მისი მოქმედების შეწყვეტის შემდეგ; ორივე შემთხვევა წარმოადგენს უმაღლესი იურიდიული პრინციპის ორ მხარეს: განსახილველ ფაქტებთან დაკავშირებით სასამართლო გამოიყენებს იმ კანონს, რომლის მოქმედების პირობებში ამ ფაქტებს ჰქონდა ადგილი.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს მიერ შპს „...ის“ ინსპექტირება მოიცავდა 2009 წლის 1 ივლისიდან 2012 წლის 1 მარტამდე პერიოდს, რა დროსაც დადგინდა, რომ შპს „...ი“ ვალდებული იყო სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადაეხადა 23 180,40 ლარი. ამდენად, გამოვლენილი დარღვევების ჩადენას ადგილი ჰქონდა იმ პერიოდში, როდესაც ჯერ კიდევ არ იყო ამოქმედებული „2012 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 15 მარტის №92 დადგენილება.

საკასაციო სასამართლო აღნიშნულთან დაკავშირებით იზიარებს კასატორის მოსაზრებას და განმარტავს, რომ კანონის უკუძალის მინიჭება ეწინააღმდეგება კონსტიტუციურ პრინციპს, რომლითაც დაუშვებელია აქტს უკუქცევითი ძალა მიენიჭოს, თუკი იგი აუარესებს პირის მდგომარეობას. საქართველოს უზენაეს სასამართლოს არაერთ გადაწყვეტილებაში აქვს განმარტებული, რომ კანონის შეფარდებისას სასამართლო იყენებს ფაქტობრივი გარემოებების ხდომილებისას არსებულ და არა საკითხის გადაწყვეტისას მოქმედ კანონს (საქმე №ბს-1013-599(კ-05); საქმე №ბს-672-658(კ-

12); საქმე №ბს-618-606(კ-12); საქმე №ბს-849-831(კ-12); საქმე №ბს-57-52(კ-13)). ამასთან, საკასაციო სასამართლო მიუთითებს „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლზე, რომლის მიხედვითაც ნორმატიულ აქტს უკუძალა აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს პირდაპირ არის დადგენილი ამ ნორმატიული აქტით, ხოლო ნორმატიულ აქტს, რომელიც ადგენს ან ამძიმებს პასუხისმგებლობას, უკუძალა არა აქვს.

ამდენად, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს შეფასებას კომისიის მიერ პროგრამის მიმნოდებლის საქმიანობაზე კონტროლის მიზნით „2012 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 15 მარტის №92 დადგენილების გამოყენების მართლზომიერებასთან დაკავშირებით და განმარტავს, რომ შპს „...ის“ საქმიანობა შემონმებულია და შესაბამისი დარღვევები გამოვლენილია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 7 მარტის №01-1/6 ბრძანების საფუძველზე. აღნიშნული ბრძანების მოქმედების პერიოდში სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში არსებული, პროგრამის მიმნოდებლის მიერ ნაკისრი უფლება-მოვალეობებიც სწორედ ზემოხსენებული ბრძანებით იქნა განსაზღვრული. კერძოდ, „2011 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ადმინისტრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 7 მარტის №01-1/6 ბრძანების მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, მიმნოდებელი ვალდებული უზრუნველყოს ზედამხედველობის შედეგად დაკისრებული საჯარიმო სანქციების შესრულება აღიარებიდან არა უგვიანეს 30 კალენდარული დღისა. ამასთან, დარღვევებიც სწორედ „2011 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ადმინისტრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 7 მარტის №01-1/6 ბრძანების მოქმედების პერიოდში იქნა ჩადენილი. ყოველივე ზემოაღნიშნული კი მიუთითებს იმაზე, რომ კომისიის შპს „...ის“ შემონმებისას და შემდგომში სასამართლოს მიერ სადავო საკითხის გადანყვეტისას გამოყენებული უნდა ყოფილიყო სწორედ „2011 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ადმინისტრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 7 მარტის №01-1/6 ბრძანება.

ამასთან, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო

სასამართლოს მიერ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 15 მარტის №92 დადგენილების გამოყენებას იმაზე მითითებით, რომ შემონიშნებისას უნდა გამოყენებულიყო ის პროცედურული წესი, რაც შემონიშნების პერიოდში მოქმედებდა, რამდენადაც, საჯარიმო სანქციების შესრულებისათვის კონკრეტული ვადის დამდგენი ნორმა წარმოადგენს პროგრამის განხორციელების შემადგენელ შინაარსობრივ დანაწესს, კერძოდ, პროგრამის მიმნოდებლის მხრიდან სახელმწიფო პროგრამაში მონაწილეობის შედეგად ნაკისრ ვალდებულებას და არა იმ პროცედურულ დათქმას, რომლის დაცვით და გამოყენებითაც უნდა ჩატარებულიყო პროგრამის მიმნოდებელი სუბიექტის შემონიშნება.

საკასაციო სასამართლო, ასევე, მიუთითებს სარჩელის ხანდაზმულობის საკითხზე და განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრულია სასარჩელო ხანდაზმულობის საერთო ვადები. სასარჩელო ხანდაზმულობაში იგულისხმება დრო, რომლის განმავლობაშიც პირს, ვისი უფლებაც დარღვეულია, შეუძლია მოითხოვოს თავისი უფლებების იძულებით განხორციელება ან დაცვა. ხანდაზმულობა არის დარღვეული უფლების იძულებითი დაცვის ვადა და იგი უშუალოდ უკავშირდება სარჩელის უფლებას. სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის გასვლა გავლენას ახდენს მოთხოვნის ანუ სარჩელის დაკმაყოფილების საფუძვლიანობაზე.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სხვა პირისაგან რაიმე მოქმედების შესრულების ან მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნის უფლებაზე ვრცელდება ხანდაზმულობა. ამავე კოდექსის 129-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სახელშეკრულებო მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა შეადგენს სამ წელს. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ მოთხოვნა ხანდაზმულია, მიუხედავად იმისა, პირმა იცოდა თუ არა თავისი უფლების დარღვევის შესახებ. ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა ასრულებს სადავო სამართლებრივ ურთიერთობას და გამორიცხავს სადავო სამართალურთიერთობიდან გამომდინარე მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობას, წინააღმდეგ შემთხვევაში მოთხოვნის დაკმაყოფილება გამოიწვევს სხვათა უფლების შელახვას.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლის შესაბამისად, ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. ამდენად, სასარჩელო მოთხოვნის ვადის დენა დაკავშირებულია სუბიექტურ ფაქტორთან, ანუ

იმ მომენტთან, როცა დაზარალებულმა შეიტყო ან უნდა შეეტყო თავისი უფლების დარღვევის შესახებ.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ შემონმების აქტი გამოცა 2012 წლის 13 აგვისტოს. უკიდურეს შემთხვევაში, შპს „...ის“ მხრიდან ზემოხსენებული აქტის გასაჩივრების უფლების არსებობის პირობებში, „2011 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ადმინისტრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 7 მარტის №01-1/ნ ბრძანების მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის დანაწესის გათვალისწინებით, მიმწოდებელი ვალდებული იყო ზედამხედველობის შედეგად დაკისრებული საჯარიმო სანქციების შესრულება აღიარებულიდან, ანუ გასაჩივრების უფლების ვადის ამოწურვიდან (2012 წლის 13 სექტემბრიდან) არა უგვიანეს 30 კალენდარული დღისა (2012 წლის 13 ოქტომბრის ჩათვლით) უზრუნველყო. აღნიშნული 30-დღიანი ვადის გასვლით კი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსათვის ცნობილი გახდა უფლების დარღვევის ფაქტის, კერძოდ, პროგრამის მიმწოდებლის მიერ საჯარიმო სანქციებით დაკისრებული ვალდებულების შეუსრულებლობის შესახებ, შესაბამისად, ხსენებული მომენტი ხანდაზმულობის ვადის ათვლის წერტილად უნდა იქნეს მიჩნეული.

ამასთან, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს შეფასებას, რომ ვინაიდან საქმის მასალებით არ დასტურდება სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2013 წლის 8 იანვრის №04/462 წერილის შპს „...ისათვის“ გაგზავნა და მისი ადრესატისათვის ჩაბარების ფაქტი, ხანდაზმულობის ვადის ათვლის მომენტის განსაზღვრისას იგი ვერ იქნება მხედველობაში მიღებული.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სარჩელი წარდგენილია 2015 წლის 13 ნოემბერს, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მიხედვით სახელშეკრულებო მოთხოვნებისათვის გათვალისწინებული 3-წლიანი ხანდაზმულობის ვადის დარღვევით, რის გამოც სარჩელი ხანდაზმულია და არ არსებობს მისი დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი.

რაც შეეხება სააპელაციო სასამართლოს მოტივაციას სადავო საკითხის უსაფუძვლო გამდიდრების ნორმებით გადაწყვეტასთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მიერ კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობის საფუძვლების დადგენას განსახილველ დავასთან მიმართებით და აღნიშნავს, რომ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ შპს „...ის“ მიმართ არსებული მოთხოვნა სახელშეკ-

რულებო დათქმებს უკავშირდება და მათგან გამომდინარეობს. კერძოდ, საზგასასმელია ის გარემოება, რომ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულება არ ითვალისწინებდა კონკრეტულად დადგენილი რაოდენობის მომსახურების განვეისათვის ანაზღაურების გაცემას. ამასთან, ხელშეკრულებები არ მოიცავდა მყარად განსაზღვრულ მაქსიმალურ თანხას, რომლის ფარგლებშიც უნდა მომხდარიყო განეული მომსახურების სანაცვლოდ პროგრამის მიმწოდებლისათვის თანხის ანაზღაურება. ამდენად, დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს მითითება იმასთან დაკავშირებით, რომ მხარეებს შორის არ არსებობდა ხელშეკრულება იმ მომსახურების ღირებულების ანაზღაურების შესახებ, რასაც სამედიცინო დაწესებულება არ გასწევდა. აღნიშნულის საპირისპიროდ, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულებები ითვალისწინებდა პროგრამის მიმწოდებლის მხრიდან ანაზღაურების განმახორციელებელი სუბიექტის ინფორმირებას კონკრეტულად განეულ მომსახურებასთან დაკავშირებით, ანუ პროგრამის მიმწოდებლის მხრიდან პროგრამის ადმინისტრირებაში მონაწილე სახელმწიფო დაწესებულებისათვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება სახელშეკრულებო ურთიერთობის ერთ-ერთი მნიშვნელოვან ნაწილსა და ასანაზღაურებელი თანხის ზუსტად განმსაზღვრელ მთავარ პირობას წარმოადგენდა. ამდენად, აღნიშნული ვალდებულების არაჯეროვანი განხორციელება სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევაზე მიუთითებს და იგი არ არის სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებს გარეთ დამატებითი, კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობის წარმოშობის საფუძველი.

საზგასასმელია ისიც, რომ შემონმების შედეგად გამოვლენილი დარღვევების მიხედვით, თანხის დაკისრების საფუძველს არ წარმოადგენდა მხოლოდ არაზუსტი ინფორმაციის მიწოდება იმ მომსახურების შესახებ, რომელიც სამედიცინო დაწესებულებას ფაქტობრივად არ გაუწევია. გამოვლენილ დარღვევათა შორის იკვეთება სხვადასხვა სახის, მათ შორის, ისეთი დარღვევებიც (მაგ. სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების წესის დარღვევა), რა შემთხვევაშიც, სამედიცინო დაწესებულების მხრიდან ბიუჯეტში აღსადგენი თანხა სააგენტოს მიერ ანაზღაურებული თანხის კონკრეტული პროცენტულობით იქნა გამოთვლილი. შესაბამისად, სარჩელით მოთხოვნილი თანხის სრულად მიკუთვნება უსაფუძვლო გამდიდრების ნორმების გამოყენებით მოკლებულია ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძველს.

საკასაციო სასამართლო აგრეთვე აღნიშნავს, რომ თანხის მოთ-

ხოვნას წინ უძღოდა შემოწმება, რომლის შედეგადაც გამოცემული იქნა 2012 წლის 13 აგვისტოს შემოწმების აქტი. სამედიცინო დანესებულების მიერ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებების შესრულება პროგრამის ადმინისტრირებაში მონაწილე სახელმწიფო დანესებულების მხრიდან შემოწმების სახით კონტროლს მხარეთა შორის გაფორმებულმა ხელშეკრულებებმა დაუქვემდებარა და შემოწმების შედეგად დაკისრებული საჯარიმო სანქციაც სწორედ აღნიშნული ხელშეკრულებებიდან გამომდინარეობს. ამდენად, მხარეებმა სახელშეკრულებო ურთიერთობაში შესვლით ფაქტობრივად თავად დაადგინეს, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევა ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას წარმოშობდა. თავის მხრივ, სასამართლო სახელშეკრულებო ურთიერთობის ნამდვილობის პირობებში გასცდა მის ფარგლებს, დაადგინა უსაფუძვლო გამდიდრების არსებობა მაშინ, როდესაც აღნიშნული არ წარმოადგენდა სასარჩელო მოთხოვნის საფუძველს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ უსაფუძვლო გამდიდრებას ადგილი აქვს ვითომ კრედიტორისათვის სწორედ ვალდებულების არსებობის გარეშე, ანუ შესაბამისი იურიდიული საფუძვლის არარსებობისას რაიმეს გადაცემის პირობებში. განსახილველ შემთხვევაში, თანხის გადაცემას სწორედ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ინფორმირების ვალდებულება განაპირობებდა, კერძოდ, სამედიცინო დანესებულების მიერ მიწოდებული ინფორმაცია წარმოშობდა განუყოფელი მომსახურების ღირებულების ანაზღაურების საფუძველს, ხოლო ასეთი ინფორმაციის არაზუსტობის შემთხვევაში, თანხის უკან დაბრუნებაც იმავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საზედამხედველო ღონისძიებების განხორციელების გზით იყო შესაძლებელი.

ამასთან, საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველ და მე-3 ნაწილებზე, რომელთა თანახმად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან, ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა, ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე, აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა, ამასთან, სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლო-

ბიდან.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ უსაფუძვლო გამდიდრება წარმოადგენს სამოქალაქო კანონმდებლობით გათვალისწინებულ კანონისმიერ ვალდებულებით ურთიერთობას, რომელიც საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის გათვალისწინებით, არ განეკუთვნება ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ დავათა კატეგორიას. შესაბამისად, უსაფუძვლო გამდიდრების საფუძვლით, მოსარჩელეს აქვს შესაძლებლობა, სწორედ სამოქალაქო სამართალწარმოების ფარგლებში ეძიოს მისი უფლების რეალიზების პროცესუალური და მატერიალური შესაძლებლობები.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, შპს „...ის“ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 1 მარტის გადაწყვეტილება და საქმეზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

ამასთან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს შპს „...ის“ სასარგებლოდ უნდა დაეკისროს მის მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 1160 (300+860) ლარის ანაზღაურება.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილით, 411-ე მუხლით და

### **გ ა დ ა ნ ე ყ ვ ი ტ ა :**

1. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. შპს „...ის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
3. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 1 მარტის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
4. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს სარჩელი არ დაკმაყოფილდეს ხანდაზმულობის გამო;



5. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს შპს „...ის“ სასარგებლოდ დაეკისროს მის მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 1160 (300+860) ლარის ანაზღაურება;

6. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლო  
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6  
ტელ.: (995 32) 299 72 23  
[www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)